

**დემოკრატიული სუვერენიტეტის მოდელი და ლიბერალური  
მოქალაქეობის პარადოქსი ამერიკის შეერთებული შტატების,  
დიდი ბრიტანეთის და გერმანიის მაგალითებზე**

**გიორგი გიგაური**

სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია პოლიტიკის მეცნიერების დოქტორის  
აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად

მეცნიერ-ხელმძღვანელი:

**მიხეილ გოგატიშვილი**

ფილოსოფიის დოქტორი, პროფესორი

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

თბილისი 2015

სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ წინამდებარე ნაშრომი, „დემოკრატიული სუვერენიტეტის მოდელი და ლიბერალური მოქალაქეობის პარადოქსი ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთის და გერმანიის მაგალითებზე“ ორიგინალურია. ის არ შეიცავს ისეთ მეცნიერულ თვალსაზრისს, დებულებას, თეორიას, კვლევის მონაცემებს, რომელიც ნაშრომში არ არის მითითებული დადგენილი წესით, ხოლო კვლევის მეთოდების გამოყენების დროს სრულად არის დაცული ეთიკური ასპექტები.

**გიორგი გიგაური**

## რეზიუმე

ნაშრომი ეძღვნება თანამედროვეობის ერთერთ აქტუალურ პოლიტიკურ-სამართლებრივ პრობლემას – უცხო ქვეყანაში თავშესაფრის მაძიებელი სხვა ქვეყნის მოქალაქეების უფლებრივ-პოლიტიკურ მდგომარეობას. სახელმწიფოთა ძალისხმევა, ეფექტურად ემართათ თავშესაფრის მაძიებელთა საკითხი, მრავალჯერ დასრულდა წარუმატებლად, რადგან არ არსებობდა ეფექტური კავშირი ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ ვალდებულებებსა და, მათ ტერიტორიაზე თავშესაფრის მაძიებლების მიმართ, სახელმწიფოების მოვალეობებს შორის. ამ ვითარებამ გამოიწვია თავშესაფრის მაძიებელთა მიმართებით მოქალაქეობის ლიბერალური გაგების პარადოქსის წარმოშობა, რაც სახელმწიფოების წინააღმდეგობრივ პოლიტიკაში აისახა თავშესაფრის მაძიებლებთან დაკავშირებით. ერთი მხრივ, მთავრობა იღებს სქემებს, რომლის მიხედვითაც ხდება მიგრანტების შეჩერება და დასჯა, ამავე დროს, ის ნერგავს ადამიანის უფლებებს, რომლებიც თავშესაფრის მთხოვნელებს საშუალებას აძლევს შეეწინააღმდეგონ დეპორტაციის გადაწყვეტილებას (შიდა ან საერთაშორისო სასამართლოების მეშვეობით). ამრიგად, თავშესაფრის მაძიებელთა ქვეყანაში შეშვების იურიდიული პრაქტიკის ზრდის პარალელურად, ხდება მზარდი შემზღუდველი ზომების შემუშავება ქვეყანაში შეშვების საწინააღმდეგოდ. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო ვერ განიხილავს საკუთარ თავს ადამიანის უფლებების დაცვის რეჟიმში მყოფად, თუკი მისი მიზანი თავისი შიდა სუვერენიტეტით შემოზღუდვას თავშესაფრის მაძიებელთა საკითხთან მიმართებით.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია დაძლიოს უცხო ქვეყანაში თავშესაფრის მაძიებლების მიმართ არსებული მოქალაქეობის ლიბერალური გაგების საფუძველზე წარმოქმნილი თეორიული პარადოქსის მნიშვნელობა და წინააღმდეგობრივი პოლიტიკა. ლიბერალური პარადოქსისა და ადამიანის უფლებათა დისკურსთან მიმართებით კვლევის მეთოდოლოგიის საფუძველად განისაზღვრა პოლიტიკური ფილოსოფიის, სამართლის,

პოლიტიკის მეცნიერებების და სხვა სოციალურ მეცნიერებთა კვლევითი მეთოდოლოგიები. კვლევის განსახორციელებლად შემუშავებული იქნა ემპირიულ კვლევაზე დაფუძნებული კომპარატივისტული კვლევის მეთოდოლოგია, რომელიც, იმავდროულად, გამოკვლევის თეორიული ასპექტის გათვალისწინებით ითვალისწინებს სისტემური კვლევის პრინციპის. გარდა ამისა ნაშრომში გამოყენებულია ჩართული დაკვირვების მეთოდი, სოციოლოგიური კვლევის მეთოდები (თვისებრივი, სტატისტიკური და ნარატიული ინტერვიუს სოციოლოგიური ანალიზის მეთოდი). კვლევის საფუძველზე დასაბუთებულია და ნაშრომის მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს: 1. ლიბერალური პარადოქსის ცნების ჩამოყალიბება და ოპერაციონიზება; 2. უცხო ქვეყანაში თავშესაფრის მაძიებლებთან დაკავშირებით არსებული ლიბერალური პარადოქსის თეორიული საზრისის აღმოჩენა, რომელიც ადამიანის უფლებრივ მდგომარეობის ნორმატიულ კოლიზიებსა და დიხოტომიებში იჩენს თავს; 3. ლიბერალურ პარადოქსთან დაკავშირებული სამართლებრივ-პოლიტიკური ფაქტორების სისტემური შერჩევა-ანალიზის გახორციელება, რომელიც გავლენას ახდენენ თანამედროვე საერთაშორისო, საშინაო პოლიტიკაზე და ასევე სახელმწიფო მართველობაზე. 4. უცხო ქვეყანაში თავშესაფრის მაძიებლებთან დაკავშირებული პრობლემის თეორიული თვალსაზრისით გათავისუფლება ლიბერალური პარადოქსის საფუძველზე გამოწვეული სადაო დებულებისგან (და ნორმატიული გაურკვევლობებისაგან) და გარკვეული სივრცის გახსნა მიგრაციის დამატებითი რეჟიმისთვის, რომელსაც მეტი აქცენტი აქვს გაკეთებული სახელმწიფოს პასუხისმგებლობაზე თავშესაფრის მაძიებელთა მიმართ. განხორციელებული კვლევის საფუძველზე შემუშავებულია რეკომენდაცია, რომ თავშესაფრის მინიჭებასთან დაკავშირებით, მიზანშეწონილია, სახელმწიფოს პოლიტიკა დავახასიათოთ არა როგორც უცხო სახელმწიფოში თავშესაფრის მაძიებლების შეშვების „შეზღუდვის პოლიტიკა“, არამედ, როგორც „ქვეყანაში კვალიფიცირებული შეშვების პოლიტიკა“. ასევე, ამ სფეროში მიმდინარე სამართლებრივი მოვლენების უფრო გასაგები დახასიათება იქნება „ადამიანის უფლებების განხორციელების გაუმჯობესება“, ვიდრე „მიმღები კანონმდებლობა“. ამ ახალი დისკურსის ტერმინოლოგია ნათელს ხდის თავშესაფრის მინიჭების პროცესის კონტექსტუალურ მოქნილობას და დინამიკურ ბუნებას და, ამრიგად ასუსტებს ლიბერალური პარადოქსის საზრის.

## Abstract

The thesis addresses one of the most relevant political and legal developments in current affairs, namely the rights of asylum seekers in host countries. State efforts to effectively manage asylum have repeatedly been frustrated by a schism between State obligations towards human rights and their duties towards asylum seekers within their territory. This eventuation has led to the formation of the liberal paradox of asylum, reflected in the seemingly contradictory asylum policies of States. In one respect, the government is adopting schemes to deter and penalize migrants, while contrastingly it is embedding human rights, which provide asylum seekers with means to challenge the decision to expel them (through domestic and international courts). Thus, increasingly restrictive measures seem to be developing side by side with growing inclusive legal practices. Consequently, the State doesn't consider itself being curtailed by a human rights regime, if the restriction on its sovereignty in asylum matters was self-imposed. The thesis aims to challenge the validity of the contradictory asylum policy which was formed on the basis theoretical liberal paradox. In researching the liberal paradox and human rights discourse, numerous methodologies were applied covering the disciplines of jurisprudence, political science, philosophy and other social sciences. Comparative analysis methodology was utilized for this research, which also included the systemicity principle in an empirical context. The study also used observation and sociological methods (qualitative, statistical, and narrative interviews). The research attempts to demonstrate a scientifically novel argument, by addressing the following: 1. Define the conceptual meaning of liberal paradox and its operationalization. 2. Outline the theoretical boundaries of the liberal paradox of asylum, which becomes evident through a normative collision and dichotomy of two bodies of rights. 3. Conduct review and analysis of politico-legal factors of the liberal paradox, which influence modern national and international governance. 4. Re-conceptualize the asylum process and release it from the dubious proposition of the liberal paradox (and normative unclarities), opening up space for a more complementary migration regime with greater emphasis on State responsibilities towards asylum seekers. Based on the conducted research several recommendations were developed, stating that a more accurate description of State asylum policy would be 'politics of qualified admission' rather than 'politics of restriction'. Likewise, a more comprehensible depiction of current legal developments in this area would be that of the 'advancement of human rights' rather than the 'law of inclusion'. The terminology of this new discourse uncovers the contextual flexibility and dynamic nature of the asylum process, thus questioning the strength of the liberal paradox.

## სარჩევი

შესავალი	1
I. პრობლემის აქტუალობა და მნიშვნელობა	6
II. ლიტერატურის მიმოხილვა და თეორიულ-პრაქტიკული კონტექსტი	18
III. კვლევის მეთოდოლოგია	19
თავი 1: მოქალაქეთა და უცხოელთა უფლებების ნორმატიული დიხოტომია: ლიბერალური პარადოქსი	21
თავი 2: მოქალაქეობის ორი მოდელი: ნაციონალისტური და ლიბერალური	29
2.1 მოქალაქეობის ნაციონალისტური მოდელი	29
2.2 ლიბერალური მოდელი	36
თავი 3: დემოკრატიული სუვერენობა	47
3.1 სუვერენობა, როგორც პოლიტიკური კონცეფცია	47
3.2 სუვერენობა, როგორც სამართლებრივი კონცეფცია	56
თავი 4: ლიბერალური მოქალაქეობა	66
4.1 არამოქალაქეთა უფლებები საერთაშორისო კანონმდებლობის მიხედვით	77
თავი 5: ბუნებითი სამართალი	107
5.1 თანასწორობაზე დაფუძნებული ადამიანის ღირსება	109
5.2 თანხმობა	111
5.3 უფლებათა ცენტრალურობა	113
5.4 ძლიერი, მაგრამ შეზღუდული მთავრობა	114

5.5 კანონის უზენაესობა	117
5.6 უნივერსალიზმი	118
თავი 6: სახელმწიფო უსაფრთხოების პერსპექტივა: გაერთიანებული სამეფო, აშშ და გერმანია	120
6.1 ამერიკის შეერთებული შტატები	129
6.2 გაერთიანებული სამეფო (1993–2000 წწ.)	140
6.3 გაერთიანებული სამეფო (2000–2010 წწ.)	155
6.4 გერმანია	159
თავი 7. თემის რელევანტობა საქართველოსთვის	167
დასკვნა-რეკომენდაციები	175
ბიბლიოგრაფია	182

## შესავალი

*უცხოელისთვის ჩვენი ქალაქების დადებითი მხარეებით ტკბობის აკრძალვა სრულებით ეწინააღმდეგება ჰუმანურობის კანონებს*

ციცერონი  
(წიგნი III, თავი XI, 1993)

ტერიტორიულად შემოსაზღვრული ერი-სახელმწიფოს იდეალური მაგალითი მოქალაქეს, უპირველეს ყოვლისა, განიხილავს როგორც სახელმწიფო ადმინისტრირების სუბიექტს ან თუ უფრო პოზიტიური კონტექსტით განვსაზღვრავთ, როგორც კუთვნილი უფლებების სუბიექტს. ეს პროექტი, რომელიც ფეოდალიზმიდან აბსოლუტისტურ სახელმწიფოზე გადასვლის გამოცდილებიდან იღებს სათავეს, კარგ მმართველობაზე დაფუძნებული თვითრეგულირებადი სამოქალაქო საზოგადოების ფარგლებში, ადრეული ლიბერალური სოციალური ხელშეკრულების განმსაზღვრელ კონცეფციად იქცა თომას ჰობსის და ჯონ ლოკის ნაშრომებში.

XVII საუკუნიდან დემოკრატიის განვითარება და თანამედროვე ერი-სახელმწიფოს კონსოლიდაცია პარალელური პროცესებია. ისინი ხანდახან უპირისპირდებიან, ხოლო ხანდახან ავსებენ ერთმანეთს. XX საუკუნის დასაწყისში, საკუთრების არმქონე მამაკაცების, ოსტატების, ფერმერების და მუშების დემოკრატიულმა ბრძოლამ თანასწორობისა და პოლიტიკური ჩართულობის მოსაპოვებლად, გზა გაუხსნა ქალების, არაქრისტიანი და არათეთრკანიანი კოლონიზებული ხალხების ბრძოლას დემოსის საზღვრებში ჩასართავად. ფორმალური მოქალაქეობრივი უფლებების ზრდასთან ერთად, ასევე იზრდებოდა სამოქალაქო უფლებების, პოლიტიკური და სოციალურ უფლებების საზღვრები (14).

ამ პროცესში იდეალური თვითმმართველობა სულ უფრო მეტად გაიგებოდა, როგორც დემოსის მოქალაქეთა ფორმალური თანასწორობა, რომლებიც ცდილობდნენ საკუთარი თავისუფლების რეალიზაციას მათი კუთვნილი უფლებების თვალსაზრისით. საზოგადოებრივ სივრცეში იდეალური თვითმმართველობისა და თანასწორთა შორის თავისუფლების განხორციელება



დაკავშირებულია მოქალაქეობის ლიბერალურ იდეალთან, რომელიც უფლებებისა და შეღავათების გამოყენებასა და სარგებლობას გულისხმობს. თანამედროვე დემოკრატიები ცდილობენ ამ ლიბერალური იდეალების ინტეგრირებას „საზოგადოებრივი“ და „კერძო ავტონომიის“ პრაქტიკებში. მაშინ, როდესაც მოქალაქეთა კერძო ავტონომია გულისხმობს თავისუფლების გამოყენებას და სარგებლობას უფლებრივი ჩარჩოს მეშვეობით, რომელიც განსაზღვრავს მათი თავისუფლების თანასწორ მნიშვნელობას, საზოგადოებრივი ავტონომიის რეალიზება საზოგადოებებში, რომლებიც დღითიდღე უფრო და უფრო კომპლექსური ხდება, ხორციელდება დემოკრატიული თვითმმართველობის ინსტიტუტების მეშვეობით.

შეიძლება ითქვას, რომ ლიბერალურ-დემოკრატიული იდეალების ანუ საზოგადოებრივი და კერძო ავტონომიის ეს შედარებით წარმატებული სინთეზი, დღესდღეობით პრობლემურია და კრიზისს განიცდის. მხედველობაში მაქვს არა დემოკრატიის კრიზისი, არამედ თანამედროვე ერი-სახელმწიფოს კრიზისი. ამჟამად ნორმატიულ პოლიტიკურ აზროვნებაში, ისევე, როგორც სოციალურ მეცნიერებებში, ჩვეულებრივი მოვლენაა მსჯელობა ერი-სახელმწიფოს დასასრულის და სუვერენიტეტის ვესტფალიური კონცეფციების მნიშვნელობის დაკნინების შესახებ.

მაგრამ, ჩემი აზრით, სახელმწიფო სუვერენიტეტის ტრადიციული კონცეფციების რღვევის მიუხედავად, სახელმწიფოს ტერიტორიაზე მონოპოლია იმიგრაციისა და მოქალაქეობის პოლიტიკის მეშვეობით ხორციელდება. მიუხედავად ამისა, საზღვრებს შორის ადამიანთა მოძრაობის ნორმატიული და ემპირიული განზომილებების უგულებელყოფას თანამედროვე აზროვნებაში მყარად აქვს ფესვები გადგმული.

სუვერენიტეტის ნებისმიერი „პოსტ-ვესტფალიური“ კონცეფცია არაეფექტურია, თუ ის ყურადღებას არ ამახვილებს ტერიტორიულ საზღვრებს შორის ადამიანთა გადაადგილების ნორმატიულ რეგლამენტრებაზე. ფილოსოფიური პერსპექტივიდან თუ ვიმსჯელებთ, ტრანსეროვნულ მიგრაციები წინა პლანზე წამოწევს არსებით დილემას ლიბერალური დემოკრატიების წიადში. ამ დილემას წარმოშობს, ერთი მხრივ, სუვერენული თვითგამორკვევის მოთხოვნები და, მეორე მხრივ, ადამიანთა უფლებების უნივერსალური პრინციპებისადმი ერთგულება. სხვა

სიტყვებით რომ ვთქვათ, სახეზეა ლიბერალური პარადოქსი: ნორმატიული დისოტომია მოქალაქეებისა და უცხოელების უფლებებს შორის.

გამოანგარიშებულია, რომ 1910 წელს, დაახლოებით 33 მილიონი ადამიანი ცხოვრობდა უცხო ქვეყანაში როგორც მიგრანტი. 2000 წელს ამ რიცხვმა 175 მილიონს მიაღწია. იმავე პერიოდის განმავლობაში (1910–2000 წწ.), მსოფლიოს მოსახლეობა 1.6 მილიარდიდან 5.3 მილიარდამდე გაიზარდა (ანუ, დაახლოებით სამჯერ). ამავე დროს, ამ 90 წლის განმავლობაში მიგრაციები თითქმის ექვსჯერ გაიზარდა. გასაოცარია, რომ 1910 წლიდან 2000 წლამდე მომხდარი მიგრაციის ნახევარზე მეტი მოდის XX საუკუნის ბოლო სამ ათწლეულზე, კერძოდ, 1965-2000 წლებზე. ამ პერიოდში 75 მილიონმა ადამიანმა გადაკვეთა თავისი ქვეყნის საზღვარი, რათა უცხო ქვეყანაში დასახლებულიყო (223). მიგრანტი მოსახლეობა ზრდას იგივე ტემპით აგრძელებს, როგორც ამას უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში (1990–2010 წწ.) ჰქონდა ადგილი. საერთაშორისო მიგრანტების რაოდენობა მსოფლიოს მასშტაბით 2050 წლისთვის, შესაძლოა, 405 მილიონამდე გაიზარდოს (134).

XX საუკუნის მეორე ნახევარში მიგრაციული მოძრაობის ზრდასთან ერთად, დამძიმდა ლტოლვილების მდგომარეობაც. მსოფლიოში დაახლოებით 20 მილიონამდე ლტოლვილი, თავშესაფრის მაძიებელი და იძულებით გადაადგილებული პირია. ევროპისა და ჩრდილოეთ ნახევარსფეროს რესურსებით მდიდარი ქვეყნები მიგრანტების რაოდენობის ზრდის პრობლემის წინაშე დგანან, ხოლო რაც შეეხება სამხრეთ ნახევარსფეროში მდებარე სახელმწიფოებს, არსებითად, სწორედ ისინი აძლევენ თავშესაფარს მეზობელი ქვეყნებიდან ომის გამო შეხიზნულ ასობით ათას ლტოლვილს.

ასეთი ტენდენციების ფონზე, განაცხადი სახელმწიფო სისტემის „დასასრულის“ შესახებ, შესაძლოა, გადაჭარბებული აღმოჩნდეს. თანამედროვე პოლიტიკური მოვლენების ირონია ისაა, რომ მაშინ, როდესაც სახელმწიფოს სუვერენიტეტი ეკონომიკის, სამხედრო და ტექნოლოგიურ სფეროებში მნიშვნელოვნადაა შესუსტებული, სუვერენიტეტის კონცეფციას კვლავ დაბეჯითებით იცავენ, ხოლო სახელმწიფო საზღვრები, მიუხედავად მეტი ღიაობისა, კვლავაც ეფექტურ საშუალებას ქმნის უცხოელთა შემოდწელებისგან თავის დასაცავად.

მზარდი ნორმატიული შეუსაბამობები ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ნორმებსა<sup>1</sup> და ტერიტორიული სუვერენიტეტის მზარდ განმტკიცებას შორის, ამ ახალი ვითარების ახალი მახასიათებლებია. 1948 წელს, ადამიანის უფლებათა დეკლარაციის მიღების შემდეგ, წარმოიშვა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო რეჟიმი. „ადამიანის უფლებათა საერთაშორისო რეჟიმში“ მოვიაზრებ ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთგადამფარავი გლობალური და რეგიონული რეჟიმების განვითარებას, რომლებიც მოიცავს ადამიანის უფლებათა შესახებ ხელშეკრულებებს, საერთაშორისო ჩვეულებით სამართალს და ე. წ. „რბილ სამართალს“<sup>2</sup> მიუხედავად ამისა, სახელმწიფოთა სუვერენიტეტი ხელშეკრულებების შესრულების, უარყოფის, ან არდანერგვის თვალსაზრისით, არ იზღუდება (14).

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია აღიარებს საზღვრების გადაკვეთის თავისუფლებას, ემიგრაციის, ანუ ქვეყნის დატოვების უფლებას, მაგრამ არა იმიგრაციის, ანუ ქვეყანაში შესვლის უფლებას. დეკლარაციის მე-14-ე მუხლი აფიქსირებს თავშესაფრით სარგებლობის უფლებას გარკვეულ გარემოებებში, მაშინ, როდესაც დეკლარაციის მუხლი 15 აცხადებს, რომ „ყოველ ადამიანს აქვს მოქალაქეობის უფლება.“ მე-15-ე მუხლის მეორე ნაწილში ნათქვამია, რომ დაუშვებელია, ვინმეს თვითნებურად ჩამოერთვას მოქალაქეობა, ან თავისი მოქალაქეობის შეცვლის უფლება.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია არაფერს ამბობს სახელმწიფოს ისეთ მოვალეობებზე, როგორებიცაა ემიგრანტებისათვის შესვლის უფლების მიცემა, თავშესაფრის მოპოვების უფლების დაფიქსირება, ან უცხოელი რეზიდენტებისა და ნატურალიზებული უცხოელებისთვის მოქალაქეობის უფლების მინიჭება. ამ უფლებებს არ ჰყავს კონკრეტული ადრესატები და ისინი არ აკისრებს კონკრეტულ ვალდებულებებს მეორე და მესამე მხარეებს.

---

1 ეს განსაკუთრებით ეხება ე. წ. „სხვების“ – იმიგრანტების, ლტოლვილებისა და თავშესაფრის მაძიებლების უფლებებს.

2 „რბილი სამართალი“ (soft law) გულისხმობს იმ კვაზი-დეგალურ ინსტრუმენტებს, რომლებსაც არ გააჩნიათ დეგალურად მავალდებულებელი ძალა, ან რომელთა მავალდებულებელი ძალა უფრო სუსტია, ვიდრე სისხლის სამართლის მავალდებულებელი ძალა.

მიუხედავად იმისა, რომ ეს უფლებები სცილდება კონკრეტული სახელმწიფოს საზღვრებს, დეკლარაცია იცავს ცალკეული სახელმწიფოების სუვერენიტეტს. ამრიგად, შიდა წინააღმდეგობები ადამიანის საყოველთაო უფლებებსა და ტერიტორიულ სუვერენიტეტს შორის, იმთავითვე მოცემულია მსოფლიოს ყველაზე უფრო ყოვლისმომცველ საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტებში. საზღვრებზე გადაადგილების მარეგულირებელ სხვა უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო იურიდიულ დოკუმენტებს წარმოადგენს 1951 წლის უენევის კონვენცია ლტოლვილების სტატუსის შესახებ და მისი პროტოკოლი, რომელიც 1967 წელს იქნა დამატებული.

მიუხედავად ამისა, არც ამ დოკუმენტების არსებობას და არც გაეროს ლტოლვილებთან დაკავშირებული საკითხის უმაღლესი კომისრის თანამდებობის შექმნას შეუცვლია ფაქტი, რომ ეს კონვენცია და მისი პროტოკოლი დამავალდებულებელია მხოლოდ ხელმომწერი სახელმწიფოებისთვის და იმ ქვეყნებს, რომლებსაც არ მოუხდენიათ მისი რატიფიცირება, შეუძლიათ მისი იგნორირება, ხოლო რიგ შემთხვევებში – იმ ქვეყნებსაც, რომლებმაც ხელი მოაწერეს აღნიშნულ დოკუმენტს.

ზოგიერთი მკვლევარი მწუხარებით აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ, ვინაიდან ადამიანთა უფლებების საერთაშორისო ნორმები, არსებითად, იმიგრაციასთან, ლტოლვილებთან და თავშესაფრის პრობლემებთან დაკავშირებულ საკითხებში მოქმედებს, ერ-სახელმწიფოებს უხდებათ არა მხოლოდ თავისი საზღვრების კონტროლი, არამედ „ეროვნული ერთობის საზღვრების“ განსაზღვრაც (136).

ერთი რამ მაინც ცხადია: სახელმწიფოების დამოკიდებულება მოქალაქეებთან და რეზიდენტებთან სახელმწიფოს შეუზღუდავი პრიორიტეტი როდია. ვესტფალიური სუვერენიტეტის ერთ-ერთი ქვაკუთხედი, რომლის თანახმად, სახელმწიფოს უზენაესი ძალაუფლება აქვს ყველა ობიექტსა და სუბიექტზე, რომლებიც იმყოფება მისი შემოსაზღვრული ტერიტორიების ფარგლებში, საერთაშორისო სამართლითაა დელეგირებული.

თანამედროვე პოლიტიკურ ფილოსოფიაში ამ დიხოტომიასთან დაკავშირებით ორი სააზროვნო მოდელი წარმოიშვა: „ხალხთა სამართლის“ მოდელი, რომელიც ჯონ როულსს (189) ეკუთვნის და კოსმოპოლიტური მოქალაქეობის მოდელი,

დაფუძნებული ერთა ახალ სამართალზე, რომელიც შემოთავაზებული იყო იურგენ ჰაბერმასის მიერ (189).

როულსისეული ხალხთა სამართალი ეფუძნება განსხვავებული მორალის და რელიგიური სიქველის გაგების მქონე რეჟიმების მიმართ ტოლერანტობას და კომპრომისზე მიდის ადამიანთა საყოველთაო უფლებებთან მიმართებაში საერთაშორისო სტაბილურობის მიღწევის მიზნით. ჰაბერმასის ხედვაა ასეთი უნივერსალისტური მოთხოვნების განვრცობა სოლიდარობის მუდმივად გაფართოებად ქსელში. როულსი იღებს ერი-სახელმწიფოს სტრუქტურას, როგორც მოცემულობას, ხოლო ჰაბერმასი ცდილობს, გასცდეს მას საერთაშორისო სამართლის კონსტიტუციონალიზაციის მოდელის საფუძველზე.

ერი-სახელმწიფოს კრიზისმა, გლობალიზაციასა და ერი-სახელმწიფოს შიგნით მულტიკულტურული მოძრაობების ზრდასთან ერთად, შეცვალა საზღვრები მოქალაქესა და რეზიდენტს, ქვეყნის მკვიდრსა და უცხოელს შორის. სამოქალაქო უფლებები დღეს ტრანსნაციონალურ განზომილებაში უნდა იქნეს განხილული. აქ არა მარტო დაძაბულობა, არამედ, როგორც ზოგიერთი მკვლევარი (95, 14) აღნიშნავს, აშკარა წინააღმდეგობა არსებობს, ერთი მხრივ, ადამიანის უფლებების შესახებ განცხადებებსა და, მეორე მხრივ, სახელმწიფოების სუვერენულ მოთხოვნებს შორის, აკონტროლონ თავიანთი საზღვრები და ქვეყანაში შემოშვებული უცხოელების რაოდენობა. როგორ შეიძლება ამ კონტექსტში შეიცვალოს კერძო და საზოგადოებრივი ავტონომია? როგორ შევაფასოთ სათანადოდ როგორც თვითმმართველობის დემოკრატიული იდეალები, ასევე, თანაბარი თავისუფლების ლიბერალური იდეალი? როგორ უნდა გვესმოდეს დამოკიდებულება მოქალაქეთა და უცხოელთა უფლებებს შორის?

**I. პრობლემის აქტუალობა და მნიშვნელობა:** მოქალაქეებისა და უცხოელების უფლებებს შორის ურთიერთდამოკიდებულების გაგება უმნიშვნელოვანესია გლობალიზაციისა და მიგრაციის ეპოქაში. 1992 წელს ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა დუგლას ჰარდმა, განაცხადა, რომ მიგრაცია „ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემაა არსებულ პრობლემებს შორის“ (152). მეოცე საუკუნის ბოლოს ლიბერალურ დემოკრატიებში უფრო და უფრო მნიშვნელოვანი და პრობლემური ხდებოდა თავშესაფრის საკითხი. „რეაქტიულ საუკუნეში“, თავშესაფრის მაძიებელთა მუდმივი ნაკადის არსებობის პირობებში,

სახელმწიფოებისათვის უფრო და უფრო ძნელი ხდებოდა გაძლიერებული მიგრაციის მოცულობისა და ხასიათის კონტროლი.

სახელმწიფოთა ძალისხმევა, ეფექტურად ემართათ თავშესაფრის საკითხი, მრავალჯერ დასრულდა წარუმატებლობით ადამიანთა უფლებების საერთაშორისო რეჟიმებში (როგორცაა, მაგალითად, ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლო) მათი მონაწილეობის გამო. დროთა განმავლობაში, ამ ტრიბუნალმა ჩამოაყალიბა ეფექტური კავშირი ლიბერალური დემოკრატიების ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ ვალდებულებებსა და მათ ტერიტორიაზე თავშესაფრის მაძიებლების მიმართ სახელმწიფოების მოვალეობებს შორის. ეს იურიდიული კავშირი ემსახურებოდა პროცედურული გამოსავალის უზრუნველყოფას თავშესაფრის იმ მაძიებლებისთვის, რომლებსაც უარი ეთქვათ და ზღუდავდა სახელმწიფოს მიერ მათი დეპორტაციის შესაძლებლობას.

ამ პრობლემას შედეგად მოჰყვა უცხო ქვეყანაში თავშესაფრის მაძიებელთა ლიბერალური პარადოქსის წარმოშობა, რაც აისახა სახელმწიფოების ერთი შეხედვით წინააღმდეგობრივ პოლიტიკაში თავშესაფართან დაკავშირებით. ერთი მხრივ, მთავრობა იღებს სქემებს, რომელთა მიხედვითაც ხდება მიგრანტების შეჩერება და დასჯა; ამავე დროს, ის ნერგავს ადამიანის უფლებებს, რომლებიც თავშესაფრის მთხოვნელებს უზრუნველყოფს სამართლებრივი საშუალებებით, შეეწინააღმდეგონ მათი დეპორტაციის გადაწყვეტილებას (შიდა, ან საერთაშორისო სასამართლოების მეშვეობით). ამრიგად, როგორც ჩანს, მზარდი შემზღუდველი ზომების შემუშავება ხდება ქვეყანაში შეშვების იურიდიული პრაქტიკის ზრდის პარალელურად.

ასეთი პირობების არსებობა იწვევს შეკითხვას: რატომ უნდა განიხილავდეს ერი-სახელმწიფო საკუთარ თავს ადამიანის უფლებების დაცვის რეჟიმში მყოფად, მაშინ, როდესაც თავშესაფრის მინიჭებასთან დაკავშირებული საკითხებთან მიმართებით თავისი საშინაო სუვერენიტეტით იზღუდება და არ განაგრძობს ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო პოლიტიკას თავშესაფრის მაძიებლების მიმართ? წინამდებარე ნაშრომის მიზანია, პასუხი გასცეს ამ შეკითხვას და ამით შეასუსტოს ლიბერალური პარადოქსის საზრისი.

ლიბერალური პარადოქსი საჭიროებს დაკვირვებით განხილვას მრავალი მიზეზის გამო. ფართოდ არის გავრცელებული შეხედულება იმის შესახებ, რომ ლიბერალური დემოკრატიების თავშესაფარის მიცემის პოლიტიკასთან დაკავშირებით არსებობს პარადოქსი, რომელიც გავლენას ახდენს იმაზე, თუ როგორ განიხილავენ სახელმწიფოები ურთიერთდამოკიდებულებას მოქალაქეთა და თავშესაფრის მაძიებელთა (უცხოელების) უფლებებს შორის. არჩეული უფლებამოსილი პირები ანგარიშვალდებულნი არიან თავისი ამომრჩევლების წინაშე და თავის პოპულარობას ამყარებენ მოქალაქეების ინტერესების დაცვაზე. ქვეყნის მოქალაქეების მიერ თავშესაფრის მაძიებლები უარყოფითად აღიქმებიან და, აქედან გამომდინარე, არასასურველი პირები არიან სახელმწიფოებისთვის.

თუ პრობლემას ლიბერალური პარადოქსის პერსპექტივიდან განვიხილავთ, ვნახავთ, რომ მოქალაქისა და უცხოელის უფლებები ერთმანეთს უპირისპირდება ისე, რომ მთავრობას მხოლოდ ადამიანის უფლებათა ერთი კომპლექტის განვრცობა შეუძლია და არა ორივესი. ამრიგად, უფლებამოსილი პირები ვარაუდობენ, რომ ურთიერთდამოკიდებულება ამ ჯგუფების ინტერესებს შორის არის თამაში ნულოვანი ჯამით (როდესაც ერთი მხარის წაგება მეორე მხარის მოგების ტოლფასია) და თანმიმდევრულად მოქმედებენ ამ დაშვების შესაბამისად. ამ შემთხვევაში გამოსავალს ხელისუფლებით აღჭურვილი პირები მიგრაციის მხარდი შეზღუდვის, ამკრძალავი და დამსჯელი კანონმდებლობის შემოღებით ცდილობენ, რომელიც მიზნად ისახავს ადგილობრივი მოთხოვნების დაკმაყოფილებას მიგრანტების ადამიანის უფლებათა დარღვევის გზით.

ლიბერალური პარადოქსი მოიცავს უფრო ფართო კონტექსტს, რომელშიც არსებობენ თავშესაფრის მაძიებლები: იურიდიული შეზღუდვების ქსელებს, რაც დაკავშირებულია უცხოელების უფლებებთან და ფაქტობრივ პოლიტიკურ არჩევანს, რაც დგას ქვეყანაში გადაწყვეტილების მიმღები პირების წინაშე. ლიბერალური პარადოქსის შესუსტების (ან გადაჭრის) მცდელობა იქნებოდა უცხოელებთან დაკავშირებული საკითხებისგან სახელმწიფოს აბსოლუტური სუვერენიტეტის დემითოლოგიზაცია და მოქალაქეებისა და უცხოელების უფლებებს შორის ურთიერთდამოკიდებულების რეკონცეპტუალიზაცია. თავშესაფრის მიმართ უფრო შემწყნარებლური, მოქნილი და თანმიმდევრული მიდგომის თეორიული შესაძლებლობა გზას გაუხსნიდა ურთიერთშემავსებელი

თანაარსებობის პერსპექტივას, მიუთითებდა საერთაშორისო სოლიდარობისა და ურთიერთთანამშრომლობის აუცილებლობას.

ვიდრე საკუთრივ პრობლემის ანალიზზე გადავიდოდეთ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, გამოვეყნოთ რამდენიმე შესავალი დებულება: ანალიტიკური მიზნებიდან გამომდინარე, ჩვენ განვიხილავთ ნორმატიული დიხოტომიის/ლიბერალური პარადოქსის მხოლოდ ყველაზე ნათელ და ყოველისმომცველ ფორმულირებას. თუმცა, მრავალი ვარიაცია არსებობს ამ თემასთან დაკავშირებით; მაგალითად, როგორცაა „თავისუფლების პარადოქსი“ (180, 17) და „დემოკრატიული დილემა“, რომლებიც მსგავს იდეებს ეხება; აქ ჩვენ დემოკრატიის ბითამისეულ განსაზღვრებას ვეყრდნობით (18). თუმცა, არსებობს დემოკრატიის სხვა განსაზღვრებები, რომლებიც, შესაძლოა, ეწინააღმდეგებოდეს დებულებას, რომლის თანახმად, დემოკრატია და ლიბერალიზმი თავსებადი დოქტრინებია. ასეთია, მაგალითად, დევიდ ჰელდის თეორია „კოსმოპოლიტური დემოკრატიის“ შესახებ (120), რობერტ დალის არგუმენტები დემოკრატიულ ინსტიტუტებთან მიმართებაში (59) და მაიკლ უოლცერის მსჯელობა დემოკრატიული სამართლის შესახებ (231); წინამდებარე ნაშრომში გაანალიზებულია ლიბერალური პარადოქსის დიალექტიკა და გაკრიტიკებულია მისი თეორიული და ემპირიული საფუძვლები შემდგომი ხერხების გამოყენებით: ჩვენ მოქალაქეთა და უცხოელთა უფლებების ნორმატიული დიხოტომიის ანალიზისას ვაყალიბებთ ლიბერალურ პარადოქს და დასახულია ამ პარადოქსის გადაჭრის გზები მისი თეორიული და ემპირიული საფუძვლების განსჯით. თავშესაფარის მაძიებელთან დაკავშირებით წარმოქმნილ ლიბერალური პარადოქსის საფუძველზე ჩვენ აღვწერთ ორ ელემენტს, რომლებიც ქმნიან თვალსაჩინო წინააღმდეგობას: „შეზღუდვის პოლიტიკა“ (*politics of restriction*), რომელიც ორ ასპექტს აერთიანებს, და „მიმღები კანონმდებლობა“ (*law of inclusion*) (95, 2).

შეზღუდვის პოლიტიკა ეხება (ა) პოლიტიკური სუვერენიტეტის და (ბ) იურიდიული სუვერენიტეტის გამოხატვას ლიბერალურ დემოკრატიაში. სუვერენიტეტი, პირველ რიგში, პოლიტიკური კონცეფციაა და თავშესაფარის კონტექსტში მისი გამოხატვა ხდება მოქალაქეების მიერ, რომლებიც, როგორც საარჩევნო ხმის მქონენი, იყენებენ თავიანთ დემოკრატიულ უფლებებს მათ სახელმწიფოში მიგრანტების შემოსვლის წინააღმდეგ. მეორე მხრივ, იურიდიულ კონტექსტში სუვერენიტეტის განმსაზღვრელი არის ყველა უცხოელის გაძევების განუყოფელი უფლება.



ლიბერალური პარადოქსის მეორე ელემენტი ეხება ადამიანის უფლებების იურიდიულ განვრცობას, რაც უზრუნველყოფს ქვეყანაში მცხოვრებ უცხოელებს უფლებებით სახელმწიფოს მხრიდან მათი გაძევების მცდელობის შემთხვევაში (მიმღები კანონმდებლობა). ამ ორი ელემენტის თანაარსებობისას თავს იჩენს დაძაბულობა, რომელიც წარმოშობს ლიბერალურ პარადოქსს. ამ მოვლენის ნათელსაყოფად საჭიროა მისი წარმოშობის მიზეზების გარკვევა.

აქედან გამომდინარე ნაშრომი ფოკუსირებულია მოქალაქეობის ორ მოდელზე – ნაციონალისტურსა და ლიბერალურზე. ორივე ეს მოდელი ქმნის თეორიულ ბაზას შეზღუდვის პოლიტიკისთვის (ნაციონალისტური მოქალაქეობა) და მიმღებ კანონმდებლობისთვის (ლიბერალური მოქალაქეობა). ნაციონალიზმი პოლიტიკური პრინციპია, რომელიც ამტკიცებს, რომ პოლიტიკური და ეროვნული ერთობა კონგრუენტული უნდა იყოს.

ის არის პოლიტიკური ლეგიტიმურობის თეორია, რომელიც მოითხოვს, რომ ეთნიკური საზღვრები არ უნდა მოდიოდეს წინააღმდეგობაში პოლიტიკურ საზღვრებთან. ეს მოდელი ხშირად გამოიყენება მოქალაქეთა უფლებების ხელშესაწყობად და დემოკრატიული სუვერენიტეტის საფუძველზე მოქალაქეობის არ მქონე პირთა გამოსარიცხად. ამის საპირისპიროდ, ლიბერალური მოდელი, ანუ „ლიბერალური მოქალაქეობის“ კონცეფცია (გლობალური მოქალაქეობა) დაფუძნებულია მოქალაქეობის არ მქონე პირთა ცალმხრივ უფლებაზე, მიუერთდეს სახელმწიფოს გარკვეული მიზნებით.

ადამიანის უფლებათა მოდელის დამცველები ხაზს უსვამენ მრავალრიცხოვან მნიშვნელოვან ცვლილებებს მსოფლიოში, რაც, მათი აზრით, ნაციონალისტურ მოდელს წარმოაჩენს, როგორც ადრეული, უფრო ნაციონალისტური ეპოქის გადმონაშთს. უპირველეს ყოვლისა, ძლიერ გაზრდილი გლობალური მიგრაციის გამო, მოსახლეობის დიდი რაოდენობა ტოვებს საკუთარ საზოგადოებას და ხშირად ისე ხდება, რომ ისინი უცხო სახელმწიფოებში რჩებიან. გადაადგილების გამო ისინი „მასპინძელ“ ქვეყანაში განსაკუთრებით დაუცველები ხდებიან ლეგალური, ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული, ლინგვისტური და სხვა თვალსაზრისით.

ლიბერალური (ადამიანის უფლებების) მოდელის თანახმად, ეს მნიშვნელოვანი მოვლენები ამცირებს განსხვავებას ეროვნულ კულტურებსა და იდენტობებს შორის, ზღუდავს სახელმწიფოების ავტონომიურობას და ზრდის მათ ვალდებულებებს ქვეყანაში დროებით მყოფი სოციალურად დაუცველი პირების და სრულიად უცხო ადამიანების მიმართ, რომლებიც უმწეონი არიან სახელმწიფო ძალაუფლების ცალკეული გამოვლინებების წინაშე.

ამ მოდელის უარყოფითი განწყობა ტერიტორიულობის, როგორც ძირითადი უფლებების საფუძვლის მიმართ, დაკავშირებულია ისტორიულ მოთხოვნასთან, რომლის მიხედვითაც, გაზრდილი გლობალიზაციით (განსაკუთრებით მიგრაციით) გამოწვეული პროგრესული დინამიკა მოქალაქეობის ლოკუსს გადასწევს ეროვნული ტერიტორიების status quo-ს მიღმა, რეგიონალური და ზერეგიონალური ორგანოებისკენ, როგორცაა ევროპის საბჭო, და შემდგომ – უფრო უნივერსალური მმართველობის რეჟიმებისკენ, როგორცაა, მაგალითად, გაერო (26).

ევროპის პოლიტიკურმა ტრანსფორმაციამ ორი კონტრასტული ფენომენი გამოიწვია – ეროვნული გრძნობების განმტკიცება და მოქალაქეობის ცნების „დისაგრეგაცია“ და ხელახალი განსაზღვრება. ამან გავლენა მოახდინა სუვერენული დემოკრატიის კონცეფციასა და ლიბერალური პარადოქსის ცნებაზე, ვინაიდან უფლებების მინიჭება უკვე აღარ არის დამოკიდებული მოქალაქეობის სტატუსზე.

ჩვენ დემოკრატიულ სუვერენობას წარმოდგენთ როგორც „პოლიტიკური შეზღუდვის“ თეორიულ საფუძველს. კრიტიკულადაა განხილული თეორია, რომლის თანახმად, დემოკრატია (დემოკრატიული სუვერენიტეტი) იზღუდება ადამიანის უფლებების განვრცობით (რაც უკავშირდება ქვეყანაში მცხოვრები უცხოელების უფლებებს) რაც, თავის მხრივ, ლიბერალურ პარადოქსს წარმოშობს. გაანალიზებულია შემდეგი დებულებები: 1. დემოკრატია, პირველ რიგში, უნდა განისაზღვროს მისი მარეგულირებელი იდეალების თვალსაზრისით (სახალხო კონტროლი და პოლიტიკური თანასწორობა) და მხოლოდ შემდეგ – მისი ინსტიტუტების თვალსაზრისით; 2. დემოკრატიისთვის დამახასიათებელი უმრავლესობის მმართველობის წესი გამომდინარეობს პოლიტიკური თანასწორობის შესახებ წარმოდგენიდან და აღარ არის დემოკრატიული, როგორც კი საფრთხეს უქმნის თანასწორობის პრინციპს; 3. სახელმწიფოსათვის

თავშესაფრის მაძიებლობასთან დაკავშირებული საქმიანობის სამართლებრივი (ადამიანის უფლებები) შეზღუდვები არ წარმოადგენს საფრთხეს მისი სუვერენიტეტისთვის, არამედ, მისი დემოკრატიული არსებობის ძირითადი ელემენტია. დასკვნის თანახმად, ადამიანის უფლებები არ შეიძლება იყოს დემოკრატიის (პოლიტიკური სუვერენიტეტის) შემზღუდველი, ვინაიდან ისინი ავსებენ ერთმანეთს.

ჩვენ აქ განვიხილავთ აშკარა წინააღმდეგობას „შეზღუდვის პოლიტიკასა“ (სამართლებრივი სუვერენიტეტს) და „მიმღები კანონმდებლობის“ შორის. უარყოფილია დებულება, რომლის თანახმად, სამართლებრივი სუვერენიტეტი იზღუდება ადამიანის უფლებებით (უცხოელებთან მიმართებაში) და წარმოდგენილია შემდეგი არგუმენტები: 1. თავშესაფრის მაძიებლების non-refoulement principle (არ-დაბრუნების პრინციპი ან იძულებითი რეპატრაციის უარყოფა), ზოგიერთ გარემოებაში, გახდა ქვეყანაში შესვლის არაპირდაპირი უფლება და ჩვეულებითი სამართლის სტატუსი მიიღო; 2. დაშვება, რომლის თანახმად, სახელმწიფოს აქვს აბსოლუტური უფლება, გააძევოს ყველა უცხოელი, არასწორად იყო ინტერპრეტირებული და შერჩევით იყო გამოყენებული; 3. იმისდა მიუხედავად, რომ თეორიაში არსებობს სუვერენული უფლება უცხოელების აბსოლუტური გაძევებისა, პრაქტიკულად, ყველა სახელმწიფო უშვებს ქვეყანაში გარკვეული რაოდენობით უცხოელებს. დასკვნა ასეთია: ადამიანის უფლებები, შესაძლოა, არ მოქმედებდეს განსახილველ სუვერენულ უფლებაზე იმიტომ, რომ სახელმწიფოს აქვს მკაცრად განსაზღვრული მოვალეობა, გარკვეულ გარემოებებში, შეუშვას ქვეყანაში გარკვეული რაოდენობით უცხოელები.

ჩვენ განვიხილავთ ლიბერალური მოქალაქეობას, ანუ ადამიანის უფლებების პერსპექტივას და მისი თეორიული ევოლუციას თომას ჰობსის, ჯონ ლოკისა და იმანუელ კანტის შეხედულებების ანალიზის საფუძველზე. ლიბერალური პარადოქსი განხილულია სამართლის ჯონ როულსისეული თეორიის და რონალდ დვორკინის ლიბერალური ჰიპოთეზის კონტექსტში. დასკვნის თანახმად, ლიბერალური თვალთახედვა, როგორც „მიმღები კანონმდებლობის“ მორალური საფუძველი, უპირატესობას ანიჭებს უცხოელის სასიცოცხლო უფლებებს მოქალაქის სუვერენულ უფლებასთან შედარებით (როდესაც ეს უფლება ეხება უცხოელის გამორიცხვის საკითხს), მაგრამ ისე, რომ ამით საფრთხეს არ უქმნის მოქალაქის ძირითად უფლებებს.

ჩვენ დეტალურად აღვწერთ საერთაშორისო სამართლის შესაბამისად ლიბერალური მოქალაქეობის თეორიის გამოყენების კონტექსტებს. ყურადღება გამახვილებულია არა-მოქალაქეთა კონკრეტულ ჯგუფებზე, როგორცაა სტატუსის გარეშე მყოფი პირები, ლტოლვილები და თავშესაფრის მაძიებლები, არა-მოქალაქე მუშები და ბავშვები. გაანალიზებულია არა-მოქალაქეთა კონკრეტული უფლებების წყარო და განვრცობის არე საყოველთაო უფლებებისა და თავისუფლებების, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების, ასევე, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების ჩათვლით. ამრიგად, მოცემულია ლიბერალური მოქალაქეობის თეორიული ასპექტის და საერთაშორისო კანონში მისი ემპირიული გამოხატულების ყოვლისმომცველი სურათი, რაც ნათლად უჩვენებს ნორმატიული დიხოტომიის ურთიერთდაპირისპირებულ მხარეებს.

დემოკრატიული (შეზღუდვის პოლიტიკა) და ლიბერალური (მიმდები კანონმდებლობა) პერსპექტივების შეფასების შემდეგ, განხილულია არანაკლებ მნიშვნელოვანი კონკურენტული თეორია, კერძოდ, ბუნებითი სამართლის პერსპექტივა. დისერტაციაში გამოკვლეულია ნორმატიული დიხოტომია ბუნებითი სამართლის მკვლევართან: სოკრატესთან, პლატონთან, არისტოტელესთან, თომა აქვინელთან და ერიკ ვოგელინთან. დასკვნა ასეთია: ლიბერალური და ბუნებითი სამართლის დოქტრინების ტრადიციული თეორიული ანტაგონიზმის მიუხედავად, ლიბერალურ პარადოქსთან მიმართებაში, უცხოელთა უფლებების მისაღებობასა და ობიექტურ მორალურ იერარქიაში სიცოცხლის ბუნებითი უფლების დომინანტობას შორის, პრინციპული კონსენსუსი არსებობს.

ჩვენ განვიხილავთ სახელმწიფო უსაფრთხოების პერსპექტივას, როგორც ადამიანის უფლებათა განვითარებაზე მიმდინარე დებატების მნიშვნელოვან პარადიგმას. განხილულია მ. ფუკოსა და ი. ჰაბერმასის შეხედულებები უსაფრთხოების ასპექტთან მიმართებაში, კონკრეტულად – „უსაფრთხოების მართვის“ და ეროვნული უსაფრთხოების დისკურსის დომინირების ცნებები, რომლებიც პირდაპირ ზემოქმედებას ახდენს იმაზე, თუ როგორ აღიქვამენ და ექცევიან არა-მოქალაქეებს.

მოქალაქეებსა და უცხოელებს შორის დიალექტიკური ურთიერთობის და უსაფრთხოების კონტექსტში ლეგიტიმურობისთვის მათი ურთიერთსაპირისპირო განცხადებების სადემონსტრაციოდ ვეყრდნობი მოსამართლეების, ანტონი კენედისა და ანტონინი სკალიას მოსაზრებებს დემოკრატიის მალეგეტიმირებელი ძალაუფლების შესახებ. ჩვენ ვსაბუთებთ, რომ უფლებების რეჟიმი, პირველ რიგში, ცდილობს სახელმწიფოს მაიძულებელ შესაძლებლობებზე კონტროლის დაწესებას და ქმნის მნიშვნელოვან წინაპირობას უსაფრთხოების ცივილიზების პრაქტიკისთვის. უფლებები, განსაკუთრებით კი არა-მოქალაქეთა უფლებები, უსაფრთხოებისთვის არსებობს და მის არსებით ელემენტს ქმნის.

სახელმწიფოს უსაფრთხოების საკითხთან დაკავშირებით, განხილულია, თუ როგორაა გამოხატული სუვერენულ დემოკრატია და ლიბერალურ მოქალაქეობის შორის არსებული ნორმატიული დიხოტომია პოლიტიკურ რეალობაში. პრობლემის ემპირიული ასპექტი გაანალიზებულია დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს, ამერიკის შეერთებული შტატებისა და გერმანიის მაგალითებზე დაყრდნობით. დისერტაციაში ყურადღება გამახვილებულია საკანონმდებლო დონისძიებებსა და აღმასრულებელ ქმედებებზე ამ ლიბერალურ-დემოკრატიულ სახელმწიფოებში მოქალაქეთა და უცხოელთა უფლებებს შორის არსებული ნორმატიული დიხოტომიის საილუსტრაციოდ, ხოლო შემდგომ დასაბუთებულია, რომ ლიბერალური პარადოქსი, როგორც თანამედროვე რეალობის ადეკვატური ახსნის მოდელი, სუსტია.

აშშ-ს შემთხვევაში, გაანალიზებულია აღმასრულებელი და საკანონმდებლო დონისძიებები 2000–2010 წლებში, აშშ ხელისუფლების მიერ ქვეყანაში მყოფი არა-მოქალაქეთა მიმართ 2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტული შეტევების შემდეგ განხორციელებულ დონისძიებებზე განსაკუთრებული ფოკუსირებით. დოკუმენტურადაა დასაბუთებული მრავალი არადემოკრატიულ დონისძიება, რომლებიც აშშ უსაფრთხოების სტრუქტურების მიერ განხორციელდა. ეს დონისძიებები აშკარად არღვევს ეროვნულ და საერთაშორისო კანონმდებლობას და ექსკლუზიურად მიმართულია არა-მოქალაქეების, როგორც ეჭვმიტანილების, წინააღმდეგ.

ასევე, გაანალიზებულია სამართლებრივი საქმიანობა სასამართლოებში. განხილულია ისეთი საქმეები, როგორებიცაა „რენო ამერიკულ-არაბული ანტიდისკრიმინაციული კომიტეტის წინააღმდეგ“ და „იამატაია ფიშერის, კრენკისა და გრეგორის წინააღმდეგ“, სადაც დარღვეულ იქნა უცხოელთა უფლებები. თავი სრულდება შემდეგი დებულებით: უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ზომების შემოტანა 11 სექტემბრის შეტევების შემდეგ, ემსახურებოდა არა-მოქალაქეთა უფლებების შემცირებას და ართმევდა მათ იმ უკანონო ქმედების გასაჩივრების ყველა შესაძლებლობას, რომლებიც მათ წინააღმდეგ იქნა განხორციელებული. აშშ-ს მაგალითი უჩვენებს, თუ როგორ შეუზღუდავად იხრება ლიბერალური პარადოქსი დემოსის ინტერესებისკენ.

ამის შემდეგ გაანალიზებულია ლიბერალური პარადოქსის ემპირიული დასაბუთების მართლზომიერება და განხილულია გაერთიანებული სამეფოს მაგალითი. ზოგიერთი თეორეტიკოსის თანახმად, ბრიტანული პოლიტიკა თავშესაფართან დაკავშირებით წინააღმდეგობრივია, ვინაიდან ასახავს ლიბერალური პარადოქსის წინააღმდეგობრიობას, რომლის ფარგლებშიც ის მოქმედებს.

ნაშრომში მოცემულია ამ დებულების უარყოფა და მოყვანილია სათანადო არგუმენტები, რითაც ნაჩვენებია, რომ თავშესაფართან დაკავშირებული ბრიტანული პოლიტიკა, ფაქტობრივად, შედარებით თანმიმდევრულია. ამ დებულების დამტკიცების მიზნით, პირველ რიგში, დასმულია შემდეგი შეკითხვა: რატომ უნდა მიიღოს გაერთიანებულმა სამეფომ თავის პოლიტიკასთან მიმართებაში სტრასბურგის ადამიანის უფლებათა რეჟიმის შეზღუდვები თავშესაფართან დაკავშირებით?

ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა ყველაზე სრულად შესაძლებელია ლეგალიზაციის ჰიპოთეზის მიღებით, რომელიც გვთავაზობს სახელმწიფოს სუვერენიტეტსა და საერთაშორისო სამართლებრივი ვალდებულებებს შორის წინააღმდეგობების ახლებურ ხედვას. ამ საკითხთან დაკავშირებული მიდგომა, რომელიც, შესაძლოა, გამოვხატოთ ფრაზით „ყველაფერი, ან არაფერი“, ამარტივებს საქმის ვითარებას. ლეგალიზაციის ჰიპოთეზის თანახმად, სახელმწიფო ქმედებები უნდა აღვიქვათ, როგორც სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ერთგვარი მოქნილი გაცვლა-გამოცვლის პროცესი ყველაზე მომგებიანი შედეგის მისაღებად. ამ არგუმენტს

მოჰყვება იმ სარგებლის გადასინჯვა, რაც გაერთიანებულ სამეფოს მხედველობაში უნდა მიეღო ამ რეჟიმში შესვლისას (ორმოცდაათზე მეტი წლის წინ); ეს სარგებელი იყო რეგიონში სამხედრო სტაბილობა და 'გარე სოციალიზაცია' (*external socialization*) (იხ. 201, 25).

მას შემდეგ რაც ნაჩვენებია, თუ რატომ მოახდინა გაერთიანებულმა სამეფომ უფლებამოსილების დელეგირება უფლებრივი რეჟიმის დასაწყისში, გაანალიზებულია, თუ რატომ გააგრძელა გაერთიანებულმა სამეფომ მის სუვერენიტეტზე დაწესებული შეზღუდვების მიღება მას შემდეგ, რაც თავშესაფართან დაკავშირებით ის უფრო და უფრო ზღუდავს თავისუფალი არჩევანის უფლებას. პასუხი, რომელსაც მე წარმოვადგენ, ასეთია: „ადამიანის უფლებებს“ უფრო მეტი პრიორიტეტი ენიჭება და „სუვერენიტეტის ღირებულება, დროთა განმავლობაში, უფრო და უფრო მცირდება“. ამ ტენდენციის დასასაბუთებლად განხილულია ბრიტანეთის მიზანმიმართული პოლიტიკა თავშესაფართან და ადამიანის უფლებების დაცვასთან დაკავშირებულ ხელშეკრულებებთან მიმართებაში. ამ ტენდენციის საგულდაგულო განხილვა უჩვენებს, რომ გაერთიანებულ სამეფოს გამოყენებული აქვს დისპროპორციული პოზიცია, როდესაც მას სურს, მიიღოს ვალდებულებები ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით, მაგრამ, ამავე დროს, არაორაზროვნად იცილებს თავიდან ვალდებულებებს, რომლებიც უცხოელების უფლებების დაცვას ეხება.

თუმცა, ეს ტენდენციები მხოლოდ ნაწილობრივ პასუხობს ზემოთ დასმულ შეკითხვას. ბრიტანეთის მთავრობას შეუძლია, აიღოს ნაკლები ვალდებულებები, მაგალითად, როგორცაა სოციალური დახმარება, მაგრამ არ შეუძლია, თავი აარიდოს თავის ვალდებულებას ადამიანის უპირობო უფლებებთან დაკავშირებით, მაგალითად, როგორცაა სიცოცხლის უფლება. მთავრობას არ შეუძლია თავშესაფართან დაკავშირებული პროცედურების ეფექტურად განხორციელება, თუ არ განახორციელებს კონტროლს დეპორტაციის საკითხებზე, რაც იწვევს ადამიანის ძირითადი უფლებების საკითხების წამოჭრას. ამრიგად, მომდევნო შეკითხვა, რომელიც აღნიშნულ ქვეთავშია დასმული, ასეთია: რატომ აგრძელებს გაერთიანებული სამეფო თავისი ავტონომიის მიმართ შეზღუდვების ატანას იმ პირობის (და მათი უფლებების) გამო, რომლებიც თავშესაფარს ეძებენ?

ამ შეკითხვაზე პასუხი გაცემულია ლეგალიზაციის თეორიაზე დაყრდნობით. თავშესაფრის მინიჭებასთან დაკავშირებული ბრიტანული სტრატეგიის ძირითად მიზანს წარმოადგენს არ-დაშვება (შეზღუდვის პოლიტიკა). „მიმღები კანონმდებლობა“, რომელიც იმ თავშესაფრის მაძიებლებს, რომლებსაც უარი ეთქვათ, სთავაზობს დამატებითი აპელაციის უფლებას ადამიანის უფლებების საფუძველზე, არ არის აუცილებელი, ეწინააღმდეგებოდეს ამ აკრძალვის ტენდენციას, ვინაიდან მისი მთავარი მიზანი არის ბრიტანელი მოქალაქეების ადამიანის უფლებების დაცვა და არა ქვეყანაში მცხოვრები უცხოელებისა (ისინი მხოლოდ არაპირდაპირი გზით იღებენ სარგებელს).

ამის საფუძველზე განხილულია გაერთიანებული სამეფოსთვის არსებული შესაძლებლობები იმ შემთხვევაში, თუ ის აირჩევდა თავშესაფარზე სრული კონტროლის განხორციელებას და თავის იურიდიულ ვალდებულებებზე (მიმღები კანონმდებლობა) უარის თქმას. ადამიანის უფლებებზე უარის თქმის შედეგი იქნებოდა დომინოს ეფექტი, როდესაც გაერთიანებულ სამეფოს მოუწევდა სხვა მნიშვნელოვანი ხელშეკრულებებიდან გამოსვლა. ასეთი წამოწყება, საბოლოო ჯამში, გაცილებით მძიმე პოლიტიკურ და ეკონომიკურ პრობლემებს გამოიწვევდა, ვიდრე თავშესაფართან დაკავშირებული ამჟამად არსებული პოლიტიკის შენარჩუნება.

გერმანიის შემთხვევაში განხილულია 1990-იან წლებში გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება უცხოელი რეზიდენტების ხმის მიცემის უფლების თაობაზე. ეს გადაწყვეტილება უშუალოდ ანალიზებს ლიბერალურ პარადოქსს, სახელმწიფოს დეფინიციას და მოქალაქეთა და უცხოელთა უფლებების დიხოტომიას გერმანული სამართლებრივი რეალობის კონტექსტში. უფრო მეტიც, ეს საქმე ნათელს ჰფენს სუვერენობის იმპერატივებს და ააშკარავებს თანამედროვე ურთიერთდაკავშირებულ მსოფლიოს, სადაც მოქალაქეთა და უცხოელთა უფლებების გამყოფი ხაზი სულ უფრო ბუნდოვანი ხდება.

მოყვანილი არგუმენტები შეჯამებულია და გამოთქმულია მოსაზრება, რომ წარმოდგენილი ანალიზის გათვალისწინებით, თავშესაფრის მინიჭებასთან დაკავშირებით, მიზანშეწონილია, სახელმწიფოს პოლიტიკა დავახასიათოთ არა როგორც „შეზღუდვის პოლიტიკა“, არამედ, როგორც „ქვეყანაში



კვალიფიცირებული შეშვების პოლიტიკა“. ასევე, ამ სფეროში მიმდინარე სამართლებრივი მოვლენების უფრო გასაგები დახასიათება იქნება „ადამიანის უფლებების განხორციელების გაუმჯობესება“, ვიდრე „მიმღები კანონმდებლობა“. ამ ტენდენციების თანაარსებობის პერსპექტივა ნაკლებ კონფლიქტური ჩანს. ამ ახალი დისკურსის ტერმინოლოგია ნათელს ხდის თავშესაფრის მინიჭების პროცესის კონტექსტუალურ მოქნილობას და დინამიკურ ბუნებას და, ამრიგად, კითხვის ქვეშ აყენებს ლიბერალური პარადოქსის ძალას.

## **II. ლიტერატურის მიმოხილვა და თეორიულ-პრაქტიკული კონტექსტი:**

სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობისას ინფორმაციის მრავალი წყარო იქნა მოძიებული: დავამუშავეთ მრავალრიცხოვანი ლიტერატურა ლიბერალური პარადოქსის შესახებ, გავაანალიზეთ მრავალი საგაზეთო სტატია და ჩაწერილი ინტერვიუ გადაწყვეტილების მიმღებ წამყვან ოფიციალურ პირებთან. ქვეთავისთვის, სადაც განხილულია პოლიტიკური სუვერენიტეტი და ქვეყანაში მოსახლე უცხოელების უფლებები, ლიტერატურა მოიცავდა ნაშრომებს დემოკრატიის ფილოსოფიის შესახებ; პოლიტიკურ სტატიებს ლიბერალური თეორიის შესახებ და დემოკრატიასა და ადამიანის უფლებებს შორის არსებული ურთიერთდამოკიდებულებისადმი მიძღვნილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სემინარის სამუშაო დოკუმენტების ერთობლიობას.

იურიდიული სუვერენიტეტის შესახებ დავამუშავე სხვადასხვა სტატიები საერთაშორისო სამართლის შესახებ; კლასიკური პუბლიკაციები სამართლის ფილოსოფიის შესახებ; გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის რეზოლუციები, დასკვნები, ზოგადი კომენტარები, კომიუნიკეები და დეკლარაციები; ავსტრალიაში, ამერიკასა და ევროპაში განხილულ შესაბამის შემთხვევებთან დაკავშირებით მოსამართლეების განსჯა და მოსაზრებები; გაერთიანებული სამეფოს სასამართლო არქივი; ასევე, ჩავატარე ინტერვიუები წამყვან მეცნიერ და პრაქტიკოს იურისტებთან. უკანასკნელი თავისთვის გამოვიყენე იურიდიული პროტოკოლები; გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ხელშეკრულებების კრებული; ევროპის საბჭოს ხელშეკრულებების არქივი და ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს და გაერთიანებული სამეფოს ლორდთა პალატის პრეცედენტული სამართლის არქივი; ბრიტანეთის საპარლამენტო დებატების ქრონოლოგია (225).

ლიბერალურ პარადოქსსა და უფლებათა დისკურსთან მიმართებაში პირველადი კვლევის მასალად განისაზღვრა პოლიტიკური ფილოსოფიის, სამართლის, პოლიტიკის და სხვა სოციალური მეცნიერებების მონაცემთა ბაზები. პუბლიკაციების მოსაძებნად სულ გამოყენებული იყო 13 მონაცემთა ბაზა (1990-2011 წწ.). ძირითადი სტატიები მოძიებული იყო სხვადასხვა წყაროებიდან (იხ. ბიბლიოგრაფია). იმაში დასარწმუნებლად, რომ არ ყოფილა გამოტოვებული მნიშვნელოვანი კვლევები, ძებნის პირობები ფართო იყო და არ ყოფილა გამოყენებული ენობრივი შეზღუდვები.

წინამდებარე ნაშრომისათვის შერჩეულ იქნა ისეთი კვლევები, რომლებიც შემდეგ პირობებს აკმაყოფილებდნენ: (ა) კვლევა ფოკუსირებული უნდა ყოფილიყო შემდეგ პრობლემებზე (რომელიმე მათგანზე ან რამდენიმე მათგანზე): სამართლებრივ თეორიებზე, მოქალაქეობის ცნებებზე, უცხოელთა მიმართ მოვალეობებზე, ლიბერალურ პარადოქსზე, თეორიებზე დემოკრატიისა და ადამიანთა უფლებების შესახებ, სტრატეგიულ და სამართლებრივ განვითარებებზე გაერთიანებულ სამეფოში, აშშ-სა და გერმანიაში (ბ) კვლევაში მოცემული უნდა ყოფილიყო სამართლის დაპირისპირებული თეორიების შედარებითი ანალიზი. გარდა ამისა შესრულდა ინტერნეტ-რესურსების სიღრმისეული კვლევა, მნიშვნელოვანი ონლაინ-აკადემიური ჟურნალების, სტატიების და წიგნების ჩათვლით.

**III. კვლევის მეთოდოლოგია.** სადისერტაციო ნაშრომში მოყვანილი არგუმენტების მხარდასაჭერად შემდეგი ფაქტების შეგროვება და კვლევა შემდეგი მეთოდების მიხედვით განხორციელდა: ლიბერალური მოქალაქეობის მოდელსა და თავშესაფრის მაძიებელთან მიმართებით ლიბერალური პარადოქსის მიერ წარმოქმნილი სამართლებრივ-პოლიტიკური პროცესისადმი კომპლექსური მიდგომა, რომელიც ადამიანის უფლებების დაცვისა და მისი შეზღუდვის დიალექტიკურ დისკორდიებში იჩენს თავს; კვლევის კომპარატივისტული მეთოდოლოგია (შედარებითი კვლევა), რომელიც ლიბერალური პარადოქსის განვითარების დინამიკას და ევოლუციას განიხილავს ინსტიტუციონალური და სამართლებრივი კოლიზიების პარადიგმაში; სისტემურობის პრინციპი ლიბერალური პარადოქსის ცნების გაგებაში, რომელიც ვარაუდობს სისტემურ კომპონენტურ ასპექტების მიხედვით პრობლემის სამართლებრივი, სოციალური და პოლიტიკური ასპექტების ჩამოყალიბებას, რომლის ფარგლებშიც ვლინდება ლიბერალური პარადოქსის მიერ წარმოქმნილი ადამიანის უფლებრივი

სამართლებრივი კოლიზიები და ფუნქციური დანშნულებები; სისტემურ-სტრუქტურული ასპექტი რომელიც ვარაუდობს ლიბერალური პარადოქსის კომპონენტებს და ელემენტებს შორის კავშირის აღმოჩენას. გარდა ამისა ნაშრომში გამოყენებულია ჩართული დაკვირვების მეთოდი, სოციოლოგიური კვლევის მეთოდები (თვისებრივი, სტატისტიკური და ნარატიული ინტერვიუს სოციოლოგიური ანალიზის მეთოდი). ასევე მოცემულია დისერტაციაში გამოყენებული ლიტერატურის ძეგლის სტრატეგია, შერჩევის კრიტერიუმები და განხილული კვლევების ტიპების აღწერა.

კვლევაში დასმულ შეკითხვაზე პასუხის გასაცემად და შესავალში დასმული ამოცანების განსახორციელებლად, შემუშავებულ იქნა შედარებითი კვლევის სტრატეგია. შემთხვევის შესწავლას შეიძლება ეწოდოს „ემპირიული კვლევა, თუ ის შეისწავლის თანამედროვე ფენომენს რეალობის კონტექსტში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საზღვრები ფენომენსა და კონტექსტს შორის არაა ნათელი“ (242). ეს საშუალებას აძლევს მკვლევარს, გამოიკვლიოს კონკრეტული პროექტი უფრო სიღრმისეულად, ვიდრე ზოგადად და, ამავე დროს, გამოიყენოს ინფორმაციის განსხვავებული წყაროები, რომლებიც, შესაძლოა, რაოდენობრივი იყოს.

ეს შესაბამის სტრატეგიად ჩაითვალა წინამდებარე კვლევისთვის, რომლის მიზანია ლიბერალური პარადოქსის ნორმატიული დისოტომიის კომპლექსური ფენომენის უკეთ გაგება. ერთი შემთხვევის შესწავლის ნაცვლად, გამოყენებულ იქნა შედარებითი და, აქედან გამომდინარე, მრავალი შემთხვევის შესწავლაზე დაფუძნებული კვლევა აშშ-ს, გაერთიანებული სამეფოსა და გერმანიის საინტერესო მაგალითებზე დაყრდნობით. მიუხედავად იმისა, რომ თითოეულ მეთოდს თავისი დადებითი მხარე აქვს, სამ სხვადასხვა სახელმწიფოში არსებული ვითარებების შედარება კვლევისათვის უფრო ნაყოფიერად იქნა მიჩნეული. დაბოლოს, წინამდებარე კვლევა ჩატარდა ყველა ეთიკური მოთხოვნის შესაბამისად და საავტორო უფლებათა სრული დაცვით.

## თავი I

### მოქალაქეთა და უცხოელთა უფლებების ნორმატიული დიხოტომია: ლიბერალური პარადოქსი

ამ თავში განსაზღვრულია მოქალაქეთა და უცხოელთა უფლებების ნორმატიული დიხოტომიის (რომელიც, ასევე, ცნობილია ლიბერალური პარადოქსის სახელით) შემადგენელი ელემენტები და განხილულია მათი წარმოშობის ისტორია. ლიბერალური პარადოქსი ეხება სახელმწიფოს სულ უფრო შემზღუდველ და მკაცრ პოლიტიკას თავშესაფართან დაკავშირებით და ამასთან ერთად, სამართლებრივ დაცვას, რაც გამოიყენება მის ტერიტორიაზე მიგრანტების მიმართ.

ლიბერალური პარადოქსის მიზეზია სახელმწიფოს სულ უფრო და უფრო შემზღუდველი და მკაცრი პოლიტიკა თავშესაფართან დაკავშირებით და, ამასთან ერთად, სამართლებრივ დაცვა, რაც გამოიყენება მის ტერიტორიაზე მიგრანტების მიმართ. ლიბერალური პარადოქსის პირველი ელემენტი წარმოადგენს მიგრანტების ქვეყანაში შესვლის „შეზღუდვის პოლიტიკას“, რაც (ა) პოლიტიკური სუვერენიტეტის და (ბ) იურიდიული სუვერენიტეტის გამოხატულებასთან არის დაკავშირებული. მეორე ელემენტია უცხოელთა „მიმღები კანონმდებლობა“. თანმიმდევრობით განვიხილოთ ეს ელემენტები.

პოლიტიკური სუვერენიტეტის გამოყენება არის მოქალაქეების უფლებების განმტკიცება დემოკრატიის მეშვეობით. როგორც საერთაშორისო სისტემის ნაწილმა, სახელმწიფომ უნდა „განსაზღვროს მისი იურისდიქცია პერსონებთან მიმართებაში“. მან უნდა შემოიღოს სამართლებრივი სტანდარტი, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი იქნება ქვეყანაში მუდმივად მაცხოვრებლების განსხვავება არა-მაცხოვრებლებისგან. ლიბერალური დემოკრატიის პირობებში ასეთი სტანდარტი არის მოქალაქეობა: იურიდიული თვალსაზრისით ეს არის „ქვეყნის მოქალაქის შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღოს ერის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში“ (182, 2). ასეთი მონაწილეობა სახელმწიფოს ცხოვრებაში მნიშვნელობას იძენს პოლიტიკური სუვერენიტეტის განხორციელების მეშვეობით, როდესაც მოქალაქეებს აქვთ უფლება, თავადვე აირჩიონ მისივე საზოგადოების ყველა სხვა წევრი. ამ უფლების მოცულობა და ფარგლები დიდი კამათის საგანი გახდა, ვინაიდან სახელმწიფოები თავის სუვერენულ

პროეროგატივებს ეყრდნობიან, რათა ქვეყანაში მცხოვრები უცხოელების ადამიანის უფლებები „შეზღუდვის პოლიტიკის“ მეშვეობით დაარღვიონ.

არსებობს რამდენიმე თეორია ლიბერალურ დემოკრატიებში „შეზღუდვის პოლიტიკის“ წარმოშობასთან დაკავშირებით. ამ ფენომენის გამომწვევი მიზეზი მიეწერება: 1. თავშესაფრის მაძიებელთა მოთხოვნების რაოდენობის ზრდას; 2. ელიტისა და პოლიტიკური პარტიების იდეოლოგიის ხასიათს; 3. ცივი ომის დასასრულს და ბიპოლარული სამყაროდ დანგრევის შემდგომ ლტოლვილების გეოპოლიტიკული ღირებულების დაკარგვას (38, 350). თუმცა ეს ყველაფერი ნაკლებად სარწმუნოა, ვინაიდან, ასეთი მიდგომები უფრო მეტად შედეგებზეა ორიენტირებული და არა მიზეზებზე. გარდა ამისა, პოლიტიკურ მოვლენებს არ ექცევა სათანადო ყურადღება, ხოლო ისტორიული მოვლენები სელექციურად არის გაშუქებული (95, 3-5).

გიბნის მიერ მოტანილი ყველაზე სარწმუნო თეორია არის „თავშესაფრის დემოკრატიზაციის თეორია“. ამ თეორიის მიხედვით, დასავლეთში მოხდა გადაწყვეტილების მიღების ძალაუფლების გადანაცვლება სახელმწიფოს თავისუფალი არჩევანიდან და მაღალი ეშელონის პოლიტიკოსებიდან (ეროვნული უსაფრთხოების საკითხები) უბრალო ხალხსა და დაბალი ეშელონის პოლიტიკოსებზე (ყოველდღიური ელექტორალური პოლიტიკა), როდესაც პოლიტიკური პოპულარობა დამოკიდებული გახდა ხალხის აზრზე. ხალხის მასებს სურთ საზღვრების სულ უფრო და უფრო მზარდი შეზღუდვა და უფლებამოსილ პირებს აღარ შეუძლიათ ამ მოთხოვნის იგნორირება (95, 17). ამ დამოკიდებულების მიზეზად მიიჩნევა ქსენოფობიურ გრძნობები, ლტოვილთა წარმომადგენლობით ორგანოებში ნაკლები რაოდენობით რეპრეზენტაცია, მტრული განწყობა სოციალურ, რელიგიურ და ეკონომიკურ სფეროებში, რაც გამოწვეულია „უცხოელების მზარდი რაოდენობით“<sup>3</sup> (175, 54).

გაერთიანებული სამეფოს მაგალითი მკვეთრ ფოკუსირებას ახდენს ამ მოვლენაზე: „ბრიტანულ საიმიგრაციო პოლიტიკას არასოდეს ჰქონია ქვეყანაში აქტიური შეშვების ფაზა. ეს ყოველთვის იყო იმიგრანტების უარყოფითი კონტროლის

---

3 Überfremdung (უცხოელების სიჭარბე) – ტერმინი, რომელიც გამოიყენება ავსტრიის ექსტრემისტული პარტიების მიერ ზედმეტი რაოდენობით უცხოელების შემოდინების საფრთხის აღსანიშნავად, რაც, მათი აზრით, ძირს უთხრის ეროვნულ სოლიდარობას, რელიგიურ ერთიანობასა და ეკონომიკურ უსაფრთხოებას.

პოლიტიკა, რათა არ დაეშვათ მათი შემოსვლა“ (143, 288). ლტოლვილების მიღების პერიოდშიც კი, რაც შემუშავებული იყო, როგორც ინსტრუმენტი იდეოლოგიური გამარჯვების მისაღწევად კომუნისტურ სახელმწიფოებზე, პროცესი სტატიკური იყო და ხალხი სკეპტიკურად იყო განწყობილი (41, 105). ხალხის მასების თვალთახედვით, სახელმწიფო არის ისეთი რამ, რაც არსებობს მათი, როგორც ადამიანების და მოქალაქეების და არა უცხოელების ინტერესების დასაცავად. ამრიგად, თავშესაფრის დემოკრატიზაციის პროცესმა გამოიწვია მოქალაქეების უფლებების განმტკიცება დემოკრატიული არსების მეშვეობით და წინსვლა „სამომავლოდ ნულოვანი იმიგრაციის ქვეყნისკენ“ (157). პოლიტიკური სუვერენიტეტის ეს განმტკიცება წარმოადგენს „შეზღუდვის პოლიტიკის“ პირველ ნაწილს.

„შეზღუდვის პოლიტიკის“ მეორე ნაწილს წარმოადგენს იურიდიული სუვერენიტეტის კონცეფცია, რომელიც, ამ კონტექსტში, ეხება სახელმწიფოს აბსოლუტურ უფლებას, გააძევოს ქვეყანაში მცხოვრები ყველა უცხოელი, თუ ამას მოისურვებს. ეს დებულება 1891 წლის მასგროუვის პრეცედენტის მიხედვით მიერ შემქმნელი საქმიდან<sup>4</sup> და აშშ სხვადასხვა სამართლო ინტერპრეტაციიდან მომდინარეობს; ასევე საერთაშორისო სამართლის თეორეტიკოსების ინტერპრეტაციიდან (227; 190; 125) და აქედან გამომდინარე საშინაო სამართალთან დაკავშირებული მოსაზრებებიდან (Lord Denning<sup>5</sup>; 169, 804-25).

გარდა ამისა, აშშ-ზე 11 სექტემბრის ტერორისტული თავდასხმების შემდეგ, ეროვნულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებულმა საკითხებმა გაზარდა ლტოლვილებთან დაკავშირებული შიში და სუვერენიტეტის კონცეფციის (რომელიც უცხოელების მიღების საკითხს ეხება), სახელმწიფოს მართვის დისკურსში დაბრუნება გამოიწვია. იურიდიული სუვერენიტეტის ამ კონცეფციის გამოყენება წარმოადგენს თავშესაფრის შემზღუდველი სტრატეგიის მეორე ნახევარს. ერთად აღებული, პოლიტიკური და იურიდიული სუვერენიტეტი შეადგენს თავშესაფართან დაკავშირებული ლიბერალური პარადოქსის პირველ ელემენტს, ე. წ. „შეზღუდვის პოლიტიკას“.

4 *Musgrove v. Chun Teeong Toy, Privy Council* (ავსტრალია), 1891 წლის 18 მარტი.

5 იხ. ლორდ Dening-ის მოსაზრება საქმეში „შიდტი საშინაო საქმეების სახელმწიფო მდივნის წინააღმდეგ“, [1969] 1 All E.R.

პარადოქსის მეორე ელემენტს წარმოადგენს „მიმღები კანონმდებლობა“, რომელიც ეხება თავშესაფრის მაძიებლებისთვის მინიჭებული დაცვის დონეების განვრცობას ლიბერალური დემოკრატიების იურისდიქციის ფარგლებში. ადამიანის უფლებათა თანმიმდევრულმა გამოყენებამ მიგვიყვანა ლტოლვილების შესახებ კანონთან ადამიანის უფლებების ეფექტური კავშირის ფორმირებამდე. ამ კავშირის გამო ქვეყანაში მცხოვრებმა უცხოელებმა მიიღეს უფლებების პაკეტი, რომელიც სცილდება სახელმწიფოს უფლებამოსილებას. ლტოლვილების სტატუსთან დაკავშირებული 1951 წლის კონვენციის (1951 წლის უნევის კონვენცია ლტოლვილთა შესახებ) 1 (2) მუხლის მიხედვით, ლტოლვილი განისაზღვრება, როგორც პირი, რომელიც „რასობრივი, რელიგიური, ეროვნული და კერძო პოლიტიკური ჯგუფის წევრობასთან დაკავშირებით მისი დენის, საფუძვლიანად დასაბუთებული შიშის გამო, იმყოფება თავისი წარმოშობის ქვეყნის ფარგლებს გარეთ და არ შეუძლია [...] ან არ სურს თავის სამშობლოში დაბრუნება“.<sup>6</sup>

ტერიტორიული თავშესაფრის დეკლარაცია (ტოდ), რომელიც ამტკიცებს, რომ „ყველას აქვს უფლება, ეძებოს და მიიღოს დევნილობის გამო თავშესაფარი სხვა ქვეყანაში“ და ევროპის კავშირის ფუნდამენტური უფლებების ქარტიის (ექკ) მე-18-ე მუხლი, რომელიც ადასტურებს თავშესაფრის მოთხოვნის უფლებას, უცხოელებს მიერ თავშესაფრის მოთხოვნის უფლების გარანტიას იძლევა. თუმცა ეს არ ეწინააღმდეგება რომელიმე ხელმომწერი ქვეყნის თავისუფალ არჩევანზე დაფუძნებულ უფლებას, მიანიჭოს თუ არა თავშესაფარი ვინმე პერსონას . ამრიგად, საერთაშორისო კანონის მიხედვით, თითოეული სახელმწიფოს არჩევით უფლებად რჩება, მიანიჭოს თავშესაფარი თუ უარი უთხრას ვინმე პერსონას (162).

1951 წლის კონვენციის მიხედვით, ერთადერთი ვალდებულება გამოსატულია 33-ე მუხლში, რომლის მიხედვითაც, სახელმწიფოებს აშკარად ეკრძალებათ თავშესაფრის მაძიებლის დაბრუნება (იძულებითი რეპატრიაცია) ტერიტორიაზე, სადაც შესაძლოა განხორციელდეს მათი დევნა გარკვეული მითითებული პირობების გამო.<sup>7</sup> ტოდ-ს მე-3-ე მუხლის, ექკ-ს მე-19-ე მუხლის და წამების

---

6 GA რეზ. 429 (V).

7 1951 წლის კონვენციის 33-ე მუხლი შემდეგნაირად იკითხება: „არც ერთმა ხელმომწერმა ქვეყანამ არ უნდა გააძეოს, ან დააბრუნოს (იძულებითი რეპატრიაცია) ლტოლვილი რაიმე წესით, იმ ტერიტორიის საზღვრებამდე, სადაც მის სიცოცხლეს, ან თავისუფლებას ემუქრება საფრთხე მისი რასის, რელიგიის, ეროვნების, რაიმე სოციალური ჯგუფის წევრობის ან პოლიტიკური მოსაზრების გამო“.

საწინააღმდეგო კონვენციის (წსკ)<sup>8</sup> მე-3-ე მუხლის მიხედვით, ეს უფლება განმტკიცდა, ხოლო ლტოლვილების შესახებ კანონი გახდა „სახელმწიფოების არასასურველი შვილი“ (199, 274).

იძულებითი რეპატრაციის უარყოფის პრინციპის განვრცობას, ძირითადად, მისი ადამიანის უფლებების ევროპის კონვენციასთან (აუეკ) შერწყმის გამო ჰქონდა ადგილი, სახელდობრ იმ მუხლებთან, რომლებიც არ უშვებს უფლებების დამცირებას, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანია მე-2-ე (სიცოცხლის უფლება) და მე-3-ე (წამების აკრძალვა) მუხლები. ეს შერწყმა, რომელსაც „თავშესაფრის სამართლებრიობა“ დაერქვა, გამოტანილი იყო: (1) სტრასურგის სასამართლოს მიერ, რომელმაც მოიყვანა რამდენიმე რადიკალური პრეცედენტი; (2) 1951 წლის კონვენციის შეტანით საშინაო კანონში; და (3) რეპატრაციისგან დაცვის ახალი სისტემების წარმოშობით, რაც ავსებდა 1951 წლის კონვენციას (95, 12).

ამ მოვლენების გამო, იძულებითი რეპატრაციის მიმართ წინააღმდეგობის პრინციპი, რომელიც ლტოლვილთა შესახებ კანონის ძირითად მუხლს წარმოადგენს, გარდაიქმნა ქვეყანაში შესვლის არაპირდაპირ უფლებად გარკვეულ გარემოებებში და მიიღო ჩვეულებითი სამართლის სტატუსი (217, 10). გაერთიანებული სამეფოს შიგნით ეს მოვლენები გამოხატულ იქნა 1998 წლის ადამიანის უფლებათა აქტში, რომელიც სთავაზობს აპელაციის დამატებით უფლებებს იმ თავშესაფრის მაძიებლებს, რომლებმაც უარი მიიღეს. ეს ფენომენები ქმნის ლიბერალური პარადოქსის მეორე ელემენტს (მიმღებ კანონმდებლობას, ანუ მიღების შესახებ კანონს).

როდესაც ეს ორი ელემენტი ერთმანეთის საპირისპიროდ განთავსდება, ადგილი აქვს თვალსაჩინო დაძაბულობას. ერთი მხრივ, მოქალაქეთა უფლებები გავლენას ახდენს ქვეყანაში შესვლის შემზღვეველ პოლიტიკაზე, ხოლო, მეორე მხრივ, ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით საკუთარ თავზე აღებული ვალდებულებები, ზღუდავს სახელმწიფოს თავისუფალი არჩევანის უფლებას არა-მოქალაქეთა დეპორტაციის თვალსაზრისით. ეს დაძაბულობა მწვავედა შეზღუდვის პოლიტიკის განზრახვასა და იმიგრაციის მზარდი ექსპანსიონისტური

---

8 G.A. რეზ. 39/46, [დანართი, 39 U.N. GAOR Supp. (No. 51) at 197, U.N. Doc. A/39/51, 1984]. ძალაში შევიდა 1987 წლის 26 ივნისს.



რეალობას წარმოშობის გამო, როგორც ნაჩვენებია ჰოლიფილდის „ექსპანსიის ჰიპოთეზაში“ (126, 570).

ასეთმა შეუსაბამობამ გამოიწვია გარკვეული წინააღმდეგობა საერთაშორისო და ეროვნული სამართლებრივი სისტემების მიზნებსა და ამოცანებს შორის (217, 10), რაც, თითქოსდა, მომდინარეობს ლიბერალური პარადოქსის არსებობიდან. იაზემინ სოისოლი ახდენს აუეკ-ის ციტირებას, როგორც წამყვანი რეჟიმისა, რომელიც შემუშავებულ იქნა უცხოელების უფლებების დასაცავად, რომელთა განხორციელება ძირს უთხრიდა ეროვნული სუვერენიტეტის და უფლებათა განაწილების საშინაო წესს. დეპორტაციის თავსატეხი ეხება მსგავს ტენდენციას (96, 4). სოისოლს მოჰყავს არგუმენტები, რომელთა თანახმად, პარადოქსმა ასახა ომის შემდგომი საერთაშორისო მიგრაციის ვითარება, როდესაც საზღვრების დაცვის გამკაცრებას აქვს ადგილი „ნაციონალისტურად“ მოტივირებული პრინციპებით.

მეტი სიცხადის მისაღწევად ამ წინააღმდეგობებთან დაკავშირებით, უნდა გავარკვიოთ მათი წარმოშობის მიზეზი და შემდეგ თავშესაფართან დაკავშირებული ლიბერალური პარადოქსის წარმოშობა. ამ საკითხთან დაკავშირებით არსებობს რამდენიმე თეორია, რომლებიც ქვემოთ იქნება განხილული. როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, თავშესაფართან დაკავშირებული ლიბერალური პარადოქსი წარმოიშვა გლობალური სისტემის ორი ნორმატიული პრინციპიდან: ეროვნული სუვერენიტეტისა და ადამიანის უფლებებისაგან. პირველის დანიშნულებაა მოქალაქეთა კონკრეტულად განსაზღვრული უფლებების მხარდაჭერა, ხოლო უკანასკნელის დანიშნულებას წარმოადგენს უფლებების უნივერსალური გამოყენების მხარდაჭერა. განსაზღვრების თანახმად, ადამიანის უფლებები სცილდება გამოყენების ეროვნულ სფეროს, თუმცა, ამ უფლებების გამოყენება მაინც დაკავშირებულია კონკრეტულ სახელმწიფოებთან და მათ ინსტიტუტებთან.

ამ სამართლებრივი კორპუსის საფუძველზე ჩამოყალიბდა ჩარჩო პოტენციური ნორმატიული კონფლიქტისთვის, რომელიც პარადოქსულ გამოხატულებას პოვებს. ეს პარადოქსი „თავს იჩენს, როგორც უფლებების ზე-ტერიტორიული გაგნვით, ტერიტორიულად დახურული სახელმწიფო წყობის მიუხედავად“ (206, 24), ან როგორც წინააღმდეგობა ლიბერალური დემოკრატიული სახელმწიფოების

უნივერსალისტური უფლებების განზომილებასა და პარტიკულარისტული უფლებების განზომილებას შორის, რაც აქტიურდება თავშესაფრის კონტექსტში (144, 110). გიბნი ამას მოიხსენიებს, როგორც „დრმა წინააღმდეგობა ინდივიდუალურ საფუძველზე დაფუძნებული უფლებების რეალობასა და მათი უნივერსალური დასაბუთების წესს შორის“ (95, 17).

დევიდ ჯეკობსონის მიხედვით, მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში, ლიბერალური პარადოქსის აუცილებლობას ქმნის მოქალაქეობის ორი კომპონენტის, – პიროვნების იდენტიფიკაციის და უფლებების – განცალკევება. პიროვნების იდენტიფიკაცია დარჩა ტერიტორიით შეზღუდული და კონკრეტული „მაშინ, როდესაც უფლებები სულ უფრო და უფრო აბსტრაქტული ხდება და მათი განსაზღვრა და ლეგიტიმაცია ხდება ტრანსნაციონალურ დონეზე“ (136, 18). ჯეკობსონი განიხილავს სხვადასხვა მოვლენებს მეორე მსოფლიო ომის შემდგომ, რომლებმაც განაპირობეს მოქალაქეთა უფლებების ინსტიტუციური და ნორმატიული გადანაცვლება ზე-ეროვნულ დონეზე და, ამრიგად, გამოიწვიეს ლიბერალური პარადოქსის ფორმირება.

ქრისტიან ჯოფკე ადასტურებს ლიბერალურ პარადოქსს, მაგრამ მიუთითებს ადამიანის უფლებების ინტერნაციონალიზაციის ბოლო ანალიზების სისუსტეს, რამაც, მისი განცხადებით, გამოიწვია შეცდომაში შემყვანი დუალიზმი ეროვნულ სახელმწიფოებსა და ადამიანის უფლებების გარე რეჟიმს შორის: „ადამიანის უფლებების დაცვა არის ლიბერალური ეროვნული სახელმწიფოების შემადგენელი პრინციპი და არა გარედან თავსმოხვეული პრინციპი“ (144, 110).

მისი აზრით, შეზღუდვები სახელმწიფოს თავისუფალ არჩევანთან დაკავშირებით ლტოლვილებთან მიმართებაში უფრო შიდა და არა გარე პრობლემაა: „თავშესაფრის პოლიტიკა არის ლიბერალური სახელმწიფოების კონკურენტული პრინციპების საშინაო კონფლიქტი: ხალხის უფლებების მხარდაჭერა მათი ადამიანის უფლებების მანდატის უზრუნველყოფით“ (144, 139). ქრისტიან ჯოფკე და რანდალ ჰანსენი ამტკიცებენ, რომ გლობალურად შეზღუდულ სუვერენიტეტზე მეტად, ლიბერალური სახელმწიფოების მიერ არასასურველი იმიგრაციის მიღებას ხელს უწყობს თვითშემზღუდველი სუვერენიტეტი (143, 271; 115).

გიბნი გეთავაზობს თავის თეორიას ამ საკითხთან დაკავშირებით და ამტკიცებს, რომ მიმღები კანონმდებლობისა და შეზღუდვის პოლიტიკას შორის წინააღმდეგობის უკეთ გაგება შესაძლებელია, თუ მას წარმოვიდგენთ, როგორც ლიბერალურ დემოკრატიულ სახელმწიფოში ლიბერალურ და დემოკრატიულ ფასეულობებს შორის უფრო ღრმა წინააღმდეგობის ასახვას (95, 17). იგი თვლის, რომ დემოკრატიის პრინციპი „სავალდებულოს ხდის, რომ ხალხს ჰქონდეს სუვერენული უფლება ერთად განსაჯონ, თუ როგორ მოაწყონ თავისი საერთო მომავალი ხანგრძლივი დროის განმავლობაში. [...] ეს ნიშნავს უფლებას, თავისუფლად აირჩიონ თავიანთი წარმომადგენლები.“ დემოკრატიული მოქალაქეობის ასეთი სისტემის მეშვეობით, ხდება სტრუქტურული სტიმულების ფორმირება პოლიტიკური ლიდერებისთვის, რათა მათ კონცენტრირება მოახდინონ ეროვნულ გრძნობებზე (95, 17).

თავშესაფართან დაკავშირებული პოლიტიკის დემოკრატიზაციისა და გადაწყვეტილების მიღების ძალაუფლების ხალხზე გადასვლის პირობებში, მთავრობებმა დაინახეს, რომ მათი პოპულარობა ეფუძნება ხალხის ნებას, რაც ემხრობოდა ძალზე შემზღუდავ რეჟიმს თავშესაფართან დაკავშირებული პოლიტიკის თვალსაზრისით. სწორედ ასეა ჩართული ელექტორალური დემოკრატიის პრინციპი თავშესაფართან დაკავშირებული შემზღუდავი პოლიტიკის წარმოშობასა და წარმოებაში, აღნიშნავს გიბნი. მეორე მხრივ, თავშესაფრის საკითხის ლეგალიზაციის პროცესმა გამოიწვია იმიგრანტების საწინააღმდეგო სტრატეგიების წინსვლის შეჩერება, ვინაიდან საშინაო და ევროპის სასამართლოებმა ძირი გამოუთხარა იურიდიულ განსხვავებას მოქალაქეებსა და ქვეყანაში მცხოვრებ უცხოელებს შორის ადამიანის უფლებების თვალსაზრისით. ამ მოვლენამ გამოიწვია „მიმღები კანონმდებლობის“ ინსტიტუციონალიზაცია, რომელმაც ბრიტანეთის მოვალეობები განავრცო 1951 წლის კონვენციის 33-ე მუხლის შესაბამისად (95, 12-15). ამრიგად, სამივე წარმოდგენილი თეორია აქცენტს აკეთებს წინააღმდეგობების არსებობაზე დემოკრატიაში (პოლიტიკური სუვერენიტეტი) და ადამიანის უფლებათა შესახებ კანონს შორის თავშესაფრის კონტექსტში.

## თავი II

### მოქალაქეობის ორი მოდელი: ნაციონალისტური და ლიბერალური

იმისათვის, რათა გავიაზროთ ლიბერალური პარადოქსი, ანუ დიხოტომია, რომელიც არსებობს დემოკრატიულ სუვერენობასა და ლიბერალურ მოქალაქეობას, ასევე, მოქალაქეთა და უცხოელთა უფლებებს შორის, უპირველეს ყოვლისა, უნდა გავაანალიზოთ მოქალაქეობის ცნება. გლობალიზებულ და „გეოგრაფიულად შევიწროებად“ მსოფლიოში მოქალაქეთა უფლებების ინტენსიფიკაცია და უცხოელების გამოსარიცხად სუვერენული პრეროგატივის ხაზგასმა უფრო და უფრო თვალშისაცემი ხდება, განსაკუთრებით ევროპაში. „შეზღუდვის პოლიტიკის“ ასეთი ტენდენციები შესაძლოა, მრავალი ფაქტორით ავსხნათ. მათ შორისაა ნაციონალისტური გრძნობების გაძლიერება, რამაც დამატებითი იმპულსი მისცა ნორმატიული დიხოტომიას.

#### 2.1. მოქალაქეობის ნაციონალისტური მოდელი

ნაციონალიზმი, უპირველეს ყოვლისა, პოლიტიკური პრინციპია, რომელიც ამტკიცებს, რომ პოლიტიკური და ეროვნული ერთეული კონგრუენტული უნდა იყოს. ნაციონალიზმი, როგორც გრძნობა, ან როგორც მოძრაობა, ყველაზე უკეთ ამ პრინციპის ფარგლებში შეიძლება განისაზღვროს (93, 13).

ნაციონალისტური გრძნობა წარმოადგენს სიბრაზის გრძნობას, რომელიც წარმოიშობა ამ პრინციპის დარღვევის გამო, ან კმაყოფილების გრძნობას, რომელიც წარმოიშობა მისი შესრულებით. არსებობს ნაციონალისტური პრინციპის დარღვევის სხვადასხვა გზები. მოცემული სახელმწიფოს პოლიტიკურმა საზღვრებმა, შესაძლოა, ვერ მოიცვას შესაბამისი ერის ყველა წევრი; ან, საზღვრებმა, შესაძლოა, ყველა წევრი და მათთან ერთად უცხოელთა გარკვეული რაოდენობაც მოიცვას; ან, შესაძლოა, ადგილი ჰქონდეს ამ ორი შესაძლებლობის კომბინაციას: მოცემული სახელმწიფოს პოლიტიკურმა საზღვრებმა ვერ მოიცვას მოცემული ეროვნების ყველა ადამიანი და, ამავე დროს, ამ საზღვრებში ცხოვრობდნენ სხვა ეროვნების ადამიანებიც.

შესაძლოა, რომელიმე ერმა, უცხოელებთან შერევის გარეშე, სხვადასხვა სახელმწიფოებში იცხოვროს ისე, რომ ვერც ერთმა სახელმწიფომ ვერ განაცხადოს, რომ ამ ერის სახელმწიფოა. მაგრამ არის ნაციონალისტური პრინციპის დარღვევის ერთი კერძო ფორმა, რომლის მიმართ ნაციონალისტური გრძნობა განსაკუთრებით მგრძნობიარეა: თუ პოლიტიკური ხელმძღვანელები მიეკუთვნებიან მართული უმრავლესობისაგან განსხვავებულ ეროვნებას, მაშინ ეს გარემოება ნაციონალისტებისთვის პოლიტიკური მიკუთვნების განსაკუთრებით მძიმე დარღვევას წარმოადგენს.

მოკლედ რომ ვთქვათ, ნაციონალიზმი არის პოლიტიკური ლეგიტიმურობის თეორია, რომელიც მოითხოვს, რომ ეთნიკური საზღვრები არ გადიოდეს პოლიტიკურ საზღვრებს გარეთ და, განსაკუთრებით, რომ ეთნიკური საზღვრები მოცემული სახელმწიფოს შიგნით, არ უნდა გამოყოფდეს ძალაუფლების მქონეთ დანარჩენებისგან. ნაციონალისტური პრინციპი შეიძლება დასაბუთდეს ეთნიკური სულისკვეთებით (93).

შესაძლოა არსებობდნენ და ხანდახან გვხვდებიან, აბსტრაქტული ნაციონალისტები, რომლებიც არ არიან მიკერძოებულნი თავისი ერის მიმართ და რომლებიც დიდსულოვნად ავრცელებენ ნაციონალისტურ დოქტრინას ყველა დანარჩენ ერზე. ნაციონალიზმის ასეთი გაგების თანახმად, ყველა ერს უნდა ჰქონდეს საკუთარი პოლიტიკური მმართველობა. ამ ერებმა სხვა ეროვნების წარმომადგენლების მიღებისაგან თავი უნდა შეიკავონ. ასეთი არაეგოისტური ნაციონალიზმის შიგნით ფორმალური წინააღმდეგობა არ არსებობს.

ამ დოქტრინის მხარდასაჭერად შესაძლებელია რამდენიმე კარგი არგუმენტის მოყვანა. ესენია კულტურული მრავალფეროვნების შენარჩუნების, პლურალისტური საერთაშორისო პოლიტიკური სისტემის და სახელმწიფოებში შიდა დაძაბულობის მინიმუმამდე დაყვანის სასურველობა. მაგრამ, სინამდვილეში ნაციონალიზმი ხშირად არც ისე სასიამოვნოდ რაციონალური და არც ისე რაციონალურად სიმეტრიულია. შესაძლოა, რომ მიკერძოებულობა და საკუთარი თავისადმი სასარგებლო გამონაკლისების დაშვება უმთავრეს ადამიანურ სისუსტეს წარმოადგენს, საიდანაც ყველა დანარჩენი სისუსტე გამომდინარეობს, როგორც ეს კანტს სწამდა.

ეს მოქმედებს ნაციონალიზმის გრძობაზე, როგორც სხვა ყველაფერზე და იწვევს იმას, რასაც იტალიელები მუსოლინის მმართველობისას უწოდებდნენ ნაციონალიზმის *sacro egoismo*. ნაციონალიზმის გრძობის პოლიტიკური ეფექტურობა მნიშვნელოვნად შემცირდებოდა, თუ ნაციონალისტები ისევე მგრძობიარენი იქნებოდნენ იმ უარყოფითი ქმედებების მიმართ, რაც მათ ერმა ჩაიდინა სხვების მიმართ, როგორც იმის მიმართ არიან მგრძობიარენი, თუ რა ჩაიდინეს სხვებმა მათთან მიმართებაში.

ნაციონალისტური მოდელი მოქალაქეობის დომინანტური ხედვაა, რომელსაც ხანგრძლივი ისტორია აქვს. ეს მოდელი ყველაზე ნათლად ინსტიტუციონალიზებული აშშ-სა და ევროპის კანონმდებლობებში, თუმცა, ადამიანის უფლებათა შედარებით უპირატესმა მოდელმა გარკვეული პროგრესი განიცადა საერთაშორისო ხელშეკრულებებში, საერთაშორისო და საშინაო სასამართლოებში, ელიტის აზრში და, შესაძლოა, ხალხის დამოკიდებულებაშიც.

აღნიშნული მოდელი ნაციონალისტურია რამდენიმე თვალსაზრისით. ის მოიცავს იდეას, რომლის თანახმად, შეერთებული შტატები სივრცობრივად შემოსაზღვრული პოლიტიკური ერთობა და სუვერენული სახელმწიფოა, რომელიც ადასრულებს შეუზღუდავ ძალაუფლებას თავის ტერიტორიაზე. ეს ძალაუფლება შეზღუდულია მხოლოდ ფედერალური კონსტიტუციითა და კანონმდებლობით და მისი უმთავრესი მიზანებია ქვეყნის ფიზიკური საზღვრების დაცვა; განსაზღვრა იმისა, თუ ვინ არის შინაური, და ვინ უცხო; ამ ადამიანების უფლებებისა და სახელმწიფოს მიმართ მათი ვალდებულებების დადგენა; იმის გადაწყვეტა, თუ რომელი საერთაშორისო კანონი ზღუდავს აშშ-ს სუვერენიტეტს.

მოქალაქეობის სამართლის, პრაქტიკებისა და მნიშვნელობების ფორმირებისათვის ეს მოდელი მოიხმობს არა აბსტრაქტულ თეორიებს, არამედ ამერიკისათვის გამორჩეულ ღირებულებებს, მმართველ ინსტიტუტებს, კულტურასა და სახელმწიფო პოლიტიკას. ნაციონალისტური მოდელი ხშირად სეპტიკურია იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად შეესაბამება სუპრანაციონალური სამართლებრივი დადგენილებების მიმართ მთავრობის მიერ აღებული ვალდებულებები ამერიკის ღირებულებებსა და ინსტიტუტებს. იგივე ეჭვი კვებავს მიმდინარე დებატებს აშშ-ს უზენაეს სასამართლოში და მეცნიერებს შორის

უცხოური სამართლის გამოყენების მართებულობასთან დაკავშირებით აშშ-ს კონსტიტუციის ინტერპრეტირებისთვის (196).

პეტერ სპიროს მიხედვით, მოქალაქეობის ნაციონალისტური მოდელი არსებობს ორი განსხვავებული, მაგრამ დაუკავშირებელი ფორმით: კონსერვატიული ნაციონალისტები ქადაგებენ უკომპრომისო ასიმილაციონიზმს. ისინი ხაზს უსვამენ ამერიკული ნაციონალიზმის კულტურულ და პოლიტიკურ ატრიბუტებს. ისინი ამერიკელებს პრივილეგირებულ და განსაკუთრებულ ჯგუფად მიიჩნევენ (210). ლიბერალური ნაციონალისტები გამოთქვამენ ამერიკული ერთობის ნაკლებად ძლიერ, სამოქალაქო ცნებას და მოქალაქეობას თვლიან მიღებისა და თანასწორობის დედაბოძად. ორივე ვარიანტი (კონსერვატორულ-ნაციონალისტური და ლიბერალურ-ნაციონალისტური) ნაწილობრივ მაინც განისაზღვრება, როგორც მესამე კონკურენტულ პარადიგმასთან, მულტიკულტურალიზმთან დაპირისპირებაში მყოფი.

სპირო თვლის, რომ კონსერვატიული ვერსია, რომელსაც გვთავაზობენ სემუელ ჰანთინგტონი, ჯონ მილერი, პეტერ ბრიმელოვი და ჯორჯ ენ გაიერი, ნოსტალგიურია თავის სწრაფვით ვიწრო, აშშ-ზე ორიენტირებული, სახელმწიფო საზღვრებზე დამყარებულ სამყაროსკენ, რომელიც უკვე აღარ არსებობს. ლიბერალური ვერსია, რომლის მომხრეებიც არიან მაიკლ უოლცერი, ქენეთ ქერსთი, დევიდ მილერი და როჯერს სმითი, სპიროს აზრით, „ვერ შეათანხმებს ჩართულობის პრინციპს მოქალაქეობის რეჟიმებისათვის დამახასიათებელ გამორიცხვასთან“. ეს წარუმატებლობა, „უფრო თვალსაჩინო ხდება იმასთან ერთად, რომ ამერიკის სამოქალაქო კონცეფცია უფრო და უფრო ნაკლებად გამორჩეული ხდება მას შემდეგ, რაც დემოკრატიული კონსტიტუციური ღირებულებები მყარად იმკვიდრებენ თავს გლობალურ დონეზე“ (210).

მოქალაქეობის ნაციონალისტური მოდელის წინაპირობას წარმოადგენს სახელმწიფოს სუვერენიტეტი გარკვეულ ტერიტორიაზე, რაც ფუნდამენტურად განსაზღვრავს სახელმწიფოს მიერ მოქალაქეობის მინიჭების და ამ სტატუსთან დაკავშირებული ვალდებულებების და უფლებების აღსრულებას (195). ეს დამოკიდებულება ტერიტორიასა და სტატუსს შორის, ყველაზე ნათლად ჩანს დაბადების უფლებაზე დაფუძნებული მოქალაქეობის სფეროში, სტატუტორულ

ნორმებში, რომლებიც არეგულირებს წარმოშობაზე დაფუძნებულ მოქალაქეობას და მთავრობის უარყოფით დამოკიდებულებაში ორმაგი მოქალაქეობის მიმართ.

მრავალი მეცნიერი, რომელიც აღნიშნავს ტერიტორიალურობაზე ნაციონალისტური აქცენტის ტრადიციულ მიზეზებს, ამავე დროს, მიუთითებს, რომ ეს აქცენტი ანაქრონიზმად გადაიქცა მსოფლიოს სწრაფი გლობალიზაციის პირობებში, სადაც უფლებები ხელმისაწვდომია, ან ხელმისაწვდომი უნდა იყოს საყოველთაო ჰუმანური მოსაზრებებისა და საჭიროებების საფუძველზე და არა გარკვეულ ტერიტორიაზე გარკვეულ დროს შემთხვევითი ყოფნიდან გამომდინარე.

ტერიტორიულობაზე ფოკუსირება საგრძნობ მხარდაჭერას ინარჩუნებს როგორც ამერიკულ და ევროპულ პოლიტიკურ კულტურებში, ასევე, გეოპოლიტიკური რეალობის ფაქტებშიც. ამიტომ, მიზანშეწონილია, გადმოვცეთ ამ მიდგომის თეორიული წანამდგვრები: სუვერენული ძალაუფლების აღსრულება გარკვეულ, შემოსაზღვრულ ფიზიკურ სივრცეზე, საერთაშორისო კანონმდებლობის მიხედვით, თვით სახელმწიფოებრიობის საფუძველია და ის ვესტფალიის საერთაშორისო სისტემის ძირითად ერთეულს წარმოადგენს. ასეთი პოლიტიკური წყობის წევრობის ფესვები არის ფიზიკური კავშირი ტერიტორიასთან, რომლითაც განსაზღვრულია და ლეგიტიმიზებულია სახელმწიფო და რომლის ფარგლებშიც იმყოფებოდა ყველა მისი მოქალაქე დაბადების, ან ნატურალიზაციის მომენტში, ან (*jus sanguinis* შემთხვევაში) მათი ცხოვრების ზოგიერთ მნიშვნელოვან პერიოდში.

ტერიტორიაზე ყოფნა და კონტროლი წარმოადგენს აუცილებელ, თუმცა არა ყოველთვის საკმარის საფუძველს სახელმწიფოს ძალაუფლების აღსასრულებლად ადამიანებზე, ძალაუფლებისა, რომელიც, საბოლოო ჯამში იზღუდება მთავრობის სამართლებრივი და ქმედითი ძალაუფლებით. რა თქმა უნდა, აშშ-ს შეუძლია გავლენა მოახდინოს იმ პირებზე, რომლებიც მისი სუვერენული ტერიტორიის გარეთ იმყოფებიან და თუ მისი ქმედითი კონტროლი საკმარისად დიდია, მას, შესაძლოა, შეიძასახელმწიფოებრივი სამართლის თანახმად, გარკვეული ვალდებულებები ჰქონდეს საზღვარგარეთ მყოფი მოქალაქეების მიმართ, ისევე, როგორც გარკვეული ვალდებულებები საერთაშორისო კანონმდებლობის, ან მორალური კანონის თანახმად იმ ადამიანების მიმართ, რომლებზეც უარყოფითად იმოქმედა მისი ძალაუფლების აღსრულებამ (195).



ნაციონალისტური მოდელის ნორმატიული კოჰერენტულობა უფრო განსაზღვრულია იმით, თუ ვის აქვს უფლებები (მხოლოდ მოქალაქეებს, თუ სხვებსაც) და რა მოცულობით. ამ შემთხვევაშიც, ნაციონალისტური მოდელი საგრძნობლად ამბივალენტურია. როგორც ჩანს, პასუხი გარკვეულ გარემოებებზეა დამოკიდებული. ნაციონალისტური მოქალაქეობის ძირითადი მომხრეები იმ უფლებების უმრავლესობას შეზღუდვას უჭერენ მხარს, რომლებიც მოქალაქეებმა კეთილდღეობის სახელმწიფოებში მიიღეს. ამ შეხედულებამ გამოხატულება ჰპოვა 1996 წლის სოციალური კეთილდღეობის რეფორმის კანონში, რომელმაც მკაცრად შეზღუდა არა-მოქალაქეების მიერ ფულადი სახსრების და ფულად სახსრებთან დაკავშირებული შეღავათების წვდომა. თუმცა, კონგრესმა გააგრძელა მათთვის გარკვეულ სხვა შეღავათებზე უფლების მინიჭება, როგორცაა კატასტროფის შემთხვევაში შემწეობა, სამედიცინო დახმარება Medicaid პროგრამით და, ზოგიერთ შემთხვევაში – სასურსათო ტალონები (196).

მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ იმიგრანტების მიღების თვალსაზრისით, წამყვანმა სახელმწიფოებმა უზრუნველყვეს და გააფართოვეს კიდევ მრავალი საჯარო შეღავათი ლეგალური რეზიდენტი არამოქალაქეებისთვის და (გარკვეული შეღავათების თვალსაზრისით) დოკუმენტების გარეშე მყოფი იმიგრანტებისთვის. მოხუცი და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ლტოლვილების შესახებ კანონის განვრცობით, რომელსაც ხელი მოაწერა პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა 2008 წელს, გაგრძელებულია დროის პერიოდი, რომლის განმავლობაშიც ლტოლვილებს შეუძლიათ, მიიღონ სხვადასხვა ფულადი შეღავათები შემწეობის სახით მოქალაქეობის მიღების ადმინისტრაციულად გაჭიანურებული პერიოდის განმავლობაში.

მოქალაქეობის ნაციონალისტურ კონცეფციაში საჯარო შეღავათების მინიჭება ნაგულისხმევია მოქალაქეებისთვის, მაგრამ ეს ზოგადი ვალდებულება ზოგჯერ ირღვევა, განსაკუთრებით, „მიღებული“ არამოქალაქეების და დოკუმენტების გარეშე მყოფთა პირების შემთხვევაში, როდესაც საქმე ეხება ჯანდაცვის, საგანგებო შემთხვევების, კვებისა და საჯარო განათლების სფეროებს. საზოგადოებრივი დაფინანსება დოკუმენტების არმქონე ბავშვების განათლებისთვის მოთხოვნილია კონსტიტუციით ელემენტარულ და საშუალო

დონეზე „პლაილერი დეუს წინააღმდეგ“<sup>9</sup> საქმის შესაბამისად, მაგრამ მრავალმა სახელმწიფომ განავრცო დაფინანსება უმაღლესი განათლების საფეხურზეც.

ამ გამონაკლისთაგან ზოგიერთი, შესაძლოა, ავსნათ ნაციონალისტური ინტერესით: უფლებების მინიჭება იცავს ერს მის წიაღში ხანგრძლივად მყოფი რეზიდენტებისგან, რომელთა გაუთვითცნობიერებლობამ და ავადმყოფობამ შესაძლოა, საფრთხე შეუქმნას მოქალაქეთა კეთილდღეობას. რამდენადაც დოკუმენტების არმქონეთათვის ამ უფლებების მინიჭების უფრო ალტრუისტული და უნივერსალისტური მოტივები, სავარაუდოდ, დომინანტურ როლს თამაშობს პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ეს ალტრუისტული მოტივები, სულ მცირე მაინც, მოქალაქეობის ნაციონალისტურ მოდელს შეესაბამება. გარდა ამისა, ის ფაქტი, რომ ფედერალური მთავრობა უფლებას აძლევს შტატებს, გაატარონ გარკვეული ღონისძიებები დოკუმენტების არმქონე იმიგრანტების წინააღმდეგ, შეესაბამება უფლებების მინიჭების ინტერესებზე დაფუძნებულ დასაბუთებას.

„სათანადო სამართლებრივი პროცედურის“ კონსტიტუციური დონეზე დასაბუთება, გარკვეული სოციალური უფლებების განვრცობა მოქალაქეობის არ მქონე პირებზე, - ამ ფრაზის საყოველთაოდ ცნობილი ბუნდოვანება წარმოშობს უთანხმოებას ისეთი უფლებებთან დაკავშირებით, თუ ვინ შეიძლება მოითხოვოს ეს უფლებები, რა პირობებში და სად. ამ უთანხმოების თვალსაჩინო მაგალითია აშშ-ს უზენაესი სასამართლოს მიერ ხანგრძლივი კამათის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება, რომლის თანახმად, თავშესაფრის მაძიებლებს სასამართლოში გამოცხადების ბრძანების გასაჩივრების უფლება მიეცათ არა მხოლოდ აშშ-ს ტერიტორიაზე მცხოვრებ არა-მოქალაქეებს, არამედ გუანტანამოს ბაზაზე დაკავებულ სამხედრო ტყვეებსაც (197). სამართლებრივი ბრძოლა იმის შესახებ, თუ არა-მოქალაქეთა რომელმა კატეგორიებმა შეიძლება გამოიყენონ ეს უფლება, აჩვენებს, თუ რამდენად აქტუალური გახდა (განსაკუთრებით 11 სექტემბრის ტერორისტული შეტევების შემდეგ) პოლემიკა მოქალაქეობის ნაციონალისტურ და ლიბერალურ მოდელებს შორის არსებული საზღვრის შესახებ (93).

---

<sup>9</sup> Plyler v. Doe, 457 U.S. 202 (1982)

## 2.2. ლიბერალური მოდელი

მაშინ, როდესაც მოქალაქეობის ნაციონალისტური მოდელი შეიძლება ხსნიდეს არსებულ პრაქტიკებს, ის, შესაძლოა, ანაქრონისტული აღმოჩნდეს ოცდამეერთე საუკუნის გლობალიზებულ სამყაროში, სადაც ურთიერთდამოკიდებულების ხარისხი განსხვავებულ სახელმწიფოებს შორის ბევრად უფრო მაღალია, ვიდრე წინა ეპოქებში. ნორმატიული თვალსაზრისით, მოქალაქეობის ნაციონალისტურ მოდელზე ბევრად უფრო მიმზიდველ კონცეფციას, შესაძლოა, „ადამიანის უფლებათა“ მოდელი, ანუ „ლიბერალური მოქალაქეობა“ (რომელსაც ასევე, „გლობალურ მოქალაქეობას“ უწოდებენ) წარმოადგენდეს.

თუ ნაციონალისტური მოქალაქეობის გონივრული დასაბუთებას დემოკრატიული თანხმობის ლიბერალური ღირებულების გამართლება წარმოადგენს, ადამიანის უფლებათა მოდელის მიზანი, მარტივად რომ ჩამოვაყალიბოთ, არის ინდივიდუალური და ჯგუფური უფლებების უსაფრთხოება, რომლებიც უზრუნველყოფს ჰუმანურ და დაცულ პირობებს სასტიკ, ან დესპოტურ სახელმწიფოებში მცხოვრები და საკუთარი ქვეყნის გარეთ მყოფი ადამიანებისათვის, რომლებიც ახალ ადგილმდებარეობაზე არათანასწორი და არაჰუმანური მოპყრობის რისკის ქვეშ არიან.

ნაციონალისტური კონცეფციისგან განსხვავებით, ლიბერალური, ანუ ადამიანის უფლებების მოდელი უარყოფს ნორმატიულ დაფუძნებას საერთო თანხმობაზე. ეს მოდელი დაფუძნებულია არა-წევრის ცალმხრივ უფლებაზე, გახდეს სახელმწიფოს ნაწილი გარკვეული მიზნით. ეს უფლება განიხილება, როგორც აუცილებელი დამატება ნაციონალისტურ მოქალაქეობაზე, იმის გამო, რომ სახელმწიფოები უარს აცხადებენ, დაიცვან გასაჭირში მყოფი ადამიანები, რომლებიც არ არიან დაკავშირებული ამ სახელმწიფოებთან.

ადამიანის უფლებათა მოდელის დამცველები ყურადღებას ამახვილებენ მსოფლიოში მომხდარ მრავალ მნიშვნელოვან ცვლილებაზე, რაც, მათი აზრით, ნაციონალისტურ მოდელს ძველი, უფრო ნაციონალისტური ეპოქის გადმონაშთად ქმნის. ამ ცვლილებებიდან პირველი ძლიერ გაზრდილი გლობალური მიგრაციაა, რომლის შედეგად მოსახლეობის დიდი რაოდენობა ტრადიციულ თემებს ტოვებს,

რის გამოც ისინი ხშირად ხვდებიან სხვა სახელმწიფოში. გადაადგილების გამო ისინი „მასპინძელ“ ქვეყანაში განსაკუთრებით დაუცველები ხდებიან სამართლებრივი, ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული, ლინგვისტური და სხვა თვალსაზრისით.

ეს დაუცველობა, რომელსაც აძლიერებს მზარდი უთანასწორობა განვითარებულსა და განვითარებად სახელმწიფოებს შორის, განსაკუთრებით დიდია იმ შემთხვევაში, თუ მიგრანტები – პოლიტიკური, ან ეკონომიკური ლტოლვილები, – ამავე დროს, არასახარბიელო მდგომარეობაში მყოფი უმცირესობის წევრები არიან, ან სხვა აუტანელ პირობებს გაუბიან. ადამიანის უფლებათა მოდელის დაცვლები ადასტურებენ, რომ მიგრანტებს ხშირად ისეთი შეღავათები მოაქვთ მიმღები ქვეყანისთვის, როგორცაა იაფი მუშახელი, კულტურული წვლილი, საზოგადოების ცხოველმყოფელობა და სასარგებლო დემოგრაფიული ზრდა.

მათი ფულადი გადარიცხვები, ტექნოლოგიის გადატანა, გამოცდილება და კონტაქტები საზღვარგარეთ, ხელს უწყობს მათი მშობლიური ქვეყნების განვითარებას, რაც ხშირად, მასპინძელი ქვეყნის საგარეო და ეკონომიკურ ინტერესებს შეესაბამება. ეს გარემოება კიდევ ერთხელ მიგვითითებს, რომ მიგრანტებთან მიმართებაში აუცილებელია სამართლიანი და მიუკერძოებელი დამოკიდებულება.

კიდევ ერთი ცვლილება, რომელზეც მიუთითებენ ადამიანის უფლებათა მოდელის დამცველები, საერთაშორისო სამართლის სფეროში მომხდარ ცვლილებებს უკავშირდება. II მსოფლიო ომის შემდეგ, ადამიანთა უფლებების შესახებ საერთაშორისო კანონის შემუშავებამ, გარკვეულ ასპექტებში შეზღუდა სახელმწიფოს სუვერენობა. ამავე დროს, ამ კანონმა სახელმწიფოს მოქალაქეებს და მიგრანტებს უფლება მიანიჭა, იყვნენ თავისუფალი ძალადობის, ექსპლუატაციის, უსამართლო სამართალწარმოების და სახელმწიფოს მხრიდან სხვა დამაზიანებელი ქმედებებისგან (92). ამ მოვლენამ ხელი შეუწყო დემოკრატიის გავრცელებას და განსხვავებულ სახელმწიფოებს შორის, ლიბერალურ-პოლიტიკური ღირებულებების კუთხით, მნიშვნელოვანი მსგავსება შექმნა.

ლიბერალური (ადამიანის უფლებების) მოდელის თანახმად, ეს მნიშვნელოვანი მოვლენები ამცირებს განსხვავებას ეროვნულ კულტურებსა და იდენტობებს შორის, ზღუდავს სახელმწიფოების ავტონომიურობას და ზრდის მათ ვალდებულებებს ქვეყანაში დროებით მყოფი სოციალურად დაუცველი პირების და სრულიად უცხო ადამიანების მიმართ, რომლებიც დაუცველნი არიან სახელმწიფო ძალაუფლების გამოვლინების წინაშე. ამ მოდელის მიხედვით, ასეთი ცვლილებები ამართლებს მოქალაქეობის ცნებას და ინსტიტუციონალიზაციას, რომელიც უფრო შეესაბამება ამ ურთიერთდამოკიდებულ ურთიერთობებს, ვიდრე ნაციონალისტური მოდელი. მოკლედ რომ ვთქვათ, ლიბერალური მოდელი მიიღტვის კონსტიტუციური ერთობისკენ, სადაც მიღება არაა შეზღუდული მოქალაქეობის ტრადიციული ცნებით, ან გარკვეული ტერიტორიით სახელმწიფოს შიგნით, რომლის საზღვრებიც თვითნებურადაა დადგენილი (139).

ვინაიდან ადამიანის უფლებათა მოდელი ტრანსნაციონალურია და არ არის ტერიტორიულობის პრინციპზე ორიენტირებული, ის კონკრეტულ სახელმწიფოში და კონკრეტული მშობლებისგან დაბადებას განიხილავს როგორც შემთხვევით მოვლენას, რომელიც არ უნდა განსაზღვრავდეს იმ უფლებების წვდომას, რომლებიც, თავისი ბუნებით, საყოველთაოა (196).

ამ მოდელის უარყოფითი განწყობა ტერიტორიულობის, როგორც ძირითადი უფლებების საფუძვლის მიმართ, დაკავშირებულია ისტორიულ მოთხოვნასთან, რომლის მიხედვითაც, გაზრდილი გლობალიზაციით (განსაკუთრებით, მიგრაციით) გამოწვეული პროგრესული დინამიკა მოქალაქეობის ლოკუსს გადასწევს ეროვნული ტერიტორიების status quo-ს მიღმა, რეგიონული და ზერეგიონული ორგანოებისკენ, როგორცაა ევროპის საბჭო, და შემდგომ – უფრო უნივერსალური მმართველობის რეჟიმებისკენ, როგორცაა გაერო (26).

მხოლოდ ამ დეტერიტორიალიზებულ, უნივერსალურ დონეზეა შესაძლებელი გარკვეული უფლებების და შეღავათების თანასწორი წვდომა. თუმცა, ადამიანის უფლებათა თეორიის დამცველები აღიარებენ, რომ ახლო მომავალში, ტერიტორიულობის პრინციპი და ტრადიციული ერი-სახელმწიფო გააგრძელებს დომინირებას ინტერნაციონალურ სისტემაზე და ამიტომ, მოქალაქეობა, არსებითად, ეროვნულ პროექტად დარჩება (210).

ის აუცილებლად გამომრიცხავი იქნება, რადგან მოქალაქეობის ცნება ნათლად განსაზღვრავს იმას, თუ ვინაა შინაური და ვინ – უცხო. ადამიანის უფლებათა დამცველთა მოძრაობა უპირისპირდება სხვების გამორიცხვის პრინციპს და იმ შედეგებს, რომლებიც ამ პრინციპის რეალურ ცხოვრებაში გატარებას მოჰყვება – ტერიტორიულობაზე დამყარებულ უთანასწორობასა და დისკრიმინაციას. ლიბერალურ მოქალაქეობას, როგორც დოქტრინას ადამიანის უფლებების შესახებ, ნაციონალური მოქალაქეობის დახურულ მოდელში ახალი უფლებები შეაქვს.

ვინაიდან ლიბერალური მოქალაქეობის საფუძველმდებარე პრინციპს ინდივიდუალური უფლებების განვრცობა წარმოადგენს, ეს მოდელი მიმართულია აშშ-ში, ევროპულ სახელმწიფოებსა და სხვა ლიბერალურ-დემოკრატიულ სახელმწიფოებში უკვე გარანტირებული სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების სრული სპექტრის შენარჩუნებისკენ. ეს მოდელი წარმოადგენს საფუძველს უფლებების მისანიჭებლად. მოდელის მიზანს წარმოადგენს მათი განვრცობა ყველა ადამიანზე, რომელიც იმყოფება სუვერენულ სახელმწიფოში და, ამრიგად, ექვემდებარება მის მმართველობას.

ადამიანის უფლებათა დამცველები, ჩვეულებრივ, არამოქალაქეებისთვის მოითხოვენ გარკვეულ უფლებებს, რაზეც სახელმწიფოები, ტრადიციულად მათ უარს ეუბნებიან. ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანია ხმის მიცემის უფლება, განსაკუთრებით ეროვნულ არჩევნებში. ეს უფლება იმიგრანტებს არ გააჩნიათ. ევროპის საბჭო, მაგალითად, ხმის მიცემის უფლებას ანიჭებს ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოების რეზიდენტ ქვეშევრდომებს, მაგრამ მხოლოდ მუნიციპალურ და ადგილობრივ არჩევნებში და ევროპარლამენტის არჩევნებისთვის, მაგრამ არა ეროვნული არჩევნებისთვის.<sup>10</sup>

აშშ-ში დღეს მხოლოდ რამდენიმე შემთხვევაში აქვთ არამოქალაქეებს ხმის მიცემის უფლება და იქაც კი, ასეთი ხმის მიცემა, ჩვეულებრივ, ნებადართულია მხოლოდ ადგილობრივი სკოლის საბჭოში, ან სხვა სპეციალური დანიშნულების არჩევნებში. რეზიდენტ არამოქალაქეებზე ხმის მიცემის უფლების განვრცობის სასარგებლოდ არგუმენტს წარმოადგენს ლიბერალური დემოკრატიული თეორიის პირდაპირი, თუმცა საკამათო გამოყენება: ამ არგუმენტის თანახმად, ყველას, ვინც

---

10 ევროპის თანამეგობრობის ხელშეკრულება, მუხლი 19, ქვეთავი 8 (ბ).

ექვემდებარება სამთავრობო უფლებამოსილებას, უნდა შეეძლოს მონაწილეობის მიღება არჩევნებში, რადგან მხოლოდ არჩევნების მეშვეობითაა შესაძლებელი ამ უფლებამოსილების ლეგიტიმაცია (196). არსებითად, იგივე პრინციპია გამოყენებული ხმის მიცემის ასაკის შესამცირებლად და აარჩევნო უფლების აღსადგენად იმ დამნაშავეებისთვის, რომლებსაც ეს უფლება წართმეული აქვთ.

დამნაშავეებზე საარჩევნო უფლების განსაზღვრებად მიმართული კამპანიები აშშ-ში წარმატებული იყო ზოგიერთ შტატში და მიმდინარეობს სხვა შტატებში. 1971 წელს რატიფიცირებული ოცდამეექვსე შესწორებით ხმის მიმცემთა ასაკი 18 წლამდე შემცირდა. ამის საპირისპიროდ, არამოქალაქეთა მიერ ხმის მიცემის შესახებ წინადადებათა უმეტესობა წარუმატებელი იყო, სავარაუდოდ, იმიტომ, რომ მოქალაქეთა უმეტესობა თვლის, რომ არამოქალაქეებს არ გააჩნიათ ადეკვატური პოლიტიკური ცოდნა, ან მიემხრობიან ამა თუ იმ პარტიას, ან, ვინაიდან არამოქალაქეები, უბრალოდ, ჯერ არ მიიჩნევიან სახელმწიფოს სრულ წევრებად. პუერტო-რიკოს მაცხოვრებლების, ან კოლუმბიის ოლქის მაცხოვრებლების შეზღუდული მოქალაქეობა (*incomplete citizenship*) ამ აკრძალვის ნათელი მაგალითია (32).

მეორე მინიჭებული უფლება, რაც გამომდინარეობს ადამიანის უფლებების მოდელიდან, არის ორმაგი მოქალაქეობა. ის უკვე დამკვიდრდა აშშ-ს პოზიტიურ სამართალში და უფრო მეტი მასშტაბით – უმთავრეს წარმოშობის ქვეყნებში (*sending countries*). პ. სპირომ ასე აღწერა ამის შედეგი ეროვნულ იდენტობასა და მოქალაქეობის ტრადიციულ ცნებაზე: „ისევე, როგორც მონო-მოქალაქეობამ გააძლიერა ეროვნული იდენტობა, ორმაგი მოქალაქეობის წარმოქმნა გულისხმობს და ხელს უწყობს მის რღვევას. ორმაგი მოქალაქეობის მიღება ნიშნავს სახელმწიფოთა შორის ნაკლებად ინტენსიურ კონკურენციას, რაც თან ახლავს „ერთგულების“ და „ლოიალობისკენ“ მოწოდებების შემცირებას. ეს იმას უჩვენებს, რომ ადამიანებს უკვე აღარ სჭირდებათ თავიანთი ბედის მხოლოდ ერთი ერისათვის დაკავშირება“ (210).

მრავალი, ერთი და იგივე კატეგორიის მიკუთვნებულება, საშუალოდ, ნაკლებად მნიშვნელოვანი იქნება, ვიდრე ერთი, სხვა მიკუთვნებულობების გამომრიცხავი მიკუთვნებულობა. მრავალი მიკუთვნებულობის მიღება წევრობის საკითხს მნიშვნელოვნად ააიოლებს. მომავალი წევრისათვის უფრო ადვილი იქნება ახალი

მიკუთვნებულობის შექენა, თუ ძველის დათმობა აღარ მოუწევს. მრავლობითი მოქალაქეობა ახალი სამყაროს დამახასიათებელი ფაქტია და ის ასახავს მოქალაქეობის ტრადიციული გაგების შემცირებულ ადგილს ამ სამყაროში.

როგორც ჩანს, მოქალაქეობის ნაციონალისტური და ლიბერალური მოდელები წარმოადგენს საერთაშორისო პოლიტიკის ორ საწინააღმდეგო ტენდენციას. გარდა ამისა, ისინი იმთავითვე ღირებულებებისა და პოლიტიკური ვალდებულებების საპირისპირო ნაკრებებს წარმოადგენს: ერთ მხრივ, კონკრეტული საზოგადოებისა და კულტურის ღირებულებები, რომლებიც განსაზღვრავენ მოქალაქის ვალდებულებებს კონკრეტული მმართველობის ქვეშ, ხოლო მეორე მხრივ - საყოველთაო ღირებულებები და ვალდებულებები მთელი კაცობრიობის მიმართ.

ნაციონალისტური თვალთახედვით, ადამიანის უფლებათა კოსმოპოლიტური ბუნება, შესაძლოა, მოგვეჩვენოს, როგორც ზედაპირული, ნებისმიერ რეალურ საზოგადოებაში ფესვებს მოკლებული, აბსტრაქტული და არარეალისტური ვალდებულებების უნივერსალური პრინციპების განმცხადებელი. საპირისპიროდ, კოსმოპოლიტური თვალთახედვით, ნაციონალიზმი, შესაძლოა, არაქვეშევრდომთა უფლებების გამომრიცხავ, პოტენციურად ქსენოფობიურ და არატოლერანტულ მოძღვრებად მოგვეჩვენოს.

ნაციონალიზმი, პოტენციურად, კონფლიქტში მოდის, ერთი მხრივ, ადამიანის უნივერსალურ უფლებებთან და, მეორე მხრივ, მსოფლიოს იდეალური საზოგადოების შექმნის მისწრაფებასთან. კონკრეტული ერის უნიკალურობასა და ერებს შორის ისტორიულ და კულტურულ განსხვავებებზე აქცენტის გაკეთება, არსებითად განსხვავდება უნივერსალური მიდგომისგან, რომელიც ხაზს უსვამს იმას, რაც ყველა ადამიანს საერთო აქვს.

ეს სიმართლეა მაშინაც კი, როდესაც ნაციონალისტების ცოდნა განსხვავებების შესახებ, ეფუძნება სხვა ერების თანასწორი უფლებების და მათ მიერ საკუთარი განსხვავებულობის დაცვის უფლების აღიარებას. მაგრამ არსებობს ფსიქოლოგიური კავშირი კონკრეტული ეროვნული საზოგადოების ძლიერ გრძნობასა (რომელიც მოითხოვს პოლიტიკურ გამოხატვას) და იმ „უცხოელების“ მიმართ უნდობლობას შორის, რომლებიც ეროვნული ერთობის გრძნობას მოქალაქეთა მსგავსად არ იზიარებენ. სხვადასხვა ნაციონალისტურ ტენდენციებთან მწვავე კონტაქტის პირობებში, ევროპის პოლიტიკურმა



ტრანსფორმაციამ, სავარაუდოდ, მოქალაქეობის „დისაგრეგაცია“ და ამ ცნების ხელახალი განსაზღვრა გამოიწვია (14).

მრავალი მკვლევარი აღნიშნავდა, რომ დასავლეთის ბევრ ქვეყანაში, ბოლო ათწლეულების განმავლობაში, მოქალაქეთა და არამოქალაქეთა უფლებებს შორის არსებული სხვაობა მნიშვნელოვნად შემცირდა (207; 143; 155). დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, როგორებიცაა გერმანია, საფრანგეთი და გაერთიანებული სამეფო, მრავალი უფლება, რაც ოდესღაც მხოლოდ მოქალაქეებისთვის იყო მინიჭებული, ახლა არამოქალაქე რეზიდენტებისთვისაც ხელმისაწვდომია. ეს უფლებები მოიცავს სოციალური დაცვის და უზურნველყოფის სისტემების სრული წვდომის, დეპორტაციის წინააღმდეგ დაცვის, ოჯახის გაერთიანებისა და ადგილობრივ არჩევნებში ხმის მიცემის უფლებებს. ამ მოვლენების საფუძველზე ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ მოქალაქეობა, როგორც უფლებების და უფლებათა მინიჭების წყარო, თავის მნიშვნელობას კარგავს (207).

მოქალაქეობის თანამედროვე კონცეფციაში, შესაძლოა, სამი კომპონენტი გამოვეყნოთ: (1) მოქალაქეთა კოლექტიური იდენტობა, რომელსაც საფუძვლად უდევს საერთო ენა, რწმენები, ეთნიკურობა და ისტორია; (2) პოლიტიკური წევრობის პრივილეგიები საჯარო ავტონომიის უფლებათა წვდომის თვალსაზრისით; და (3) სოციალური უფლებების და პრივილეგიების მინიჭება. დღეს ამ კომპონენტების „განცალკევების“ მომსწრენი ვხდებით (14).

ადამიანს შეიძლება ჰქონდეს პოლიტიკური წევრობის უფლებები ისე, რომ არ ჰქონდეს უმრავლესობის საერთო იდენტობა; მას, შესაძლოა, ჰქონდეს სოციალური უფლებები და შეღავათები თვითმმართველობაში მონაწილეობის უფლების და ქვეშევრდომობის გარეშე. ევროკავშირში, სადაც დისაგრეგაცია უფრო ინტენსიური იყო, პოლიტიკური წევრობის პრივილეგია ამჟამად ევროკავშირის წევრი ქვეყნების ყველა მოქალაქეს აქვს, რომელიც, შესაძლოა, ცხოვრობდეს სხვა ქვეყანაში ევროკავშირის შიგნით. არა წარმოშობის ქვეყნის ქვეშევრდომობა, არამედ ევროკავშირის მოქალაქეობა ანიჭებს ადამიანს ამ უფლებებს.

ევროკავშირის მოქალაქეებმა, შესაძლოა, ხმა მისცენ და კენჭი იყარონ ადგილობრივ არჩევნებში მიმღებ ქვეყნებში. მათ, ასევე, შეუძლიათ ევროპარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის მიღება. თუ ისინი შესაბამის უცხო

ქვეყანაში გრძელვადიანი რეზიდენტები არიან, მათ, ასევე, ხელი მიუწვდებათ სოციალური უფლებებისა და შეღავათების პაკეტიზე.

როგორ შეიძლება აიხსნას მოქალაქეობის მნიშვნელობის თანდათანობითი შემცირება? ი. სოისალის მიხედვით, მოქალაქესა და არამოქალაქეს უფლებებს შორის სხვაობის შემცირება გამოწვეულია ადამიანის პოსტნაციონალური უფლებების ნორმების ზეგავლენით. საერთაშორისო და რეგიონული ხელშეკრულებები, რომლებზეც ხელი მოაწერეს დასავლეთის ქვეყნებმა, დიდი ძალის მქონე აღმოჩნდა წამყვანი სახელმწიფოების სასამართლოებში, სამოქალაქო საზოგადოებაში და, საბოლოოდ, მთავრობაში, რასაც შედეგად მოჰყვა არამოქალაქეების უფლებების განვრცობა. სოისალის მიხედვით, პიროვნება (და არა წევრობა) წარმოადგენს უფლებათა მინიჭების და დაცვის წყაროს მრავალ თანამედროვე ევროპულ სახელმწიფოში. ჩვენს ეპოქას იგი „პოსტ-ნაციონალური მოქალაქეობის“ ეპოქას უწოდებს. ამ მოვლენების შედარებით „რბილი“ ინტერპრეტაცია მოცემულია ისეთი მეცნიერების ნაშრომებში, როგორებიც არიან ქრისტიან იოპკე (142) და რენდელ ჰენსენი (115).

იოპკე და ჰენსენი აღიარებენ, რომ დასავლეთის ქვეყნებში მოხდა უფლებრივი სხვაობის შემცირება მოქალაქეებსა და არამოქალაქეებს შორის. ამ მოვლენას ისინი საშინაო ფაქტორებით, „შინაგანი ლიბერალიზმის“ ძალით ხსნიან. დასავლეთის სახელმწიფოების შიდა ლიბერალურმა ლოგიკამ, რომელიც მანიფესტირებულია სამოქალაქო საზოგადოების, კონსტიტუციის და მუნიციპალური სასამართლოების მეშვეობით, გამოიწვია არამოქალაქეების უფლებების განვრცობა. საერთაშორისო სამართალი და ხელშეკრულებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს უფლებათა განვრცობაზე, თუმცა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ხდება მათი ჩართვა მუნიციპალურ სამართალში.

იოპკესა და ჰენსენის აზრით, მოძრაობა არამოქალაქეთა უფლებებისაკენ არ იწვევს სუვერენული სახელმწიფოს მნიშვნელობის დაკნინებას. კიდევ უფრო ნაკლებად მოასწავებს ეს მოქალაქეობის დასასრულს. აღნიშნული პროცესი, არსებითად, წარმოადგენს ლიბერალურ სახელმწიფოებში ძალაუფლების შიდა გადანაცვლების პროდუქტს უცხოელების უფლებების აღმასრულებელი კონტროლიდან აქტიურ სასამართლო საქმიანობაზე და კონსტიტუციურ შეზღუდვებზე (94).

მოქალაქეთა და არამოქალაქეთა უფლებებს შორის სხვაობის შემცირება მნიშვნელოვანი მოვლენაა მაშინაც კი, თუ ის, უმეტესწილად, შემოფარგლულია ევროპით, ჩრდილოეთ ამერიკით და ავსტრალაზიით. თუმცა, მისი მნიშვნელობა არ უნდა იქნეს გადაჭარბებული. მხოლოდ იმიგრანტებისთვის (არამოქალაქეებისთვის) მინიჭებული ფორმალური ლეგალური უფლებების, ან ლეგიტიმაციის დისკურსის ანალიზმა, შესაძლოა, მცდარი წარმოდგენა შეგვექმნას მათი ყოველდღიური ცხოვრების შესახებ (248).

რასიზმმა, ეკონომიკურმა უთანასწორობამ და სოციალურმა სეგრეგაციამ, შესაძლოა, ბევრი ნომინალურად არსებული უფლება (თვით სახელმწიფოს სრული ოფიციალური წევრობის მფლობელი მოქალაქეების უფლებებიც), პრაქტიკულად, უმნიშვნელო გახადოს. ამ სოციალური რეალობის შედეგი, შესაძლოა, უფრო მძიმე იყოს არამოქალაქე რეზიდენტებისთვის, ვინაიდან, იმ გარემოებამ, რომ მათ სტატუსი არ გააჩნიათ, შეიძლება იმოქმედოს, როგორც კატალიზატორმა და მათ მიმართ არაკეთილმოსურნე, უსამართლო და დისკრიმინაციული ქცევები აღძრას.

გარდა ამისა, მაშინაც კი, როდესაც ის პრივილეგიები, რომლებიც ადრე მხოლოდ მოქალაქეებისთვის იყო ხელმისაწვდომი, ამჟამად ლეგალურად ხელმისაწვდომია ზოგიერთ ქვეყანაში მყოფი მუდმივი რეზიდენტებისთვის (როგორც აშშ-ში „მწვანე ბარათის“ მფლობელებისთვის, ან გაერთიანებულ სამეფოში ცხოვრების განუსაზღვრელი ვადით დარჩენილთათვის), მოქალაქეობასთან დაკავშირებული ორი სიკეთე, რასაც მ. ჯ. გიბნი ხმის მიცემას და უსაფრთხოებას უწოდებს, ჩვეულებრივ, მუდმივი რეზიდენტებისათვის მხოლოდ გართულებული პირობებითაა ხელმისაწვდომი (94).

ხმის მიცემა (198) მოიცავს საჯარო ფორუმებზე აზრის გამოთქმას მთავრობის მიერ ძალაუფლების გამოყენების, ან მისი ბოროტად გამოყენების, ასევე, საზოგადოების მართვის შესახებ და მონაწილეობის მიღებას (ან არჩევას) პოლიტიკურ ორგანიზაციებში, რომლებიც განსაზღვრავს საზოგადოების მიმართულებასა და სამთავრობო პოლიტიკას. ამრიგად, მოქალაქეობის აუცილებელ პირობად განიხილება ძირითად უფლებებში ჩართულობა. ძირითადი უფლებები დაკავშირებულია „ხმის მიცემასთან, არჩევასა და სამთავრობო სამსახურებში დანიშვნასთან; ასევე, სხვადასხვა კომისიებში მონაწილეობასა და,

ზოგადად, დებატებში მონაწილეობის მიღებასთან საზოგადოების სხვა თანასწორი წევრების მსგავსად“.

ხმის მიცემის უფლების საპირისპიროდ, უსაფრთხოების სიკეთე, ჩვეულებრივ, ხელმისაწვდომია მოქალაქეებისთვის შედარებით ღირბ, არადემოკრატიულ საზოგადოებებშიც კი. ეს სიკეთე ნათლად ჩანს ფაქტში, რომ მოქალაქეობის ფლობა ნიშნავს სახელმწიფოში უსაფრთხოდ ცხოვრების უფლებას. არამოქალაქეებისგან განსხვავებით, არ შეიძლება მოქალაქეების დეპორტაცია ან გაძევება, რაც საკმაოდ ზრდის მათ მიერ სახელმწიფოში არსებული სხვა სიკეთეების წვდომის შესაძლებლობას (96; 100). უფრო მეტიც, მათ შეუძლიათ, საკუთარი სურვილისამებრ დატოვონ სახელმწიფო და ისევ დაბრუნდნენ სამშობლოში. გარდა ამისა, საზღვარგარეთ ყოფნისას მათ აქვთ საკონსულო დაცვის უფლება.

დაბოლოს, მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ ამ ცვლილებებს არათანაბარი გავლენა ჰქონდა არამოქალაქეებზე, თვით განვითარებულ ლიბერალურ დემოკრატიულ სახელმწიფოებშიც. უფლებათა „შიდა წრეში“ ჩართულები იყვნენ, ძირითადად, მუდმივი რეზიდენტები, ან მწვანე ბარათის მფლობელები, ან ხანგრძლივი დროით რეზიდენტები და მათი შთამომავლობა (როგორებიც არიან ყოფილი თურქი უცხოელი მუშები გერმანიაში).

იმავე დროს, როდესაც ეს ჯგუფები ჩართული იყვნენ მოქალაქეთა მსგავს უფლებებში, დასავლეთის ქვეყნებში გაიზარდა არამოქალაქეთა სხვა ჯგუფების (უკანონო მიგრანტები, თავშესაფრის მაძიებლები) დაკავებისა და დეპორტაციის შემთხვევები (94). მაშინ, როდესაც მრავალი არამოქალაქე ნამდვილად სარგებლობს მეტი უსაფრთხოებით და მეტი უფლებები აქვს მინიჭებული, მრავალი სხვა არა-მოქალაქისთვის დეპორტაცია და დაკავება მუდმივად არსებულ რეალობას წარმოადგენს, რაც მათ იმ მცირედის (მომავლის იმედების ჩათვლით) დაკარგვით ემუქრება, რაც, შესაძლოა, მასპინძელ ქვეყანაში ცხოვრებით მიეღოთ.

ევროკავშირში მყოფი განვითარებადი ქვეყნების მოქალაქეების პირობები, რომელთა წარმოშობის ქვეყნები არ ეკუთვნის ევროკავშირს, რა თქმა უნდა, განსხვავებულია. მაშინ, როდესაც ევროკავშირის მოქალაქეობა საშუალებას აძლევს ევროკავშირის ყველა მოქალაქეს, ხმა მისცენ და კენჭი იყარონ და

დაიკავონ თანამდებობები ადგილობრივ და ევროკავშირის მასშტაბის არჩევნებში, განვითარებადი ქვეყნების მოქალაქეებს ამის უფლება არა აქვთ.

მათთვის პოლიტიკური უფლებების მინიჭება დაკავშირებული რჩება მათ ეროვნულ და კულტურულ წარმოშობასთან. და მაინც, ამ მხრივ, ევროკავშირში გარკვეული ცვლილებებია: დანიაში, შვედეთში, ფინეთში და ნიდერლანდებში განვითარებადი ქვეყნების მოქალაქეებს უფლება აქვთ, მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივ და რეგიონულ არჩევნებში; ირლანდიაში ეს უფლებები მინიჭებულია ადგილობრივ, მაგრამ არა რეგიონალურ დონეზე. გაერთიანებულ სამეფოში, თანამეგობრობის მოქალაქეებს ეროვნულ არჩევნებში ხმის მიცემის უფლებაც აქვთ.

უმნიშვნელოვანესი დასკვნა, რომელიც გამომდინარეობს ამ მოვლენებიდან, არის ის, რომ უფლებების მინიჭება უკვე აღარაა დამოკიდებული მოქალაქეობის სტატუსზე. ლეგალური რეზიდენტი უცხოელები ჩართულები არიან სამოქალაქო და სოციალური უფლებების რეჟიმებში და დაცული არიან ზე- და სუბ-ნაციონალური კანონმდებლობებით. დოკუმენტების არმქონე უცხოელების, ასევე, ლტოლვილების და თავშესაფრის მაძიებლების პირობები ბუნდოვანი რჩება და ისინი ლეგალურობასა და არალეგალურობას შორისაა მოქცეული. მათი განაცხადების დაკმაყოფილებამდე, ლტოლვილებსა და თავშესაფრის მაძიებლებს არა აქვთ ადგილსამყოფელის თავისუფალი არჩევისა და მუშაობის უფლება.

სამი თვის შემდეგ მუშაობის დაწყების უფლების მინიჭების შესახებ გადაწყვეტილება მათთვის, ვისი განაცხადებაც ჯერ კიდევ დამუშავების პროცესშია, დამტკიცებულია ევროპის კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ. ზოგიერთ შემთხვევაში, ლტოლვილების და თავშესაფრის მაძიებლების შვილებს შეუძლიათ ადგილობრივ სკოლაში სიარული და განათლების მიღება. მთლიანობაში, ლტოლვილებს აქვთ უფლება, ისარგებლონ სამედიცინო დახმარების გარკვეული ფორმებით. ამის საპირისპიროდ, დოკუმენტების არმქონე მიგრანტები, პირიქით, მოკლებული არიან უფლებებს და, უმეტესად, მალულად ცხოვრობენ და მუშაობენ.

სუვერენიტეტსა და სტუმართმოყვარეობას შორის კონფლიქტის ინტენსივობა შემცირდა, მაგრამ ის საბოლოოდ აღმოფხვრილი არაა. ფაქტობრივად, ევროკავშირი იმყოფება საწინააღმდეგო დინებებს შორის, რომლებიც უბიძგებს

მას კოსმოპოლიტური სამართლის ნორმების მისაღებად იმ პირების მიმართ, რომლებიც მის საზღვრებს შიგნით იმყოფებიან. ამავე დროს, ევროკავშირი მოქმედებს შეუზღუდავი სუვერენობის ვესტფალიური და ნაციონალისტური კონცეფციების (რომლებიც უკვე მოძველდა) შესაბამისად იმ პირების მიმართ, რომლებიც მის საზღვრებს მიღმა იმყოფებიან. ქვეყნის შიგნით მყოფის, მოქალაქისა და გარეშე პირის, უცხოელის სტატუსების გარკვევასთან დაკავშირებულმა დისკუსიებმა მეტად მწვავე სახე მიიღო (14).

### **თავი III**

#### **დემოკრატიული სუვერენობა**

ლიბერალური პარადოქსის ჩამოყალიბების შემდეგ უნდა განვიხილოთ განსხვავებული თეორიები მის შესახებ, რათა დადგინდეს: (1) წარმოადგენს თუ არა ლიბერალური პარადოქსი პოლიტიკური რეალობის სწორ აღწერას; და (2) უკავია თუ არა უფლებათა ორი სისტემიდან (მოქალაქეთა და უცხოელთა უფლებები) ერთ-ერთს დომინანტური პოზიცია. ქვემოთ გაანალიზებულია შემდეგი თეორიული პერსპექტივები: დემოკრატიული სუვერენობის პერსპექტივა, ლიბერალური პოზიცია, ბუნებითი სამართლის თეორია და სახელმწიფო უშიშროების მიდგომა.

#### **3.1 სუვერენობა, როგორც პოლიტიკური კონცეფცია**

„შეზღუდვის პოლიტიკა“ გაერთიანებულ სამეფოში სუვერენიტეტის განხორციელებიდან მომდინარეობს. სუვერენიტეტი, პირველ რიგში, პოლიტიკური კონცეფციაა. ლიბერალურ დემოკრატიაში ის განისაზღვრება, როგორც თვითგარკვევა და ავტონომია (209, 1), როდესაც მოქალაქეები „ქვეყნის ჭეშმარიტი

სუვერენები არიან [...] და არავინ ჰყავთ სამართავი საკუთარი თავის გარდა“ (*Chisholm Exp v. Georgia*).<sup>11</sup> სუვერენიტეტი ეფუძნება დემოკრატიულ მმართველობას, როდესაც მოქალაქეებს შეუძლიათ საკუთარი უფლებების განხორციელება ქვეყნის სახელმწიფო მმართველობის წევრების არჩევით.

ეს ფუნქცია განსაზღვრავს ურთიერთდამოკიდებულებას მოქალაქის უფლებებსა და უცხოელის უფლებებს შორის დემოკრატიულ სახელმწიფოში (169, 816). თუმცა, ადამიანის უფლებების განვითარებას მნიშვნელოვანი ირიბი შედეგი ჰქონდა თავშესაფრის მაძიებლებისთვის, რადგან ის ემსახურებოდა მათ დაცვას პირდაპირი დემოკრატიული კონტროლისაგან განცალკევებული წესით. ამრიგად, წარმოიშვა დაბაბუღობა, ერთი მხრივ, სუვერენიტეტსა და, მეორე მხრივ, უცხოელების უფლებებს შორის.

ამ ქვეთავში წამოყენებულია მ. ჯ. გიბნის საპირისპირო არგუმენტები. გიბნი ამტკიცებს, რომ თავშესაფართან დაკავშირებული ლიბერალური პარადოქსი ასახავს სახელმწიფოების დემოკრატიულ და ლიბერალურ ფასეულობებს შორის არსებულ უფრო ღრმა წინააღმდეგობას. როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, დემოკრატია და ადამიანის უფლებები გამოხატავს შინაგან დაპირისპირებას სუვერენობასა და ლიბერალიზმს შორის თავშესაფრის კონტექსტში. თუმცა, ჩემი აზრით, ეს ორი თეორია ერთმანეთს კი არ უპირისპირდება, არამედ ერთმანეთს ავსებს უცხოელების უფლებების თვალსაზრისით. დემოკრატია, პირველ რიგში, უნდა განისაზღვროს მისი „მარეგულირებელი იდეალების“ (სახალხო კონტროლი და პოლიტიკური თანასწორობა) თვალსაზრისით და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა განესაზღვროთ ის მისი პოლიტიკური ინსტიტუტების (უმრავლესობის მმართველობა) თვალსაზრისით.<sup>12</sup>

ასეთი განსაზღვრების შემდეგ ნაჩვენები იქნება, რომ პოლიტიკური ინსტიტუტების (განსაკუთრებით, უმრავლესობის მმართველობის) დემოკრატიული ხასიათი მომდინარეობს მათი უნარიდან, განავითარონ დემოკრატიის მარეგულირებელი იდეალები და ეს ინსტიტუტები აღარ არის დემოკრატიული მას შემდეგ, რაც დაიწყება საფრთხის შექმნა ამ იდეალებისთვის. სახელმწიფოს საქმიანობის

11 *Chisholm Exp V. Georgia*, 2 Dale 419, 454; 1 L Ed 440

12 თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ აქ მოყვანილი განსაზღვრება ეფუძნება მხოლოდ დ. ბითემის ავტორიტეტს და დისკუსიის საგანს წარმოადგენს (იხ. 120,78).

სასამართლო შეზღუდვა არ უთხრის ძირს მის სუვერენიტეტს, არამედ არის მისი დემოკრატიული არსებობის უმნიშვნელოვანესი ელემენტი, რის მაგალითსაც წარმოადგენს ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული ბოლო დროის სასამართლო საქმეები. ამ საკითხის ძირითად პრობლემას ის წარმოადგენს, რომ თანასწორი საბაზო უფლებებით სარგებლობა ქმნის საფუძველს დემოკრატიისთვის და, აქედან გამომდინარე, არ შეიძლება იყოს არადემოკრატიული ამ უფლებების სამართლებრივი დაცვა უმრავლესობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების დამოუკიდებლად.

გასული ათწლეულის განმავლობაში ადამიანის უფლებებსა და დემოკრატიას შორის სტრუქტურული და ინსტიტუციური დაახლოების მოწმენი ვიყავით (18; 179; 91, 181; 109). ეს ორი დოქტრინა არ უნდა მოექცეს ერთ კატეგორიაში და არც მთლიანად უნდა განცალკევდეს ერთმანეთისაგან. მათი განხილვა უნდა მოხდეს, როგორც ურთიერთდამოკიდებულებაში არსებულის და ერთმანეთის გამაძლიერებლის, ანუ *დიალექტიკურ ურთიერთდამოკიდებულებაში* (109, 16). დემოკრატია მხოლოდ იმ პოლიტიკურ ჩარჩოს როდი უზრუნველყოფს, რომლის შიგნითაც შეიძლება გარანტირებული იყოს ადამიანის უფლებები. დემოკრატია და ადამიანის უფლებებს შორის ძირითადი კავშირი მოცემულია ადამიანის უფლებების მსოფლიო დეკლარაციის 21-ე და სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო შეთანხმების (ICCPR) 25-ე მუხლებში, რომლებიც იცავს პოლიტიკური მონაწილეობის უფლებას და განსაზღვრავს დემოკრატია, როგორც ადამიანის უნივერსალურ უფლებას.

ასევე, ადამიანის უფლებების კომისიამ (HRC) თავის რეზოლუციაში 1999/57 გააკეთა დამატებითი აქცენტი დემოკრატიულ და ადამიანის უფლებებს შორის სინთეზზე. ეს რეზოლუცია მხარს უჭერს აზრს, რომ „ადამიანის ყველა უფლების რეალიზაცია [...] აუცილებელია ადამიანის ღირსებისთვის და ადამიანის პოტენციალის სრული განვითარებისთვის და ასევე შემადგენელი ნაწილია დემოკრატიული საზოგადოებისა.“<sup>13</sup> „არსებითი დემოკრატის“, „მომცველი დემოკრატის“ (*inclusive democracy*) და „ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული დემოკრატია“ კონცეფციები მხარს უჭერს ორი დოქტრინის სინთეზს. ამჯერად საჭიროა ამ სინთეზის ზუსტი ფორმისა და ხასიათის ანალიზი.

---

13 HRC, რეზ. E/CN.4./1999/57 მიღებულია 1999 წლის 27 აპრილს.



არსებობს დემოკრატიის მრავალი კონცეპტუალური ვარიანტი: პოლიტიკურმა ანალიტიკოსებმა წინ წამოწიეს სხვადასხვა კატეგორიების ერთობლიობა, რომელიც მოიცავს „ნახევრად დემოკრატია“, „ფორმალურ დემოკრატია“, „ფასადის დემოკრატია“ და „ფსევდოდემოკრატია“, რაც ამჟამად თეორიულ „რუხ ზონას“ შეადგენს (181, 4).

თუმცა, მიუხედავად პერიფერიული ნაწილების შეუთანხმებლობისა, ამ დოქტრინის ბირთვი ნათლადაა განსაზღვრული. დემოკრატია განსაზღვრულია ძირითადი წამყვანი პრინციპებით და ინსტიტუტების და პრაქტიკების ერთობლიობით, რომელთა მეშვეობითაც ხდება ამ პრინციპების რეალიზაცია.<sup>14</sup> მისი არქიმედეს წერტილი, ადამიანის უფლებების პარალელურად, არის თითოეული ადამიანის ღირსება. თუმცა, დემოკრატია სპეციფიკური ფოკუსი ახასიათებს. ესაა სახალხო კონტროლი და პოლიტიკური თანასწორობა, „როდესაც მოქალაქეებს უფლება აქვთ, აკონტროლონ გავლენა უმრავლესობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე.

ეს უფლება, ასევე, მოიცავს იმ გარემოებასაც, რომ ასეთი გადაწყვეტილებების კონტექსტში მათ თანასწორი პატივისცემით უნდა მოექცნენ“ (18). ეს კონცეფციები მჭევრმეტყველურად იყო გამოთქმული პერიკლეს მიერ: „ჩვენს წყობას დემოკრატია ეწოდება, ვინაიდან ძალაუფლება არა უმცირესობის ხელშია, არამედ მთელ ხალხს ეკუთვნის. ყველა თანასწორია კანონის წინაშე [...] ჩვენ ვემორჩილებით კანონებს, განსაკუთრებით ისეთებს, რომლებიც დაჩაგრულების დაცვას ითვალისწინებს“<sup>15</sup> (214, 117-9).

ამ საკითხის დედააზრი ისაა, რომ დემოკრატია, პირველ რიგში უნდა განისაზღვრებოდეს ამ „მარეგულირებელი იდეალების“ თვალსაზრისით, და მხოლოდ შემდეგ – მისი პოლიტიკური ინსტიტუტების თვალსაზრისით. მხოლოდ ინსტიტუციური თვალსაზრისით დემოკრატიის განსაზღვრა ნიშნავს

---

14 რ. დალი დემოკრატია განსაზღვრავს, როგორც „დიდ შეჯიბრს ძალაუფლებისთვის ჩვეულებრივი, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების მეშვეობით. ყოველსმომცველი მოქალაქეობა, რომელიც, პრაქტიკულად, ყველა ზრდასრულ ადამიანს არჩევნებში მონაწილეობის უფლებას აძლევს და რომელიც უზრუნველყოფს ფართო პოლიტიკურ თავისუფლებებს ინფორმაციისა და ორგანიზაციების პლურალიზმის არსებობისათვის“, დემოკრატიის მინიმალურ კრიტერიუმს წარმოადგენს (1971:20).

15 რა თქმა უნდა, არ შეიძლება პარალელის გავლება შენიშვნის გარეშე. კერძოდ, თანამედროვე და ძველბერძნული დემოკრატიების რიტორიკის მსგავსების მიუხედავად, ხალხის შემადგენლობა ამ უკანასკნელ სახელმწიფოში რადიკალურად განსხვავებული იყო; მაგალითად, ქალები და მონები არ ითვლებოდნენ მოქალაქეებად.

„საშუალებების უზრუნველყოფას საზოგადოების ყველა ფენაში და კონცენტრირებას ფორმაზე, არსის ნაცვლად“ (18, 3). რაც ქმნის ინსტიტუციურ დემოკრატიას, არ არის მისი, როგორც ასეთის, კონვენციური აღიარება, არამედ წვლილი, რომელიც მას შეაქვს დემოკრატიის ძირითადი პრინციპების ჩამოყალიბებაში.

დემოკრატიის განხილვა, როგორც პროცედურებზე დაფუძნებული სისტემის, და არა იდეებზე დაფუძნებული დოქტრინისა, კრიტიკული თვალთახედვის უარყოფას მოასწავებს, რომლის საფიქველზეც ინსტიტუციური მოწყობის განსაზღვრა შეიძლება, როგორც მეტად ან ნაკლებად დემოკრატიულის (179). ამ ლოგიკით, გაერთიანებული სამეფოს აღიარება, როგორც დემოკრატიისა, ნიშნავს, რომ რა ინსტიტუტებიც არ უნდა ჰქონდეს მას და რა პოლიტიკასაც არ უნდა მისდევდეს ეს სახელმწიფო, ის დემოკრატიული იქნება. ეს კი არ არის სწორი. დემოკრატია არ წარმოადგენს აბსოლუტურ ცნებას, არამედ არის ხარისხის საკითხი (18, 15) და სახელმწიფოს ქმედებების ობიექტური შეფასებისთვის აუცილებელია გარკვეულ პრინციპებზე დაფუძნებული მიდგომა.

იმისთვის, რომ ეს პრინციპები ეფექტური იყოს, ერთი მხრივ, საბაზო დემოკრატიული პრინციპების რეალიზაცია მოითხოვს ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დაცვას, ხოლო მეორე მხრივ, ეს საჭიროებს პოლიტიკური ინსტიტუტების გარკვეულ ერთობლიობას (არჩევნები, პარტიები, დამოუკიდებელი სასამართლო სისტემა, პარლამენტი და ა. შ.). ამ ინსტიტუტების დემოკრატიული ხასიათი არ მომდინარეობს იმ სახელმწიფოს დემოკრატიული სტატუსიდან, სადაც ხდება მათი განხორციელება, არამედ მათი პრაგმატული საჭიროების ისტორიული მტკიცებულებიდან გამომდინარე „მუდმივი სახალხო კონტროლის და ხალხისადმი მთავრობის ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფიდან“ (18, 6). მაჟორიტარული მოდუს ოპერანდი (უმრავლესობის წესი) საზოგადოების ინტერესების დასაცავად ლიბერალურ დემოკრატიაში ამ კვლევის განსაკუთრებული ინტერესის საგანია. სახალხო კონტროლის კონცეფცია მუშაობს, როგორც თეორიული საფუძველი, რომელზეც გიბნიმ დააფუძნა არგუმენტი იმის შესახებ, რომ საზოგადოების მოთხოვნა თავშესაფართან დაკავშირებული პოლიტიკის შეზღუდვისა, დემოკრატიულია, ვინაიდან ეს წარმოადგენს უმრავლესობის ნების გამოხატულებას.

თუმცა, კონვენციური ხედვის მიუხედავად, უმრავლესობის წესი არ წარმოადგენს დემოკრატიის საბაზო პრინციპს. ის „ადგილით მეორე საუკეთესო პროცედურული ხელსაწყოა უთანხმოებების გადასაწყვეტად, როდესაც სხვა მეთოდები ამოწურულია“ (17). ხმების სათითაოდ დათვლის მაქორიტარული პროცედურა მომდინარეობს პოლიტიკური თანასწორობის ცნებიდან, სადაც „ყველა დაითვლება, როგორც ერთი, და არც ერთი არ დაითვლება ერთზე მეტად“.

მაგრამ ეს პროცედურა არადემოკრატიული ხდება, როდესაც კი საფრთხეს შეუქმნის პოლიტიკური თანასწორობის პრინციპს. ბრიტანული პრობლემა თავშესაფართან დაკავშირებით ამ ცნებაზე მკვეთრ ფოკუსირებას ახდენს: როდესაც ბრიტანელი ხალხი ხმას აძლევს საზღვრების დახურვის სასარგებლოდ და ამით, შესაძლოა, იწვევს უცხოელების უფლებების დარღვევას, ის აშკარად დემოკრატიულ საშუალებას იყენებს ფაქტობრივად არადემოკრატიული შედეგის მისაღებად. უმრავლესობის წესი ძალაშია მხოლოდ მანამდე, სანამ ის ახორციელებს და არ არღვევს პოლიტიკური თანასწორობის პრინციპს.

სახალხო კონტროლის კონცეფციის შემდეგ ფოკუსირება უნდა მოვახდინოთ პოლიტიკური თანასწორობის ცნებაზე, რომელიც სახალხო კონტროლს ეფექტურ მნიშვნელობას ანიჭებს და მისი ქმედების არეს შემოსაზღვრავს. ადამიანის უფლებები ქმნის კანონის რეჟიმს, რომლის უფლებამოსილება მომდინარეობს კანონის უზენაესობის პრინციპიდან და არა პიროვნებებისგან (და მოსამართლეების გამოცდილებისა და მიუკერძოებლობიდან). დემოკრატია, მეორე მხრივ, მუშაობს პოლიტიკის სფეროში, სადაც მისი უფლებამოსილება გამომდინარეობს მოქალაქეებისგან და რჩება მათ მიმართ ანგარიშვალდებული.

ლეგიტიმურობის ეს კონკურენტული კონცეფციები, შესაძლოა, წინააღმდეგობაში მოვიდეს, როდესაც სასამართლო შეზღუდავს სახელმწიფო პოლიტიკას ადამიანის უფლებების საფუძველზე. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ეს დაძაბულობა ასახავს ამ ორი დოქტრინის ურთიერთობას. კანონის უზენაესობის პრინციპი დემოკრატიულ საზოგადოებაში ყოველთვის წინაპირობას და ადამიანის უფლებების დაცვის მთავარ საშუალებას წარმოადგენდა (180, 19) ამ პრინციპის სამუშაო პრაქტიკა უშვებს სასამართლო მმართველობის აღმასრულებელი და საკანონმდებლო მიმართულებიდან გამოყოფას (160; 67).

კანონის უზენაესობის პრინციპი პირველად ინგლისში შემუშავდა, როგორც ადამიანების და მათი ქონების დაცვის საშუალება „უმრავლესობის ტირანიისგან“ (230), როგორც დემოკრატიული პროცედურის საპირწონე (*habeas corpus*)<sup>16</sup>. მედისონის თანახმად, „დემოკრატიები ყოველთვის წარმოადგენდა არეულობისა და შეუთანხმებლობის სანახაობას და ყოველთვის შეუთავსებლად ითვლებოდა პირად უსაფრთხოებასთან, ან საკუთრების უფლებებთან“<sup>17</sup> (181, 12). მონტესკიე, „ჰორიზონტალური ანგარიშგაღებულების“ კონცეფციაში ორიგინალურად განჭვრეტდა დემოკრატიულ მოდელს, სადაც სასამართლო, აღსრულება და კანონმდებლობა ახერხებს, ერთმანეთის შეზღუდვასა და გაწონასწორებას, რათა უზრუნველყოს სახელმწიფო ქმედებების კანონიერება<sup>18</sup> (156, 68-9).

ამის მსგავსად, ალექსის დე ტოკვილი ხაზს უსვამდა სასამართლოების, როგორც დემოკრატიისაგან გადახრების გამსწორებელ როლზე, (215). ადამიანის უფლებებთან ეს კავშირი დადასტურებულია ICCPR-ის მე-14-ე (1) და ECHR-ის მე-6-ე მუხლებში (*inter alia*, სახალხო მოსმენის უფლება დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ტრიბუნალის მიერ კანონითაა დადგენილი) და HRC-ის 2000/47-ე და 2002/46-ე რეზოლუციებში, რომელთა თანახმად „[...] დემოკრატიის არსებითი ელემენტები მოიცავს [...] ძალაუფლების გაყოფას [და] სასამართლოს დამოუკიდებლობას“ (91, 6).

---

16 სამართლებრივი აქტი, მიღებული ინგლისში 1679 წ. კანონი განსაზღვრავდა დაპატიმრებულთა სასამართლოში წარდგენის წესებს. ამჟამად *habeas corpus* წარმოადგენს პროცედურას, რომლითაც დაკავებულს შეუძლია დააყენოს სასწრაფო შუამდგომლობა მისი პატიმრობიდან გათავისუფლების თაობაზე, იმის საფუძველზე, რომ მისი დაკავება უკანონოა. ამ შუამდგომლობის განმხილველი სასამართლო არ მოქმედებს როგორც სააკელაციო სასამართლო, რომელიც იხილავს შუამდგომლობას არსებითად, ის შემოიფარგლება დაკავების კანონიერების შემოწმებით. შემოწმება მოიცავს კანონმდებლობის ტექნიკურ მოთხოვნილებებთან შესაბამისობასა და შეიძლება გავრცელდეს, მათ შორის, იმ ეჭვის საფუძველიანობის დადგენაზე, რომელსაც ეფუძნება დაკავება (იხ. სესიაშვილი, ირაკლი (რედ.) 'თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლება' / [თარგმ.: გიორგი კუკულავა, ზვიად მირგატი, გიორგი ჯოხაძე; რედ.: ირაკლი სესიაშვილი, ავთანდილ სვანიძე] - თბ.: საია, 2003).

17 ასევე იხ - ჰამილტონი ალექსანდრე, მედისონი ჯეიმს, ჯეი ჯონ, ფედერალისტური წერილები: ალექსანდრე ჰამილტონი, ჯეიმს მედისონი, ჯონ ჯეი - *The Federalist Papers: Alexander Hamilton, James Madison, John Jay*: [ინგლისურიდან თარგმნა გიორგი ბარამიძემ ; რედ.: გიორგი ბარამიძე, მიხეილ გოგატიშვილი, ლანსელოტ ფლეტჩერი] - თბ. : გრიგოლ რობაქიძის სახ. უნ-ტის გამ-ბა, 2005 - 157გვ.; 20სმ.

18 მონტესკიე შარლ, 'კანონთა გონი' / ფრანგ. თარგმნა დ. ლაბუჩიძემ; [შესავ. წერილი ნ. ნათაძის; რედ.: რ. ფეიქრიშვილი] - თბ.: Cippd, 1994

სახელმწიფოს საქმიანობის სასამართლო შეზღუდვა არ უთხრის ძირს მის სუვერენიტეტს, არამედ არის მისი დემოკრატიული არსებობის უმნიშვნელოვანესი ელემენტი. დამოუკიდებელი სასამართლო არის დემოკრატიული სახელმწიფოს შემადგენელი ნაწილი, რაც უზრუნველყოფს ჩარჩოს ძირითადი უფლებების უზრუნველსაყოფად. გაერთიანებული სამეფოს შიდა კანონპროექტები, ისევე, როგორც საერთაშორისო ხელშეკრულებები შეზღუდვის საშუალებას იძლევა გარკვეულ გარემოებებში. უფრო მეტიც, მთელი ეროვნული კანონმდებლობა და საერთაშორისო ხელშეკრულებების წვდომა იყო მწვავე დისკუსიის, საგულდაგულო განხილვის, საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ ხელმოწერისა და სახალხო რეფერენდუმის საგანი.

აქედან გამომდინარე, სახელმწიფოს ადმინისტრაციის არჩევანის უფლების ნებისმიერი შემდგომი შეზღუდვა უნდა განიხილებოდეს, როგორც *დემოკრატიის თვითშეზღუდვის* ფორმა, როდესაც ადამიანის უფლებების დაცვა არის „ლიბერალური დემოკრატიების ძირითადი პრინციპი და არა გარედან მიღებული“ (144, 110).

ეროვნული და საერთაშორისო ტრიბუნალები იყენებენ ლიბერალურ ჩარჩოს სახელმწიფოს პოლიტიკის დემოკრატიული „გონივრულობის“ ხარისხის შესამოწმებლად და განიხილავენ მის მისაღებობას მიუკერძოებელი (ადამიანის უფლებების) კრიტერიუმების მეშვეობით. ეს კრიტერიუმები შემუშავებული იყო დემოკრატიული მიზნების შესანარჩუნებლად და მიღებული იყო დემოკრატიული საშუალებებით. ამრიგად, (განსაკუთრებით, თავშესაფრის შემთხვევაში) შეიძლება ითქვას, რომ მოსამართლეები ხალხის ჩამოყალიბებულ ნებას ანხორციელებენ, მიუხედავად მიგრანტების საწინააღმდეგოდ დროებით გაჩენილი სახალხო მღელვარებისა ან წინარე განსჯებისა“ (19, 12).

ამ საკითხის წინ წამოწევა მოხდა ევროპის სასამართლოზე საქმით „რეფა ფართიზი თურქეთის წინააღმდეგ“,<sup>19</sup> სადაც გასათვალისწინებელი იყო ურთიერთდამოკიდებულება დემოკრატიასა და ადამიანის უფლებებს შორის.<sup>20</sup>

19 *Refah Partisi, Erbakan, Kazan and Tekdal v. Turkey*, European Court of Human Rights [31.07.2001] No.41340/98 & 41342-4/98.

20 რეფა ფართიზი (კეთილდღეობის პარტია, შემდგომ *‘RP’*) იყო პოლიტიკური პარტია, რომელიც 1983 წლის 19 ივლისს დაფუძნდა. 1997 წლის 21 მაისს სახელმწიფოს მთავარმა ადვოკატმა საკასაციო სასამართლოში შეიტანა სარჩელი თურქეთის საკონსტიტუციო სასამართლოში *RP*-ს დაშლასთან დაკავშირებით, რომელსაც ბრალს სდებდა იმაში, რომ ეს პარტია გახდა „სეკულარიზმის პრინციპის

თავის ვერდიქტში, მოსამართლეებმა, დაადგინეს, რომ „არ შეიძლება იყოს დემოკრატია იმ სახელმწიფოში, სადაც ხალხი, თუნდაც უმრავლესობის გადაწყვეტილებით, უარს ამბობს თავის საკანონმდებლო და აღმასრულებელ უფლებებზე იმ ჯგუფის სასარგებლოდ, რომელიც არ არის პასუხისმგებელი იმ ხალხზე, ვისაც მართავს“. სასამართლომ ჩათვალა, რომ კონსტიტუციური ცვლილებებისთვის კამპანიის ჩატარებისას, პოლიტიკური პარტია გამოიყენებდა ECHR დაცვას, თუ: (1) ამ დროისთვის გამოყენებული საშუალებები *ყველა თვალსაზრისით კანონიერი და დემოკრატიული* იქნებოდა და (2) თუ შემოთავაზებული ცვლილებები *თავსებადი იქნებოდა ფუნდამენტურ დემოკრატიულ პრინციპებთან*.

ეს დადგენილება გულისხმობს, რომ პოლიტიკური პარტია, მიუხედავად უმრავლესობის მხარდაჭერისა, ვერ განახორციელებს პოლიტიკას, რომელიც არასწორად აბალანსებს დემოკრატიულ და ადამიანის უფლებების ღირებულებებს. თანაბარი საბაზო უფლებებით სარგებლობა ქმნის დემოკრატიის საფუძველს და, აქედან გამომდინარე, „არ შეიძლება არადემოკრატიული იყოს ამ უფლებების იურიდიული დაცვა ისე, რომ ისინი არათავსებადი იყოს უმრავლესობის ნებისმიერი კერძო გადაწყვეტილებისთვის“ (18, 8).

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ: (1) დემოკრატია უნდა განისაზღვროს საბაზო პრინციპების და არა პროცედურების თვალსაზრისით, რაც ხელს უწყობს ამ პრინციპების განვითარებას; (2) პოლიტიკური ინსტიტუტები დემოკრატიულია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ისინი ემსახურება დემოკრატიის ძირითადი კონცეფციების განვითარებას; და (3) მიუკერძოებელი სასამართლო სისტემა, რომელიც დამოუკიდებელია დემოკრატიული კონტროლისგან, წარმოადგენს დემოკრატიის არსებით ელემენტს. ის უზრუნველყოფს დემოკრატიის ძირითადი პრინციპების სამართლიან აღსრულებას.

აღნიშნული დებულებები უჩვენებს, რომ განცხადებები დემოკრატიაზე და ადამიანის უფლებებს შორის (სუვერენიტეტი და უცხოელების უფლებები) წინააღმდეგობის თაობაზე თავშესაფრის კონტექსტში, შეცდომაში შემყვანია. თუ

---

წინააღმდეგ მიმართული საქმიანობის ცენტრი“. 1998 წლის 16 იანვარს საკონსტიტუციო სასამართლომ გამოსცა ბრძანება RP-ს დაშლის შესახებ. აპლიკანტები უჩიოდნენ ადამიანის უფლებების დარღვევას, ECHR-ის მე-9-ე (ფიქრის თავისუფლება), მე-10-ე (გამოხატვის თავისუფლება) და მე-11-ე (შეკრების თავისუფლება) მუხლების ჩათვლით.

დემოკრატიული და ლიბერალური ფასეულობები ამ კონტექსტში ურთიერთშემავსებელია, მაშინ უნდა დავსვათ შეკითხვა ლიბერალური პარადოქსის სიძლიერის შესახებ.

თუ სახელმწიფოს სუვერენიტეტის შეზღუდვის პრაქტიკა, შესწორებული მოქალაქეების დემოკრატიულად გამოთქმული სურვილებით, შეუთავსებელია დემოკრატიათან, მაშინ ასეთი პოლიტიკა დემოკრატიული არ არის. თუ ეს „შეზღუდვის პოლიტიკა“ არადემოკრატიულია, მაშინ ლიბერალურ პარადოქსს ადგილი აქვს არადემოკრატიულ და, აქედან გამომდინარე, არაკანონიერ ბაზაზე.

გაერთიანებული სამეფოს თავშესაფრის დილემა უზრუნველყოფს კომპლექსურ კვლევას სასამართლო პრეცედენტებთან მიმართებაში, დემოკრატია და ადამიანის უფლებებს შორის თავსებადობის, მსგავსებისა და განსხვავების ხარისხის შესახებ. ბრიტანული ვესტმინსტერის მოდელის დემოკრატიით, მისი მაღალცენტრალიზებული სახელმწიფოთი და საარჩევნო სისტემით (სადაც კანდიდატი ხმათა მარტივი უმრავლესობით იმარჯვებს), ასევე, აღმასრულებელ ხელისუფლებაზე კონსტიტუციური შეზღუდვების ნაკლებობით, გაერთიანებულ სამეფოს ყველაზე ნაკლებად შესაფერისი სისტემა აქვს თავშესაფრის მაძიებლების უფლებების დასაცავად.

### 3.2 სუვერენობა, როგორც სამართლებრივი კონცეფცია

„შეზღუდვის პოლიტიკა“ მართლდება იურიდიული (სამართლებრივი) სუვერენიტეტის საფუძველზე. სუვერენიტეტი წარმოადგენს ძირითადად პოლიტიკურ კონცეფციას. ის, ასევე, მოქმედებს, როგორც სამართლებრივი ტერმინი საერთაშორისო კანონმდებლობის სფეროში. აღნიშნული ქვეთავის მეორე ნაწილში დემოკრატიული სუვერენობა განხილულია, როგორც ლეგალური კონცეფცია და გაანალიზებულია დებულება, რომლის თანახმად, სახელმწიფოს აქვს ხელშეუავალი უფლება, აბსოლუტურად გააკონტროლოს უცხოელების შესვლა ქვეყანაში. სახელმწიფოს მიერ საყოველთაო აკრძალვის სუვერენული უფლების კონცეფცია სასარგებლო იყო მუნიციპალური კანონმდებლობის და პოლიტიკის შემზღუდველი დებულებების ფორმირებისთვის და კვლავაც განიხილება, როგორც საერთაშორისო კანონმდებლობის აქსიომა.

ეს კონცეფცია წინააღმდეგობაში მოდის იძულებითი რეპატრაციის უარყოფის პრინციპის მზარდ ზეგავლენასთან. თუმცა, ეს წესი არ ადგენს განსაზღვრულ უფლებას იმ პირებისთვის, რომლებიც ეძებენ თავშესაფარს, რათა შევიდნენ სხვა სახელმწიფოების ტერიტორიაზე. ის მოქმედებს არაპირდაპირი გზით, როგორც ქვეყანაში შესვლის უფლების მინიჭება იმ შემთხვევაში თუ ერთადერთი არჩევანი რომელიც აქვს სახელმწიფოს არის მიღება ან იძულებითი დაბრუნება (244, 202). ამ ნორმის ეს თვისება ეწინააღმდეგება უცხოელების ქვეყანაში მიღებაზე აბსოლუტური კონტროლის სუვერენულ უფლებას და მონაწილეობს ლიბერალური პარადოქსის შექმნაში.

შევეცდები დავამტკიცო, რომ კონფლიქტი სუვერენიტეტის სამართლებრივ კონცეფციას, რომელიც ეხება თავშესაფარს (უცხოელების სრული გაძევების უფლება) და უცხოელის ქვეყანაში შესვლის არაპირდაპირ უფლებას (იძულებითი რეპატრაციის უარყოფა) შორის არ არის იმდენად დამარწმუნებელი, როგორც ნავარაუდევო იყო. პირველ რიგში, განვიხილავ იძულებითი რეპატრაციის პრინციპის სამართლებრივ ასპექტს იმისთვის, რომ ვუჩვენო მისი გავლენა ლიბერალურ დემოკრატიებში და ვუჩვენებ, რომ მან მიაღწია ჩვეულებითი სამართლის სტატუსს.

შემდეგ განხილული იქნება იმ მოსაზრების დაუსაბუთებულობა, რომ სახელმწიფოს აქვს სუვერენული უფლება, გააძევოს ყველა უცხოელი იმ არგუმენტის მოყვანით, რომ სასამართლო ჩანაწერები რომლებსაც ამ თეორიის მხარდამჭერები ეყრდნობიან, არ წარმოადგენს მას როგორც აბსოლუტურ უფლებას, თუმცა კი გაძევების ლეგიტიმური საფუძვლებს ქმნის.

ქვემოთ გავაანალიზებ თეორეტიკოსი იურისტების ნამუშევრებს, რომლებიც ციტირებული იყო როგორც ავტორიტეტები ანგლო-ამერიკულ პრეცედენტულ შემთხვევებში და მივუთითებ მათი არასწორი ინტერპრეტაციის გზებს. შემდგომ განვიხილავ იურიდიული სუვერენიტეტის პრაქტიკის ისტორიულ ელემენტებს და ვუჩვენებ, რომ ყოფილა შემთხვევები ზოგიერთი უცხოელის ქვეყანაში შემგებისა საყოველთაო გაძევების დადასტურებული უფლების მიუხედავად. დასკვნის სახით დავამტკიცებ, რომ სახელმწიფოს არ აქვს უცხოელების შემოსვლის აკრძალვის აბსოლუტური უფლება, არამედ „კვალიფიციური მოვალეობა ზოგიერთი



უცხოელის მიღებისა გარკვეულ გარემოებებში“. ამრიგად, თუ შეზღუდვის პოლიტიკა დაფუძნებულია არასწორად გაგებულ წყაროებზე, თავს იჩენს გარკვეული შეკითხვები მისი, როგორც ლიბერალური პარადოქსის ელემენტის, ლეგიტიმურობასა და ძალაზე.

სიცოცხლის უფლების და წამების აკრძალვის დაცვა, რაც მოცემულია ECHR მე-2-ე და მე-3-ე მუხლებში, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-3-ე და მე-5-ე მუხლებში, ICCPR მუხლებში 6 (1) და 7 და CAT მუხლში 3 (1) ემსახურებოდა *იძულებითი რეპატრაციის უარყოფის* პრინციპის დანერგვას და განვრცობას 1951 წლის კონვენციის შენიშვნითი მუხლის ფარგლებს გარეთ. ლტოლვილებთან დაკავშირებული ამ პრინციპის შერწყმამ ადამიანის უფლებათა უპირობო ვალდებულებებთან აამაღლა ის „ჩვეულებითი კანონის“ სტატუსამდე (217, 10) და ზოგიერთ შემთხვევაში *jus cogens* (საერთაშორისო სამართლის) ნორმამდე (4).

გუდვინ გილის თანახმად, „უადრესად მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ [*იძულებითი რეპატრაციის უარყოფა*] დამავალდებულებელია ყველა სახელმწიფოსთვის კონკრეტული თანხმობისგან დამოუკიდებლად“ (98, 167). გარდა ამისა, ადამიანის უფლებათა ევროპის კომისიამ დაადგინა, რომ: „ზოგადი *საერთაშორისო* სამართლის მიხედვით, სახელმწიფოს აქვს უფლება, თავისი სუვერენიტეტის შესაბამისად, გააკონტროლოს უცხოელების ქვეყანაში შესვლა და ქვეყნიდან გასვლა [...] თუმცა სახელმწიფო, რომელმაც ხელი მოაწერა ECHR-ს და მოახდინა მის რატიფიცირება, ცალსახად უნდა ეთანხმებოდეს ამ უფლების შეზღუდვას იმ ვალდებულებების მასშტაბით და იმ ფარგლებში, რაც მან მიიღო ამ კონვენციის მიხედვით“.<sup>21</sup>

იძულებითი რეპატრაციის უარყოფის გაძლიერებას შეიძლება დაეაკვირდეთ სხვადასხვა სამართლებრივ პრეცედენტებში და პოლიტიკურ მოვლენებში, როგორცაა UNHCR EXCOM დასკვნა №55, სადაც დადასტურებული იყო, რომ „ყველა სახელმწიფო“ ვალდებულია, თავი შეიკავოს იძულებითი რეპატრაციისგან იმ საფუძველზე, რომ ასეთი ქმედებები „წინააღმდეგობაში მოდის ასეთი პრაქტიკის ფუნდამენტურ აკრძალვებთან“; ასევე, დასკვნა №79, რომელშიც

---

21 აპლიკაცია No. 434/58 (XV, Sweden), 28 ILR 242 (EHRC)

მკაფიოდ არის დადგენილი, რომ „ეს პრინციპი არ უნდა იყოს ნაწილობრივი შეზღუდვის საგანი“.

ამის მსგავსად, სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ტრიბუნალის სასამართლო პრაქტიკით, სოერინგისა და ჩეჰელის სასამართლო პრეცედენტებში, განისაზღვრა თავშესაფართან დაკავშირებული პოლიტიკის მკაცრი სამუშაო პარამეტრები და დადგენილ იქნა მკაფიო კავშირი უცხოელების დევნის შესაძლებლობასა და სახელმწიფოს მიერ მათთვის დაცვის შეთავაზების (ქვეყანაში შეშვება) პასუხისმგებლობას შორის.

გაერთიანებულ სამეფოში სასამართლო პრეცედენტები შევიდა 1998 წლის ადამიანის უფლებათა აქტში, რომელმაც მნიშვნელოვანი შეზღუდვები დააწესა სახელმწიფოს სუვერენულ უფლებებზე, რათა უარი თქვას მიგრანტებისთვის ქვეყანაში შესვლაზე. ეს პროექტი აღწერილი იყო, როგორც უდიდესი ცვლილება გაერთიანებული სამეფოს კანონმდებლობაში 1688 წლის უფლებათა კანონის შემდეგ (16).

ის შეადგენს განსაკუთრებულ ეტაპს, როგორც ევროპის, ისე ჩვეულებითი სამართლის კონტექსტებში, რადგან ქმნის ზოგად მოთხოვნას, რომლის თანახმად, მთელი კანონმდებლობა წაკითხულ და გამოყენებულ იქნეს კონვენციასთან თავსებადი გზით. ჰარისის მიხედვით, „ეს აქტი, არსებითად, წარმოადგენს რეზიდენტობის გადაცემას. [...] ის ფაქტობრივად მოქალაქეობის ასეთ გაგებას ქმნის, რაც ადამიანებს უფლებას აძლევს, დატოვონ ქვეყნები, რომლებიც არა კეთილდღეობისანი არიან და შევიდნენ ქვეყნებში, რომლებიც კეთილდღეობაში არიან“ (116, 8).

ეს კანონმდებლობა უკვე იყო გამოყენებული შინაგან საქმეთა სამინისტროს ძალაუფლების შესაჩერებლად საქმეებში (იხილეთ *Ahmadi*<sup>22</sup>, *Kariharan*<sup>23</sup>, *Z*<sup>24</sup>). ამრიგად, უცხოელების ქვეყანაში შესვლის არაპირდაპირმა უფლებამ მზარდი გავლენა შეიძინა ქვეყნების მიერ არასასურველი მიგრაციის მიღებაზე. ზემოთ

---

22 R v. SSHD, *ex parte Ahmadi* [2002] EWHC 1897

23 R v. SSHD, *ex parte Kariharan* [2002] EWCA Civ 1102

24 R v. SSHD, *ex parte Z* [2002] EWCA 1113

ხსენებული მოვლენების საპასუხოდ, ლიბერალური დემოკრატიები ეყრდნობიან ლეგალური სუვერენიტეტის კონცეფციას თავშესაფართან დაკავშირებული თავიანთი შემზღუდავი და წინააღმდეგობრივი ტაქტიკის შესასწორებლად. სუვერენიტეტი გამოცხადებულია, როგორც ყველაზე შეუვალი „ემიგრაციის, ნატურალიზაციის, ეროვნების და გაძევების საკითხებში“ (143, 267) და მისი „არსი რჩება გაძევების უფლებაში“ (43, 150). მსგავსი შეხედულებების გავრცელება ხდებოდა გავლენიანი იურისტების, პოლიტოლოგების და საზოგადოებრივი პოლიტიკის შემქმნელი პირების მიერ<sup>25</sup>.

ვეთანხმები იმ კრიტიკოსებს, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ამ დებულებას აქვს გარკვეული ისტორიული, ან იურიდიული საფუძველი (169, 804-847; 174, 696; 255; 256). ნაფციგერს მოჰყავს არგუმენტები, რომ იურიდიული მოსაზრებები, რომელთა საფუძველზე მოხდა ამ აზრის ჩამოყალიბება, ნაკლებად სარწმუნოა, ვინაიდან ამ დროს ხშირად ხდება ავტორიტეტული წყაროს არასწორი ინტერპრეტაცია და ეფუძნება საეჭვო, ხშირად რასისტულ წარმოდგენებს.

მიუხედავად უცხოელების ქვეყანაში შეშვების პრაქტიკის იურიდიული დახასიათებისა, როგორც თვითდაწესებული შეზღუდვისა გაძევების უფლებაზე, ფაქტობრივად ეს არის „კვალიფიცირებული ვალდებულება, ზოგიერთ გარემოებაში ზოგიერთი უცხოელის ქვეყანაში შეშვებისა“ (169, 805). ნაფციგერი დამარწმუნებლად გადასინჯავს წყაროებს და იურიდიული ავტორიტეტებს, რომლებმაც უზრუნველყვეს სამართლებრივი საფუძველი პრეცედენტული სამართლის შემდგომი პრეცედენტების და თანამედროვე მიდგომის ფორმირებისთვის.

ამ დებულების შედარებით თანამედროვე წარმოშობის მიუხედავად, 1972 წელს შეერთებული შტატების უზენაესმა სასამართლომ თავისი მოსაზრების ჩამოყალიბებისას მიმართა „სახელმწიფოების საერთაშორისო სამართლის ძველ პრინციპებს“, რათა მხარი დაეჭირა მთავრობისთვის ყველა უცხოელის გასაძევებლად, თუ ასე იქნებოდა სასურველი. თუმცა, ძველი ბერძნები იჩენდნენ სტუმართმოყვარეობას უცხოელების მიმართ (141, 49): პერიკლე, პლატონი და, უფრო ნაკლებად, არისტოტელე, ხაზს უსვამდნენ უცხოელების ქვეყანაში მიღებას,

---

25 იხ. 89; 143; 206; 207; 212; 140

როგორც სახელმწიფოს კვალიფიცირებულ ვალდებულებას გარკვეული გარემოებების არსებობისას<sup>26</sup>.

მუნიციპალური სასამართლოები ხშირად იგნორირებას უკეთებენ საერთაშორისო სამართლის თეორიას სუვერენული სახელმწიფოს შესაბამისი „განუყოფელი ძალის“ მეშვეობით და ამით ხდება ამ საკითხის კლასიკოსი ავტორების იგნორირება. თუმცა ჰუგო გროციუსი, ფრანსისკო დი ვიტორია, ქრისტოფ ვოლფი და სამუელ პუფენდორფი იცავდნენ თავისუფალი მიგრაციის, დროებითი ცხოვრებისა და მუდმივი ცხოვრების უფლებას საკუთარი სახლებიდან გამოძევებული ლტოლვილებისთვის, რამდენადაც მათი მიზეზები ქვეყანაში შემოსვლისთვის კანონიერი იყო (169, 810-12).

სუვერენული სახელმწიფოს მიერ გაძევების უფლების თანამედროვე დასაბუთება მომდინარეობს ემერიკ დე ვატელის ნამუშევრებიდან და მისი თავდაცვის კონცეფციიდან, რომლის მიხედვითაც, სახელმწიფომ, შესაძლოა, მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა ეროვნული უშიშროების უზრუნველსაყოფად (102, 302). სწორედ მისმა ტენდენციურმა ნაწერებმა იმ ეპოქის სოციო-ეკონომიკურ კონტექსტთან და იურიდიული პოზიტივიზმის აღზევებასთან ერთად, განაპირობა აშშ-სა და გაერთიანებული სამეფოს სამართლებრივი გადაწყვეტილებები უცხოელების შემოსვლის სრული აკრძალვის სუვერენული უფლების მხარდასაჭერად.

ჩინელების გაძევების საქმე და ნიშიმურა ეკიუს, მასგროუვის და ფონგ იუ-ტინგის საქმეები ეფუძნებოდა ვატელს, როდესაც მათ შექმნეს პრეცედენტები, რომლებმაც შედეგად გამოიღო სამართლებრივი დოქტრინა ანგლო-ამერიკული სამყაროსთვის. ჩინელების გაძევების საქმეში სასამართლო ეფუძნებოდა ვატელს, როდესაც დაადგინა, რომ სახელმწიფომ უნდა განახორციელოს მისი „უმაღლესი მოვალეობა“, რაც მდგომარეობს „მისი დამოუკიდებლობის დაცვაში და უცხოური აგრესიისგან და შემოჭრისგან დაცვაში (თუ) [...] ეს შეტევა მომდინარეობს უცხოელი ერისგან, რომელიც თავისი ეროვნული ხასიათით მოქმედებს, ან მის ხალხისგან, რომელიც ჩვენს წინააღმდეგ არის შეკრებილი“ (169, 817).

---

26 იხ. 183; 11, 294-300; 169, 809

ანალოგიურად, ეკიუს და ფონგ იუ-ტინგის საქმეებში ეროვნული უსაფრთხოება და თავდაცვა (უმაღლესი მოვალეობა), ტერიტორიული იურისდიქციის (განსაზღვრული მთავარი მოსამართლე მარშალის<sup>27</sup> მიერ) კონცეფციასთან ერთად, გაგებულ იქნა, როგორც საკმარისი პირობა გაძევების დასაბუთებისთვის. ამის მსგავსად, მოსამართლეს მოსაზრება ბრიტანულ საქმეში „მასგროუვი ჩან ტიონგ ტოის წინააღმდეგ“, რომელმაც იურიდიული გამოხატულება მისცა „სუვერენული პრეროგატივის“ გამოყენებას უცხოელების გაძევებასთან მიმართებაში, ეყრდნობოდა იგივე ავტორიტეტს. ამ გადაწყვეტილებებმა ჩამოაყალიბა გასაანალიზებელი დებულება და თავშესაფრის საკითხები მკაცრად საშინაო იურისდიქციას დაუქვემდებარა იმ სამართლებრივი პრეცედენტების შექმნით, რომლებმაც ჩამოაყალიბა ჩარჩო უფრო ფართო საიმიგრაციო კანონმდებლობისათვის.

ბოლო დროის სასამართლო საქმიანობა ასევე მიმართავს ვატელს, როგორც მიღებული ლოგიკის ნაწილს. მოსამართლე ნორთმა ავსტრალიის ტამპას საქმეში (*Australian MV Tampa Case*) თავისი განსჯის მხარდასაჭერად ლორდ ატკინსონის დადგენილების ციტირება მოახდინა: „ქვეყანაში შესვლის აკრძალვა, ან გაძევება, იმ უცხოელებისაც კი, ვინც მეგობრულად არიან განწყობილნი, საერთაშორისო კანონმდებლობაში აღიარებულია, როგორც ტერიტორიული სუვერენიტეტის შემადგენელი.“

ლორდმა ატკინსონმა, რომელიც საუბრობდა საიდუმლო საბჭოს იურიდიული კომიტეტის სახელით საქმეში „გენერალური პროკურორი (კანადა) კეინის და გილჰულას წინააღმდეგ“, თქვა: „უზენაესი ძალაუფლების ერთ-ერთ უფლებას ყველა სახელმწიფოში წარმოადგენს უფლება, აუკრძალოს უცხოელს შესვლა იმ სახელმწიფოში; დაუროს ქვეყანაში შესვლას ისეთი პირობები, რაც მას სურს; გააძევოს, ან სახელმწიფოდან დეპორტაცია განახორციელოს საკუთარი სურვილისამებრ თვით მეგობრულად განწყობილი უცხოელისაც კი.“

---

27 „ერის იურისდიქცია მის საკუთარ ტერიტორიაზე აუცილებლად აბსოლუტურია. ის არ ექვემდებარება შეზღუდვებს, რომლებიც თვითონ არ დაუწესებია. ნებისმიერი შეზღუდვა მასზე განხორციელებული სხვა წყაროდან მქონე ძალის მიერ, შეამცირებს მის სუვერენიტეტს იგივე მასშტაბით, როგორც იყო ამ შეზღუდვის დამწესებელი ძალა“. მთავარი მოსამართლე მარშალი, *Schooner Exchange v. McFaddon*, US (1812).

ეს იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო მიიჩნევს, რომ მისი ყოფნა სახელმწიფოში ეწინააღმდეგება სახელმწიფოში მშვიდობას, წესრიგს და კარგ მმართველობას, ან მის სოციალურ და მატერიალურ ინტერესებს“ (ვატელი, ერების კანონი, წიგნი 1 გვ. 231; წიგნი 2 გვ. 125.“) ასეთი არგუმენტაციის ტონი იგრძნობა, ასევე, ბრიტანეთში შმიდტის საქმეში (British Schmidt case), როდესაც ლორდი დენინგი ამბობდა, რომ „არც ერთ უცხოელს არა აქვს უფლება, შევიდეს ქვეყანაში [გაერთიანებული სამეფო] სახელმწიფო ნებართვის გარეშე. ხოლო სახელმწიფოს, შეუძლია, უარი განაცხადოს შეშვებაზე მიზეზის დასახელების გარეშე“.

თუმცა, ნაფციგერი დამარწმუნებელ არგუმენტებს იძლევა, რომ ვატელის ნაწერები გამოიყენება სელექციურად და, ფაქტობრივად, მის ტრაქტატებში არის სხვა პასაჟები, რომლებიდანაც განსხვავებული დასკვნები გამომდინარეობს. მართლაც, შევიცარიელმა თეორეტიკოსმა მკაფიოდ განასხვავა შიდა სამართალი, რომელიც ეფუძნება ბუნებით სამართალს და საგარეო სამართალი, რომელიც ეფუძნება პოზიტივისტურ დისციპლინას. შიდა სამართალი ადგენს სუვერენულ ვალდებულებებს, როგორც სინდისის და პრინციპის საკითხებს, მაშინ როდესაც გარე სამართალი ადგენს სუვერენულ უფლებებს, როგორც ნების საკითხს.

სწორედ ვატელის საგარეო სამართლის ციტირებას ახდენენ აკადემიური ავტორიტეტები, მაშინ, როდესაც შიდა სამართალი უსამართლოდ იგნორირებულია. „ლტოლვილების და გაძევებულების უფლება“, „სუვერენული მოვალეობების“ კონცეფციასთან ერთად, ქმნის ძლიერ არგუმენტს უცხოელების ქვეყანაში შეშვების სუვერენული პრეროგატივის შეზღუდვების არსებობისთვის.

ფაქტობრივად, ვატელმა მკაცრი პირობები დაუწესა სახელმწიფოს მიერ გაძევების შესაძლებლობას: „არც ერთ ერს არ შეუძლია, დასაბუთებული მიზეზის გარეშე, უარი უთხრას თუნდაც ქვეყანაში მუდმივ ცხოვრებაზე იმ ადამიანს, რომელიც გაძევებულია თავისი ქვეყნიდან“ (227, 107-08). მაშინაც კი, თუ სუვერენულ სახელმწიფოს თეორიულად აქვს „ხელშეუვალი უფლება“ უცხოელების აბსოლუტური გაძევებისა, მას არ შეუძლია ამის გაკეთება ზოგიერთ შემთხვევაში „ზოგიერთი უცხოელის მიღების კვალიფიცირებული მოვალეობის“ გამო (169, 814). ამრიგად, როგორც ჩანს, სტანდარტულ ანგლო-ამერიკულ საქმეებში მოსამართლეები ეფუძნებოდნენ სწორედ იმ ავტორიტეტს (ვატელი), რომელიც

ზღუდავდა უცხოელების გამორიცხვის უფლებას, რისი აბსოლუტური მხარდაჭერაც გამიზნული იყო სასამართლოების მიერ.

შემდგომში, ჩვეულებითი სამართლის მატერიალური ელემენტების ანალიზმა გაძევების სუვერენული უფლების ლეგალიზაცია ეჭვქვეშ დააყენა. „სუვერენიტეტის კონცეფცია შეცდომაში შემყვანი იყო“, თვლის ანდრეას ლოუნენფელდი, მაშინაც კი, როდესაც ის პირველად იყო გამოცხადებული წამყვანი თეორეტიკოსების მიერ, როგორებიც არიან ჰობსი და ჰეგელი, რომლებიც კონცეპტირებული იყვნენ მხოლოდ სახელმწიფოს ვერტიკალურ სტრუქტურაზე. დროთა განმავლობაში, კონცეფციის მნიშვნელობა გაფართოვდა და ამჟამად ის გულისხმობს, აგრეთვე, ჰორიზონტალურ ურთიერთობას ცალკეულ სახელმწიფოებს შორის, თუმცა დამოკიდებულება სტატიკური დარჩა.

ამრიგად, თავშესაფრის თანამედროვე კონტექსტში განხილვისას, სუვერენიტეტს „როგორც ჩანს, მიყვავართ ხისტ წესებთან, რომლებსაც არანაირი კავშირი არა აქვთ რეალობასთან და ვერტიკალურ კონცეფციასთან, მაშინ, როდესაც ჰორიზონტალური აზროვნებაა საჭირო“. ასეთი დისფუნქციური მიდგომა ასახულია ისტორიულ პრაქტიკაში, როდესაც სახელმწიფოების უმეტესობა, გაერთიანებული სამეფოს ჩათვლით, უშვებს უცხოელებს აბსოლუტური არშეშვების (შეშვებაზე უარის თქმის) სუვერენული უფლების თეორიის მიუხედავად (219; 235). აქედან გამომდინარე, ადგილი აქვს მკვეთრ შეუსაბამობას რეალობასა და თეორიას შორის ამ კონტექსტში (174, 471; 255).

მოსამართლე ბლეკის განსაკუთრებული მოსაზრება ტამპას საქმის აპელაციასთან დაკავშირებულ დადგენილებაში<sup>28</sup> ასახავს ამ არალოგიკურობას. ოლდსუორთის ციტირებით, მოსამართლე ამტკიცებდა, რომ ტექსტების ავტორების მოსაზრების

გავრცელება „მხარს უჭერს შეხედულებას, რომ მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს, ინგლისურ იურისპრუდენციაში, უცხოელების არშეშვების უფლება მშვიდობიანობის ხანაში არ ითვლებოდა ამ პრეროგატივის ნაწილად“ და რომ „სულ რამდენიმე შემთხვევა იყო, როდესაც სახელმწიფომ გამოიყენა თავისი პრეროგატივა უცხოელების არშეშვების, ან გაძევებისათვის“ (125, 396-7). თუ

---

28 *Ruddock v. Valderadis*, [2001] ავსტრალია, FCA 1329

სახელმწიფოები პრაქტიკულად არ იყებენ რაიმე უფლებას უცხოელების არშეშვებისთვის, რაც მათ შეიძლება ჰქონდეთ, მაშინ ეს დებულება შესაძლოა, არათანმიმდევრული იყოს.

ამრიგად სახელმწიფო პრაქტიკის ხანგრძლივობა, გამეორება, მუდმივობა და ზოგადობა, რაც ჩვეულებითი სამართლის მატერიალურ ელემენტებს შეადგენს, ხელს უწყობს იმ დებულების უარყოფას, რომ სახელმწიფოს შეუძლია ყველა უცხოელის გაძევება. „მაშასადამე, შეიძლება განვაცხადოთ, რომ არსებობს უცხოელების დაშვების დაფუძნებული წესი და დამკვიდრებული ჩვეულება“ (169, 838-41). აქედან გამომდინარე, სამართლიანი იქნება, დავასკვნათ, რომ ამ სამართლის ფილოსოფიური ფუძე უფრო ამართლებს უცხოელთა შეშვების ვიდრე არშეშვების პრაქტიკას. იმ პირობით, რომ ეროვნული უშიშროება არ არის გამოსატყუარი საფრთხის ქვეშ და იძულებითი რეპატრაციის უარყოფის წესის იურიდიული ძალის პირობებში, სახელმწიფო, როგორც ჩანს, ვალდებულია, დაუშვას ზოგიერთი უცხოელი და გასაკუთრებით, თავშესაფრის მაძიებლები.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ: 1. იძულებითი რეპატრაციის უარყოფის პრინციპმა ჩვეულებითი კანონის სტატუსს მიაღწია და ზოგიერთ გარემოებაში გახდა ქვეყანაში შესვლის არაპირდაპირი უფლება; 2. აკადემიური ნაშრომები, რომელმაც განაპირობა არსებული ცნება იმის შესახებ, რომ სახელმწიფოს აქვს სუვერენული უფლება გააძევოს ყველა უცხოელი, არასწორად იყო ინტერპრეტირებული; 3. ისტორიული პრაქტიკა ამტკიცებს, რომ სახელმწიფოები იღებენ ზოგიერთ უცხოელებს იმ დებულების მიუხედავად, რომ აბსოლტური უფლება აქვთ მათი გაძევებისა; 4. სახელმწიფოს აქვს შეზღუდული (არარსრული) ვალდებულება, შეუშვას ზოგიერთი უცხოელი ზოგიერთ გარემოებაში, განსაკუთრებით თავშესაფრის მაძიებლები.

იმ შემთხვევაში, თუ ასეთი ანალიზი სწორია, შესაძლოა, სამართლიანი იყოს დასკვნა იმის შესახებ, რომ ისინი ასუსტებენ ლიბერალურ პარადოქსს. თუ იურიდიული სუვერენიტეტი, უცხოელების ქვეყანაში შესვლისმიმართებაში, შეზღუდული იყო დასაწყისშივე, მაშინ მასშტაბი, რომლითაც ახლა შემცირებულია ბრიტანული სუვერენიტეტი, ნაკლებია განცხადებულზე. მართლაც, „შეზღუდვის პოლიტიკა“, შესაძლოა, არაზუსტი აღწერა იყოს სახელმწიფოს თავშესაფართან დაკავშირებული პოლიტიკისა. ზემოთ მოყვანილი არგუმენტების



გათვალისწინებით, უფრო სრულ ასახვას შეიძლება წარმოადგენდეს „კვალიფიცირებული შეშვების პოლიტიკა“.

ბუნებრივია, რომ სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა არ უნდა ემყარებოდეს ეროვნულ ინტერესს მომწყდარ წმინდა იდეალიზმს და არც საერთაშორისო მორალურ ფასეულობათა უგულებელმყოფ რეალიზმს. მას მიზნად უნდა ჰქონდეს ერის დამოუკიდებლობის, უშიშროების და კეთილდღეობის უზრუნველყოფა. მაგრამ ეროვნული ინტერესის ლეგიტიმური დაწინაურება არ ნიშნავს, რომ მთავრობა გათავისუფლებულია მორალური მოსაზრებებისგან, რომლებიც, ასევე, მოქმედებს ინდივიდუალური ადამიანების დონეზე.

## თავი IV

### ლიბერალური მოქალაქეობა

ე.წ. დემოკრატიული პერსპექტივის, ანუ „შეზღუდვის პოლიტიკის“ განხილვის შემდეგ, დაწვრილებით განვიხილავ შესაძლო ალტერნატივებს და საპირისპირო ჰიპოთეზებს. დავიწყებ ლიბერალური პერსპექტივით, რომელიც წარმოადგენს ნორმატიულ საფუძველს „მიმღებ კანონმდებლობის“.

უცხოელების უფლებები, როგორც ადამიანის უფლებათა დოქტრინის განვრცობა, წარმოიშვა წმინდა ლიბერალური ბირთვიდან და შესაბამისად, თეორიული დაძაბულობა მოქალაქესა და უცხოელს შორის განხილულ უნდა იქნეს, სხვა თემებთან ერთად, ლიბერალური პრიზმის მეშვეობით. იმისათვის, რომ გავიგოთ თეორიული დაძაბულობა ამ უკანასკნელსა და სახელმწიფოს მიერ განხორციელებული უსაფრთხოების ჰიპოთეზას შორის, რომელიც წარმოიშვა მოქალაქეთა უფლებების კორპუსის გარშემო, უნდა გამოვიკვლიოთ იდენი ლიბერალური ევოლუცია. ასეთი გამოკვლევის კონტექსტში ჯ. როულსისა და რონალდ დვორკინის შეხედულებები განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს, რადგან ეს მოაზროვნეები უერთდებიან ნორმატიული დისკორდიის საკითხის შესახებ დისკუსიას.

ზოგადად, ლიბერალიზმი ეწოდება პოლიტიკურ ფილოსოფიათა ერთობლიობას, რომლებიც სათავეს იღებს მეჩვიდმეტე საუკუნეში. საზოგადოებასა და პოლიტიკაში იგი ფართო მოძრაობას წარმოადგენდა, რომლის თავდაპირველი მიზანი იყო თავისუფლების განვრცობა განმანათლებლობის მეშვეობით. ლიბერალების მიზანს მემკვიდრეობით დადგენილი ძველი იერარქიებისა და პოლიტიკური, სოციალური და რელიგიური ავტორიტეტების (რომლებიც დესპოტიზმის ფორმებად განიხილებოდა) შეცვლა წარმოადგენდა, რაც გულისხმობდა შეზღუდულ მთავრობას, რომელიც დაეფუძნებოდა კანონის წინაშე თანასწორობას და ფართო პიროვნულ თავისუფლებებს, განსაკუთრებით, რელიგიის, აზრის გამოხატვისა და დისკუსიის თავისუფლებას.

ტერმინი „ლიბერალიზმი“ ხშირად გამოიყენება როგორც სპეციფიკური ლიბერალური პოლიტიკური ფილოსოფიის გამოხატულება, რომელიც დომინირებდა მეოცე საუკუნის დასასრულს, რაც ყველაზე მნიშვნელოვნად ჯონ როულსის ნააზრევშია გამოხატული. ლიბერალიზმის ეს ვერსია, რომელიც თავს ლიბერალური პოლიტიკური ტრადიციის მემკვიდრედ აცხადებს, გულისხმობს, რომ ხელისუფლება ნეიტრალური უნდა იყოს ადამიანის სარგებლის საკითხის მიმართ. ეს დოქტრინა მოიცავს სამართლიანობის ცნებას, რომელიც ეფუძნება „ყოველისმომცველი“ ფილოსოფიური, თეოლოგიური, ან მორალური შეხედულებების ჭეშმარიტებას.

ლიბერალიზმის წინამორბედი თომას ჰობსი იყო. მისი ამოსავალი დებულება, რომლის თანახმად ადამიანები თავიდან „ბუნებრივ მდგომარეობაში“ იმყოფებოდნენ, იყო ყველა ადამიანის ფუნდამენტური თანასწორობის იდეა. ადამიანები ექვემდებარებიან ბუნების უპირველეს კანონს, რაც თვითგადარჩენისაკენ სწრაფვაში გამოიხატება. ადამიანები ბუნებრივ მდგომარეობაში მისდევენ ამ მიზანს, რაც შედეგად გვაძლევს „ბრძოლას ყველასი ყველას წინააღმდეგ“, როდესაც ცხოვრება არის „მარტოსული, საბრალო, საზიზღარი, ველური და ხანმოკლე“.

თავდაცვის გზების უკეთ ძიების პროცესში, ადამიანები, საბოლოოდ, ტოვებენ ბუნებრივ მდგომარეობას, აყალიბებენ სოციალურ ხელშეკრულებას და ამგვარად, თანხმობის საფუძველზე ქმნიან სამოქალაქო საზოგადოებას. ლეგიტიმური სამოქალაქო ძალაუფლების კომპეტენცია შეზღუდულია და ის თვითგადარჩენის

უფლების დაცვაში მდგომარეობს. თუმცა, ჰობსი მიიჩნევდა, რომ ერთადერთი ეფექტური გზა ამ მიზნის მისაღწევად იყო შიში: უნდა დამყარებულიყო აბსოლუტური ძალაუფლება, რომელიც შეძლებდა, აეძულებინა ადამიანებისთვის, პატივი ეცათ ერთმანეთის ფუნდამენტური უფლებებისათვის.

ამ აბსოლუტური ძალაუფლების სიძლიერე ართულებს ჰობსის ლიბერალად მიჩნევას. მაგრამ ამოსავალი დებულებები, რომლებსაც ის გვთავაზობს – ადამიანთა თანასწორობა ბუნებრივ მდგომარეობაში, თვითგადარჩენის სურვილთან ერთად, რაც შეადგენს ბუნების პირველ კანონს და მთავრობა, რომელიც შექმნილია სოციალური ხელშეკრულებით შეზღუდული მიზნებისთვის, – წარმოადგენდა გვიანდელი, უფრო სრულად განვითარებული ლიბერალიზმის საფუძვლებს.

ჯონ ლოკი, რომელიც მეზვიდმეტე საუკუნის დასასრულს მოღვაწეობდა, კლასიკური ლიბერალიზმის ცენტრალურ ფიგურად მიიჩნევა. მისი ამოსავალი იდეები ჰობსის იდეების მსგავსი იყო, რომელთა მიხედვითაც, ყველა ადამიანი ბუნებრივ მდგომარეობაში თანასწორი იყო. ეს ყველაზე აშკარად ვლინდება თვითგადარჩენის სურვილში. ამგვარ ბუნებრივ მდგომარეობას, საბოლოოდ, მიყვავართ სოციალურ ხელშეკრულებამდე, რაც აყალიბებს სამოქალაქო საზოგადოებას, რომლის მიზანიც შეზღუდულია და ადამიანთა უფლებების დაცვით შემოიფარგლება.

თუმცა, ლოკთან მნიშვნელოვანი განსხვავებებიც გვხვდება. მაგალითად, ლოკს ადამიანის თვითგადარჩენის სურვილი დიქტონის მიერ ბოძებულად მიაჩნია, რითაც ბუნების კანონის თეისტურ საფუძველს ანიჭებს (ჰობსის აშკარა მატერიალიზმისგან განსხვავებით). მან, ასევე, მჭიდროდ დაუკავშირა ერთმანეთს მთავარი, ანუ სიცოცხლის ფუნდამენტური უფლება და სხვა უფლებები, რომლებიც აუცილებლად იგულისხმება მასში, განსაკუთრებით კი – თავისუფლებისა და საკუთრების ფლობის უფლებები (160).

რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ლოკი მიიჩნევდა, რომ აბსოლუტური ძალაუფლება ჰობსთან ისეთივე დიდ საფრთხეს უქმნიდა სიცოცხლეს, თავისუფლებას და ქონებას, როგორც ბუნებრივ მდგომარეობაში არსებული ანარქია. აბსოლუტური ძალაუფლების დამყარებაზე მეტად, ადამიანს სამოქალაქო საზოგადოების დაარსება ევალება, სადაც მთავრობა შეზღუდულია და ეს შეზღუდვები

ეფექტურია. ლეგიტიმური მთავრობის ძალაუფლების დაარსება შეთანხმებას წარმოადგენს და სამოქალაქო ძალაუფლება შეზღუდულია არა მარტო მის მიზანში – დაიცვას ადამიანის უფლებები, – არამედ თავისი სტრუქტურითაც.

საკანონმდებლო ძალაუფლება, თუკი ის შესაბამისად შემოსაზღვრულია, ყველაზე ფუნდამენტური ძალაუფლებაა, მაგრამ ლოკმა, ასევე, ჩამოაყალიბა ძალაუფლების განცალკევების პრინციპი. მან ერთმანეთისაგან განასხვავა აღმასრულებელი და „ფედერაციული“ ძალაუფლება. სასამართლო ძალაუფლება მოცემულ შემთხვევაში აღმასრულებელი ძალაუფლების ნაწილია და ფედერაციული ძალაუფლება მოიცავს არა კანონების აღსრულებას, არამედ სახელმწიფოს კეთილდღეობის დაცვას გარე და შიდა საშიშროებებისაგან. ძალაუფლების ასეთი გადანაწილება საშუალებას გვაძლევს, უკეთ შევზღუდოთ მმართველების ძალაუფლება და ამრიგად, ის უფლებების დაცვას ემსახურება. ეს განაცხადი ადამიანის უფლებათა მოძრაობის, ასევე, დემოკრატიული თვითკონტროლისა და მოქალაქეთა უფლებების უცხოელების შეზღუდვის ხარჯზე აღსრულების საფუძვლად იქცა.

ლიბერალიზმის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა იმანუელ კანტმა, რომლის ფილოსოფიაშიც ავტონომიის ცნებას ცენტრალური ადგილი უკავია. ადამიანებმა უნდა იმოქმედონ გარე ძალდატანებისგან თავისუფლად, ისე რომ მათი ქმედება იყოს ჭეშმარიტად „მათი არჩევანის განხორციელება“. მათ, ასევე, უნდა იმოქმედონ შიდა ძალდატანებისგან (როგორცაა „გაუკონტროლებელი სურვილები, ვნებები და ცრურწმენები“) თავისუფლად. ასეთ შემთხვევაში მათი ქმედებები გონებით იქნება ნაკარნახები და ისინი თავსებადი იქნება საყოველთაო პრინციპებთან. ადამიანებმა თავიანთი ქმედებებისას უნდა იხელმძღვანელონ კატეგორიული იმპერატივით, რომელიც ინდივიდებს მოუწოდებს, სხვა ინდივიდი ყოველთვის განიხილონ, როგორც მიზანი და არა როგორც საშუალება (145).

ამ იმპერატივისადმი დაქვემდებარება წარმოადგენდა მორალის ფორმალურ კრიტერიუმს, ხოლო სამართლიანობა, რომელიც ურთიერთქმედებას ემყარებოდა, გაიგებოდა უფლებებისა და მოვალეობების და არა კლასიკური სიქველის თვალსაზრისით. სახელმწიფოს ამოცანას შეადგენდა ყველა ადამიანის თავისუფლების დაცვა, ხოლო თავისუფლებაში იგულისხმებოდა ინდივიდის მიერ

ნებისმიერი ისეთი ქმედების განხორციელება, რომელიც სხვა ინდივიდების თავისუფლებასთან არ მოდიოდა წინააღმდეგობაში.

მაგრამ ადამიანის თავისუფლება მაინც არ გულისხმობდა, რომ ინდივიდს საკუთარი თავისუფლების ფარგლებში გაეკეთებინა ყველაფერი, რაც მოესურვებოდა, სხვა ინდივიდების ანალოგიური შეზღუდვის ფონზე. მისი თავისუფლება უფრო მდგომარეობდა ისეთი კანონებისადმი მორჩილებაში, რომელთაც, იგი, შესაძლოა, არ ეთანხმებოდა. მისი თანხმობა იმპლიციტურად იგულისხმებოდა რესპუბლიკური მმართველობის სუვენერულ საერთო ნებაში (როგორც ეს რუსოსთანაა), რომლის მიზანსაც ადამიანის უფლებების დაცვა წარმოადგენდა და არა მოქალაქეთა ბედნიერებისა და კეთილდღეობის დაცვა მორალური განათლების მეშვეობით.

ლიბერალიზმის პირველი პრინციპი არის ადამიანის თანასწორობაზე დაფუძნებული ღირსების ჩამოყალიბება. თუ ადამიანები არ არიან დაბადებულნი თანასწორად ნებისმიერი მიმართებით, სულ მცირე, ისინი თანასწორნი არიან გარკვეულ ფუნდამენტურ ბუნებრივ უფლებებში, რომელშიც შედის „სიცოცხლე, თავისუფლება და ბედნიერებისაკენ სწრაფვა“.

არც ერთ სამართლიან პოლიტიკურ წყობას არ ძალუძს პოლიტიკური ერთობის გარკვეული წარმომადგენლების კეთილდღეობის იგნორირება, ან არაფრად ჩაგდება და მათი გადაქცევა უბრალო საშუალებებად სხვა წევრების კეთილდღეობის მისადწევად. ეს იმთავითვე გამორიცხავს მონობას, ბატონყმობას და ხისტ სოციალურ კასტებს. (რა თქმა უნდა, არსებობს ამ სოციალური ფორმების თეორიული გამართლება, რომლის თანახმად, ეს ინსტიტუტები ხელს უწყობს იმ „დაბალი კლასების“ კეთილდღეობას, რომლებიც „ქვედა საფეხურზე“ იმყოფებიან. თუმცა, აღნიშნული ინსტიტუტების ზოგადი პრაქტიკა უჩვენებს, რომ ეს თეორიული გამართლება მცდარია).

ლიბერალიზმის მეორე პრინციპის თანახმად, პოლიტიკური მმართველობა თანხმობას მოითხოვს. ხალხის არც ერთი ჯგუფი, ან კლასი არ იბადება სხვისი მართვის უფლებით. ავტოკრატია, არისტოკრატია და თეოკრატია წარმოადგენს დესპოტიზმის ფორმებს, რომლებიც ართმევს ხალხს მართვის პროცესში მონაწილეობის უფლებას. თუ რამდენად ფართო უნდა იყოს ეს მონაწილეობა,

საკამათოა თვით ლიბერალური ტრადიციის შიგნითაც კი, თუმცა ლიბერალური იმპულსები მუდამ ესწრაფოდნენ მის თანმიმდევრულ განვრცობას. თანხმობა ლიბერალურ თეორიაში თავდაპირველად გაიგებოდა, როგორც თანხმობა მმართველობის ფორმასთან დაკავშირებით, რომელიც, შესაძლოა, არ ყოფილიყო დემოკრატიული. თუმცა, დროთა განმავლობაში, ლიბერალები საზოგადოებას მოუწოდებდნენ ხელისუფლებაში ხალხის მონაწილეობის უფრო და უფრო აქტიური ფორმებისაკენ. ეს გამორიცხავს აბსოლუტიზმის ნებისმიერ სახეს და მიუთითებს რადიკალური დემოკრატიისკენ.

ლიბერალიზმის მესამე პრინციპის მიხედვით, ხელისუფლების მიზანს უფლებების დაცვა წარმოადგენს. ეს უფლებები იწყება გარკვეული ფუნდამენტური ბუნებრივი უფლებებით (როგორცაა სიცოცხლის, თავისუფლების და ბედნიერებისაკენ სწრაფვის უფლებები), მაგრამ შემდეგ ისინი ვითარდება როგორც ლეგალური უფლებების სერია. ამ უფლებებს შორის იკვეთება ხუთი კატეგორია: 1. პოლიტიკური უფლებები (განაკუთრებით, საარჩევნო ხმის უფლება); 2. რელიგიური თავისუფლება და ტოლერანტობა (რომელშიც, ჩვეულებრივ, იგულისხმება ოფიციალური, დადგენილი რელიგიის აკრძალვა); 3. აზრისა და დისკუსიის თავისუფლება; 4. საკუთრების უფლებები; და 5. მიუკერძოებელი ლეგალური პროცედურები და თანასწორობა კანონის წინაშე. ეს უფლებები არ არის აბსოლუტური, – ისინი შეიძლება და უნდა იყოს კიდევ გარკვეულწილად შეზღუდული, – მაგრამ, შესაბამისი შეზღუდვის პირობებში, მათი დაცვა პოლიტიკური ცხოვრების უმთავრეს მიზანს წარმოადგენს.

მეოთხე პრინციპის თანახმად, საკუთარი მიზნების განხორციელებისათვის ხელისუფლება უნდა იყოს ძლიერი, მაგრამ შეზღუდული. როგორც ჯ. მედისონი ამტკიცებდა, უნდა შეიქმნას ისეთი ხელისუფლება, რომელსაც შეეძლება ქვეშევრდომთა კონტროლი ისე, რომ მათი უფლებები დაცული იყოს და რომელიც თვითონ იქნება გაკონტროლებული, რათა მან საფრთხე არ შეუქმნას უფლებებს. ლეგიტიმური საზოგადოებრივი მიზნების მისაღწევად ხელისუფლებას უნდა შეეძლოს საკუთარი თავის დაცვა საშინაო და საგარეო მტრებისაგან და კანონის უზენაესობის დანერგვა. ყველაზე ეფექტური მეთოდები ხელისუფლების შესაზღუდად, მისთვის აუცილებელი ძალაუფლების ჩამორთმევის გარეშე, არის წარმომადგენლობითი დემოკრატია (განსაკუთრებით, მმართველების

პასუხისმგებლობა არჩევნების მეშვეობით), ძალაუფლების გადანაწილება და დამოუკიდებელი სასამართლო.

მესუთე პრინციპი ადგენს, რომ ადამიანები უნდა იმართებოდნენ კანონთა მიხედვით. კანონის უზენაესობა – მმართველობა ზოგადი სტანდარტების მიხედვით, რომელიც ნებისმიერ მოქალაქეს ეხება – სამართლიანობასთან მიახლოების საუკეთესო გზაა, რომელიც მოითხოვს, რომ მსგავს სიტუაციებში მყოფ ადამიანებს თანასწორად უნდა მოეპყრან. ეს პრინციპი წარმოადგენს საუკეთესო გარანტიას იმისათვის, რომ არ იქნეს გამოვლენილი მიკერძოებული დამოკიდებულება ადამიანთა გარკვეული ჯგუფის, ან კლასის მიმართ, სხვა ადამიანების იგნორირების ხარჯზე.

როულსი ტრადიციული ლიბერალური დოქტრინის მომხრე იყო. ამავე დროს, მან განავითარა მისი ფილოსოფიური საფუძვლები თანამედროვე პოლიტიკური დისკურსის კონტექსტში. იგი იწვევს იმ კონცეფციებით, რომლებიც მას იმპლიციტურად მიაჩნია თანამედროვე პოლიტიკური კულტურისათვის (188; 187). პირველი კონცეფციის თანახმად, მოქალაქეები თავისუფალ და თანასწორ ინდივიდებს წარმოადგენენ, რომლებსაც აქვთ უნარი, გაიგონ და იმოქმედონ პრინციპებით, რომლებიც შეესაბამება სოციალური თანამშრომლობის სქემას და ასევე, შეუძლიათ, განავითარონ, გადაამუშავონ და რაციონალურად მისდინ სიკეთის კონცეფციას. მეორე კონცეფციის მიხედვით, საზოგადოება თავისუფალ და თანასწორ მოქალაქეებს შორის თანამშრომლობის სამართლიანი სისტემაა.

ეს იდეა განვითარდა სამართლიანობის „პოლიტიკური“ კონცეფციის მისაღწევად, რომელიც ეხება ერის მხოლოდ ყველაზე ფართო სოციალურ ჩარჩოებს და რომელიც წარმოადგენს საშუალებას იმისათვის, რომ ადამიანები ერთმანეთს პოლიტიკურად მოეპყრან ამ საბაზო სტრუქტურის საფუძველზე. ეს პოლიტიკური კონცეფცია ცდილობს, თავიდან აირიდოს ფილოსოფიური წინააღმდეგობები, რათა განავითაროს სოციალური თანამშრომლობის სამართლიანი პირობების დაცვის მკაცრად პრაქტიკული ამოცანა.

სხვადასხვა ფილოსოფიური, მორალური და რელიგიური შეხედულებების მიმდევრები თავიანთ თეორიებში უფრო მეტ მტკიცებულებას აღმოაჩენენ, თუკი

ისარგებლებენ როულსის სამართლიანობის თეორიით, რომელშიც „გადამფარავი კონსესუსი“ იგულისხმება.

სოციალური თანამშრომლობის სამართლიან პირობებში სამართლიანობის ორი პრინციპი გამოიკვეთა: 1. „თითოეულ პიროვნებას აქვს თანაბარი უფლება თანაბარი თავისუფლებების სრულად შესატყვისი სქემის მიმართ, რომელიც თავსებადია სხვა ადამიანების თავისუფლებების მსგავს სქემებთან“ (ეს გულისხმობს აზრისა და სინდისის თავისუფლებას, პოლიტიკურ თავისუფლებებს, გაერთიანების თავისუფლებას, პიროვნების თავისუფლებასა და ხელშეუხებლობას, კანონის უზენაესობას); 2. „სოციალური და ეკონომიკური უთანასწორობა ორ პირობას უნდა აკმაყოფილებდეს: (ა) უნდა უკავშირდებოდეს ისეთ თანამდებობებს, რომლებიც მისაწვდომია ყველასთვის თანაბარი შესაძლებლობების სამართლიანი პირობების მიხედვით; (ბ) მიმართული უნდა იყოს საზოგადოების ყველაზე ნაკლებად პრივილეგირებული წევრების საკეთილდღეოდ“.

ამ პრინციპების სამართლიანობა მიიღწევა გარკვეული პროცედურით, კერძოდ, სააზროვნო ექსპერიმენტით, რომელიც „უცოდინრობის საბურველქვეშ“ მოქალაქეებს „საწყის პოზიციებზე“ აბრუნებს (აქ იგულისხმება, რომ უცნობია მოქალაქეების სტატუსი საზოგადოებაში, ან მათი წარმოდგენები სიკეთის შესახებ).

„პოლიტიკურ ლიბერალიზმში“ (1993 წ.) როულსი აღნიშნავს, რომ „სამართლიანობის თეორია“ (1973 წ.) საკმარისად არ განსხვავებს ერთმანეთისაგან მორალურ და პოლიტიკურ ფილოსოფიას: „ზოგადი თვალთახედვით, სამართლიანობის მორალური დოქტრინა არ არის განსხვავებული სამართლიანობის მკაცრად პოლიტიკური კონცეფციისგან“. მის შესწორებულ ნაშრომში, განსხვავება კომპლექსურ ფილოსოფიურ და მორალურ დოქტრინებსა და პოლიტიკური კონცეფციებს შორის ფუნდამენტური გახდა.

სამართლიანობა, როგორც მიუკერძოებლობა, მიიჩნევა სიკეთის გარკვეული (შეზღუდული) კონცეფციების განხორციელებად, მაგრამ როულსი უარყოფს, რომ ის მოითხოვს სიკეთის ყოველმომცველ კონცეფციას. ამავე დროს, იგი არ ახასიათებს სამართლიანობას, როგორც „ნეიტრალურს“, რადგან, მისი აზრით, ის



ხელს უწყობს ცხოვრების გარკვეულ ტიპებს (მაგალითად, ისეთებს, რომლებიც აფასებენ ტოლერანტობას, ცივილურობას, კომპრომისის ძიებას, მიუკერძოებლობას), მაგრამ საფუძველს უთხრის სხვებს (მაგალითად, ისეთს, სადაც არატოლერანტობა დომინირებს).

პოლიტიკურ ლიბერალიზმს ამ საკითხების თაობაზე არა აქვს ზოგადი პოზიცია, მაგრამ ის „ეთანხმება მეორე ალტერნატივას თითოეულ საკითხში კონსტიტუციური დემოკრატიული რეჟიმისთვის სამართლიანობის პოლიტიკურ კონცეფციასთან მიმართებაში“. როულსი მიიჩნევს, რომ ეს თანხმობა არ არღვევს მიუკერძოებლობის მოთხოვნას დოქტრინებს შორის, რადგან ის არ განიხილავს მორალურ თემებს (იხ. 238).

პირდაპირი კავშირი ლიბერალურ თეორიულ საფუძვლებსა და მოქალაქისა და უცხოელის უფლებების დისკორმიას შორის ძვეს როულსის სამართლიანობის და ტოლერანტობის თეორიაში. როულსისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ფაქტს, რომ პოლიტიკური ლიბერალიზმი „ნეიტრალურია“ ფილოსოფიური პრობლემის მიმართ, რომელიც კარგი ცხოვრებისათვის „ტოლერანტობის“ ცენტრალურ როლს ეხება, მაშინ, როდესაც მას ტოლერანტობა პოლიტიკური კონცეფციის ნაწილად მიაჩნია.

ამრიგად, თუ კონსტიტუციური რეჟიმი გადადგამს გარკვეულ ნაბიჯებს ტოლერანტობისა და საერთო ნდობის გასაძლიერებლად, მაგალითად, სხვადასხვა რელიგიურ თუ რასობრივ დისკრიმინაციაზე უარის თქმით (სინდისისა და სიტყვის თავისუფლებასთან შესაბამისობაში), ის ამით პერფექციონისტული სახელმწიფო არ გახდება. პირიქით, ის (კონსტიტუციური რეჟიმი) იღებს გონივრულ ზომებს აზროვნებისა და გრძნობების იმ ფორმების გასაძლიერებლად, რომელიც განამტკიცებს თავისუფალ და თანასწორ მოქალაქეებს შორის სამართლიან თანამშრომლობას. ეს ძალზე განსხვავდება იმისგან, როდესაც სახელმწიფო ავითარებს კონკრეტულ დოქტრინას თავისი სახელით.

ამრიგად, როგორც ჩანს, ლიბერალური პერსპექტივა, როულსის სამართლიანობის სისტემის მიხედვით, ითვალისწინებს ტოლერანტულ და მისაღებ მიდგომას მოქალაქეობის არმქონე პირების აღიარებისადმი და პასუხისმგებლობას იღებს მათ დაცვაზე. მაგრამ, ძირითადი საკითხი მაინც ტოლერანტობის განსაზღვრება

და ტოლერანტობის კონკრეტული ფორმაა, რომელსაც პოლიტიკური ლიბერალიზმი უჭერს მხარს.

ტოლერანტობის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს „სხვათა პოლიტიკური უფლებების გაცნობიერება სხვადასხვა შეხედულებების განსახორციელებლად და ხელშესაწყობად“. ეს არის ტოლერანტობის სახეობა, რომელსაც თითქმის ყველა ეთანხმება, ისინიც კი, ვინც ტრადიციულ შეხედულებებს იზიარებენ (ასე რომ, ტოლერანტობის ამ ფორმის ხელშეწყობა ეჭვშეუვალი იქნებოდა პოლიტიკური ლიბერალიზმის ჩარჩოებში). მაგრამ პრობლემა ისაა, რომ ამგვარი ტოლერანტობა ადვილად იცვლება (ან ზოგ შემთხვევაში გადაგვარდება) მორალური უფლების აღიარებით – დაიჯერო და გაავრცელო შეხედულებები, რომლებიც მცდარია, რასაც ტრადიციონალისტები და პერფექციონისტები ეწინააღმდეგებიან.

ამგვარად, ლიბერალური ფილოსოფია, რომლის კონკრეტული ნიმუშია როულსის სამართლიანობის თეორია, ემსახურება უცხოელების პოლიტიკური უფლებების მნიშვნელობის, ასევე, მათ მიმართ მორალური ვალდებულებისა და ტოლერანტობის გაძლიერებას. შესაძლოა, რომ ეს თეორია უფრო შორს მიდიოდეს: იგი ითხოვს მოქალაქეებისგან უცხოელების ადამიანის უფლებების დაცვას.

დვორკინის ლიბერალური ჰიპოთეზა (71; 72; 73) გვთავაზობს მოქალაქეების და უცხოელების უფლებების აშკარად დაპირისპირებული ნორმატიული პრინციპების საინტერესო ანალიზს, კერძოდ, განაზრებას კრიტიკული და ნებელობითი ინტერესების დაპირისპირების თაობაზე. დვორკინი მსჯელობას იწყებს ძირითადი განსხვავებით, რომელიც, მისი აზრით, ამ ინტერესებს შორის არსებობს. „ადამიანის ნებელობითი კეთილდღეობა უმჯობესდება მაშინ, როდესაც მას აქვს ისეთი რამ, რაც მას სურს, ან როდესაც იგი მიაღწევს იმას, რაც მას სურს“, ხოლო „კრიტიკული კეთილდღეობა უმჯობესდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მას აქვს ისეთი რამ, ან როდესაც იგი მიაღწევს ისეთ რამეს, რომლის გარეშეც მისი ცხოვრება უარესი იქნებოდა“.

ამ განსხვავებას დვორკინი ორნაირად ხსნის. სუბიექტური პერსპექტივიდან, პიროვნებას, შესაძლოა, სურდეს გარკვეული ნივთები და, ამავე დროს, არ იფიქროს, რომ ამ ნივთების გარეშე მისი ცხოვრება უარესი იქნებოდა (მაგალითად, კარგი საკვები, სტომატოლოგთან ვიზიტები, უკეთეს მეზღვაურად ყოფნა). ამისგან

განსხვავებით, სხვა ინტერესები მნიშვნელოვნად ითვლება კარგი ცხოვრებისათვის (მაგალითად, ახლო ურთიერთობა საკუთარ შვილებთან, ან წარმატება სამსახურში). პირველი სახის ინტერესები ნებელობითი ინტერესებია, მეორე სახის კი - კრიტიკული ინტერესები. ხოლო ობიექტური პერსპექტივიდან, ადამიანებმა, შესაძლოა, ვერ დაინახონ თავიანთი კრიტიკული ინტერესები (მაგალითად, ინდივიდი, შესაძლოა, თვლიდეს, რომ მისი ცხოვრება უარესია, რადგან მისთვის არ არის მნიშვნელოვანი მეგობრობა, რელიგია, ან საინტერესო სამსახური) მაშინ, როცა ნებელობითი ინტერესი, განსაზღვრების თანახმად, არის ის, რაც პიროვნებას სურს.

დვორკინი ძალისხმევას არ იშურებს, რათა აჩვენოს, რომ კრიტიკულ-ნებელობითი განსხვავება არ არის „განსხვავება ჩემს ნამდვილ ინტერესებსა და იმას შორის, რაზედაც ვფიქრობ, რომ ის ჩემს ინტერესებში შედის“. ნებელობითი ინტერესები ნამდვილია. ეს არაა უბრალო მსჯელობები ჩემი კრიტიკული ინტერესების შესახებ, რომლებიც, შესაძლოა მცდარი აღმოჩნდეს. ადამიანს, შესაძლოა, სურდეს რაიმე (ნებელობითი ინტერესი) და, ამავე დროს, არ თვლიდეს მას აუცილებლად. სინამდვილეში, ადამიანს, რომელსაც სურს მხოლოდ ის, რასაც ის მიიჩნევს კრიტიკულ ინტერესად, „მოსაწყენი, აბსურდული ცხოვრება“ ექნება.

დვორკინის პერსპექტივიდან გამომდინარეობს, რომ უცხოელის უფლება, – დაცული იყოს ადამიანის უფლებების შელახვისაგან, – კრიტიკულ ინტერესს წარმოადგენს; ხოლო მოქალაქის უფლება, – გამორიცხოს თავისი რიგებიდან არამტრულად განწყობილი უცხოელი, – ნებელობით ინტერესს. როდესაც მორალური მტკიცებულებების ორი ფორმა ერთმანეთს უპირისპირდება ამგვარ ნორმატიულ ჩარჩოებში, ლიბერალური არჩევანი იხრება მოქალაქეობის არმქონე პიროვნების უფლებებისკენ – იყოს დაცული ზიანისგან დემოსის უფლების საპირისპიროდ, განახორციელოს სუვერენული პრეროგატივა არაკრიტიკული მიკერძოებულობის საფუძველზე.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ „მიმდები კანონმდებლობის“ მორალურ საფუძველზე დაყრდნობით და მოქალაქის და უცხოელის უფლებების ნორმატიულ დისოტომიასთან დაკავშირებით, იკვეთება ნათელი ტენდენცია, სადაც უცხოელის ძირითად უფლებებს მინიჭებული აქვს პრეროგატივა მოქალაქის სუვერენულ

უფლებასთან შედარებით (უცხოელის გამორიცხვა), მოქალაქის უფლებებისათვის რაიმე საფრთხის შექმნის გარეშე.

#### 4.1 არამოქალაქეთა უფლებები საერთაშორისო კანონმდებლობის მიხედვით

ლიბერალური და ადამიანის უფლებათა დოქტრინა პრაქტიკულ რეალიზებას პოულობს ე.წ. „ლიბერალური მოქალაქეობის“ მეშვეობით, რომელიც შეესება უფლებათა ერთობლიობას, რომელიც მინიჭებული აქვთ არამოქალაქეებს სახელმწიფოს ტერიტორიაზე მათი ლეგალური სტატუსის მიუხედავად. ამ თავში ის უფლებები, რომლებითაც სარგებლობენ მოქალაქეობის არმქონე პირები საერთაშორისო კანონმდებლობის მიხედვით, დახასიათებულია, როგორც საერთაშორისო იურისპრუდენციაში ლიბერალური თეორიის მნიშვნელოვანი გამოხატულება და დისოტომიის მთავარი შემადგენელი ნაწილი.

მოქალაქეებად იწოდებიან პიროვნებები, რომლებიც სახელმწიფომ აღიარა, როგორც მასთან ეფექტური კავშირის მქონენი.<sup>29</sup> საერთაშორისო სამართალი ნებისმიერ სახელმწიფოს აძლევს უფლებას, გადაწყვიტოს, ვინ ცნოს მოქალაქედ და ვინ – არა. მოქალაქეობა, ჩვეულებრივ, მიიღება: ქვეყანაში დაბადების შედეგად (*jus soli*, ანუ ადგილის კანონი); იმ შემთხვევაში, როდესაც მშობელი მოცემული ქვეყნის მოქალაქეა (*jus sanguinis*, ანუ სისხლის კანონი); ნატურალიზაციით, ან კიდევ ამ შემთხვევების კომბინაციის შედეგად.

არამოქალაქედ იწოდება პიროვნება, რომელიც სახელმწიფომ არ ცნო ამ ეფექტური კავშირების მატარებლად იმ ქვეყანაში, სადაც იგი ცხოვრობს. არსებობს მოქალაქეობის არმქონე ადამიანთა სხვადასხვა კატეგორია: მუდმივი რეზიდენტები, მიგრანტები, ლტოლვილები, თავშესაფრის მაძიებელები, ტრეფიკინგის მსხვერპლნი, უცხოელი სტუდენტები, დროებითი სტუმრები, სხვა სახის არაიმიგრანტები და უსამშობლო ხალხი. თითოეულ ამ ჯგუფს, შესაძლოა,

---

29 იხ. 1955 წლის 6 აპრილის პაავის საერთაშორისო სისხლის სასამართლოს (International Court of Justice) დადგენილება ნოტებომის საქმესთან დაკავშირებით („ლისტენშტაინი გვატემალას წინააღმდეგ“).

ჰქონდეს უფლებები, რომლებიც ცალკეულ სამართლებრივ რეჟიმებს ემყარება. მიუხედავად ამისა, მათი უმრავლესობა მსგავს პრობლემებს აწყდება. ეს ეხება დაახლოებით 175 მილიონ ადამიანს, ანუ მსოფლიო მოსახლეობის 3 პროცენტს (224).

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო კანონის მიხედვით, მოქალაქეობის არმქონე პირები დაცულნი არიან თვითნებური მკვლელობისგან, არაპუმანური მოპყრობისგან, მონობისგან, თვითნებური დაპატიმრებისგან, არასათანადო სამართალდარღვევისგან, პირად ხელშეუხებლობაში ჩარევისგან, გაძევებისაგან, ძალდატანებითი შრომისგან, ბავშვთა შრომისგან და ჰუმანიტარული სამართლის დარღვევისგან. მათ აქვთ დაქორწინების უფლება, არასრულწლოვნების შემთხვევაში – სათანადო მოპყრობისა და დაცვის უფლება, ასევე, მშვიდობიანი შეკრებისა და გაერთიანების, თანასწორობის, რწმენის და რელიგიის თავისუფლების, სოციალური, კულტურული და ეკონომიკური უფლებები, შრომითი უფლებები (მაგ; როგორც კოლექტიური ვაჭრობა, მუშათა კომპენსაცია, ჯანსაღი და უსაფრთხო მუშაობის პირობები) და შეუძლიათ, საჭიროების შემთხვევაში ისარგებლონ კონსულის დაცვით. მაშინ, როდესაც ყველა ცოცხალი ადამიანი მიჩნეულია თანასწორად ღირსებისა და უფლებების საკითხებში, სახელმწიფომ, შესაძლოა, მცირედ განასხვავოს მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები პოლიტიკური უფლებების (რომლებიც მკაფიოდ გარანტირებულია მოქალაქეებისთვის) და გადაადგილების თავისუფლების თვალსაზრისით.

მიუხედავად ამისა, მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის საკმაოდ დიდი განსხვავება არსებობს საერთაშორისო კანონით გარანტირებულ უფლებებსა და იმ რეალობას შორის, რასაც ისინი აწყდებიან. მრავალ ქვეყანაში, არამოქალაქეები დგებიან ინსტიტუციური და სერიოზული პრობლემების წინაშე. მოქალაქეობის არმქონე ადამიანების თითქმის ყველა კატეგორია განიცდის ოფიციალურ და არაოფიციალურ დისკრიმინაციას (224). მიუხედავად იმისა, ზოგიერთ ქვეყანაში, შესაძლოა, არსებობდეს თანასწორი მოპყრობის სამართლებრივი გარანტიები არამოქალაქეებთან მიმართებაში და ეკონომიკურ წინსვლაში მოქალაქეობის არმქონე პირების წვლილის მნიშვნელობის აღიარება, არამოქალაქეებს მაინც არაკეთილგანწყობილ სოციალურ და პრაქტიკულ რეალობაში უწევთ ორიენტაცია.

ისინი ხდებიან ქსენოფობიის, რასიზმისა და გენდერული დისკრიმინაციის მსხვერპლნი; პრობლემებს ქმნის ენობრივი ბარიერები და მათთვის უცხო ჩვეულებები; მათ არ გააჩნიათ პოლიტიკური წარმომადგენლობა, შესაბამისად, მათთვის დიდ სირთულეს წარმოადგენს მათი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების რეალიზება. ეს განსაკუთრებით ითქმის მუშაობის, განათლების და ჯანდაცვის უფლებების, პიროვნების დამადასტურებელი დოკუმენტების მიღების დროს წარმოქმნილი სირთულეების და მათი უფლებების დარღვევების აღმოფხვრის სიძნელეების შესახებ.

მოქალაქეობის არმქონე ზოგიერთი პიროვნება, ხშირად უსაფუძვლო და განუსაზღვრელი ვადით, პატიმრობაში არის აყვანილი. ისინი, შესაძლოა ტრავმირებული იყვნენ საკუთარ ქვეყანაში დევნის, ან არასათანადო მოპყრობის გამო, მაგრამ დაკავებულნი არიან და სხედან კრიმინალების გვერდით ციხეში, რომელიც ხშირ შემთხვევაში გადავსებული, არაპიგიურ და სასიფათოა მათი სიცოცხლისათვის. გარდა ამისა, მოქალაქეობის არმქონე დაკავებულ პირებს, შესაძლოა, აეკრძალოთ ოჯახის წევრებთან კონტაქტი, იურიდიული დახმარების წვდომა და დაპატიმრების გასაჩივრების შესაძლებლობა. ოფიციალური არაკეთილგანწყობა, რაც ხშირად აისახება ქვეყნის კანონმდებლობაში, განსაკუთრებით საზარელ სახეს ომის, რასობრივი შუღლისა და მაღალი უმუშევრობის პერიოდში იღებს. მაგალითად, 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ, ამ მხრივ მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა, რადგან, ტერორიზმის შიშის საფუძველზე, ზოგიერთმა ქვეყანამ არამოქალაქეები დააკავა ტერორიზმის საფრთხეზე რეაგირების სახით.

ადამიანის უფლებების საერთაშორისო კანონი ემყარება წინაპირობას, რომლის თანახმად, ყველა ადამიანმა, მათი ადამიანობიდან გამომდინარე, უნდა ისარგებლოს ადამიანის ყველა უფლებით დისკრიმინაციის გარეშე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ადამიანებს შორის არსებული განსხვავებები (მაგალითად, მოქალაქეებსა და არამოქალაქეებს შორის) ლეგიტიმურ სახელმწიფო მიზანს ემსახურება და შეესატყვისება ამ მიზნის მიღწევის გზებს.

ყველა მიდგომა, რომელიც არამოქალაქეების დისკრიმინაციას უპირისპირდება, უნდა გაითვალისწინოს: 1. სახელმწიფოს ინტერესები კონკრეტულ უფლებებში (მაგალითად, პოლიტიკური უფლებები, განათლების მიღების უფლება,

სოციალური უსაფრთხოება, სხვა ეკონომიკური უფლებები); 2. არამოქალაქეების განსხვავებული ტიპები და მათი დამოკიდებულება სახელმწიფოს მიმართ (მაგალითად, მუდმივი რეზიდენტები, მიგრანტი მუშები, თავშესაფრის მაძიებელი, დროებითი რეზიდენტები, ტურისტები, დოკუმენტების არმქონე მუშები); 3. არის თუ არა სახელმწიფოს ინტერესები და მოსაზრებები ლეგიტიმური და შესატყვისი მოქალაქეების და არამოქალაქეების, ან არამოქალაქეთა შორის განსხვავების დროს.

საერთაშორისო ხელშეკრულება სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ იძლევა თანასწორობის ზოგადი პრინციპების მაგალითს, რომელიც ადამიანის უფლებების კანონის საფუძველია, რამდენადაც ის ეხება არამოქალაქეებს და ამ პრინციპიდან გამონაკლისების ვიწრო გაგებას. 2(1) მუხლის მიხედვით, თითოეული სახელმწიფო, რომელიც ხელშეკრულების მხარეს წარმოადგენს, „ვალდებულებას იღებს, რომ პატივი სცეს იმ უფლებებს, რომლებიც აღიარებულია წინამდებარე ხელშეკრულებით და უზრუნველყოს მათი დაცვა ყველა იმ პიროვნებისთვის, რომლებიც იმყოფებიან მის ტერიტორიაზე და მისი იურისდიქციის ფარგლებში, ყოველგვარი განსხვავების (როგორცაა რასა, კანის ფერი, სქესი, ენა, რელიგია, პოლიტიკური, თუ სხვა შეხედულება, ნაციონალური თუ, სოციალური კუთვნილება, საკუთრება, დაბადება თუ სხვა სტატუსი) გარეშე“.

გარდა ამისა, 26-ე მუხლში მოსხენებულია, რომ „კანონის წინაშე ყველა ადამიანი თანასწორია და ყველას აქვს კანონით თანაბარი დაცვის უფლება რაიმე დისკრიმინაციის გარეშე. ამ მხრივ, კანონი კრძალავს რაიმე სახის დისკრიმინაციას და იძლევა დისკრიმინაციისგან ყველა ადამიანის თანასწორი და ეფექტური დაცვის გარანტიას ნებისმიერი საფუძველით, როგორცაა კანის ფერი, სქესი, ენა, რელიგია, პოლიტიკური, თუ სხვა შეხედულება, ნაციონალური თუ, სოციალური კუთვნილება, საკუთრება, დაბადება თუ სხვა სტატუსი“.

ადამიანის უფლებათა კომიტეტი აკეთებს შემდეგ ახსნა-განმარტებას: „შეთანხმებაში წარმოდგენილი უფლებები ეხება ყველას, მიუხედავად თანაზიარობისა და მიუხედავად მისი წარმომავლობის, ან მოქალაქეობის არქონისა. ამრიგად, ზოგადი წესის თანახმად, შეთანხმების თითოეული უფლება გარანტირებულ უნდა იქნეს მოქალაქეებსა და უცხოელებს შორის დისკრიმინაციის გარეშე“.

ადამიანის უფლებათა კომიტეტი, ასევე, აღნიშნავს, რომ მოქალაქეობის არმქონე პირების უფლებების შეზღუდვა შესაძლებელია მხოლოდ იმ შეზღუდვებით, რომლებიც კანონიერად შეიძლება დაწესდეს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო შეთანხმების მიხედვით. კონკრეტულად, ეს შეთანხმება სახელმწიფოს ნებას რთავს, განასხვავოს მოქალაქეები და არამოქალაქეები უფლებების ორ კატეგორიასთან მიმართებაში: პოლიტიკური უფლებები, რომლებიც ექსპლიციტურად მოქალაქეებისთვისაა გარანტირებული და თავისუფალი გადაადგილების უფლება. პოლიტიკურ უფლებებთან მიმართებაში მუხლი განსაზღვრავს რომ „ყველა მოქალაქეს“ აქვს უფლება, მონაწილეობა მიღოს საზოგადოებრივ ურთიერთობებსა და არჩევნებში, დაიკავოს თანამდებობა და ხელი მიუწვედოდეს საჯარო სამსახურზე (გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი (224).

გადაადგილების თავისუფლებასთან მიმართებაში მუხლი 12(1) გადაადგილების თავისუფლებისა და საცხოვრებელი ადგილის არჩევის უფლებას ანიჭებს „სახელმწიფოს ტერიტორიაზე კანონიერად მყოფ“ პირებს, რაც აშკარად გულისხმობს შეზღუდვების დაშვებას დოკუმენტების არმქონე მიგრანტებისთვის.

რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის საერთაშორისო კონვენცია, ასევე, აჩვენებს თანასწორობის საერთო პრინციპიდან არსებული გამონაკლისების ვიწრო გაგებას. დოკუმენტის მიხედვით, სახელმწიფოებს შეუძლიათ, განასხვავონ მოქალაქეები და არამოქალაქე პირები, მაგრამ – განსხვავებით სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო შეთანხმებისგან, – კონვენცია მოითხოვს, რომ ყველა არამოქალაქეს თანაბრად ეპყრობოდნენ.

აღნიშნული კონვენცია განსაზღვრავს რასობრივ დისკრიმინაციას მუხლში 1(1): „ტერმინი ‘რასობრივი დისკრიმინაცია’ ნიშნავს ნებისმიერ განსხვავებას, გამორიცხვას, შეზღუდვას, ან უპირატესობის მინიჭებას რასის, კანის ფერის, წარმომავლობის, ეროვნული ან ეთნიკური წარმოშობის საფუძველზე, რომელიც მიზნად ისახავს, ან რომელსაც შედეგად მოაქვს ადამიანის უფლებების და ფუნდამენტური თავისუფლებების თანაბარ პირობებში აღიარების, სარგებლობის



და გამოყენების გაუქმება, ან დაბრკოლება პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ ან საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერ სხვა სფეროში“.

თუმცა, კონვენციის მუხლი 1(2) და (3) ერთი შეხედვით, თითქოს ზღუდავს მის გამოყენებას არამოქალაქეების დისკრიმინაციასთან მიმართებაში. მუხლში 1(2) ნათქვამია: „წინამდებარე კონვენცია არ შეეხება ამ კონვენციის მონაწილე რომელიმე სახელმწიფოს მიერ დადგენილ მოქალაქეებსა და არამოქალაქეებს შორის განსხვავებებს, გამორიცხვას, შეზღუდვასა და უპირატესობებს“. მუხლი 1(3) სრულყოფს მუხლს 1(2) შემდეგი განცხადებით: „მოცემულ კონვენციაში არაფერი უნდა იქნას გაგებული, როგორც მონაწილე სახელმწიფოების მიერ ეროვნულობის, მოქალაქეობის, ან ნატურალიზაციის შესახებ მიღებულ სამართლებრივ დადგენილებებზე ზეგავლენის მქონე, იმის გათვალისწინებით, რომ ეს დადგენილებები დისკრიმინაციას არ უწევს რომელიმე კონკრეტულ ეროვნებას“.

რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი თავის XI რეკომენდაციაში აღნიშნავს, რომ ეს დებულებები განხილულ უნდა იქნეს ადამიანის უფლებათა კანონის მთლიანობის გათვალისწინებით:

„მუხლი 1, პარაგრაფი 2, არ უნდა იქნას გაგებული ისე, რომ დაამციროს სხვა დოკუმენტებით (როგორცაა ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაცია, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო ხელშეკრულება და სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო შეთანხმება) აღიარებული და ფორმირებული უფლებები და თავისუფლებები“ (რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი (53, XI).

თავის დასკვნით დაკვირვებაში სახელმწიფოების ანგარიშების შესახებ და მოსაზრებებში ინდივიდუალურ კომუნიკაციებთან დაკავშირებით, კომიტეტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მონაწილე სახელმწიფოებმა:

1. საჯაროდ უნდა დაგმონ ნებისმიერი შეუწყნარებლობის, ან სიძულვილის გამოვლინება ნებისმიერი ადამიანის მიმართ მიუხედავად რასისა, ეთნიკური წარმომავლობის, ეროვნულობისა და რელიგიური ჯგუფისა და ხელი შეუწყონ არადისკრიმინაციის პრინციპისა და არამოქალაქეთა მდგომარეობის უკეთ გააზრებას;

2. უნდა უზრუნველყონ არამოქალაქეები კანონის წინაშე თანაბარი დაცვისა და აღიარების უფლებით;
3. ყურადღება უნდა გაამახვილონ არამოქალაქეთა წინაშე მდგარ ისეთ პრობლემებზე, როგორცაა ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები, განსაკუთრებით ისეთ სფეროში, როგორცაა საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფა, განათლება და დასაქმება;
4. უნდა უზრუნველყონ როგორც მოქალაქეები, ასევე, არამოქალაქეები შესაბამისი საცხოვრებელი პირობების უფლებით; ასევე, უზრუნველყონ არამოქალაქეები სოციალური სერვისებით, რაც უზრუნველყოფს მინიმალურ საცხოვრებელ სტანდარტს;
5. უნდა მიიღონ სათანადო ზომები, რათა აღმოფხვრილ იქნას არამოქალაქეების დისკრიმინაცია სამუშაო პირობებთან და ენის მოთხოვნილებასთან დაკავშირებით; მათ შორის დასაქმების წესები და ნორმები, რაც შესაძლოა იყოს დისკრიმინაციული;
6. თანაბრად მიუყენონ შესაფერისი საერთაშორისო და რეგიონული სტანდარტები ყველა ლტოლვილს, მიუხედავად თავშესაფრის მაძიებლის ეროვნულობისა და გამოიყენონ ყველანაირი საშუალება, მათ შორის საერთაშორისო თანამშრომლობა, რათა ყურადღება გამახვილდეს ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა მდგომარეობაზე, განსაკუთრებით, განათლების, საცხოვრებლისა და დასაქმების ხელმისაწვდომობაზე (53, A/57/18).

2004 წლის აგვისტოში კომიტეტმა მიიღო ზოგადი რეკომენდაცია არამოქალაქეთა დისკრიმინაციის წინააღმდეგ, რომელიც შემდეგ მნიშვნელოვან მითითებებს შეიცავდა:

1. სახელმწიფოები ვალდებული არიან, უზრუნველყონ მოქალაქეებისა და არამოქალაქეების სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებებით სარგებლობის თანასწორობა საერთაშორისო სამართლის თანახმად, რაც განსაკუთრებით მკაფიოდაა განსაზღვრული ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში, ეკონომიკური, სოციალური

და კულტურული უფლებების საერთაშორისო ხელშეკრულებაში და სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო ხელშეკრულებაში;

2. მოქალაქეობის, ან იმიგრაციის სტატუსის საფუძველზე დიფერენციალური მოპყრობა წარმოადგენს დისკრიმინაციას, თუ ასეთი დიფერენციაციის კრიტერიუმები არ შეესატყვისება ლეგიტიმურ მიზანს და არ არის ამ მიზნის მიღწევის თანაბარზომიერი;
3. სახელმწიფოებმა თავი უნდა შეიკავონ არამოქალაქეობის სხვადასხვა კატეგორიების მიმართ (როგორცაა მოქალაქეობის მდედრობითი სქესის არამოქალაქე მეუღლეები და მოქალაქეობის მამრობითი სქესის არამოქალაქე მეუღლეები) განსხვავებული სტანდარტებით მოპყრობისაგან;
4. საიმიგრაციო პოლიტიკამ და ტერორიზმის წინააღმდეგ მიმართულმა ნებისმიერმა ღონისძიებამ არ უნდა მოახდინოს დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, წარმომავლობის, ეროვნულობის ან ეთნიკური წარმოშობის საფუძველზე;
5. სახელმწიფოები ვალდებული არიან, დაიცვან არამოქალაქეები ქსენოფობიური დამოკიდებულებისა და საქციელისგან;
6. სახელმწიფოები ვალდებული არიან, არ დაუშვან არამოქალაქეების ცალკეული ჯგუფების დისკრიმინაცია მოქალაქეობის მიღების, ან ნატურალიზაციის საკითხებთან დაკავშირებით და ერთნაირად მოეპყრან ყველა არამოქალაქეს მართლმსაჯულების განხორციელებისას;
7. დეპორტაციამ, ან სხვა ფორმის გადასახლების პროცედურებმა დისკრიმინაცია არ უნდა გაუწიოს არამოქალაქეებს რასობრივი, ან ეროვნული წარმომავლობის საფუძველზე და ხელი არ უნდა შეუშალოს ოჯახური ცხოვრების უფლებას;
8. არამოქალაქეები არ უნდა დააბრუნონ, ან გადაასახლონ ისეთ ქვეყანაში, ან ტერიტორიაზე, სადაც მათ ემუქრებათ ადამიანის უფლებების სერიოზული დარღვევა;
9. ყველანაირი დაბრკოლება, რაც ხელს შეუშლის არამოქალაქეებს ისარგებლონ ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებებით, განსაკუთრებით

განათლებაში, საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფაში, დასაქმებასა და ჯანდაცვაში, აღმოფხვრილ უნდა იქნეს (გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი (224).

წინამდებარე ზოგადი რეკომენდაცია XXX ეფუძნება არამოქალაქეების უფლებების უკვე არსებული დაცვის საშუალებებს და მათ ინტერპრეტაციებს არა მხოლოდ რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის, არამედ ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტისა და სხვა ადამიანის უფლებების დაცვის დაწესებულებების მიხედვით. შესაბამისად, ზოგადი რეკომენდაცია გვაწვდის არამოქალაქეების უფლებების ამომწურავ დამუშავებას და წარმოადგენს ნიმუშს ყველა ქვეყნისთვის და განსაკუთრებით მათთვის, რომლებმაც მოახდინეს კონვენციის რატიფიკაცია.

რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი აღნიშნავს, რომ სახელმწიფოებს შეუძლიათ, გაავლონ ზღვარი მოქალაქეებსა და არამოქალაქეებს შორის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ასეთი სხვაობა გავლენას არ მოახდენს და არ შეზღუდავს არამოქალაქეთა იმ უფლებებს, რომლებიც სხვა დოკუმენტებითაა განმტკიცებული.

მაგალითად, საქმეში *'A and others v Secretary of State for the Home Department'*, ტერორიზმში ეჭვმიტანილმა ცხრა პიროვნებამ წარმატებით აიცილა დაკავება და დაამტკიცა, რომ დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულმა სამეფომ დაარღვია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მუხლი 5 (თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება). მოქალაქეობაზე, ან იმიგრაციის სტატუსის საფუძველზე დიფერენციალური მოპყრობა წარმოადგენს აკრძალულ დისკრიმინაციას, თუ ამგვარი დიფერენციაციის კრიტერიუმები შეუთავსებელია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საერთაშორისო კონვენციის მიზნებთან და შინაარსთან და არ არის ამ მიზნების და შინაარსის მიღწევების პროპორციული.

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო შეთანხმების 2 (1) მუხლის მსგავსად, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო ხელშეკრულების მუხლი 2 (2) აცხადებს, რომ მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ხელშეკრულებაში ჩამოყალიბებული

უფლებები „ნებისმიერი დისკრიმინაციის (დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის [...] ეროვნულობის, ან სოციალური წარმოშობის [...] ან სხვა სტატუსის მიხედვით) გარეშე“.

თუმცა, მუხლი 2 (3) თანასწორობის ამ წესის გამონაკლისს უშვებს განვითარებადი ქვეყნებისთვის: „განვითარებადმა ქვეყნებმა, ადამიანის უფლებებისა და მათი ეროვნული ეკონომიკის შესაბამისი გათვალისწინებით, შესაძლოა, განსაზღვრონ, რამდენად უზრუნველყოფენ მოცემულ ხელშეკრულებაში აღიარებულ ეკონომიკურ უფლებებს არამოქალაქეებისთვის“. როგორც თანასწორობის წესის გამონაკლისი, მუხლი 2 (3) ზედმიწევნით უნდა იქნას ახსნილი: მხოლოდ განვითარებად ქვეყნებს შეუძლიათ დაეყრდნონ მას და მხოლოდ ეკონომიკურ უფლებებთან მიმართებაში. სახელმწიფოებმა არ უნდა გააუღონ ზღვარი მოქალაქეებსა და არამოქალაქეებს შორის სოციალურ და კულტურულ უფლებებთან მიმართებაში.

*სიცოცხლის, თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება*

არამოქალაქეებს აქვთ კანონით დაცული სიცოცხლის ხელშეუვალი უფლება და დაუშვებელია მათი სიცოცხლის თვითნებური ხელყოფა. მათ, ასევე, აქვთ თავისუფლების და პიროვნული ხელშეუხებლობის უფლება. ყველა ადამიანი, მათ შორის არამოქალაქეები, დაცულნი უნდა იყვნენ თვითნებური დაკავებისგან. თუ არამოქალაქეებს კანონიერად ჩამოერთვათ თავისუფლება, მათ ჰუმანურად, თანდაყოლილი ღირსების შესაბამისად, უნდა მოეპყრან. არ შეიძლება მათი წამება, ან სასტიკი, არაჰუმანური და დამამცირებელი მოპყრობა, ან დასჯა და მონობაში ყოფნა. დაკავებულ არამოქალაქეებს აქვთ უფლება, დაუკავშირდნენ საკონსულოს წამორმადგენელს და მიმღები სახელმწიფო ვალდებულია, შეატყობინოს მათ ამ უფლების შესახებ.

სახელმწიფოები ვალდებული არიან, პატივი სცენ დაკავებულთა უფლებებს, იურიდიული დაცვის ჩათვლით, მიუხედავად იმისა, იმყოფებიან თუ არა ისინი მოცემული ქვეყნის ტერიტორიაზე. მოკლედ რომ ვთქვათ, სახელმწიფოს კონტროლისა და ავტორიტეტის დაქვემდებარებაში მყოფ ნებისმიერ ადამიანს მიუხედავად მისი გარემოებებისა, აქვს თავისი ფუნდამენტური უფლებების იურიდიული დაცვის უფლება. თუ დაკავებულის იურიდიული სტატუსი

გაურკვეველია, უფლებები და დაცვის საშუალებები, რომლებიც მიენიჭებათ საერთაშორისო, ან საშინაო სამართლის მიხედვით, არ შეიძლება ჩაითვალოს სახელმწიფოს ეფექტურ იურიდიული დაცვის საშუალებად. სახელმწიფოების მიერ მართული ე. წ. საერთაშორისო ზონები, სადაც არამოქალაქეებს აკავებენ და სადაც მათ უარს ეუბნებიან იურიდიულ, ან სოციალურ დახმარებაზე, წარმოადგენს იურიდიულ ფიქციას და სახელმწიფოებს არ შეუძლიათ, თავიდან აიცილონ ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო პასუხისმგებლობა იმის განცხადებით, რომ ასეთ ზონებს აქვთ ექსტერიტორიული სტატუსი.<sup>30</sup>

სახელმწიფოებმა და საერთაშორისო ორგანიზაციებმა, ასევე, უნდა უზრუნველყონ, რომ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში მიღებულმა ნებისმიერმა ზომამ არ გაუწიოს განზრახ დისკრიმინაცია, ან გავლენა მოახდინოს რასობრივი, კანის ფერის, წარმომავლობის, ეროვნულობის, ან ეთნიკური წარმოშობის საფუძველზე. თუმცა, სახელმწიფოებს შეუძლიათ, დააკავონ არამოქალაქეები დეპორტაციის, ან ექსტრადიციის განზრახვით (იმისათვის, რომ აღკვეთონ მათი მხრიდან დანაშაულის ჩადენის საშიშროება, ან გაქცევა), მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა მათი დაკავების გონივრული საფუძველი (77).

#### იძულებით რეპატრაციისგან დაცვა

არამოქალაქეები სარგებლობენ უფლებით, დაცულნი იყვნენ იძულებითი რეპატრაციისგან, ან იმ ქვეყანაში დეპორტაციისგან, სადაც მათ ელით დევნა, ან ცუდად მოპყრობა. გაუძევებლობის ეს პრინციპი არსებობს რამდენიმე საერთაშორისო დოკუმენტში უმნიშვნელოდ ცვალებადი სახით. არამოქალაქეები არ უნდა გააძევიონ, თუ გათვალისწინებული არ იქნება შესაძლო რისკები მათი სიცოცხლისა და ფიზიკური ხელშეუხებლობის მიმართ გაძევების ქვეყნებში. წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური, ან დამამცირებელი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ მიმართული კონვენციის მე-3-ე მუხლში გაუძევებლობასთან მიმართებაში ნათქვამია:

1. არცერთ მონაწილე სახელმწიფოს არა აქვს უფლება, გააძევიოს, დააბრუნოს, ან მოახდინოს პიროვნების ექსტრადიქცია სხვა სახელმწიფოში იმ შემთხვევაში,

---

30 იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართოს საქმე; *Amuur v. France*, No.19776/92, 1996 წლის 25 ივნისის განაჩენი (პუნქტი 43).

როდესაც არსებობს საკმაო საფუძველი იმის მტკიცებისათვის, რომ აღნიშნული პიროვნება მოცემულ სახელმწიფოში, შესაძლოა, წამების მსხვერპლი გახდეს.

2. ამგვარი საფუძვლების განსაზღვრისათვის, კომპეტენტურმა ორგანოებმა უნდა გაითვალისწინონ ყველა არსებითი გარემოება მათ შორის, მოცემულ სახელმწიფოში ადამიანის უფლებების უხეში, საშინელი და მასობრივი დარღვევის არსებობა.

ირღვევა თუ არა მე-3-ე მუხლი იძულებითი რეპატრაციის ბრძანებით, ამის შესაფასებლად უნდა განისაზღვროს, ემუქრება თუ არა პიროვნებას, რომელსაც ეხება საქმე, წამების რეალური საშიშროება იმ ქვეყანაში, სადაც დააბრუნებენ. 3(2) მუხლის თანახმად, გათვალისწინებული უნდა იქნეს ყველა არსებითი გარემოება, მათ შორის ადამიანის უფლებების უხეში, საშინელი და მასობრივი დარღვევის არსებობა.

თუმცა, ასეთი მაგალითის არარსებობა არ გულისხმობს, რომ პიროვნება, შესაძლოა, არ გახდეს წამების მსხვერპლი კონკრეტულ გარემოებებში (224). წამების რისკი უნდა შეფასდეს ისეთ საფუძველზე, რაც სცდება უბრალო თეორიას, ან ეჭვს. თუმცა არ არის საჭირო მისი შესაძლებლობის არსებობა. ადამიანს, რომელსაც ემუქრება იძულებითი რეპატრაცია, მოეთხოვება, დაამტკიცოს, რომ მას ემუქრება წამება და ამ ეჭვის საფუძველი არის არსებითი ზემოთ მოცემული გზით და რომ ამგვარი საშიშროება არის პიროვნული და რეალური.

#### გადაადგილების თავისუფლება და საკუთარ ქვეყანაში შესვლის უფლება

ადამიანს არა აქვს უფლება, შევიდეს ან იცხოვროს იმ ქვეყანაში, რომლის მოქალაქეც ის არ არის.<sup>31</sup> თუმცა, არამოქალაქეებს, რომლებიც ლეგალურად იმყოფებიან სახელმწიფოს ტერიტორიაზე, აქვთ გადაადგილების თავისუფლებისა და საცხოვრებელი ადგილის თავისუფალი არჩევანის უფლება. შეზღუდვებმა და სხვა კვობებმა, თუ სად დასახლდნენ სახელმწიფოში ასეთი არამოქალაქეები – განსაკუთრებით იმ შეზღუდვებმა და კვობებმა, რომლებიც, შესაძლებელია,

---

31 იხ. „ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს საქმე „ბოულტიფი შევიცარის წინააღმდეგ“, ო. 54273/00, 2001 წლის 2 ნოემბრის განაჩენი.

შეიცავდნენ იძულების ელემენტებს – შესაძლოა, დაარღვიონ მათი თავისუფალი გადაადგილების უფლება. სახელმწიფოებს მოუწოდებენ, უზრუნველყონ არამოქალაქეების გეოგრაფიული განაწილება მათ ტერიტორიაზე თანასწორობის პრინციპის მიხედვით, რათა არ მოხდეს ყველა ფორმის რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის საერთაშორისო კონვენციის მიერ აღიარებული უფლებების დარღვევა.

თავშესაფრის მაძიებელნი უზრუნველყოფილნი უნდა იყვნენ გადაადგილების თავისუფლებით, სადაც კი ეს შესაძლებელია. ყველა არამოქალაქეს უნდა შეეძლოს სახელმწიფოს თავისუფლად დატოვება (76). სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო შეთანხმების მუხლი 12(4) განსაზღვრავს, რომ „საკუთარ ქვეყანაში შესვლის უფლება თვითნებურად არავის ჩამოერთმევა“. ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტი ფართოდ განმარტავს ამ დებულებას, რათა უფლებები მიენიჭოს რომელიმე სახელმწიფოში მცხოვრებ მოქალაქეობის არმქონე პირებს და სხვებს, ვისაც ხანგრძლივი ურთიერთობა აქვთ ქვეყანასთან, მაგრამ რომლებიც არ არიან მოქალაქეები (129).

სახელმწიფოებს მოეთხოვებათ, რომ ხანგრძლივი რეზიდენტი არამოქალაქეებისთვის ცხოვრების ნებართვის შეწყვეტა მხოლოდ განსაკუთრებულ და გარკვევით განსაზღვრულ გარემოებებში მოახდინონ და ამგვარი გადაწყვეტილების შემთხვევაში, არამოქალაქეებისთვის შესაძლებელი იყოს ამ გადაწყვეტილების გასაჩივრება (77). სახელმწიფოს მხრიდან დასაბრუნებელი ვიზის მოთხოვნა მუდმივი რეზიდენტებისთვის ამ სახელმწიფოში ხელახლა შესასვლელად, შესაძლოა, არ შეესაბამებოდეს მე-12(4) მუხლს. ასეთი დებულების არსებობის შემთხვევაში, ნებისმიერმა სახელმწიფომ უნდა გადახედოს თავის კანონმდებლობას, რათა უზრუნველყოს მე-12(4) მუხლთან შესაბამისობა.

### თვითნებური გაძევებისგან დაცვა

არამოქალაქე, შესაძლოა, გაძევებულ იქნას მხოლოდ იმ ქვეყანაში, რომელიც დათანხმდება მის მიღებაზე და მას ამ ქვეყანაში წასვლის უფლება უნდა მიეცეს (129). ისეთი დოკუმენტები, როგორცაა ადამიანის უფლებების დაცვის გაეროს დეკლარაცია იმ ადამიანების შესახებ, რომლებიც არ არიან იმ ქვეყნის მოქალაქეები, სადაც ცხოვრობენ (ეს დოკუმენტი არ შეიცავს იურიდიულ



ვალდებულებებს) და ადამიანის უფლებათა დაცვის კონვენციის ოქმი № 4, კრძალავს არამოქალაქეების ერთობლივ გაძევებას.

ნებისმიერი ღონისძიება, რომელიც არამოქალაქეებს ქვეყნის ჯგუფურ დატოვებას აიძულებს, აკრძალულია, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ასეთი ღონისძიება გატარებულია ჯგუფში თითოეული მოქალაქეობის არმქონე პირის მოცემული შემთხვევის გონივრული და ობიექტური განხილვის საფუძველზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მოქალაქეობის არმქონე ადამიანებისგან შემდგარი ჯგუფების გაძევების პროცედურამ უნდა შეძლოს საკმარისი გარანტიებით უზრუნველყოფა და აჩვენოს, რომ თითოეული არამოქალაქეობის არმქონე პირის პირადი მდგომარეობა ზუსტად და ინდივიდუალურად იქნა გათვალისწინებული.<sup>32</sup>

მაგალითად, თუ აღმოჩნდა, რომ არამოქალაქეების ჯგუფის ერთ წევრს არა აქვს ლტოლილის სტატუსის მიღების უფლება, რადგან მისი წარმოშობის ქვეყანა უსაფრთხოა, რის საფუძველზეც იგი დეპორტაციას ექვემდებარება, ეს არ ნიშნავს, რომ ავტომატურად უნდა მოხდეს ჯგუფის სხვა წევრების დეპორტაცია, ვიდრე მათი საქმეები ინდივიდუალურად არ იქნება განხილული.

მიუხედავად ამისა, სახელმწიფოებისთვის არსებობს მოქმედების მნიშვნელოვანი სფერო საიმიგრაციო პოლიტიკის აღსასრულებლად და ისეთი არალეგალურად მყოფი პიროვნებების წასვლის მოსათხოვნად, რომლებიც აჭარბებენ სახელმწიფოში ყოფნის შეზღუდულ ვადას (130).

თუმცა, ეს არ ნიშნავს მოქმედების სრულ თავისუფლებასა და შეუზღუდაობას და უშვებელია სახელმწიფოს მხრიდან იძულების თვითნებური გამოყენება. არამოქალაქეები (ტერორიზმში ეჭვმიტანილნიც კი) არ უნდა იქნან გაძევებულნი მათთვის იურიდიული შესაძლებლობის მიცემის გარეშე, გაასახივრონ მათი გაძევება (128). სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო შეთანხმება უზრუნველყოფს უფლებას გარკვეულ პროცედურულ დაცვაზე გაძევების საქმეებში (მუხლი 13) მხოლოდ იმ არამოქალაქეებისთვის, რომლებიც „ლეგალურად იმყოფებიან მონაწილე სახელმწიფოს ტერიტორიაზე“ (224).

---

32 იხ. *Conka v. Belgium*; ევროპული კომისია რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ, მეორე მოხსენება ფინეთის შესახებ (CRI (2002) 20, პუნქტები 46–57).

აზროვნებისა და სინდისის თავისუფლება

არამოქალაქეებს აქვთ აზროვნებისა და სინდისის თავისუფლების უფლება, ისევე როგორც უფლება, ჰქონდეთ და გამოხატონ თავისი აზრი (130). მათ, ასევე, აქვთ მშვიდობიანი შეკრების და გაერთიანების უფლება. გარდა ამისა, პოლიტიკურ პარტიებში გაწევრიანება არამოქალაქეებისთვის შესაძლებელი უნდა იყოს.

პირად და ოჯახურ ცხოვრებაში, საცხოვრებელ ბინასა და კორესპონდენციაში თვითნებური ჩარევისგან დაცვა

დაუშვებელია არამოქალაქეების პირად და ოჯახურ ცხოვრებაში, საცხოვრებელ ბინასა და კორესპონდენციაში თვითნებური, ან უკანონო ჩარევა. ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-8 მუხლში მოცემულია:

1. „ყველას აქვს უფლება, პატივი სცენ მის პირად და ოჯახურ ცხოვრებას, მის საცხოვრებელსა და პირად კორესპონდენციას“.
2. „დაუშვებელია საჯარო ხელისუფლების ჩარევა ამ უფლების განხორციელებაში, გარდა კანონით დაშვებული ჩარევისა, როდესაც ასეთი ჩარევა აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების, ან ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესებიდან გამომდინარე, უწესრიგობის, ან დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, ჯანმრთელობისა და მორალის, ან სხვათა უფლებების და თავისუფლებების დასაცავად“.

თუ არამოქალაქეს აქვს ოჯახური კავშირები იმ სახელმწიფოს ტერიტორიაზე, საიდანაც განზრახულია მისი დეპორტაცია და ეს დეპორტაცია საფრთხეს უქმნის ამ კავშირებს, დეპორტაცია გამართლებულია მე-8 მუხლის მიხედვით იმ შემთხვევაში, თუ ის ლეგიტიმური მიზნის პროპორციულია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დეპორტაცია გამართლებულია იმ შემთხვევაში, თუ ოჯახურ ცხოვრებაში ჩარევა, დასაცავ საჯარო ინტერესებთან შედარებით, ნაკლებ ზიანს მოიტანს.

საჯარო წესრიგის შენარჩუნების საკითხში საჯარო ინტერესის დაბალანსება ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლების საზიანოდ, სახელმწიფო ინტერესს წარმოადგენს. ის თავს იჩენს, როდესაც არამოქალაქეები კრიმინალურ

დანაშაულებში არიან ბრალდებულნი. არამოქალაქე მიგრანტს არა აქვს უფლება, შევიდეს ან დარჩეს ქვეყანაში მას შემდეგ, რაც ის სერიოზულ კრიმინალურ დანაშაულს ჩაიდენს. მაგრამ პიროვნების გაძევებამ ქვეყნიდან, სადაც მისი ოჯახის წევრები ცხოვრობენ, შესაძლოა, მიგვიყვანოს ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლების დარღვევამდე, რომელსაც თავის თავზე იღებს შეთანხმების მე-8-ე მუხლი, განსაკუთრებით, თუ დაზარალებული პიროვნება მცირე საფრთხეს უქმნის საჯარო წესრიგს, ან უსაფრთხოებას.

#### კანონის წინაშე აღიარების და კანონით დაცვის თანასწორი უფლება

კანონის წინაშე არამოქალაქეებს მინიჭებული აქვთ თანასწორი აღიარების და დაცვის უფლება. ისინი თანასწორნი არიან სასამართლოს და ტრიბუნალის წინაშე და სამართლიანი და საჯარო მოსმენის უფლება აქვთ კანონით დაარსებული, კომპეტენტური, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ტრიბუნალის მიერ, მათ წინააღმდეგ ჩადენილი ნებისმიერი კრიმინალური დანაშაულის, ან კანონით გათვალისწინებული მათი უფლებების და ვალდებულებების განსაზღვრის დროს. არამოქალაქეები არ უნდა იქნენ დაკავებულნი სისხლის სამართლის რეტროსპექტული კანონმდებლობის მიხედვით და არ უნდა იქნენ დაპატიმრებულნი სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებობის გამო.

#### მოქალაქეობის მიღების, შენარჩუნების და გადაცემის უფლება

სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ეფექტური ზომები იმის უზრუნველსაყოფად, რომ ყველა არამოქალაქემ ისარგებლოს მოქალაქეობის მიღების უფლებით დისკრიმინაციის გარეშე. მაშასადამე, სახელმწიფოებმა არ უნდა განასხვავონ არამოქალაქეთა კონკრეტული ჯგუფები რასობრივი, ეთნიკური, თუ ეროვნული წარმომავლობის საფუძველზე ნატურალიზაციის, ან დაბადების რეგისტრაციის თვალსაზრისით და უნდა ამოიღონ კანონმდებლობიდან ყველანაირი დისკრიმინაცია ქალსა და მამაკაცს შორის ეროვნების მიღებასა და გადაცემასთან დაკავშირებით (128). მოქალაქეთა არამოქალაქე მეუღლეებს უნდა შეეძლოს მოქალაქეობის მიღება ერთი და იგივე გზით მათი სქესის მიუხედავად (50). ქალების წინააღმდეგ განხორციელებული ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის კონვენციის მე-9-ე მუხლში ნათქვამია რომ:

1. მონაწილე სახელმწიფოებმა ქალს მამაკაცთან თანასწორი უფლებები უნდა მიანიჭონ ეროვნების მიღების, შეცვლის, ან შენარჩუნებასთან მიმართებაში. კერძოდ, მათ უნდა უზრუნველყონ, რომ არც უცხოელზე ქორწინების შემთხვევაში, არც ქმრის მიერ ეროვნების შეცვლის შემთხვევაში, მათი ქორწინების განმავლობაში, ეს ავტომატურად არ შეცვლის ცოლის ეროვნებას, არ დატოვებს ქვეშევრდომობის გარეშე, ან არ მოხდება მასზე ქმრის ეროვნების დაბალება.
2. მონაწილე სახელმწიფოებმა ქალს მამაკაცთან თანასწორი უფლებები უნდა მიანიჭონ მათი შვილების ეროვნებასთან მიმართებაში.

მიუხედავად ამისა, სახელმწიფოთა გარკვეული რაოდენობა მაინც აგრძელებს დისკრიმინაციას ქალების უფლებასთან მიმართებაში, გადასცენ თავიანთ შვილებს ეროვნება. ზოგიერთმა სახელმწიფომ შენიშვნებიც კი შეიტანა კონვენციის მე-9-ე მუხლში. ასეთი სახელმწიფოები უფლებას აძლევენ ქალებს, გადასცენ ეროვნება შვილებს, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი არიან დაუოჯახებელი, ან მათ ქმრებს არ გააჩნით ქვეშევრდომობა. მიუხედავად სქესისა და იმისა, არიან თუ არა ისინი დაქორწინებული მეორე მშობელზე, მშობლებს უნდა შეეძლოთ, გადასცენ ეროვნება შვილებს.

ამავე დროს, *jus soli* პრინციპი (დაბადების ადგილზე დაფუძნებული მოქალაქეობა) გახდა საერთაშორისო ნორმა იმ ბავშვების ეროვნების გარკვევისთვის, რომლებიც გაუჩნდათ არამოქალაქე მშობლებს, განსაკუთრებით, თუ მათ სხვა შემთხვევაში არ ექნებოდათ ქვეშევრდომობა. არამოქალაქეთა შვილები, რომელთა იურიდიული სტატუსი ჯერ არაა განსაზღვრული, უნდა იქნენ დაცული მოქალაქეობის მიღების პროცესში წარმოქმნილი ნებისმიერი სირთულისგან.

სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ წინამორბედი სახელმწიფოს ყოფილ მოქალაქეს არ შეექმნას ადმინისტრაციული სირთულეები მოქალაქეობის მიღების სპეციფიკური ლეგალური მოთხოვნებისადმი დამორჩილების დროს და, აგრეთვე, უზრუნველყოს, რომ შესაბამისი კანონმდებლობა ხორციელდებოდეს დისკრიმინაციის გარეშე.

ქვეშევრდომობის არმქონე პირებს და წინამორბედი სახელმწიფოების ყოფილ მოქალაქეებს, რომელთაც მიიღეს სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობა მიმღები

სახელმწიფოს გარდამავალ პერიოდში, უნდა შეექმნათ მიმღები სახელმწიფოს მოქალაქეობის მიღება. მაგალითად, ესტონეთში, ყოფილ საბჭოთა ჯარისკაცებს უარი უთხრეს ესტონეთის მოქალაქეობაზე. განაცხადი მემკვიდრე სახელმწიფოს მოქალაქეობაზე წინამორბედი სახელმწიფოს ყოფილი სამხედრო პერსონალისგან, თითოეული შემთხვევის მიხედვით უნდა გაიჩეს (129).

მოქალაქეობის და სახელმწიფოთა მონაცვლეობასთან მიმართებაში, სახელმწიფოებმა უნდა მისდიონ ფიზიკუპი პერსონების ქვეშევრდომობის შესახებ მუხლებში მოცემულ დებულებებს სახელმწიფოთა მონაცვლეობასთან დაკავშირებით. ამ მუხლების მიხედვით, წინამორბედი სახელმწიფოს ნებისმიერ მოქალაქეს აქვს უფლება, სულ ცოტა, ერთი მონაცვლე სახელმწიფოს ქვეშევრდომობაზე და ქვეყნებიც „ყველა შეასაბამის ზომას მიიღებენ, რათა პიროვნებას, რომელსაც ქვეყნების მონაცვლეობის თარიღისთვის ჰქონდა წინამორბედი ქვეყნის ქვეშევრდომობა, აარიდონ ამგვარი მონაცვლეობის დროს ქვეშევრდომობის გარეშე დარჩენის პრობლემა“ (129).

სახელმწიფოთა მონაცვლეობის კონტექსტში, ევროსაბჭოს სტანდარტები, როგორც ჩანს, მნიშვნელობას ანიჭებს ენობრივ მოთხოვნებსა და განსხვავებას ეთნიკური წარმომავლობის მიხედვით, რადგან ეთნიკურობის გათვალისწინება საზოგადოებაში ინტეგრირების შესაძლებლობის დადგენას ემსახურება (56). ეს მიდგომა თავსებადია ადამიანის უფლებების ევროპული და ინტერამერიკული სასამართლოების დადგენილებებთან. იქ, სადაც სახელმწიფო თავადაა პასუხისმგებელი ყოფილი მოქალაქის მიერ მოქალაქეობის დაკარგვაზე, სახელმწიფოს მხრიდან ყოფილი მოქალაქისათვის მოქალაქეობის მიღების მოთხოვნა, როგორც ამ მოქალაქის საკუთრების აღდგენის წინაპირობა, არ იქნებოდა თავსებადი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო ხელშეკრულებასთან (224).

მიუხედავად იმისა, რომ არც მოქალაქეობის მიღება და არც მისი დაკარგვა უშუალოდ არ რეგულირდება ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციით, მოქალაქეობის მინიჭებისა და გაუქმების შესახებ გადაწყვეტილებები არსებით და პროცედურულ მოთხოვნებთანაა დაკავშირებული, რომლებსაც ეს კონვენცია აღგენს. მაგალითად, მოქალაქეობის თვითნებურმა ჩამორთმევამ, შესაძლოა, მიგვიყვანოს შეურაცხყოფელ, ან არაკუმანურ მოპყრობამდე, რომელიც

აკრძალულია კონვენციის მე-3-ე მუხლის მიხედვით, ან მე-8-ე მუხლის დარღვევამდე, რომელიც ითვალისწინებს პირადი და ოჯახური ცხოვრებისადმი პატივისცემას. სახელმწიფოს უარმა მოქალაქეობის მიღებაზე, გაძევების განკარგულებასთან ერთად, შესაძლოა, გამოიწვიოს დაშვება, რომ უარის მიზანი მოქალაქის დეპორტაცია იყო, რომელსაც კონვენციის მე-4-ე პროტოკოლის მე-3-ე მუხლი კრძალავს (225).

### სქესის საფუძველზე დისკრიმინაციისგან დაცვა

ეროვნების მიღებასთან და გადაცემასთან მიმართებით, სახელმწიფოები არ არიან ვალდებული, თავიანთი კანონმდებლობის მიხედვით, აღმოფხვრან ყველანაირი დისკრიმინაცია ქალსა და მამაკაცს შორის (129). ზოგიერთი ქვეყნის ეროვნების და იმიგრაციის კანონი განასხვავებს ქალისა და მამაკაცის შესაძლებლობებს, ქორწინებისა და მოქალაქეობის არმქონე მეუღლესთან ცხოვრებასთან მიმართებაში. მაგალითად, მავრიკის სახელმწიფომ მიიღო იმიგრაციის კანონი, რომლის მიხედვითაც, თუ მავრიკიელი ქალი დაქორწინდება სხვა ქვეყნის მოქალაქე მამაკაცზე, ქმარმა საცხოვრებლის მოთხოვნით უნდა მიმართოს მავრიკის ხელისუფლებას და, შესაძლოა, უარყოფითი პასუხი მიიღოს.

თუ მავრიკიელი მამაკაცი დაქორწინდება უცხელ ქალზე, უცხელ ქალს ავტომატურად ეძლევა მავრიკის რეზიდენტობის უფლება. ადამიანის უფლებების კომიტეტმა მიიჩნია, რომ მავრიკის სახელმწიფომ დაარღვია პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებების საერთაშორისო შეთანხმება ქალსა და მამაკაცს შორის დისკრიმინაციით ადეკვატური გამართლების გარეშე და ოჯახის ერთად ცხოვრების უფლების დარღვევით (224). მოქალაქეთა არამოქალაქე მეუღლეებს უნდა შეეძლოთ, მიიღონ მოქალაქეობა ერთი და იგივე მეთოდით სქესის მიუხედავად, რასობრივი დისკრიმინაციის ნებისმიერი ფორმის აღმოფხვრის საერთაშორისო კონვენციის 5 (d) (იი) მუხლის შესაბამისად.

### არამოქალაქეების, როგორც უმცირესობის წარმომადგენლების, უფლებები

ვინაიდან არამოქალაქეები, ხშირ შემთხვევაში, მოქალაქეებისგან განსხვავებული ეროვნული თუ რასობრივი კუთვნილების არიან, სახელმწიფოებმა ისინი ეროვნულ უმცირესობას უნდა მიაკუთვნონ და უზრუნველყონ იმ უფლებების

განხორციელება, რომლებიც მათ სტატუსს უკავშირდება (52). ის უფლებები, რომლითაც სარგებლობენ ის არამოქალაქეები, რომლებიც უმცირესობებს ეკუთვნიან, გვხვდება რამდენიმე ლეგალურ დოკუმენტში და ამ უფლებების მარეგულირებელი ორგანოების საბუთებში.

მაგალითად, ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტმა განაცხადა, რომ „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების [საერთაშორისო] შეთანხმების 27-ე მუხლის თანახმად, იქ, სადაც უცხოელები შეადგენენ უმცირესობას, მათ უნდა ჰქონდეთ უფლება, თავიანთი ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად, იცხოვრონ საკუთარი კულტურის შესაბამისად, ჰქონდეთ და აღიარებდნენ საკუთარ რელიგიას და საუბრობდნენ საკუთარ ენაზე“ (57).

ამრიგად, ეროვნული და რასობრივი უმცირესობების წარმომადგენლების მიერ ამ უფლებებით სარგებლობა, ვერ იქნება მხოლოდ მოქალაქეებით შეზღუდული. გარდა ამისა, ეროვნულ თუ ეთნიკურ, ენობრივ და რელიგიურ უმცირესობას მიკუთვნებული პიროვნებების უფლებების გაეროს დეკლარაცია, თუმცა იურიდიულად დამავალდებულებელი არაა, დეტალურად განიხილავს ეროვნული და ეთნიკური უმცირესობების უფლებებს, რომლებიც მიგრანტი ერთობლიობების მომცველად მიიჩნევა (165).

საერთაშორისო კრიმინალური სასამართლოს რომის სტატუტის მიხედვით, სასამართლოს აქვს უფლებამოსილება, დაიცვას მოქალაქეობის არმქონე პირები დევნისა და შეურაცხყოფისაგან, რომელიც ჩადენილია მათი ეროვნული ჯგუფის მოსპობის მიზნით. რომის სტატუტის მე-5-ე მუხლში ჩამოთვლილია ოთხი კატეგორიის დანაშაული, რაც სასამართლოს იურისდიქციის ფარგლებში ხვდება: გენოციდის დანაშაული, კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულები, ომის დანაშაულები და აგრესიის დანაშაული.

მე-6-ე მუხლი გენოციდს განსაზღვრავს, როგორც გარკვეულ ქმედებებს „ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი, ან რელიგიური ჯგუფის, როგორც ასეთის, ნაწილობრივი, ან მთლიანი განადგურების მიზნით.“ შესაბამისად, ეს ქმედებები დანაშაულს წარმოადგენს სასამართლოს იურისდიქციის ფარგლებში. გარდა ამისა, მე-7-ე მუხლის მიხედვით, „ნებისმიერი ჯგუფის, ან კოლექტივის დევნა პოლიტიკურ, რასობრივ, ეროვნულ, ეთნიკურ, კულტურულ, რელიგიურ, გენდერულ [...] თუ სხვა ნიადაგზე, რაც საყოველთაოდ აღიარებულია დაუშვებლად

საერთაშორისო სამართლის ფარგლებში, ასევე, მიიჩნევა დანაშაულად კაცობრიობის წინააღმდეგ“.

გარდა ამისა, როგორც სათათბირო კომიტეტმა, ასევე, მინისტრთა კომიტეტმა აღნიშნეს, რომ კონვენცია ვრცელდება არამოქალაქებზეც. ეს ის ორგანოებია, რომელთა ამოცანასაც წარმოადგენს ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ევროპული ჩარჩო-კონვენციის განხორციელებაზე ზედამხედველობა (3).

არამოქალაქეებს აქვთ რელიგიური აღმსარებლობის თავისუფლების უფლება. სახელმწიფოებმა უნდა გაატარონ შესაბამისი ღონისძიებები, რათა არ დაუშვან ისეთი პრაქტიკების არსებობა, რომლებიც უარყოფს არამოქალაქეების კულტურულ და ეთნიკურ იდენტობას (მაგალითად, ნატურალიზაციის მისაღებად არამოქალაქეებისთვის სახელის შეცვლის მოთხოვნა). ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო კონვენციის მე-15-ე მუხლი ავალდებულებს სახელმწიფოებს, მიიღონ ზომები, რომ ყველას, მოქალაქეობის მიუხედავად, ჰქონდეს კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება. საქორწინო ასაკის მიღწევის შემდეგ არამოქალაქეებს აქვთ დაქორწინების უფლება.

ჯანდაცვის, განათლების, განსახლების, ცხოვრების მინიმალური ტანდარტების და სოციალური დაცვის უფლება

მთავრობებმა თავი უნდა აარიდონ არამოქალაქეებსა და მოქალაქეებთან მოპყრობის განსხვავებულ სტანდარტს რამაც, შესაძლოა, მიგვიყვანოს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებებით არათანასწორ სარგებლობამდე (51). საერთაშორისო სამართლის მიხედვით, მთავრობებმა უნდა განახორციელონ თანმიმდევრული ღონისძიებები შესაძლებლობების ფარგლებში ყველა ადამიანის უფლების დასაცავად შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით: სოციალური დაცვა; ცხოვრების ადეკვატური პირობები, რაც გულისხმობს შესაბამის საკვებს, ტანსაცმელსა და თავშესაფარს; საცხოვრებელი პირობების მუდმივი გაუმჯობესება; ფიზიკური და გონებრივი ჯანდაცვის უმაღლესი მისაწვდომი სტანდარტი და განათლება (224).

სახელმწიფოები ვალდებული არიან, უზრუნველყონ არამოქალაქეები ცხოვრების მინიმალური სტანდარტებით. მისასაღმებელია ინიციატივები, რომლებიც



ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო სისტემაში არამოქალაქეების ჩასართავად განხორციელდა. საგანმანათლებლო დაწესებულებები ყველასთვის უნდა იყოს ხელმისაწვდომი დისკრიმინაციის გარეშე, მონაწილე სახელმწიფოს უფლებამოსილების ფარგლებში. „არა-დისკრიმინაციის ეს პრინციპი ვრცელდება სკოლის ასაკის ყველა პიროვნებაზე, რომელიც მონაწილე სახელმწიფოს ტერიტორიაზე ცხოვრობს, არაქვეშევრდომების ჩათვლით და მათი ლეგალური სტატუსის მიუხედავად“.

გარდა ამისა, „[ეკონომიური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო] შეთანხმების 2 (2) მუხლში განხილული აკრძალვა დისკრიმინაციის წინააღმდეგ არც პროგრესული რეალიზაციის და არც რესურსების ხელმისაწვდომობის საგანია; ის მთლიანად შეეხება განათლების ყველა ასპექტს და მოიცავს დისკრიმინაციის ყველა საერთაშორისო აკრძალვის საფუძველს“ (49). არ შეიძლება ჩამოერთვათ პენსია, თავშესაფარი, ჯანდაცვის და სხვა უფლებები იმ არამოქალაქეებს, რომლებიც არიან მათი სახელმწიფოს წინამორბედი სახელმწიფოს ყოფილი მოქალაქეები.

#### არამოქალაქეთა შერჩეული ჯგუფების უფლებები

დოკუმენტების არ მქონე არამოქალაქეების სხვადასხვა კატეგორიებს, როგორცაა ქვეშევრდომობის გარეშე დარჩენილები, ლტოლვილები და თავშესაფრის მაძიებლები, დოკუმენტების არმქონე ეკონომიკური მიგრანტები, ტრეფიკინგის მსხვერპლი ქალები და ბავშვები, უნდა მოეპყრან ისე, როგორც შეესაბამება მათ კონკრეტულ მდგომარეობას.

#### ქვეშევრდომობის გარეშე დარჩენილი პირები

ზოგიერთ არამოქალაქეს ქვეშევრდომობა არ გააჩნია. მათ ან არასოდეს ჰქონიათ თავისი დაბადების ქვეყნის მოქალაქეობა, ან დაკარგეს მოქალაქეობა და არ მოუთხოვიათ სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობა. ამ კატეგორიაში შედიან ქვეყნის მკვიდრი პირები, რომლებიც ვერ დარეგისტრირდნენ მოქალაქეებად შესაბამისი პერიოდის განმავლობაში და რომლებსაც შემდეგ მოქალაქეობაზე უარი უთხრეს.

ისეთ სახელმწიფოში მცხოვრები ბავშვები, სადაც აღიარებენ მოქალაქეობის მიღების მხოლოდ *jus sanguinis* პრინციპს და რომლებიც გაუჩნდნენ არამოქალაქე მშობლებს ქვეყნიდან, სადაც აღიარებენ მხოლოდ *jus soli* პრინციპს. ქვეშევრდომობის არმქონე პირების უფლებები ფორმულირებულია მრავალ საერთაშორისო დოკუმენტში ქვეშევრდომობის არმქონე პირების სტატუსის შესახებ კონვენციის და ქვეშევრდომობის არქონის შემცირების შესახებ კონვენციის ჩათვლით.

ქვეშევრდომობის არმქონე პირების სტატუსი, განსაკუთრებით პირებისა, რომლებსაც უარი უთხრეს რეზიდენტობის ნებართვაზე, ან მოქალაქეობაზე, უნდა დარეგულირდეს, მაგალითად, რეზიდენტობის ნებართვაზე განაცხადის პროცედურების გამარტივებით და კამპანიების მეშვეობით იმის ასახსნელად, რომ ქვეშევრდომობის არმქონე პირებს არ ემუქრებათ გაძევება, თუ ისინი თავს გაამჟღავნებენ უფლებამოსილ ორგანოებთან. სახელმწიფოები, აგრეთვე, უნდა ცდილობდნენ ქვეშევრდომობის არმქონე პირების (განსაკუთრებით, ბავშვების) რიცხვის შემცირებას (მშობლების სტიმულირების მეშვეობით, რათა მათ მოქალაქეობა საკუთარი სახელით მიიღონ).

არ უნდა მოხდეს ქვეშევრდომობის არმქონე პირების იძულებითი რეპატრაცია თავისი წინაპრების წარმოშობის ქვეყანაში. ადამიანებს, რომლებმაც მიიღეს სხვა ქვეყნის მოქალაქეობა მათი მშობლიური ქვეყნის გარდა, უნდა ჰქონდეთ თავის მშობლიური ქვეყნის მოქალაქეობის მიღების შესაძლებლობა. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო შეთანხმების 12(4) მუხლის შესაბამისად, ქვეშევრდომობის არმქონე პირებს არ უნდა ჩამოერთვათ უფლება საცხოვრებელ ქვეყანაში, ან იმ ქვეყანაში შესვლისა, რომელთანაც ხანგრძლივი ურთიერთობა აქვთ. ქვეშევრდომობის არმქონე პირების უფლებები მოცემულია რიგ საერთაშორისო დოკუმენტებში ქვეშევრდომობის არმქონე პირების სტატუსის შესახებ კონვენციის და ქვეშევრდომობის არქონის შემცირების შესახებ კონვენციის ჩათვლით.

### ლტოლვილები და თავშესაფრის მაძიებლები

გაეროს ხუთი დოკუმენტი ქმნის ლტოლვილთა უფლებების საფუძველს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალში. ესენია 1951 წლის კონვენცია

ლტოლვილთა სტატუსის შესახებ და მისი 1967 წლის პროტოკოლი, ლტოლვილთა საქმეების უზენაესი კომისარიატის სტატუტი, ტერიტორიული თავშესაფრის შესახებ დეკლარაცია და ლტოლვილთა სტატუსის განსაზღვრის პროცედურების და კრიტერიუმების სახელმძღვანელო (211).

ლტოლვილთა და თავშესაფრის მაძიებელთა შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტები თანასწორად უნდა გამოიყენებოდეს, მიუხედავად ლტოლვილის და თავშესაფრის მაძიებლის ეროვნებისა. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ არალეგალურ სიტუაციაში მოხვედრილ ადამიანებს, როგორებიც არიან თავშესაფრის მაძიებლები, რომლებიც უკანონოდ იმყოფებიან ქვეყანაში და ვისი განაცხადებიც არ განიხილება სათანადო უფლებამოსილი ორგანოების მიერ, არ უნდა მოექცნენ, როგორც კრიმინალებს.

მიგრანტების ადამიანის უფლებების შესახებ 2003 წლის მოხსენება, რომელიც სპეციალურმა მომხსენებელმა წარმოადგინა, ფოკუსირებული იყო მიგრანტების დაკავების საკითხზე და მათი დაკავების პირობებზე. პრობლემები მოიცავდა თავშესაფრის მაძიებლების დაკავებას; დაკავების გაგრძელებულ პერიოდებს; დაკავების შესახებ გადაწყვეტილებების თვითნებურ ხასიათს.

დაკავებას დაუსაბუთებელი ბრალდების საფუძველზე, დაკავშირებულს ტერორიზმთან ან ეროვნულ უსაფრთხოებასთან; ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაკავებას; მიგრანტი ბავშვების დაკავებას; იურიდიული დახმარების და სასამართლო განხილვის არარსებობას; დაკავებას ჩვეულებრივ კრიმინალებთან ერთად; ცალკე საკანში დაკავებას; დაკავების მეთოდებს, რომლებიც საფრთხეს უქმნის დაკავებულის ფიზიკურ მდგომარეობას; დაკავებას არასათანადო პირობებში; ხალხის ჭარბ რაოდენობას და ცუდ ჰიგიენური პირობებს; სამედიცინო დახმარების უქონლობას; განათლების არარსებობას ახალგაზრდა დაკავებულთათვის და სხვა პრობლემებს.

1951 წლის კონვენცია ლტოლვილთა სტატუსის შესახებ და მისი 1967 წლის პროტოკოლი აცხადებს, რომ ლტოლვილებს უნდა ეპყრობოდნენ, სულ მცირე, ისე, როგორც ეს უზრუნველყოფილია მოქალაქეების მიმართ შემდეგი პირობების გათვალისწინებით: რელიგია (მუხლი 4); ინტელექტუალური საკუთრების დაცვა (მუხლი 14); სასამართლოების და იურიდიული დახმარების წვდომა (მუხლი 16);

ელემენტარული განათლება (მუხლი 22(1)); სახელმწიფო შეღავათები და ხელშეწყობა (მუხლი 23); შრომითი კანონმდებლობა და სოციალური დაცვა (მუხლი 24) და ფინანსური გადასახადები (მუხლი 29).

ეს კონვენცია და მისი პროტოკოლი, ასევე, მოითხოვს, რომ მონაწილე სახელმწიფოები ლტოლვილებს უნდა ეპყრობოდნენ, სულ მცირე, ისე, როგორც ეს უზრუნველყოფილია, ზოგადად, არა-მოქალაქეების მიმართ და საკანონმდებლო ურთიერთმისაღებობის აქტიდან გამონაკლისის გათვალისწინებით. აღიარებულ ლტოლვილებს უარი არ უნდა უთხრან დასაქმებაზე, განსახლებაზე და სოციალურ ხელშეწყობაზე, განსაკუთრებით მათი ეთნიკური წარმოშობის საფუძველზე (78).

გარკვეული უფლებები მიესადაგება კონკრეტულად თავშესაფრის მაძიებლებს. თავშესაფრის მინიჭებისთვის ვარგისიანად აღიარება არ უნდა იყოს დამოკიდებული ეთნიკურ, ან ეროვნულ წარმოშობაზე. თავშესაფრის მაძიებლებს უნდა მიენიჭოთ მუშაობის უფლება. თავშესაფრის მაძიებელთა ადამიანის უფლებები აგრეთვე დაცულია ადამიანის უფლებების შესახებ დოკუმენტებით აფრიკაში, ევროპაში და ორივე ამერიკაში და მიესადაგება ყველა ადამიანს, რომელიც ცხოვრობს შესაბამისი მონაწილე ქვეყნის იურისდიქციაში, მიუხედავად მათი იურიდიული სტატუსისა თავშესაფრის ქვეყანაში.

თავშესაფრის მაძიებლების დაკავება თავიდან უნდა იქნეს აცილებული ყველა შესაძლო საშუალებით, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ადამიანი ოჯახთან ერთადაა ჩამოსული. თუ დაკავება მაინც მოხდა, ეს არ უნდა იყოს განუსაზღვრელი პერიოდით და ყურადღება უნდა მიექცეს თავშესაფრის მაძიებელთა დაკავებული ოჯახებისთვის – განსაკუთრებით, იმ შემთხვევაში, თუ დაკავებულს ბავშვები ჰყავს – უზრუნველყოფილ განთავსების პირობებს და კომუნალურ საშუალებებს.

თავშესაფრის მაძიებლები და ლტოლვილები არ უნდა იყვნენ დაკავებული მსჯავრდებული კრიმინალების გვერდით, აგრეთვე, მათი დაკავება არ უნდა მოხდეს პირადობის დამადასტურებელი საბუთის უქონლობის გამო, ან იმის გამო, რომ მათთვის არაა ცნობილი სამოგზაურო მარშრუტები მიმღებ ქვეყანაში (224). სადაც შესაძლებელია, თავშესაფრის მაძიებლებს გარანტირებული უნდა ჰქონდეთ გადაადგილების თავისუფლება.

## შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO)

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) კონვენციები და რეკომენდაციები (მაგალითად, კოლექტიური ხელშეკრულების, დისკრიმინაციის, მუშების ანაზღაურების, სოციალური დაცვის, სამუშაო პირობების და გარემოს, ძალდატანებითი და ბავშვთა შრომის აღმოფხვრის შესახებ), ზოგადად, იცავს ყველა მუშაკის უფლებას, მოქალაქეობის მიუხედავად. შსო-ს რვა ფუნდამენტური კონვენცია<sup>33</sup> და რეკომენდაციები, რომლებიც მათ ახლავს თან, მიესადაგება ყველა მუშას, მოქალაქეობის მიუხედავად. კონკრეტულად, შსო-ს რამდენიმე დოკუმენტი იცავს მიგრანტ მუშებს და მათ ოჯახებს.

ყველაზე მნიშვნელოვანია კონვენცია<sup>34</sup> № 97 სამუშაოს მოსაპოვებლად მიგრაციის შესახებ; კონვენცია<sup>35</sup> № 143 სამუშაო პირობების და მიგრანტ მუშებთან თანასწორი მოპყრობის შესახებ და კონვენცია<sup>36</sup> № 118 სოციალური დაცვის თვალსაზრისით თანასწორი მოპყრობის შესახებ. მრავალ შემთხვევაში, ეს კონვენციები იძლევა გარკვეული უფლებების გარანტიას.

მაგალითად, თანასწორი ანაზღაურებისა და მინიმალური საათობრივი ანაზღაურების გარანტიას წინა დასაქმების გათვალისწინებით; ასევე, სოციალური დაცვის შეღავათებით სარგებლობა არა-მოქალაქეებისთვის, იმის მიუხედავად, ლეგალურად იმყოფება თუ არა მიგრანტი ტერიტორიაზე. სხვა უფლებები განვრცობილია მხოლოდ იმ პირებზე, ვინც ლეგალურად იმყოფება ტერიტორიაზე, მაგალითად, თანასწორი შესაძლებლობებით სარგებლობა და პროფესიული სწავლების მიღების უფლებები.

შსო-ს კონვენცია № 143 ადგენს კონკრეტულ მითითებებს უკანონოდ დასაქმებულ მიგრანტებთან მოპყრობასთან დაკავშირებით. ასეთი პირებისთვის მისადაგებული მინიმალური ნორმების დადგენისას, მუხლში 1, მაგალითად, მოცემულია, რომ მონაწილე ქვეყნებმა „პატივი უნდა სცენ მიგრანტი მუშების ადამიანის ძირითად

---

33 კონვენცია ძალდატანებითი შრომის შესახებ ( ო. 29), კონვენცია გაერთიანების თავისუფლების და ორგანიზების უფლების შესახებ ( ო. 87), კონვენცია ორგანიზების უფლების და კოლექტიური ხელშეკრულების შესახებ ( ო. 98), კონვენცია თანასწორი ანაზღაურების შესახებ ( ო. 100), კონვენცია ძალდატანებითი შრომის აღმოფხვრის შესახებ ( ო. 105), კონვენცია დისკრიმინაციის (სამუშაოზე აყენის და დასაქმების თვალსაზრისით) შესახებ ( ო. 111), კონვენცია მინიმალური ასაკის შესახებ ( ო. 138)

34 იხ. ILOLEX, Database of International Labour Standards, (2012) <http://www.ilo.org/ilolex/english/convdisp1.htm>

35 *Ibid.*

36 *Ibid.*

უფლებებს“, მიუხედავად მათი მიგრაციული სტატუსის, ან იურიდიული სიტუაციისა. კონვენციების და რეკომენდაციების გამოყენების საექსპერტო კომიტეტმა განმარტა ეს უფლებები, როგორც ფუნდამენტური უფლებები, რომლებიც შესულია ადამიანის საერთაშორისო უფლებებში, ყველა მიგრანტი მუშის და მთი ოჯახების უფლებების დაცვის საერთაშორისო კონვენციაში და შსო-ს დეკლარაციაში მუშაობისას ფუნდამენტური პრინციპების და უფლებების შესახებ.

#### რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი

რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი ხშირად გამოთქვამს შეშფოთებას რომ არა-მოქალაქეები, რომლებიც მუშაობენ, როგორც სახლში მომსახურე მუშები (domestic workers), ექვემდებარებიან არალეგალურ დაკავებას, პასპორტის წართმევას და ფიზიკურ თავდასხმას. 158-მა სახელმწიფომ ბოლო უნდა მოუღოს უცხოელი მუშაკების, კერძოდ, სახლში მომსახურე მუშების, პასპორტების წართმევა დამსაქმებლის მიერ (51).

#### ტრეფიკინგის მსხვერპლნი

არა-მოქალაქეები ხშირად წარმოადგენენ ტრეფიკინგის სამიზნეს. პირები, რომლებიც ემიგრირებენ უკანონო არხებით, როგორცაა კონტრაბანდის და ტრეფიკინგის ქსელები, არიან კონტეინერებში უპაერობით გაგუდვის, ან გადატვირთული გემის ჩაძირვისას, დახრწობის რისკის ქვეშ. ტრეფიკინგის მსხვერპლთათვის უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ადეკვატური ხელშეწყობა და მხარდაჭერა, რაც მოიცავს ოფიციალურ დაცვას, დახმარებას და განათლებას (77).

#### არამოქალაქე ბავშვები

ბავშვთა უფლებების კონვენციის მუხლი 2 ადგენს, რომ „მონაწილე სახელმწიფოებმა პატივი უნდა სცენ და უზრუნველყონ წინამდებარე კონვენციაში გაწერილი უფლებები თითოეული ბავშვისთვის, თავისი იურისდიქციის ფარგლებში რაიმე სახეობის დისკრიმინაციის გარეშე [...]“ ბავშვთა უფლებათა კომიტეტი ურჩევს სახელმწიფოებს, გააგრძელონ და გააძლიერონ ეს ძალისხმევა

მე-2-ე მუხლში ჩართული არა-დისკრიმინაციის უფლების სრული ინტეგრაციისთვის მთელ შესაბამის კანონმდებლობაში (55).

კომიტეტი რეკომენდაციას უწევს სახელმწიფოებს, შეიმუშავონ ყოვლისმომცველი და კოორდინირებული პოლიტიკა იმიგრაციის განვითარებად ფენომენზე რეაგირებისთვის, და ასევე ჩაატარონ: ტოლერანტობის ხელშესაწყობად საჯარო საინფორმაციო კამპანიები, რასობრივი მოტივით მომხდარი ქმედებების მონიტორინგი, და მონაცემთა შეგროვება (55). სახელმწიფოებმა, ასევე, უნდა მიიღონ ეფექტური ზომები დისკრიმინაციულ დამოკიდებულებაზე, ან წინასწარგანწყობაზე რეაგირებისთვის, განსაკუთრებით, არა-მოქალაქეთა ბავშვების მიმართ; სრულად და ეფექტურად გამოიყენონ მიღებული სამართლებრივი ზომები დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად და დარწმუნდნენ, რომ მათი კანონმდებლობა სრულ შესაბამისობაშია ბავშვთა უფლებების კონვენციის მე-2-ე მუხლთან.

არამოქალაქეთა ბავშვებს აქვთ უფლება, ჰქონდეთ სახელი და უფლება ჰქონდეთ ეროვნება. ბავშვთა უფლებების კონვენციის მე-7-ე მუხლის მიხედვით, ბავშვი „დაბადებისთანავე უნდა დარეგისტრირდეს და დაბადებისთანავე უნდა ჰქონდეს სახელის და ეროვნების მიღების უფლება. [...] მონაწილე ქვეყნებმა უნდა უზრუნველყონ ეს უფლებები [...] განსაკუთრებით, თუ სხვა შემთხვევაში ბავშვი ქვეშევრდომობის გარეშე დარჩება“.

კონვენციის თითქმის საყოველთაო რატიფიკაციის თვალსაზრისით, *jus soli* (დაბადების ადგილზე დაფუძნებული მოქალაქეობა) პრინციპი წარმოიშვა, როგორც ყოვლისმომცველი საერთაშორისო ნორმა, რომელიც არეგულირებს არა-მოქალაქე მშობლებთან დაბადებული ბავშვების ეროვნებას. მშობლების უფლება, გადასცენ თავისი მოქალაქეობა ბავშვს, უნდა განხორციელდეს მშობლების სქესის მიხედვით დისკრიმინაციის გარეშე. კონვენციის მე-7-ე მუხლი, აგრეთვე, მოითხოვს მოქალაქეობის გადაცემას მშობლიდან აყვანილ შვილზე. მე-7-ე მუხლის ინტერპრეტაცია უნდა მოხდეს მე-8-ე მუხლთან (იდენტურობის შენარჩუნება, ეროვნების, სახელის და ოჯახური კავშირების ჩათვლით), მე-9-ე მუხლთან (მშობლებისგან განცალკევების თავიდან არიდება) და მე-10-ე მუხლთან (ოჯახის გაერთიანება) კავშირში (124).

ბავშვთა უფლებების კომიტეტის მიერ ამ კონვენციის განმარტებისთვის რეკომენდირებული ჰოლისტური მიდგომის ფარგლებში, ეს დებულებები გაგებულ უნდა იქნეს კონვენციის ძირითადი პრინციპების შესაბამისად, როგორც აისახება მუხლებში 2 (არა-დისკრიმინაციის უფლება), 3 (ბავშვის საუკეთესო ინტერესის პრინციპი), 6 (სიცოცხლის და განვითარების უფლება) და 12 (ბავშვის შეხედულებათა პატივისცემის უფლება ყველა საკითხზე, რომელიც ეხება ბავშვს).

არამოქალაქეთა ბავშვებს მინიჭებული აქვთ დაცვის ზომების გამოყენების უფლება, რომლებიც საჭიროა მათი მცირე ასაკიდან გამომდინარე. არამოქალაქეთა ბავშვები, რომლებსაც არა აქვთ ლეგალური სტატუსი, არ უნდა გარიცხონ სკოლებიდან, ხოლო იმ სკოლებს, რომლებიც საშუალებას აძლევენ არამოქალაქეთა ბავშვებს, მიიღონ განათლება მათი წარმოშობის ქვეყანაში შემუშავებული პროგრამების მიხედვით, ხელი უნდა შეუწყონ (55).

კონკრეტულად თავშესაფრის მაძიებელ ბავშვებთან დაკავშირებით, ბავშვთა უფლებების კონვენცია უზრუნველყოფს მნიშვნელოვან მითითებებს მიღების პოლიტიკის შემუშავების და გამოყენების თაობაზე „საუკეთესო ინტერესის“ პრინციპიდან გამომდინარე. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ თავშესაფრის მაძიებელი ბავშვების სპეციალური დაცვა და მათზე ზრუნვა; ისინი უნდა ერიდონ 18 წელზე ნაკლები ასაკის თავშესაფრის მაძიებელთა დაკავებას; მათ უნდა უზრუნველყონ ბავშვების მიერ იურიდიული და ფსიქოლოგიური დახმარების წვდომა, არასამთავრობო ორგანიზაციებთან კონტაქტის ჩათვლით, რომლებიც უზრუნველყოფენ ასეთ დახმარებას.

თავშესაფრის მაძიებლები და ლტოლვილები, რომლებიც ბავშვები არიან, არ უნდა იყვნენ მოთავსებული ინსტიტუტებში, რომლებიც არ არიან აღჭურვილი სპეციალური დახმარების აღმოსაჩენად, რომელიც მათ სჭირდებათ. ასეთი ბავშვები არ უნდა წარმოადგენდნენ დისკრიმინაციის საგანს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების განხორციელების თვალსაზრისით, როგორცაა განათლების, ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების წვდომა. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ყველა არამოქალაქე დაკავებული ბავშვის ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების განხორციელება დისკრიმინაციის გარეშე – განსაკუთრებით განათლების უფლების – და უზრუნველყონ საზოგადოებაში მათი ინტეგრაციის უფლება (224).



დასკვნის სახით, წინამდებარე თავში ნაჩვენებია, რომ საერთაშორისო კანონმდებლობის მიხედვით, არამოქალაქეები სარგებლობენ უამრავი მნიშვნელოვანი უფლებით მათი ლეგალური სტატუსის მიუხედავად, რასაც ზოგჯერ „ლიბერალურ მოქალაქეობას“ უწოდებენ. მეორე მხრივ, დემოკრატიული სუვერენობა, რომელიც წარმოიშვა კონკრეტული სახელმწიფოს მოქალაქეობიდან, ხშირად უპირისპირდება კონკრეტული სახელმწიფოს ტერიტორიაზე არამოქალაქეებისთვის უზრუნველყოფილ უფლებათა ასეთ ერთობლიობას.

თუმცა, საგულდაგულო ანალიზისას, იკვეთება მკაფიო ტენდენცია – სუვერენული სახელმწიფოების მხრიდან უცხოელების უფლებათა დაცვის ვალდებულების აღება საერთაშორისო კონვენციებში შესვლის გზით, რომლებიც „ლიბერალური მოქალაქეობის“ ბაზისს წარმოადგენს. ამრიგად, დიხოტომია დემოკრატიულ სუვერენობასა და ლიბერალურ ქვეშევრდომობას შორის, ანუ ლიბერალური პარადოქსი, სახელმწიფოს, ფაქტობრივად, გარედან, კი არ ეკისრება არამედ სახელმწიფო თავად ქმნის მას.

## თავი V

### ბუნებითი სამართალი

დემოკრატიული (შეზღუდვის პოლიტიკა) და ლიბერალური (მიმღები კანონმდებლობა) პერსპექტივების შეფასების შემდეგ, განვიხილოთ ბუნებითი სამართლის პოლიტიკურ ფილოსოფია, რომელიც არანაკლებ მნიშვნელოვანია. ეს საჭიროა იმისათვის, რათა ნათელვყოთ ლიბერალური პარადოქსის ინტერპრეტაციის განსხვავებული თეორიული მეთოდი.

არისტოტელეს მიხედვით, სოკრატე „ბუნებითი უფლების“ ტრადიციის დამაარსებელია. როგორც ასახულია პლატონის დიალოგებში და ქსენოფონტეს ნაშრომებში, სოკრატე იყენებს დიალექტიკურ მეთოდს, „რათა კრაზანა იყოს ათენელების ტრადიციული აზროვნებისთვის“, წერს პოლ ზიგმუნდი (200, 43). ამას იგი აღწევს მუდმივად შეკითხვების დასმით, რომლებიც მიმართულია ცნებების დახვეწასა და განსაზღვრაზე, იმ ქმედებების ობიექტების უკეთ საწვდომად, რომლებსაც ეს ცნებები წარმოადგენს. ეს განსაზღვრება მიიღწეოდა იმ ობიექტების, ან ქმედებების ფუნქციის, ან სტრუქტურის ანალიზის მეშვეობით, რომლებიც შესასწავლი ცნებებითაა წარმოდგენილი. სწორედ ამ ცენტრალურ დებულებაზე დააფუძნა პლატონმა შემდგომში თავისი თეორიები.

სამართალი ცენტრალური პრობლემაა პლატონის „სახელმწიფოში“, რომელშიც იგი დიალექტიკას იყენებს, რათა დაუპირისპირდეს თრასიმაკესა და გლაუკონის სოფისტურ პოზიციებს, რის შემდეგაც წარმოადგენს სამართლის გაგებას ქალაქში და სამართლის გაგებას ადამიანის სულში (200, 44). მაშინ, როდესაც „პირდაპირი მიმართვა ბუნებასთან, როგორც ნორმების წყაროსთან „სახელმწიფოში“ ხშირად არ ჩანს [...] „სახელმწიფოს“ ძირითადი არგუმენტი შემდეგში მდგომარეობს: ერთი მხრივ, ბუნებაში და მეორე მხრივ, ადამიანის ბუნებაში არის უნივერსალური, ობიექტური და ჰარმონიული წესრიგი [და] ამ წესრიგთან შესაბამისობას მოაქვს ჰარმონია, სიქველე და ბედნიერება“.

ანტიკურობიდან კლასიკური ბუნებითი სამართლის ტრადიციისაკენ მოძრაობისას ამ მოძრაობის უდიდეს წარმომადგენლად გვევლინება თომა აქვინელი, რომლის მოძღვრებაც გადმოცემულია სამართლის შესახებ ტრაქტატში, სათაურით „ტრაქტატი კანონის შესახებ“ (7, 52). აქ თომა ეყრდნობა არისტოტელეს,

სტოიკოსებს, რომის სამართალს და წმინდა წერილს. პარადოქსულია, მაგრამ თომისტური ბუნებითი სამართალი, არის სწავლება, რომელიც განვითარებულია უფრო თეოლოგიურ, ვიდრე ფილოსოფიურ ნაშრომში. „ტრაქტატი კანონის შესახებ“ განიხილავს ადამიანის მორალურ ცხოვრებას, რომლებიც ადამიანური ქმედებების „გარე პრინციპებს“ ეხება. მას წინ უსწრებს მსჯელობა შინაგანი პრინციპების (სიქველეები და ბიწიერებანი) შესახებ; ხოლო მის შემდეგ განხილულია კონკრეტული სიქველეები (თეოლოგიური და არსებითი სიქველეები).

სპეკულატიური გონების პირველ პრინციპთან (წინააღმდეგობის შეუძლებლობის პრინციპი) ერთად, ბუნებითი სამართლის დებულებები პრაქტიკული გონების პირველ პრინციპებს წარმოადგენს. პრაქტიკული გონების პირველი პრინციპი დაფუძნებულია სიკეთის ცნებაზე, ანუ, სიკეთე ისაა, რასაც ყველაფერი ესწრაფვის. აქედან გამომდინარეობს კანონის პირველი დებულება, რომლის თანახმად, საჭიროა სიკეთისაკენ სწრაფვა და ბოროტებისაგან თავის არიდება. ბუნებითი სამართლის ყველა სხვა დებულება ამაზეა დაფუძნებული. ამრიგად, ნებისმიერი რამ, რაც პრაქტიკული გონების მიერ ბუნებრივად აღიქმება როგორც სიკეთე (ან ბოროტება), მიეკუთვნება ბუნებითი სამართლის დებულებებს, როგორც რაიმე, რაც უნდა გაკეთდეს, ან რაც თავიდან უნდა იქნეს არიდებული.

თომა აკვინელის ტერმინებით თუ ვიმსჯელებთ, ლოკის ბუნებითი სამართალი მიეკუთვნება ადამიანთა მისწრაფებების პირველ საფეხურს, რომლებიც ადამიანს საერთო აქვს სხვა არსებებთან (მაგალითად, თვითგადარჩენისკენ სწრაფვა). ეს უპირატესობას ანიჭებს დებულებას, რომლის თანახმად, უცხოელების ფუნდამენტური უფლებები უპირატესია არამოქალაქეთა გამორიცხვის მოქალაქეთა უფლებებთან შედარებით.

თუმცა, ამავე დროს, ჩვენი პოლიტიკური არსებობის დამახასიათებელი ნიშანი ყოველთვის იყო სუვერენობის თეორია, რომელიც დემოკრატიული პოლიტიკური წყობიდან მომდინარეობს. უფრო ზუსტი დასკვნის გასაკეთებლად საჭიროა, ბუნებითი სამართლის მიერ ნორმატიული პრეროგატივების განაწილებისა და უფლებათა მქონე სუბიექტების განსხვავებული კატეგორიების შიგნით არსებული პოტენციურად კონფლიქტური უფლებების იერარქიების უფრო დეტალური ანალიზი. საკითხის დაწვრილებითი ანალიზი აჩვენებს, რომ ლიბერალური

პარადოქსის ინტერპრეტაცია ბუნებითი სამართლის თეორიის პერსპექტივიდან, ფაქტობრივად, ლიბერალური გაგების მსგავსია.

### 5.1 თანასწორობაზე დაფუძნებული ადამიანის ღირსება

ბუნებითი სამართლის თეორია მჭიდროდაა დაკავშირებული ადამიანის ღირსებასთან, რაც ეფუძნება ადამიანთა თანასწორობის პრინციპს. ეს ღირსება მოიცავს ღირებულის აღიარებასა და პატივისცემას, ხელშეუხებლობის გარკვეულ ფორმას და თანშობილ უფლებებს. ეს პატივისცემა ემყარება არა კონკრეტული ადამიანის მიღწევებს, არამედ თავად ადამიანად ყოფნის ფაქტს. იმის გათვალისწინებით, რომ ადამიანთა მიღწევები, შესაძლოა, იყოს დიადი, ან სრულიად უმნიშვნელო, შეხედულება ადამიანური ღირსების საყოველთაოობის შესახებ გულისხმობს, რომ ადამიანური ღირსება ემყარება გარკვეულ უნარს (ან უნარებს), რომლებიც საერთოა ადამიანებისათვის და არა ამ უნარების აქტუალიზაციის კონკრეტულ საფეხურს. „უნარის“, ან „პოტენციალის“ იდეა გულისხმობს გარკვეული მიზნის მიღწევის უნარს, ან შესაძლებლობას.

ადამიანის ღირსება არაა დამოკიდებული ამ შესაძლებლობების აქტუალიზაციაზე. ადამიანის შესაძლებლობების რეალური განხორციელება, შესაძლოა, შეზღუდული იყოს ფიზიკური საშუალებების არასაკმარისი განვითარებით, რაც გონების მოქმედების ძირითად მექანიზმებს უზრუნველყოფს (მაგალითად, ბავშვების შემთხვევაში) ან, უკიდურეს შემთხვევებში, საერთოდ შეუძლებელი იყოს სხეულის დაზიანების გამო (მაგალითად, ტვინის დაზიანების შემთხვევაში, რაც შეუძლებელს ხდის გონების ეფექტურად ფუნქციონირებას). ასეთ შემთხვევებში საქმე გვაქვს დეფექტურ ადამიანთან, რომელსაც, მიუხედავად ამისა, მაინც აქვს შესაძლებლობები (238, 79).

ადამიანის ღირსება არაა დამოკიდებული, ასევე, ასეთი შესაძლებლობების კარგ გამოყენებაზე დამოკიდებული. ადამიანები ხშირად ვერ მოქმედებენ ისე, რომ გამოიყენონ თავისი გამორჩეულად ადამიანური უნარები მათი არსებითი მიზნის მისაღწევად. გონებამ, შესაძლოა, შეცდომები დაუშვას, ან კიდევ ვნებების გავლენის ქვეშ მოექცეს. იგივე შეიძლება ითქვას ადამიანის ნების შესახებაც. ყოველთვის გონივრულად თვით საუკეთესო ადამიანებიც ვერ იქცევიან, რომ არაფერი ვთქვათ ადამიანთა უმრავლესობასა და ბოროტ ადამიანებზე. მიუხედავად

ამისა, ბუნებითი სამართლის თეორიის მიხედვით, თითოეულ ადამიანს, მიუხედავად მისი მოქალაქეობრივი სტატუსისა, აქვს ადამიანის ძირითადი ღირსება.

ადამიანის ღირსება, აგრეთვე, მიიჩნევა გარკვეული „ხელშეუხებლობის“ შემცველად. ეს ხელშეუხებლობა არ ნიშნავს დასჯისგან გათავისუფლებას და არ გამორიცხავს უფრო რთულ შემთხვევებსაც, როგორცაა თავდაცვა ძალადობისაგან, ომი და სიკვდილით დასჯა. მიუხედავად იმისა, თუ როგორ გადაიჭრება ეს საკითხები, ყოველთვის უნდა იქნეს გათვალისწინებული, რომ არ შეიძლება ადამიანისათვის ზიანის განზრახ მიყენება და ადამიანის, როგორც საშუალების გამოყენება სხვა ადამიანთა კეთილდღეობის მისაღწევად. ამ თვალსაზრისით, ბუნებითი სამართალი განიხილავს ადამიანებს, როგორც „თვითმიზანს“, რაც ახლოს დგას კანტის კატეგორიული იმპერატივის ცნებასთან.

ადამიანის ღირსების სხვა ასპექტი არის ის, რომ ადამიანები იმსახურებენ პირობებს, რომლებიც შესაძლებელს ხდის მათი სიკვლეების აღსრულებას, რასაც ჩვენ უფლებებს ვეძახით. ადამიანები (მაშინ მაინც, როდესაც სრულად არიან განვითარებული) „თვითმმართველები“ არიან. მათ აქვთ რაციონალური უნარი, დაინახონ, რა არის მათთვის კარგი და დასახონ საშუალებები ამ მიზნის მისაღწევად, ცხოველების, მცენარეების და უსულო საგნებისგან განსხვავებით, რომლებიც იმართებიან გარე ძალების, ან შინაგანი ძალის მიერ, რომელზეც მათ კონტროლი არ გააჩნიათ (ინსტინქტი).

საკუთარი მიზნების მისაღწევად ადამიანებს უნდა ჰქონდეთ გარკვეული წინაპირობები, როგორებიცაა საარსებო საშუალებები (საკვები, ტანსაცმელი, თავშესაფარი, სამედიცინო დახმარება) და განათლება. თუ ადამიანისთვის სასურველია, განახორციელოს თვითმმართველი უნარი, რითაც დაჯილდოვებულია ბუნებისგან, მაშინ ისიც სასურველია, რომ მას ჰქონდეს ეს წინაპირობები (238, 82).

რა არის ადამიანის ღირსების წყარო? თითოეულ ადამიანს აქვს ღირსება იმ გამორჩეულად ადამიანური უნარებიდან გამომდინარე, რაც მას აქვს, განსაკუთრებით, გონება და თავისუფალი ნება. ტრადიციული ფორმით, ზემოთქმული გამოიხატებოდა დებულებით, რომლის თანახმად, თითოეულ

ადამიანს აქვს არამატერიალური და უკვდავი სული, რომელიც შესაძლებელს ხდის ამ უნარების არსებობას. თომა აქვინელის მიხედვით, სული არამატერიალურია, რადგან ის უნივერსალური კონცეპტები, რომლებსაც ინტელექტი წარმოშობს, არ შეიძლება მხოლოდ ფიზიკური ცვლილებების შედეგი იყოს. სული უკვდავია, ვინაიდან არამატერიალურია და არ გააჩნია ნაწილები. აქედან გამომდინარე, ის არ ექვემდებარება დაშლას.

შესაბამისად, ადამიანის ღირსება არ წარმოადგენს ადამიანურ „კონსტრუქტს“, რომელიც ადამიანებმა შექმნეს ცხოვრების გასაუმჯობესებლად. ეს არის ადამიანის არსებობის განსაკუთრებული თვისებების აღიარება, რომლებიც მას სხვა, უფრო დაბალი არსებებისგან გამოყოფს. ყველა ადამიანის ფუნდამენტური თანასწორობა, მათი, როგორც ადამიანების, ღირსების თვალსაზრისით, არ იწვევს იმას, რომ ყველა ადამიანს ერთნაირად ექცევიან (რადიკალური თანასწორობა). არსებითი განსხვავებები ადამიანებს შორის ამართლებს განსხვავებულ ქცევას მათ მიმართ. საბოლოო ჯამში, ბუნებითი სამართლის თეორია შეესაბამება ლიბერალურ თეორიას, რომლის თანახმად, თითოეული ადამიანი იმსახურებს „თანასწორ მოპყრობასა და პატივისცემას“, მიუხედავად მისი საიმიგრაციო სტატუსისა.

## 5.2 თანხმობა

ბუნებითი სამართლის თეორეტიკოსებს უყოყმანოდ შეუძლიათ თანხმობის გარკვეული ცნების მიღება. თუმცა, არსებობს სერიოზული მიზეზები, რომელთა გამოც არ ღირს თანხმობის თეორიის სრული მიღება. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ თანხმობის თეორიების უმეტესობა საკმაოდ ხელოვნურია. სახელმწიფოების უმრავლესობას არასოდეს უცდია თავისი მოქალაქეებისგან თანხმობის მიღება. უფრო მეტად მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ იმ სახელმწიფოებიდან, რომლებმაც ეს სცადეს, საკმაოდ ცოტას თუ სურს ამ თანხმობის რეგულარულად მიღება. ისინი არჩევენ, ფარული თანხმობის თეორიას დაემყარონ, მიუხედავად ამ თეორიასთან დაკავშირებული სირთულეებისა.

უფრო მეტიც, იმ შემთხვევაშიც კი, თუ თანხმობა გაგებულა, როგორც ძალაუფლების რეალური წყარო, მაინც არსებობს საფუძველი ამ ცნების ფრთხილი გამოყენებისთვის. პოლიტიკური ძალაუფლების ბუნებითი სამართლის

თეორია პოლიტიკურ ძალაუფლებას უფრო განიხილავს, როგორც „ბუნებრივს“, ვიდრე ადამიანთა ხელოვნურ, ან კონვენციურ ქმნილებას ბუნების პრესოციალურ სტადიაზე.

მიუხედავად ამისა, თანხმობის უფრო შეზღუდული იდეა გონივრულია, თუ ის გაგებულა, როგორც ხალხის მონაწილეობა პოლიტიკური ძალაუფლების გადაცემაში მათთვის, ვინც პოლიტიკურ ავტორიტეტს ფლობს. ეს შეიძლება მოიცავდეს როგორც ზოგად უფლებამოსილებას მმართველობის ფორმის განსასაზღვრად, ასევე, უფრო კონკრეტულ ძალაუფლებას იმის განსასაზღვრად, თუ ვინ დაიკავებს თანამდებობებს. ამ თვალსაზრისით, მხედველობაში ვიღებთ იმ ტრადიციას, რომელიც, სულ მცირე, არისტოტელეს ეპოქიდან იღებს დასაბამს. ამ ტრადიციის თანახმად, საკმაოდ გონივრულია იმ ადამიანთა შეხედულებების გათვალისწინება, რომლებიც მმართველობას ექვემდებარებიან. თანხმობის მიღების თეორია თავის მხარდაჭერას პოულობს იმითაც, რომ ის ხელს უწყობს პოლიტიკურ სტაბილურობას. ამ გარემოებაზე ყურადღებას ამახვილებს ტოკვილი, როდესაც იგი დემოკრატიის უპირატესობებზე საუბრობს (215, 38).

დაბოლოს, თანხმობის თეორიას საკმაოდ მტკიცე საფუძველი აქვს იმ ხისტ უარყოფებში, რომლებიც მიმართულია ნებისმიერი თეორიის მიმართ, რომელთა თანახმად, პოლიტიკური ძალაუფლება მემკვიდრეობითია და რომლებიც მმართველებს კონკრეტული სოციალური კლასით შემოფარგლავს. ამ უარყოფების საფუძველია მტკიცება, რომ არც ერთი ასეთი კლასი არ არის სანდო ძალაუფლების მხრივ, თუ არ მოხდება მისი შემოწმება სხვების მიერ. კლასები, რომლებიც განისაზღვრება სიმდიდრით, განათლებით და ან სხვა კრიტერიუმით, არ შეიძლება სანდონი იყვნენ როგორც მმართველები, თუ არ არიან შეზღუდულები თანხმობის მიღების მოთხოვნით. ამ თვალსაზრისით, ბუნებითი სამართლის თეორეტიკოსები თანხმობას განიხილავენ, როგორც კარგი მმართველობის ლეგიტიმურ და ღირებულ ასპექტს. ეს დასკვნა პირდაპირ კავშირშია უფლებათა ნორმატიულ დიხოტომიასთან, რადგანის გულისხმობს, რომ ბუნებითი სამართალი, ისევე, როგორც ლიბერალიზმი, პიროვნებას ანიჭებს გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის უფლებას, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს პიროვნება მოქალაქე არაა.

### 5.3 უფლებათა ცენტრალურობა

უფლებებს ცენტრალური პოზიცია უკავია ლიბერალიზმში, მაგრამ თითქმის არ ჩანს კლასიკურ ბუნებით სამართალში, რომელიც უფრო ფოკუსირებულია იმაზე, თუ რა არის უფლება თავისი ბუნებით, ვიდრე იმ უფლებებზე, რაც ბუნებრივად აქვთ ადამიანებს. მიუხედავად ამისა, ბუნებითი სამართლის ტრადიციის თანამედროვე წარმომადგენლები მეოცე საუკუნეში დიდ ყურადღებას აქცევდნენ უფლებებს. ზოგიერთი მკვლევარი, რომელიც კლასიკური ფილოსოფიის გავლენას განიცდის (მაგალითად, ერნსტ ფორტინი), (85, 210) მიიჩნევს, რომ არსებობს საფრთხე, რომელიც უკავშირდება უფლებების დისკურსის მიღებას, ვინაიდან არაგონივრულია იმ ენის მიღება, რომელიც დასაბამს იღებს იმ ფილოსოფიურ სისტემებში (მაგალითად, ჰობსისა და ლოკის თეორია ბუნებრივი უფლებების შესახებ, ან კანტიანიზმი), რომლებიც მრავალი ასპექტით ანტითეზურია კლასიკური ბუნებითი სამართლის თეორიისა. ამან, შესაძლოა, გამოიწვიოს ამ სისტემების ზოგიერთი დეფექტის (მაგალითად, ინდივიდუალიზმის) ხელშეწყობა.

ფორტინის თანახმად, უფლებების ეს დაცვა „არ სწვდება პრობლემის არსს, რამდენადაც ვერ პასუხობს უფლებებთან შედარებით მოვალეობების პრიორიტეტის (ან, პირიქით) საკითხს“ (85). ანტიკური ეპოქის ავტორებისთვის პირველ ადგილზე მოვალეობები დგას, ხოლო თანამედროვე ავტორებისა და ლიბერალებისთვის – უფლებები. ამიტომ, საბოლოო ჯამში, „ჩვენს წინაშეა მორალის ორი საკმაოდ განსხვავებული კონცეფცია“. მაგრამ ეს მოსაზრება არ წარმოადგენს არგუმენტაციას უფლებების წინააღმდეგ, იმდენად, რამდენადაც ის მიმართულია მხოლოდ უფლებების გარკვეული გაგების წინააღმდეგ. ამიტომ, ფორტინი თავად გვთავაზობს, რომ საჭიროა არა უფლებების სრული უარყოფა, არამედ „საზოგადო სიკეთის უფრო ძლიერი ცნება, რომელიც ინდივიდუალური უფლებების უფრო ზუსტ განსაზღვრებას უკავშირდება“ (85).

ბუნებითი სამართლის მკვლევარებმა ნამდვილად შეიძლება ჩართონ უფლებები თავიანთ ხედვაში. ასეთ შემთხვევაში უფლებები დაკავშირებულია მოვალეობებთან და ისინი გაიგება, როგორც არსებითი პირობა ადამიანებისთვის სიკეთისა და ჭეშმარიტების ძიების გზაზე (238). დისკუსია, რომელიც ეხება უფლებების გაგებისათვის აუცილებელ კონცეპტუალურ ჩარჩოს, შეიძლება ჩატარდეს როგორც ლიბერალიზმის, ისე ბუნებითი სამართლის კონტექსტში.



ამრიგად, ბუნებითი სამართლის თვალთახედვით, უცხოელთა უფლებებს ისეთივე წონა აქვს, როგორც ლიბერალური თვალსაზრისით. ეს კიდევ ერთხელ ამტკიცებს მოსაზრებას, რომ, თუმცა სახელმწიფოს პრიორიტეტი ყოველთვის მისი მოქალაქეების ინტერესების დაცვა იქნება, მას აკისრია კვალიფიცირებული მოვალეობა, მიიღოს (არამტრულად განწყობილი) უცხოელები. ეს კი ეჭვქვეშ აყენებს ლიბერალურ პარადოქსს, როგორც არსებული რეალობის საუკეთესო ახსნას.

#### 5.4 ძლიერი, მაგრამ შეზღუდული მთავრობა

ვინაიდან მნიშვნელოვანი ლიბერალი მოაზროვნეები (მაგალითად, ლოკი), არსებითად, სამეფო ხელისუფლების გადაჭარბებული მოთხოვნების წინააღმდეგ გამოდიოდნენ, რთული არაა მათ იმ მოსაზრებებზე ფოკუსირება, რომლებიც ხელისუფლების შეზღუდვას ეხება. აქვე უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ ხელისუფლების შეზღუდვა ჩანაფიქრის მხოლოდ პირველი ნახევარია. „ფედერალისტის“ 51-ე ნომერში მედისონი წერდა: „იმ მმართველობის ფორმირებისას, რომელიც განხორციელდება ადამიანების მიერ ადამიანებზე, დიდ სირთულეს წარმოადგენს შემდეგი გარემოება: ჯერ მთავრობას უნდა მისცეთ საშუალება, აკონტროლოს მართულები; ხოლო მეორე რიგში, მას უნდა დაევალოს საკუთარ თავზე კონტროლის განხორციელება“ (114). პირველი მიზანი ისევე მნიშვნელოვანია, როგორც მეორე, ვინაიდან მთავრობას უფლებათა დაცვის მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრია, რომელიც შეუმჩნეველი იქნებოდა „ბუნებრივ მდგომარეობაში“, როდესაც მთავრობა არ არსებობდა. ბუნებითი სამართლის თეორია აღიარებს არსებით როლს, რომელსაც მთავრობა თამაშობს ადამიანების ცხოვრებაში.

მთავრობის მიზანია, ხელი შეუწყოს და რამდენადაც შესაძლებელია, უზრუნველყოს საერთო სიკეთე, რომელიც ფართოდ და ყოველისმომცველად გაიგება, კერძოდ, ის მოიცავს ადამიანის ფიზიკურ, მორალურ და ინტელექტუალურ კეთილდღეობას. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ამ პასუხისმგებლობიდან არ გამომდინარეობს, რომ მთავრობამ საერთო სიკეთე „პირდაპირ“, უშუალოდ უნდა უზრუნველყოს. ფაქტობრივად, საერთო სიკეთე ყოველთვის გულისხმობს, რომ ის მიღწეული და მოპოვებული უნდა იყოს ადამიანების, ოჯახების, ნებაყოფლობითი გაერთიანებების, საზოგადოებისა და მთავრობის სხვადასხვა დონეების მიერ. მაგრამ პოლიტიკურ საზოგადოებას აქვს

პასუხისმგებლობა, შეძლებისდაგვარად უზრუნველყოს შესაბამისი პირობების არსებობა, რათა ცალკეულმა ადამიანებმა და საზოგადოებრივმა ჯგუფებმა შეძლონ სიკეთის მიღწევა.

საერთო სიკეთის ამ ფართო გაგების ფონზე, ზოგიერთი მკვლევარი შენიშნავს, რომ ბუნებითი სამართლის თეორეტიკოსებს სახელისუფლებო ძალაუფლების ზედმეტად ვიწრო თვალთახედვა აქვთ. უფრო ზოგადად, პრობლემა ისაა, რომ ვინაიდან ბუნებითი სამართალი არ ზღუდავს საერთო სიკეთეს „სიცოცხლით, თავისუფლებით და საკუთრებით“, ის არ აღიარებს საკმარის შეზღუდვებს სახელისუფლებო ძალაუფლებაზე. თუმცა, სინამდვილეში ეს ასე არაა. ბუნებითი სამართლის თეორეტიკოსები არ აღიარებენ სახელმწიფოს ყოვლისმომცველ მმართველობას. ისინი მკვეთრად განსხვავებენ ერთმანეთისაგან საზოგადოებრივ და კერძო სფეროებს და მკაფიოდ შემოსაზღვრავენ მმართველობის საზღვრებს (238). ბუნებითი სამართლის თეორია, ასევე აღიარებს, რომ მთავრობის კომპეტენცია შეზღუდულია და რომ ზოგიერთი ქმედება შეიძლება წარმატებით განხორციელდეს, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის ხორციელდება თავისუფლად. დაბოლოს, ბუნებითი სამართლის თეორიამ ჩამოაყალიბა პრინციპი, რომ სახელმწიფო ორგანოები არ უნდა ჩაერიონ ოჯახებისა და ნებაყოფლობითი ასოციაციების საშინაო საქმეებში გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ასეთი ჩარევა აუცილებელია საერთო სიკეთისათვის.

იმ ინსტიტუციონალურ ღონისძიებებთან მიმართებაში, რომელთა მიზანია ხელისუფლების გაკონტროლება, ბუნებითი სამართლის თეორია უპრობლემოდ იღებს „ლიბერალიზმისათვის დამახასიათებელი პოლიტიკური ინსტიტუტების ერთობლიობას“, კერძოდ, წარმომადგენლობით დემოკრატias, სამთავრობო ძალაუფლების განცალკევებას და დამოუკიდებელ სასამართლოს. რადგან ინსტიტუციური საკითხები ყოველთვის მოიცავს გონივრულ მსჯელობებს მოცემული პოლიტიკური ერთობის გარემოებებთან დაკავშირებით, სამართლიანია იმის თქმა, რომ ბუნებითი სამართლის თეორია:

1. პოზიტიურადაა განწყობილი ისეთი პოლიტიკური ღონისძიებების მიმართ (როგორცაა წარმომადგენლობითი დემოკრატია), რომლებიც ხელს უწყობს მაქსიმალურად ბევრი (გონივრულ საზღვრებში) მოქალაქის ჩართულობას და მათი შესაძლებლობების განვითარებას, რადგან მოქალაქეთა შესაძლებლობების

განვითარება საერთო სიკეთის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს; (2) ზოგადად, პროზიტურადაა განწყობილი ისეთი ღონისძიებების მიმართ, რომელთა მიზანია პოლიტიკური ძალაუფლების გაკონტროლება (მაგალითად, ძალაუფლების განცალკევება და სასამართლო ზედამხედველობის შეზღუდული ფორმები), რადგან ის აღიარებს, რომ ყველა ადამიანში, პოტენციურად, თანაბრადაა მოცემული როგორც სიკეთე, ასევე, ბოროტებაც.

ვინაიდან დასავლეთში არსებობს საყოველთაო თანხმობა წარმომადგენლობითი დემოკრატიის, სამთავრობო ძალაუფლების განცალკევებისა და დამოუკიდებელი სასამართლო სისტემის შესახებ, ლიბერალიზმზე მსჯელობისას, ისინი, შესაძლოა, განვიხილოთ, როგორც თავისთავად ცხადი მოცემულობები. შესაბამისად, ჩვენ საჭიროზე მეტად უგულებელყოფთ იმ საზღვრებს, რომლის ფარგლებშიც აღნიშნული პრინციპებისადმი ერთგულება ლიბერალიზმს წარმოშობს. მათი უყოყმანო აღიარება ბუნებითი სამართლის თეორეტიკოსების მიერ მეორე მნიშვნელოვანი არგუმენტია ლიბერალიზმის და ბუნებითი სამართლის თავსებადობის სასარგებლოდ. მთავრობის უფრო კონკრეტულ შეზღუდვებთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ისინი, ვინც ფლობენ ძალაუფლებას, არიან ადამიანები, რომლებიც ჩვეულებრივი მორალური ნორმებით არიან შეზღუდული.

ძალაუფლების გარკვეულ ფორმას ხელისუფლებასთან აქვს მიმართება და არა ჩვეულებრივ მოქალაქეებთან, იმის დასასაბუთებლად, რომ მთავრობამ, შესაძლოა, განახორციელოს ქმედებები, რომელთა უფლება არა აქვს სხვებს (მაგალითად, სამოქალაქო და სისხლის სამართლის აღსრულება და მასთან დაკავშირებული იძულებისა და დასჯის მექანიზმები). მიუხედავად ამისა, ბუნებითი სამართლის თეორიის მიხედვით, მთავრობები არ წარმოადგენს გამონაკლისს ზნეობის ზოგადი წესებიდან. ლიბერალური პარადოქსის კონტექსტში, ეს პირდაპირ უკავშირდება ძალაუფლების დაბალანსების მნიშვნელობას უმრავლესობის ტირანიისაგან უმცირესობების უფლებების დასაცავად (უცხოელების უფლებების ჩათვლით).

როგორც დემოკრატიული პერსპექტივისადმი მიძღვნილ თავშია განხილული, მთავრობის აღმასრულებელი ქმედებები უნდა შემოწმდეს და დაბალანსდეს სასამართლოს მიერ, მაშინაც კი, როდესაც უფლებამოსილი ორგანოები აცხადებენ, რომ მოქალაქეების ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებენ. ალექსის

დე ტოკვილი ხაზს უსვამდა სასამართლოების, როგორც დემოკრატიის გადახრების გამსწორებლის როლს, რაც ამცირებს გავლენის სფეროს (215, 65).

## 5.5 კანონის უზენაესობა

კანონის უზენაესობის პრინციპს ღრმა ფესვები აქვს ბუნებითი უფლების და ბუნებითი სამართლის ტრადიციაში. იგი ამტკიცებდა, რომ კანონი თავისუფალია ადამიანისთვის დამახასიათებელი ვნებებისგან. თუმცა, შეუძლებელია, კანონი იყოს სრულყოფილი (რადგან ის ქმნის საყოველთაო წესებს, რომლებიც, შესაძლოა, არ მიესადაგებოდეს გარკვეულ შემთხვევებს) ის უზენაეს ძალაუფლებას წარმოადგენს სასამართლო დადგენილების მეშვეობით.

არისტოტელეს „ეთიკაზე“ დაყრდნობით თომა აკვინელი შენიშნავს: „სწორი მთავრობა არ ითმენს მმართველების არარეგულირებულ მართვას. სწორი მმართველობა მოითხოვს, რომ მმართველები იმართებოდნენ კანონით, იმიტომ, რომ კანონი წარმოადგენს გონების კარნახს. ის, რაც მმართველობას ტირანიად (მართვა მმართველების ინტერესებიდან გამომდინარე) გადაქცევის საფრთხეს უქმნის, მმართველთა ვნებებია, რომელთა ძალით ისინი საკუთარ თავს უფრო მეტ სიკეთეს და ნაკლებ ბოროტებას მიაწერენ, ვიდრე ეს სინამდვილეშია“ (80, 119).

გარდა ამისა, როგორც მიუთითებს ჰიტინგერი, თომა აკვინელს ისე ძლიერ სწამს კანონის უზენაესობისა, რომ ამბობს, რომ მოსამართლე, რომელმაც იცის, რომ ადამიანი უდანაშაულოა, – მას შემდეგ, რაც „საგულდაგულოდ გამოკითხა მოწმეები, რათა ეპოვა მისი გამართლების მიზეზი“ და უშედეგოდ ეცადა შეწყალების მოპოვებას უმაღლეს ხელისუფალთაგან, – „არ სჩადის ცოდვას, თუ სამხილების შესაბამისად გამოიტანს განაჩენს, ვინაიდან იგი კი არ მიუსჯის სიკვდილს უდანაშაულო ადამიანს, არამედ ისინი, ვინც ის ბრალდებულად აღიარა“ (122, 44).

ეს ციტატები მოწმობს, რომ თითქმის არ არსებობს საფუძველი, დავეჭვდეთ იმაში, რომ კლასიკური ბუნებითი სამართალი მტკიცედ აღიარებს კანონის უზენაესობას. შესაბამისად, ბუნებითი სამართლის თეორია მოიცავს ლიბერალიზმის ხუთივე ძირითად პრინციპს. როგორც სხვა ლიბერალებს, ბუნებითი სამართლის

თეორეტიკოსებს განსხვავებული აზრები აქვთ ამ პრინციპების გაგებასა და მათ გამოყენებასთან დაკავშირებით. ეს განსხვავებები არ წარმოადგენს ლიბერალიზმის „გარედან“ კრიტიკის საფუძველს. ისინი უფრო ლიბერალიზმის შიგნით არსებულ დისკუსიაზე მიუთითებენ, რომლის მიზანია ამ პრინციპების უკეთ გაგება და მათი რეალიზაცია.

აქედან გამომდინარე, ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართალს, რომელიც იცავს უცხოელების უფლებებს, უპირატესობა უნდა მიენიჭოს ნაციონალისტური გრძნობების შესაძლო გამოვლინებებთან მიმართებაში, რომელთა მიზანიც უცხოელების უფლებების შეზღუდვაა (მიუხედავად იმისა, რომ ეს გრძნობები, შესაძლოა, სუვერენულ პრივილეგიებს ეფუძნებოდეს).

## 5.6 უნივერსალიზმი

ლიბერალური ტრადიცია უფრო უნივერსალისტურია, ვიდრე პარტიკულარისტული. მაგალითად, ის აცხადებს, რომ ყველა ადამიანს აქვს ღირსება, რომელიც მათი თანასწორობას ემყარება და რომ არსებობს ადამიანის გარკვეული ფუნდამენტური უფლებები. თანასწორობა და უფლებები არ შემოიზღუდება მხოლოდ გარკვეული მოქალაქეებით, ან ერებით. მიუხედავად იმ შეხედულებებისა, რომელთა გამოც ფერხდება ამ უფლებების აღიარება, ეს უფლებები საყოველთაოდ უნდა იქნეს აღიარებული.

ბუნებითი სამართალი იზიარებს უნივერსალისტურ პერსპექტივას, ვინაიდან ის ემყარება გარკვეულ პრინციპებს, რომელთა საფუძველი ადამიანურ ბუნებაშია მოქცეული. ამ პრინციპებს განეკუთვნება ადამიანთა თანასწორობა და ფუნდამენტური უფლებები. ამავე დროს, საჭიროა გარკვეულ გარემოებებში არსებული განსხვავებების გათვალისწინებაც. ეს ერთ-ერთი მიზეზია, რის გამოც, ბუნებითი სამართალი, ტრადიციულად, არ თვლიდა რომ მთავრობის მხოლოდ ერთი ფორმაა ლეგიტიმური. ამ თვალსაზრისით, ბუნებითი სამართლის თვალთახედვა მსგავსია ისეთი ლიბერალური მოაზროვნეების თვალთახედვისა, როგორცაა, მაგალითად, ჯ. ლოკი (რომელიც აღიარებდა, რომ ქვეშევრდომები, შესაძლოა, ეთანხმებოდნენ მთავრობის სხვადასხვა ფორმებს) და ჯ. ს. მილი (რომლის მიხედვით, საჭიროა გარკვეული ცივილიზაციური წინაპირობების

არსებობა იმისთვის, რომ შესაძლებელი იყოს წარმომადგენლობითი ხელისუფლება) (163).

ამრიგად, ჩვენს წინაშე წამოიჭრება შემდეგი შეკითხვა: რომელი უფლებებია უფრო ფუნდამენტური და უფრო პირველადი ბუნებითი სამართლის თეორიის მიხედვით, – მოქალაქეების უფლება, აირჩიონ, თუ ვინ იქნება მათი სუვერენული სახელმწიფოს წევრი, თუ უცხოელის თვითგადარჩენის უფლება უცხო სახელმწიფოში თავის შეფარების მეშვეობით? ერთი რამ ნათელია: სიცოცხლისა და თავისუფლების უფლება, ბუნებითი სამართლის თეორიის პერსპექტივიდან, შესაძლოა, განიხილებოდეს, როგორც უშუალო უფლება. იგივე ითქმის ლიბერალური პერსპექტივის შესახებ.

ასე რომ, სიცოცხლისა და თავისუფლების უფლება უპირატესია მოქალაქის უფლებასთან (სუვერენული პრივილეგიის საფუძველზე გამოირცხოს თავისი საზოგადოებიდან უცხოელი) შედარებით. ჩვეულებრივ, იმ პირობით, თუ არამოქალაქე არ წარმოადგენს რაიმე საფრთხეს მასპინძელი საზოგადოებისთვის, ადგილობრივ მოქალაქეს აქვს კვალიფიცირებული მოვალეობა, მიიღოს თავის საზოგადოებაში უცხოელი, რომლის კეთილდღეობაც საფრთხეშია.

აქედან გამომდინარე, იკვეთება დასკვნა, რომ მიუხედავად ლიბერალური და ბუნებითი სამართლის დოქტრინების თეორიული ანტაგონიზმის ტრადიციული კონცეფციისა, ლიბერალურ პარადოქსთან მისადაგებისას, არსებობს პრინციპული კონსენსუსი უცხოელების უფლებების მიღებასთან დაკავშირებით. ნორმატიული დისოტომია უფლებათა ორ კომპლექტს შორის, რომლებიც ანალიზის საგანს წარმოადგენს, ნაკლებად პარადოქსული ჩანს, როდესაც ორივე თეორიის ჭრილში განიხილება.

## თავი VI

### სახელმწიფოთა უსაფრთხოების პერსპექტივა: აშშ-ს, გაერთიანებული სამეფოსა და გერმანიის მაგალითები

ნორმატიული დიხოტომიის, ანუ ლიბერალური პარადოქსის დემოკრატიული, ლიბერალური და ბუნებითი სამართლის პერსპექტივებიდან ანალიზის შემდეგ, განხილული იქნება სახელმწიფო უსაფრთხოების საკითხი აშშ-ს, გაერთიანებული სამეფოსა და გერმანიის კონტექსტში. სახელმწიფო უსაფრთხოება უფრო მულტიდისციპლინარულია, ვიდრე ფართო თეორიული მოძრაობა. სახელმწიფო უსაფრთხოება უმნიშვნელოვანესია, როგორც უფლებათა დიხოტომიის თემა და მას მოქმედებაში მოჰყავს ადრე გაანალიზებული ყველა საკვლევი საკითხი. აგრეთვე, მოვიშველიებ მ. ფუკოსა და ი. ჰაბერმასის მოსაზრებებს წინა თავებში დასკვნის სახით მოტანილი არგუმენტის მხარდასაჭერად, რომლის თანახმად, მშვიდობიანად განწყობილი უცხოელების უფლებები დაცული უნდა იყოს, მიუხედავად მოქალაქეთა უფლებისა, თავიანთი სუვერენული პრივილეგიის საფუძველზე, არ დაუშვან უცხოელები საკუთარ საზოგადოებაში.

სავარაუდოდ, საუკეთესო ადგილი დასაწყებად, არის ერთი კონცეპტუალური ნიშანსვეტი, კერძოდ, „უსაფრთხოების მართვის“ ცნება. ტერმინი „მართვა“, ამ კონტექსტში, ნიშნავს ადამიანების, ჯგუფების და ფართო მოსახლეობის ქცევაზე გავლენის მოხდენის და მისი ფორმირების გაცნობიერებულ ცდას კონკრეტული მიზნის, ამ შემთხვევაში, „უსაფრთხოების“ მისაღწევად. „უსაფრთხოების მართვას“ ანალოგიურად აღწერს შერინგი, როდესაც იგი მას „მოვლენათა მსვლელობის ფორმირებას“ უწოდებს (239).

ამ ტერმინზე უმთავრესი თეორიული გავლენა ეკუთვნის მ. ფუკოს მიერ შემოტანილ „მართვის“ ცნებას, რომელიც, ძირითადად, ნიშნავს „საგნების სწორად განლაგებას, ხელსაყრელი საბოლოო შედეგის მისაღებად“ (202, 93). ფუკოსეული განცხადების შესაბამისად, რომლის თანახმად, „პოლიტიკური თეორია ზედმეტ ყურადღებას აქცევს ინსტიტუტებს და არასაკმარისს – პრაქტიკას“ (102), მართვა ნიშნავს „სხვა ინდივიდების მოქმედების შესაძლო სფეროს სტრუქტურირებას“ (202, 174).

ეროვნული უსაფრთხოების შესახებ განცხადებები, ჩვეულებრივ, კეთდება მათ მიერ, ვისი პრივილეგიებიც არსებული სახელმწიფო წყობით და ტერიტორიული ორგანიზაციითაა მინიჭებული. ეს განსაკუთრებით ითქმის პოლიტიკური ელიტის შესახებ. მიუხედავად ამისა, ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციას არ უნდა ჰქონდეს მხოლოდ საკუთარ ინტერესებზე ზრუნვის ხასიათი. სახელმწიფოს ნორმატიული ინტერესები მომდინარეობს მხოლოდ მისი მოქალაქეების ინტერესებიდან (154, 11).

შესაძლებელია, სახელმწიფოს ინტერესები ვრცელდებოდეს როგორც წარსულში, ტრადიციებისკენ, ასევე – მომავლისკენ, ჯერ არდაბადებული თაობებისკენ. ტერიტორიული მთლიანობა და პოლიტიკური წესრიგი ყველაზე არსებითად უწყობს ხელს მოქალაქეთა კეთილდღეობას. არაა საჭირო ჰობსისეული ავტოკრატის მიღება მისი იმ დებულების გასაზიარებლად, რომლის თანახმად, სამოქალაქო წესრიგი არის წინაპირობა ისეთი ცხოვრებისთვის, რომელიც უბრალო გადარჩენაზე მეტია. ეროვნული უსაფრთხოების მორალური საფუძვლები მართლაც რომ არსებითია.

ამავე დროს, ეროვნულ უსაფრთხოებას ორი მნიშვნელოვანი ნაკლი აქვს: კონცეპტუალური და რიტორიკული. კონცეპტუალური ნაკლი დაკავშირებულია უპირატესობასთან, კერძოდ, ლოგიკურ სივრცესთან, რომელიც არსებობს ხალხის ინტერესებსა და იმ სახელმწიფოს ინტერესებს შორის, რომელსაც მოცემული ხალხი ეკუთვნის. მაშინ, როდესაც უთანასწორობის და ექსპლუატაციის მაღალმა ხარისხმა, შესაძლოა, საფრთხე შეუქმნას სამოქალაქო წესრიგს, ეს უკანასკნელი აშკარად თავსებადია მნიშვნელოვან უთანასწორობასთან.

უფრო ზოგადად, პიროვნებების ინტერესები უფრო მგრძობიარეა რღვევის მიმართ, ვიდრე მთლიანად სახელმწიფოსი, და, ამრიგად, ფოკუსირება საფრთხეების უკანასკნელ კატეგორიაზე სოციალური ზიანის სხვა ფორმებს უგულვებელყოფს. რიტორიკული ნაკლი ეროვნული უსაფრთხოების მორალური მნიშვნელობის უშუალო შედეგს წარმოადგენს. ვინაიდან ეროვნული უსაფრთხოების ღირებულებები დაკავშირებულია სასიცოცხლო საფრთხეების საკითხებთან, ეროვნული უსაფრთხოების დისკურსი დომინირებს დასაბუთების სხვა ფორმებზე,



რაც, შესაძლოა, შემოთავაზებული იყოს ალტერნატიული პოლიტიკური მიზნების მისაღწევად.

საფრთხეები ეროვნული უსაფრთხოების მიმართ მართავს რესურსებს და სძლევეს წინააღმდეგობებს, რომლებიც კეთდება დაქვემდებარებული ღირებულებების სახელით, როგორც კეთილდღეობის, ისე ღირსების ჩათვლით. როგორც ეროვნული უსაფრთხოების შესახებ დისკურსის ჰობსისეული, ან შმიტისეული ლოგიკის შედეგი, პოლიტიკური წესრიგის შენარჩუნებაზე მიმართულმა ძალისხმევებმა, შესაძლოა, შეიწიროს პოლიტიკური წესრიგის არსებითი ღირებულებები, როგორცაა კანონის უზენაესობა და არსებითი თავისუფლებების კონსტიტუციური უზრუნველყოფა.

ეს, შესაძლოა, ეროვნული უსაფრთხოების პარადოქსად ჩაითვალოს: საფრთხე ეროვნული უსაფრთხოების მიმართ, შესაძლოა, საგანგებო ძალების მოქმედების, ან აღმასრულებელი პრეროგატივების ნიღბით ამართლებდეს იმ ფასეულობების განადგურებას, რომლებიც ღირებულს ხდის ერი-სახელმწიფოს არსებობას.

მოსამართლე კენედის მიერ საერთაშორისო საზოგადოების აზრის მოხმობამ მოსამართლე სკალიას მკვეთრად უარყოფითი რეაქცია გამოიწვია (154). სკალიამ ეჭვქვეშ დააყენა საერთაშორისო საზოგადოების აზრის გამოყენების კანონიერება მისურისა და ასევე, კიდევ ხუთ სხვა შტატში მოქალაქეთა პოლიტიკური არჩევანის და წესიერი ქცევის სტანდარტების უარსაყოფად. „მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი მოქალაქეების შეხედულებები, არსებითად, უმნიშვნელოდაა მიჩნეული [...] სხვა ქვეყნების და ე. წ. საერთაშორისო საზოგადოების შეხედულებები ცენტრალურ ადგილს იკავებს“ (154).

გაზვიადების მიუხედავად, შეიძლება ითქვას, რომ სკალიამ სწორად გამოხატა საკითხი, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ სერიოზულად იქნება აღქმული დემოკრატიისთვის დამახასიათებელი საკანონმდებლო ძალა. ვინაიდან საერთაშორისო ნორმის ძალა, თავისთავად, თითქოს ერების უნივერსალური გამოცდილებითაა დამყარებული, სასამართლო ეფექტურად აფიქსირებს, რომ ამ ნორმაში დემოკრატიის შესუსტებული ასახვა უპირატესია მისურის დემოკრატიის პირდაპირ აღსრულებასთან შედარებით.

ნამდვილად ძნელი გასაგებია, თუ როგორ შეიძლება, რომ სხვა სახელმწიფოების პრაქტიკა (თუნდაც საყოველთაო) დამსჯელი ღონისძიებების შეზღუდვასთან დაკავშირებით, კანონიერად იქნეს შემოტანილი მისურელებისთვის მათ ტერიტორიაზე შესასრულებლად. ეს ფაქტი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ეროვნულმა პოლიტიკურმა ერთობამ უარი თქვა ხელშეკრულების მეშვეობით საერთაშორისო კონსენსუსთან მიერთების ყველა შესაძლებლობაზე.

მაშინ, როდესაც დემოკრატიული თვალთახედვა არასრულწლოვანთა დასჯასთან დაკავშირებით არაა შეუვალდი, მოსამართლე სკალიას თვალსაზრისი სამართლიანია. არ შეიძლება წინასწარი დაშვების სახით მივიღოთ, რომ საერთაშორისო ნორმა, მისი მორალური სისწორის გამო, უნდა მიესადაგებოდეს მისურის, ვინაიდან სწორედ მისი მორალური სისწორე არის ის, რაც კითხვის ნიშნის ქვეშ დგას იმ მოქალაქეებისთვის, რომელთა შორისაც უნდა გამოიყენებოდეს ეს ნორმა. საკითხის ყველაზე რთულ მომენტს ლიბერალური პარადოქსი წარმოადგენს: ადამიანის უფლებების მოთხოვნები ადამიანის ღირსებასთან დაკავშირებით წინააღმდეგობაში მოდის საარჩევნო ხმის მქონე მოქალაქეთა წარმოდგენებთან ღირსების შესახებ.

ამ ლიბერალური პარადოქსის აღმოფხვრა მჭიდრო კავშირშია და არსებითად განაპირობებს უსაფრთხოების პრინციპის მეორე და ყველაზე სახიფათო ნაკლოვანებას. ესაა უსაფრთხოების განვრცობის ტენდენცია, ისეთი მოქმედება, რომელიც განიხილავს წარმოშობს „უსაფრთხოებას“ (რაშიც იგულისხმება უსაფრთხოების რიტორიკა და მასთან დაკავშირებული ქმედებები), როგორც პოლიტიკური კულტურისა და ყოველდღიური ცხოვრების ემოციურად დამუხტულ, დომინანტურ ელემენტს. ბუზანისა და მისი კოლეგების თანახმად, უსაფრთხოება (31, 72). არ არის მხოლოდ სოციალური არსებობის პირობა და ისეთი სოციალური ურთიერთობების აღწერა, რომლებიც წესრიგითა და სიმშვიდით ხასიათდება. უსაფრთხოება, არის, ასევე, პოლიტიკური პრაქტიკა, სამეტყველო აქტების ერთობლიობა, პრობლემების სახელდებისა და განსაზღვრის ერთ-ერთი გზა.

რაიმესთვის „უსაფრთხოების“ დარქმევა, – იმის გაკეთება, რასაც ბუზანი და მისი კოლეგები „უსაფრთხოების ნაბიჯს“ უწოდებენ, – ნიშნავს იდეის წამოყენებას და შემდეგ ამ იდეის ირგვლივ აუდიტორიის მობილიზაციას. ეს იდეა გულისხმობს,

რომ „ჩვენ“ გვიპირისპირდება ექსისტენციალური საფრთხე, რომელიც მოითხოვს დაუყოვნებელ, გადამჭრელ და კონკრეტულ ღონისძიებებს.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს ნიშნავს კონკრეტული საკითხის (ის, შესაძლოა, უკავშირდებოდეს სისხლის სამართლის დანაშაულს, ნარკოტიკებს, მიგრაციას, ან უცხოელს, რომელიც ცდილობს ქვეყანაში შემოსვლას და მიიჩნევა საზოგადოებისთვის საფრთხის შემქმნელად) გატანას ჩვეულებრივი დემოკრატიული პოლიტიკის საზღვრებს გარეთ და მის გამოცხადებას ისეთ საგანგებო შემთხვევად, რომელიც მოითხოვს სასწრაფო და განსაკუთრებულ რეაგირებას.

აღნიშნულ დებულებასთან ახლო კავშირშია თეზისი, რომლის თანახმად, „უსაფრთხოება“ ხელს უწყობს ისეთი დისკურსული ველის შექმნას, რომლის მეშვეობითაც ხდება განსაკუთრებული მოთხოვნების მობილიზაცია და მათთან დაკავშირებული დისკურსული პრაქტიკის ამოქმედება. უსაფრთხოება, როგორც თანამედროვე პოლიტიკური წესრიგის „ფორმაციის პრინციპი“, „თანამედროვე პოლიტიკის ენას განმსჭვალავს.

„ჩვენს პოლიტიკურ ლექსიკონს ამის სუნი ასდის და ჩვენი პოლიტიკური წარმოდგენები ამ ცნებითაა შემოზღუდული“ (63, 12). ეს ხდება ისე, რომ უსაფრთხოების ცნება მჭიდროდ უკავშირდება სახელმწიფოს ცნებას და ამ უკანასკნელისთვის სარგებლის ნაცვლად, ზიანი მოაქვს. უსაფრთხოების მოთხოვნით, სახელმწიფო ამოქმედებს ანტიპოლიტიკურ და ანტიპლურალისტურ პოლიტიკურ პრაქტიკას, რომლის დროსაც არსებული პრობლემა (არა აქვს მნიშვნელობა, თუ ვის უკავშირდება ის: მიგრანტს, ტერორისტს, კრიმინალს თუ სხვას) წყდება იმპერატივების და არა კომპრომისებისა და პოლიტიკური არჩევანის მეშვეობით.

ასეთ შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ავტორიტარულ გადაწყვეტილებებს და არა დემოკრატიულ პროცედურებს; ხდება ადამიანთა ფუნდამენტური უფლებების შეზღუდვა უსაფრთხოების შენარჩუნების ხარჯზე. ეს პრაქტიკა იკვებება უსაფრთხოების მიერ შესაძლებლობების გაურკვეველ და მუდამ არამყარ ჰორიზონტზე მითითებით, რომელიც დაუსრულებლად მოითხოვს „უსაფრთხოების უფრო და უფრო მეტ ზომებს“. მოკლედ რომ ვთქვათ, უსაფრთხოება არის

საშუალება, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება მხარდაჭერის კერძო ფორმა – რომელშიც სახელმწიფო ისეთ ექსტრა (სუპერ) სამართლებრივ ზომებს იღებს, როგორსაც მიიჩნევს საჭიროდ თავისი ინტერესებისა და ერთიანობის დასაცავად.

როგორც სახელმწიფოს მიმართ სექტიკურად განწყობილი ერთ-ერთი მემარცხენე ამტკიცებს, ამ თვალსაზრისით ჩვენ ვიყავით სახელმწიფო ძალაუფლების სახიფათო განმტკიცების და განვრცობის მოწმენი, რომელიც, ფაქტიურად გაუტოლდა „თავისუფლებისა და დემოკრატიის წინააღმდეგ ბრძოლას“ (154, 77). მაგრამ „ტერორის წინააღმდეგ ბრძოლამ“, ასევე, წარმოშვა სახელმწიფოთა შორის უსაფრთხოების თვალსაზრისით თანამშრომლობის ახალი, ან გაძლიერებული ფორმები და კონტროლის და უსაფრთხოების აღმასრულებელი პროფესიონალების ტრანსნაციონალური ქსელების მიკროძალაუფლება.

ყველაზე შთამბეჭდავ მოვლენებს ადგილი ჰქონდა ევროკავშირში, კერძოდ, 11 სექტემბრის მოვლენების შემდეგ, შემოღებულ იქნა ‘ევროპული დაკავების ბრძანება’ (*European Arrest Warrant*), ტერორიზმის ცნება უფრო ფართოდ განისაზღვრა, ხოლო მთავრობათაშორისმა საქმიანობამ, რომელიც უსაფრთხოების საკითხებს უკავშირდებოდა, ახალი მასშტაბები შეიძინა „თავისუფლების, სამართლისა და უსაფრთხოების ზონის“ (*Area of freedom, security and justice*) პოლიტიკის ფარგლებში.

ამ ქმედებებმა გააღრმავა ტენდენცია, რომელიც საჯარო პოლიტიკის გარკვეულ სფეროებს (მიგრაცია, თავშესაფრის ძიება) განიხილავს, როგორც უსაფრთხოების საკითხთან დაკავშირებულს (23, 77). ეს ტენდენცია უშუალოდ უკავშირდება ხალხის შიშს და მოქალაქეთა მხრიდან უსაფრთხოების მოთხოვნას, რის შედეგსაც წარმოადგენს პოპულისტური პოლიტიკა.

პოპულიზმთან დაკავშირებული მთავარი პრობლემა არის მისი უპრინციპო ჰიპერმგრძობელობა საზოგადოებრივი მოთხოვნის მიმართ. პოპულიზმმა, შესაძლოა, არაპოპულარული ჯგუფების, ან ადამიანების მიმართ ზღვარგადასული და უსამართლო დამოკიდებულება აღძრას. პოპულიზმი ზეწოლას ახდენს ოფიციალურ პირებზე და სხვებზე და აიძულებს მათ, მიიღონ პირდაპირი, ხშირად თვითნებური გადაწყვეტილება პიროვნების წინააღმდეგ სათანადო სამართლებრივი უფლებების, ან დამამტკიცებელი საბუთების გარეშე. მაგალითად

სამხრეთ აფრიკაში, როგორც ვან ზილ სმითის მიხედვით, „არსებობს დიდი საფრთხე იმისა, რომ უცხოელებს (იქნებიან ისინი არალეგალური ემიგრანტები ქალაქში, რომლებსაც უმეტესად შავკანიანი სამხრეთ აფრიკელები შეადგენენ, თუ შავკანიანი ყაჩაღები, რომელიც თეთრ რაიონში დაიჭირეს), განსაკუთრებით მკაცრად მოექცევიან“ (154, 19).

სწორედ აქ, ვიდრე ტრანსნაციონალური უსაფრთხოების პოლიტიკის სხვა სფეროებში, რომლებიც უფრო ნაკლებადაა განვითარებული, ვხედავთ იმ მწვავე ბრძოლის განახლებას, რომელიც დაცილებულია თავის საწყის სახელმწიფო კონტექსტს. ეს ბრძოლა მიმართულია ოთხი ცნების (რესურსები, აღიარება, უფლებები და მიზეზები) შესამუშავებლად, რაც შესაძლებელს ხდის ცივილიზებული უსაფრთხოების პრაქტიკას, რომელიც დაუპირისპირდება პატერნალიზმის, კონსუმერიზმის, ავტორიტარიზმისა და ფრაგმენტაციის პათოლოგიურ ტენდენციებს.

„უსაფრთხოების“ პრინციპის საფუძველმდებარე მიზნად გამოცხადებითა და ამ მიზნის შესაბამისად, საზოგადოებრივი წესრიგის კონტროლით, სახელმწიფო ყველაზე ხელშესახებ ფორმას აძლევს იმას, რაც შმიტის სიტყვებით, შესაძლოა, გამოხატულ იქნას, როგორც სახელმწიფოს სუვერენული უფლება „გამონაკლისის თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად“ (154, 19). ამ დროს, საუკეთესო შემთხვევაში, უსაფრთხოება მოქმედებს როგორც *primus inter pares* საჯარო პოლიტიკაზე თავისი მოთხოვნების თვალსაზრისით და როგორც სხვა პოტენციური სიკეთეებისადმი დაპირისპირებული.

უფლებების რეჟიმი, პირველ რიგში, ცდილობს, გააკონტროლოს სახელმწიფოს მაიძულებელი მექანიზმები. პოლიტიკური ერთობის ყველა წევრისთვის გარკვეული ბაზისური პოლიტიკური და სამოქალაქო თავისუფლებების (აზრის თავისუფალი გამოხატვა, შეკრებისა და გაერთიანებების თავისუფლება, პრესის თავისუფლება, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, ოჯახური ცხოვრება, სამართლიანი მართლმსაჯულება სასტიკი და დამამცირებელი დასჯის საწინააღმდეგოდ და ა. შ.) უზრუნველყოფით სამართლებრივად განმტკიცებული ადამიანის უფლებები არ აძლევს სახელმწიფოს საშუალებას, იმოქმედოს, როგორც დომინანტურმა ძალამ და თვითნებურად და უკანონოდ ჩაერიოს მოქალაქეთა ძირითად უფლებებში.

ადამიანის უფლებები, ასევე, მოითხოვს, რომ ამ შეზღუდვებს სახელმწიფო ძალაუფლებაზე მიეცეს პრაქტიკული ძალა აღსრულების და გამოსწორების მრავლობითი მექანიზმების შექმნით (დამოუკიდებელი სასამართლო, ომბუდსმენის ინსტიტუტი, სპეციალური ორგანოები, რომლებსაც ევალებათ უფლებათა დარღვევის მონიტორინგი და გამოაშკარავება და, ზოგადად, ადამიანის უფლებათა ხელშეწყობა). მაშასადამე, უფლებები, ამ კლასიკური გაგებით, უზრუნველყოფს იმ პოლიტიკური და სოციალური ძალების კონტროლს, რომლებიც უსაფრთხოების განვრცობას ესწრაფვიან. ეს ძალები უხეშად ახდენენ უსაფრთხოების განვრცობას და ყურადღებას არ აქცევენ იმ შეზღუდვებს, რასაც უფლებები უწესებს საჯარო დაცვისაკენ შეუზღუდავ სწრაფვას.

სწორედ ეს ხსნის, ნაწილობრივ მაინც, უსაფრთხოებასა და უფლებებს შორის წინააღმდეგობის აღწერას, რომელიც ამ საკითხებთან დაკავშირებული პოლიტიკური და ლეგალური დისკუსიის შემადგენელი ნაწილი გახდა (154). რადგან ამ რუტინულ აღწერას თავისი რაციონალური არსი აქვს, ის დამახასიათებელია იმ კონტრმაჟორიტარიზმისთვის, რომელიც უფლებების რეჟიმების ნიშანსვეტს წარმოადგენს. ეს რეჟიმები არაპოპულარ უმცირესობებს სთავაზობს იმ ინტერესების დაცვას, რომელთა შელახვის ცდუნებაც, შესაძლოა, გაუზრუნველყოს უსაფრთხოების მოსაზრებებიდან გამომდინარე. ამაზე დაკვირვება ადვილად შესაძლებელი იმ დისკუსიაში, რომელიც მოქალაქეთა და უცხოელთა უფლებებს უკავშირდება.

ადამიანის უფლებათა დაცვა სასიცოცხლო მნიშვნელობისაა: როგორც პლურალიზებული უსაფრთხოების პრაქტიკული შედეგების დაცვის საშუალება; და როგორც იმ პირების ბაზისური ინტერესების დაცვის საშუალება, ვინც დაუცველია ბაზრის შეუზღუდავი ქმედებების, ან საჯარო პოლიტიკის გამო. ამ შემთხვევაში, უფლებები არ წარმოადგენს ბასტიონს სახელმწიფოს წინააღმდეგ. უფლებები მოითხოვს, რომ სახელმწიფომ აამოქმედოს სამართლებრივი და მარეგულირებელი რეჟიმები და მათთან დაკავშირებული საშუალებები, რომლებიც შეძლებს, დაიცვას ადამიანები არამყარი კომერციული ძალაუფლებისგან, ან ადგილობრივი ტირანიისგან.

ადამიანის ბაზისური უფლებების ასეთი სამართლებრივი გარანტიები, ნებისმიერ შემთხვევაში, წარმოადგენს სოციალური შედეგების მნიშვნელოვან ნაწილს,

რომლებიც მომდინარეობს სახელმწიფოს ინსტიტუტებში წარმატებით დამკვიდრებული პლურალიზებული უსაფრთხოებიდან. ბუნებრივია, ასეთი უფლებები ვრცელდება მოქალაქეობის არმქონე პირებზე ქვეყნის ტერიტორიის შიგნით, ცხადია, იმ პირობით, თუ უცხოელები არ წარმოადგენენ აშკარა საფრთხეს საზოგადოებისთვის.

ჰაბერმასის მიხედვით, პოლიტიკური ავტონომია ყოველთვის გულისხმობს კერძო ავტონომიას და პირიქით (111). უფლებები ადგენს ჩარჩოებს არსებით შედეგებზე. ეს შედეგები, შესაძლოა, გამომდინარეობდეს დემოკრატიული პროცესებიდან, რომლებიც 'არ-გამორიცხვის პრინციპს' (*principle of non-exclusion*) ემყარება. უფლებები საშუალებას არ აძლევს ამ პროცესებს, მიღებულ იქნას ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც საფრთხეს შეუქმნის ადამიანთა ძირითად უფლებებს.

ამის მეშვეობით, უფლებები დემოკრატიული გარემოს დამცველ მექანიზმად გვევლინება. ისინი კიდევ ერთ კონტრმაჟორიტარულ კონტროლს წარმოქმნიან. ამჯერად, ეს კონტროლი მიმართულია დემოკრატიული უსაფრთხოების პრაქტიკის პოტენციურად არაღიბერალური შედეგების წინააღმდეგ. უფლებები იცავს უმცირესობებს, (მოქალაქეობის არმქონე პირების ჩათვლით), პოლიტიკურად ჩამოყალიბებული უმრავლესობებისგან ისე, რომ უსაფრთხოების მართვის ინსტიტუციურ მატრიცაში ჩართული იქნეს იდეა, რომ უსაფრთხოება საჭიროებს განხორციელებას ისე, რომ შესაბამისობაში იყოს იმ სიკეთეებსა და ღირებულებებთან, რის მიღწევასაც ცდილობს დემოკრატიული პოლიტიკური საზოგადოებები (111, 112).

უფლებების მნიშვნელობისა და ღირებულების შესახებ ეს განაზრება, უსაფრთხოების სოლიდარისტული და ეგალიტარული პრაქტიკის ჩარჩოში, წინა პლანზე წამოწევს რამდენიმე საკითხს. უპირველეს ყოვლისა, ის ეჭვქვეშ აყენებს დებულებას, რომლის თანახმად, უფლებებსა და უსაფრთხოებას შორის ღრმა დაპირისპირება არსებობს. ზემოთ მოყვანილი დებულებების ფონზე, უფლებები არ არის მხოლოდ სახელმწიფოს ძალაუფლებისგან ადამიანის დაცვის მექანიზმი, როგორც ამას ლიბერალები მიუთითებენ.

ისინი არც ტვირთია, რომელიც საფრთხეს უქმნის სახელმწიფოს შესაძლებლობას, დაიცვას თავისი მოქალაქეები და რომელიც თითქოს აიძულებს სახელმწიფოს, როგორც ამას ზოგჯერ ამბობენ პოლიციის ოფიცრები, პოლიტიკოსები და ექსპერტები, იმუშაოს „ზურგს უკან შეკრული ცალი ხელით“. ამისგან საპირისპიროდ, უფლებები არსებითი წინაპირობაა ცივილიზებული უსაფრთხოების აღსასრულებლად. მოკლედ რომ ვთქვათ, უფლებები, მოქალაქეობის არმქონე პირთა ადამიანის უფლებების ჩათვლით, უსაფრთხოებისთვის არსებობს და მის არსებით ელემენტს წარმოადგენს.

## 6.1 ამერიკის შეერთებული შტატები

გავანალიზოთ რა დემოკრატიული, ლიბერალური, ბუნებითი სამართლის და უსაფრთხოების პერსპექტივების თეორიული საფუძვლები ლიბერალურ პარადოქსთან მიმართებაში, გადავალ ასეთი დიხოტომიის არსებობის ემპირიული მტკიცებების გარჩევაზე და გამოვიკვლიოთ მის დინამიკას აშშ-ს, გაერთიანებული სამეფოს და გერმანიის მაგალითზე. ფოკუსირებას მოვახდენ მთავრობის აღმასრულებელ და საკანონმდებლო ზომებზე, რაც საუკეთესოდ ახასიათებს შესასწავლ ორ ნორმატიულ ზონას, შევაფასებ ლოგიკას, რომელიც საფუძვლად უდევს ასეთ ქმედებებს და დავასაბუთებ დასკვნას, რომ სახელმწიფო ყოველთვის გამოხატულად მოქმედებს თავისი მოქალაქეების დასაცავად და ამ პროცესში ხშირად არღვევს არა-მოქალაქეთა (მოქალაქეობის არა მქონე პირების) ადამიანების უფლებებს.

როდესაც პრეზიდენტი ჯორჯ ბუში 2001 წლის იანვარში ხელისუფლებაში მოვიდა, აშშ-ს საგარეო პოლიტიკაში მოხდა ცალმხრივი (*unilateral*) ტენდენციების აშკარა გაძლიერება. პირველი რვა თვის განმავლობაში ბუშის ახალმა ადმინისტრაციამ მოახდინა კლიმატის ცვლილებებთან დაკავშირებით კიოტოს პროტოკოლის რენონსაცია, გამოიწვია ხელმოწერა საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს შექმნის შესახებ რომის ხელშეკრულებიდან, გამოვიდა ბალისტიკური რაკეტების საწინააღმდეგო ხელშეკრულებიდან და უარყო ბირთვული გამოცდების საყოველთაო აკრძალვის ხელშეკრულება. ეს ქმედებები შესაბამისი ჩანდა უსაფრთხოების მიმართ ჰეგემონური მიდგომისა. ეს იყო



მიდგომა, რომლის მიხედვითაც შეიძლება ვარაუდი, რომ აშშ-ს უპირატესი სამხედრო ძალაუფლება გადაიზრდებოდა დიპლომატიურ გავლენაში გლობალიზებულ სამყაროშიც კი, იმ პირობით რომ, ეს გამაგრებული იქნეოდა პოლიტიკური ნების ნათელი გამოხატვით.

თუმცა, პრეზიდენტ ბუშის მიხედვით, 2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტულმა შეტევებმა მსოფლიოს სავაჭრო ცენტრზე ნიუ-იორკში და პენტაგონზე ვაშინგტონში „შეცვალა აშშ-ს სტრატეგიული აზროვნება“. ერთი საშინელი დღის განმავლობაში ამერიკამ რეალისტური უეჭველობების მსხვერვეა განიცადა (176). სამხედრო თვალსაზრისით ყველაზე ძლიერი ერი მსოფლიოში უძლური იყო, თავიდან აეცილებინა შეტევა თავის მიწაზე აშშ-ს ძალაუფლებისა და პრესტიჟის სიმბოლოების წინააღმდეგ ტრანსნაციონალური ტერორისტული ჯგუფის, ალ-ქაიდას მხრიდან. ეს განსაცვიფრებელი დარტყმა იყო მსოფლიოს ერთადერთ ზესახელმწიფოზე. 50 წლის განმავლობაში ამერიკა ვარაუდობდა, რომ არც ერთი ქვეყანა არ მიიტანდა მასზე იერიშს საპასუხო დარტყმის შიშით. ამ უვნებლობის განცდას ბოლო მოუღო 11 სექტემბრის შეტევებმა. მაგრამ ვაშინგტონსა და ნიუ-იორკში დატრიალებულმა საშინელებებმა მხოლოდ ამერიკის აეროპორტების უსაფრთხოების სისუსტე და აშშ-ს სადაზვერვო სააგენტოების შეზღუდული შესაძლებლობები კი არ აჩვენა, არამედ, გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი რამ გამოააშკარავა. ამ შეტევებმა სერიოზული ეჭვის ქვეშ დააყენა საკითხი იმის შესახებ, რომ ამერიკას შეეძლო საკუთარი უსაფრთხოების განსაზღვრა გლობალიზებულ სამყაროში.

ვითარებას მნიშვნელოვნად ამწვავებდა ის გარემოება, რომ შემტევები იყვნენ უცხოელები, რომლებმაც ლეგალურად გაიარეს საიმიგრაციო უსაფრთხოების კონტროლი. ამრიგად, საიმიგრაციო უსაფრთხოების საკითხი ეროვნული დებატების საგნად იქცა. 11 სექტემბრის შემდეგ, მოქალაქეობის არმქონე პირთა უფლებები გაცილებით უფრო მოწყვლადი გახდა, რადგან მოქალაქეთა უსაფრთხოების საკითხს უფრო მეტი მნიშვნელობა მიენიჭა, ვიდრე უცხოელთა უფლებებს.

2001 წლის 12 სექტემბერს გაეროს უსაფრთხოების საბჭომ 1368-ე რეზოლუციის მეშვეობით აღიარა, რომ ტერორიზმი არის „საფრთხე საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების მიმართ“, რითაც, ფაქტიურად, ხელი შეუწყო აშშ-სა და მისი

მოკავშირეების მიერ ძალის გამოყენებას ასეთი საფრთხის ასალაგმად. „ახლა ჩვენ ყველანი ამერიკელები ვართ“ განაცხადა გაზეთმა *Le Monde*, მაშინ, როდესაც ნატომ პირველად აამოქმედა თავისი წესდების მე-5-ე მუხლი და თავის ყველა წევრს აშშ-ს მიმართ სოლიდარობის გამოცხადება მოთხოვა. მაშინ ჯერ კიდევ არ იყო ნათელი, რომ „ომი ტერორის წინააღმდეგ“ გახდებოდა ეფექტური ხერხი იმ უცხოელი მოქალაქეების სიტუატური დამცირებისათვის, რომლებიც უბრალოდ ეჭვიტანილები იყვნენ არალეგალურ საქმიანობაში აშშ-ს ტერიტორიაზე.

ბუშის ადმინისტრაციის ძალისხმევა, გაექლიერებინა ეროვნული უსაფრთხოება 11 სექტემბრის შემდეგ, ფართოდ იყო აღქმული, როგორც ვაშინგტონის მიერ ადამიანის უფლებების და კანონის უზენაესობის აღსრულების შესუსტება (176). ეს პრინციპები ლიბერალური დემოკრატიული სისტემის საფუძველს ქმნის და ძირითად როლს თამაშობს დემოკრატიული მმართველობის ლეგიტიმირებაში. ისინი, ასევე, გამიჯნავს დემოკრატიულ მმართველობას ისეთი ტერორისტული ჯგუფების საქმიანობისგან როგორცაა, მაგალითად ალ-ქაიდა, რომელიც დემოკრატიული ნორმების განადგურებას ესწრაფვის.

ბუშის ადმინისტრაციამ უყურადღებოდ დატოვა აშშ-ს პოლიტიკური გზავნილი ამ ძირითადი პრინციპების უგულებელყოფით რამდენიმე ფრონტზე. საშინაო პოლიტიკაში ბუშის ადმინისტრაციამ გამოიყენა „ახალი ომი“ ტერორის წინააღმდეგ ფედერალური მთავრობის ძალაუფლების მასიური განვრცობის გასამართლებლად. ამ პროცესში, რომელიც ამერიკის ფედერალური მთავრობის უდიდეს რეორგანიზაციას წარმოადგენს 1947 წლიდან, პრეზიდენტმა ბუშმა დააარსა აშშ-ს საშინაო უსაფრთხოების ზედამხედველობის ორგანო. საშინაო უსაფრთხოების ახალი (*Homeland Security*) დეპარტამენტს გამოუყვეს 40 მილიარდი აშშ დოლარის ოდენობის ბიუჯეტი და 170,000 ადამიანის ოდენობის შტატი, რაც რაოდენობით მხოლოდ თავდაცვის დეპარტამენტის შტატს ჩამოუვარდება.

ამავე დროს „პატრიოტული აქტი“ (*Patriot Act*) რომელიც სასწრაფოდ მიიღეს 11 სექტემბრის შეტევების შემდეგ, ტერორიზმს განსაზღვრავს ისე, რომ მასში შედის საპროტესტოდ გამოსულების პირდაპირი ქმედებები. ეს აქტი განავრცობს სატელეფონო ზარების მოსმენისა და ელექტრონული ფოსტის შემოწმების არეს და უბრალო ეჭვის საფუძველზე, აშშ-ს კონსტიტუციის რაიმე დაცვის გარეშე, გენერალურ პროკურატურას უცხოელების დაკავების უფლებას ანიჭებს (176).

თუ 2001 წლის შემდგომ უსაფრთხოების აკვიატებულ იდეას ხშირად განიხილავენ, როგორც თავისუფლების შეწირვას უსაფრთხოებისთვის, ეს, უკეთეს შემთხვევაში, მხოლოდ ნაწილობრივადაა მართალი. დევიდ ქოულმა ასე (45) აღწერა აშშ-ს რეაგირება: „პრაქტიკულად, ჩვენ სელექციურად გავწირეთ მოქალაქეობის არმქონე პირთა თავისუფლებები, მაგრამ, ამავე დროს, შევინარჩუნეთ მოქალაქეთა უზრუნველყოფა ბაზისური უსაფრთხოებით“. აშშ-ს პრეზიდენტის 2001 წლის 13 ნოემბრის სამხედრო ბრძანების საფუძველზე შეიქმნა სამხედრო კომისიები სერთაშორისო ტერორიზმში ეჭვმიტანილთა საქმეების გასარჩევად. ამ კომისიებში სამხედრო პირი ერთდროულად მოქმედებს, როგორც პროკურორი, მოსამართლე, ნაფიცი მსაჯულები და დამსჯელი, სამოქალაქო სასამართლოსთან მიმართვის გარეშე.

მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ეს რეჟიმი შეეხო მხოლოდ მოქალაქეობის არმქონე პირებს და არა მოქალაქეებს. ამის მიზეზი იყო არა სამართლებრივი შეზღუდვები, არამედ პოლიტიკური მიზანშეწონილობა, ან სუფთა ნაციონალიზმი. ნაციონალისტურია აშშ ყოფილი ვიცე-პრეზიდენტის, დიკ ჩეინის მიერ უცხოელების გამოყოფის გამართლება: „პირი, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში არალეგალურად შემოდის და რომელიც ტერორისტულ ოპერაციას ატარებს, რომლის შედეგადაც იღუპება ათასობით უდანაშაულო ამერიკელი, – კაცები, ქალები და ბავშვები, – არაა კანონიერი მოწინააღმდეგე [...] ასეთი ადამიანები არ იმსახურებენ იგივე გარანტიებს და დაცვას, რაც გამოიყენება ამერიკელი მოქალაქისთვის“ (142).

გარდა ამისა, „ტერორისტული საქმიანობა“ ისე სუსტად იყო განსაზღვრული, რომ „მუდმივი რეზიდენტი უცხოელი, რომელიც სამზარეულოს დანას იქნევდა თავის მოძალადე ქმართან ჩხუბისას“ მიესადაგებოდა ამ განსაზღვრებას (142). საეჭვო სიახლე აშშ-ს მიერ ტერორიზმზე რეაგირებაში არის უცხოელების ელემენტარული სამოქალაქო უფლებების უარყოფა. მკაცრი და დაუნდობელი დამოკიდებულება დაკვიდრდა ადრე ყველაზე დაცული ჯგუფის – ლეგალური მუდმივი რეზიდენტების მიმართაც კი.

ქოულმა ამ მიმართებით არსებითად განასხვავა ერთმანეთისაგან კონტრაქტიდან გამომდინარე უფლებები, რომლებიც გაგებულია, როგორც პრივილეგიები და ის

უფლებები, რომლებიც ეკუთვნის პიროვნებას, როგორც ხელშეუხებელ მთლიანობას. პოლიტიკური თავისუფლება, სათანადო სამართალწარმოება და თანაბარი დაცვა კანონით (რასაც ეწინააღმდეგება მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს აშშ-ში უცხოელი მტრის შესახებ კონცეფციის აღორძინება) „ყველაზე უკეთ გაიგება არა როგორც სპეციალური პრივილეგიები, რომლებიც კონკრეტული სოციალური კონტრაქტიდან მომდინარეობენ, არამედ როგორც თავისუფალი და თანასწორი ღირსების მქონე პიროვნების ცნებიდან გამომდინარე. ისინი ადამიანის უფლებებია და არა მოქალაქეების პრივილეგიები“ (45).

შესაბამისად, „კანონით განსაზღვრული თანასწორი სამართლის“ უარყოფა მტრულად განწყობილი უცხოელების მიმართ სხვა მნიშვნელობას ატარებს, ვიდრე უბრალოდ „კამფეტების დარიგების“ შეწყვეტა (146), კერძოდ, ის უმთავრესი მომენტი კეთილდღეობის პრივილეგიებიდან ემიგრანტების გამორიცხვის საქმეში. გარდა ამისა, ამ ქმედების საშინელება მდგომარეობს კანონის საყოველთაოობისთვის ძირის გამოთხრაში, რაც აქამდე წარმოადგენდა კანონის უზენაესობის, როგორც ასეთის, საფუძველს და ნამდვილად არ წარმოადგენს პოსტ-ნაციონალური ეპოქის სიახლეს.

დაახლოებით სამოცი წლის წინ უზენაესი სასამართლოს მოსამართლე ჯექსონმა, განაცხადა, რომ საყოველთაო სახის კანონები საუკეთესო დაცვაა ტირანიისგან: „არ არსებობს უფრო ეფექტური და პრაქტიკული გარანტია თვითნებური და უგუნური ხელისუფლების წინააღმდეგ, ვიდრე იმის მოთხოვნა, რომ კანონები, რომლებსაც ხელისუფლება დაუდგენს უმცირესობებს, საყოველთაოდ იქნეს დადგენილი“ (146). ამრიგად, პოსტ-ნაციონალური წევრების უფლებების ხელყოფა (უარეს შემთხვევაში, ყველა უცხოელისთვის ელემენტარული სამოქალაქო უფლებების წართმევა) საფრთხის შემცველია ყველა მოქალაქისათვის.

თუმცა, 11 სექტემბრის შეტევების შემდეგ, ფედერალურმა კანონმდებლებმა ორგანოებმა, გენერალური პროკურორის, ჯონ ეშკროფტის ხელმძღვანელობით, დაიწყეს ფართო და ინტენსიური გამოძიება, რასაც აშშ-ში დაახლოებით ათსამდე მოქალაქეობის არმქონე პირის დაკავება მოჰყვა. მათი უმეტესობა დაპატიმრებული იყო საიმიგრაციო წესების დარღვევისთვის და სისხლის სამართლის მცირე ბრალდებებისთვის, რასაც ტერორიზმთან საერთო არაფერი ჰქონდა.

უფრო სერიოზული ბრალდებები მოიცავდა სახიფათო მასალებზე ყალბ ლიცენზიებს. ზოგიერთი მათგანი დაკავებული იყო, როგორც 11 სექტემბრის შეტევების მნიშვნელოვანი მოწმე. ვინაიდან 11 სექტემბრის ტერორისტები მოქალაქეობის არმქონე პირების იყვნენ, ეშკროფტმა გაზარდა დრო, რომლის განმავლობაშიც შეიძლებოდა დაპატიმრებულების დაკავება ბრალდების წაყენების გარეშე და ბევრმა დაპატიმრებულმა არც კი იცოდა, რისთვის იყო დაკავებული. მრავალს არ ჰქონდა ადვოკატის წვდომა.

ადვოკატი-კლიენტის პრივილეგია, ასევე, დარღვეული იყო, ვინაიდან ხორციელდებოდა ფედერალური პატიმრების საკუთარ ადვოკატებთან საუბრის მონიტორინგი ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც გენერალურ პროკურორს „გონივრული ეჭვი“ ჰქონდა, რომ ეს ურთიერთობა, შესაძლოა, ტერორისტული აქტების მხარდამჭერი ყოფილიყო. მტკიცებულებითი სამართლის შესაბამისად, ადვოკატსა და კლიენტს შორის არსებული კონფიდენციალური კომუნიკაცია არ უნდა ექვემდებარებოდეს კონტროლს. სხვაგვარად, კლიენტი თავისუფლად არ გაუზიარებს ადვოკატს ინფორმაციას, რათა დაცვაში დახმარება მიიღოს.

ეშკროფტს არ უნდოდა დაკავებულთა რაოდენობის და მათი სახელების დასახელება. გარკვეულ შემთხვევებში, ფედერალური ორგანოები არ უმეღავნებდნენ ოჯახის წევრებს დაკავებულთა ადგილსამყოფელს. ინფორმაციის დამალვა მართლდებოდა საჯარო უსართხოების და ხელშეუხებლობის მიზეზებით (მაგალითად, თუ აღ-ქაიდა გაიგებდა, მისი ორგანიზაციის რომელი წევრი იყო მიუწვდომელი და რომელი – მისაწვდომი, ეს ინფორმაცია მას დაეხმარებოდა შეტევების დაგეგმვაში). ბოლოს დაპატიმრებულთა უმრავლესობა გაათავისუფლეს ისე, რომ მრავალი მათგანისათვის ოფიციალური ბრალდება არც კი წაუყენებიათ. თუმცა, სხვა შეტევების შიში 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ ძალიან დიდი იყო. აშშ-ს მოსახლეობა მხარს უჭერდა ეშკროფტსა და ფედერალურ ქმედებებს მოქალაქეობის არმქონე პირთა წინააღმდეგ. გაზეთ ნიუსუიქის (*Newsweek*) გამოკითხვამ ცხადყო, რომ მოქალაქეთა 86%-ის აზრით, მთავრობის ქმედებები სათანადო იყო (185).

რაც შეეხება „პატრიოტულ აქტს“ (*Patriot Act*), მისი 412-ე მუხლის შესაბამისად, გენერალურ პროკურორს უფლება აქვს, მოსმენის გარეშე დააკავოს ნებისმიერი უცხოელი მოქალაქე, რომელიც ტერორიზმშია ეჭვმიტანილი. დაკავების

პირვანდელი ვადა შვიდ დღეს შეადგენს, მაგრამ ის, შესაძლოა, განუსაზღვრელად გაგრძელდეს. ასევე, „ტერორისტული საქმიანობის“ განსაზღვრება, კანონის მიხედვით, ძალიან ფართოა. პრევენციული დაკავება მოსმენის გარეშე, რომელიც დაასაბუთებდა დაკავების აუცილებლობას, არღვევს სათანადო სამართალწარმოების უფლებას და ის, რაც მოტანილია დაკავების მტკიცებულების ზღურბლად – „რწმენის გონივრული საფუძველი“ – ძალიან დაბალია. უცხოელისთვის ერთადერთ კანონიერ გზად რჩება ფედერალურ სასამართლოში მთავრობის წინააღმდეგ საქმის აღძვრა (185).

და ბოლოს, 650 ექვმიტანილი ალ-ქაიდასა და თალიბანის წევრობაში, 2001 წლიდან დაკავებულია აშშ-ს სამხედრო ბაზაზე გუანტანამოს ყურეში (კუბა). ისინი არ არიან გასამართლებულნი, მათ არა აქვთ წაყენებული ბრალი და მათ არა აქვთ ადვოკატებთან წვდომის უფლება. ბუშის ადმინისტრაცია დაჟინებით აცხადებდა, რომ იქ დაკავებულები არიან არა „სამხედრო ტყვეები“ (რომლებსაც უენეის კონვენციის თანახმად, უფლებები აქვთ მინიჭებული), არამედ „მტრის მებრძოლები“. ამ გარემოებამ მნიშვნელოვანი კრიტიკა გამოიწვია როგორც აშშ-ში (ყოფილი მოსამართლეების, დიპლომატების და სამხედრო ოფიცრების მხრიდან), ასევე, საერთაშორისო დონეზე (პროტესტი გამოხატეს წითელმა ჯვარმა (Red Cross), საერთაშორისო ამნისტიის ორგანიზაციამ (*Amnesty International*) და ევროპის პარლამენტის ლიდერებმა.

2004 წლის ივნისში, აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ უარყო ბუშის ადმინისტრაციის პოლიტიკა, მტრის მებრძოლების მსგავსად, მოქალაქეების და უცხოელების განუსაზღვრელი ვადით დაკავებასთან დაკავშირებით. ამ დადგენილებით დაიწყო *habeas corpus*-ის მისადაგების სერია გუანტანამოს ყურეში დაკავებულთა მიმართ. ბუშის ადმინისტრაცია აგრძელებდა იმის მტკიცებას, რომ მას ჰქონდა სუვერენული უფლება, უგულებელყო „ამერიკული სამართალი“ ტერორიზმთან ომში. ეს მიდგომა არ შეესაბამება სათანადო სამართალწარმოების ცნებას და წარმოშობს დაუსჯელობის კულტურის გაჩენის საფრთხეს. ამავე დროს, ის ამტკიცებს, რომ მოქალაქეთა უსაფრთხოების გაზრდა უცხოელების უფლებების საწინააღმდეგოდ, აუცილებლად გამოიწვევს პირველის ზრდას უკანასკნელის ხარჯზე.

საკანონმდებლო და სასამართლო კონტექსტი გვთავაზობს შესასწავლ ნორმატიულ დისკომიაზე უსაფრთხოების ფაქტორის გავლენის სანიმუშო სურათს. ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიის განმავლობაში მოქალაქეობის არმქონე პირების უფლებების შესახებ დებატები მიმდინარეობდა სასამართლოში და მის გარეთ და ეს საკითხები დღესაც მოუგვარებელია. სამართლის ეს ნაწილი, რომელსაც ხშირად საიმიგრაციო სამართალს უწოდებენ, შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც ქანქარა, რომელიც ეროვნულ უსაფრთხოებასა და მოქალაქეობის არმქონე პირების უფლებებს შორის მოძრაობს (185).

საქმე „რენო“ ამერიკულ-არაბული ანტიდისკრიმინაციული კომიტეტის წინააღმდეგ“ 1987 წელს დაიწყო, როდესაც იმიგრაციის და ნატურალიზაციის სამსახურმა შვიდი პალესტინელი და კენიელი დააპატიმრა და დეპორტაცია მიუსაჯა იმის გამო, რომ ისინი იყვნენ იმ ორგანიზაციის წევრები, რომელიც მხარს უჭერდა კომუნიზმს და პალესტინელებს. მოსარჩელეებმა სარჩელი შეიტანეს ბრალდების კონსტიტუციურობასთან დაკავშირებით. საინტერესოა, რომ ფედერალური გამოძიების ბიუროს (*FBI*) დირექტორმა თავის ჩვენებაში კონგრესის წინაშე განაცხადა, რომ მოსარჩელეები რომ მოქალაქეები ყოფილიყვნენ, მათი დაპატიმრების საფუძველი არ იარსებებდა და რომ მათი დაკავება მოხდა კომუნისტურ ორგანიზაციასთან კავშირის გამო.

აშშ უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ გარდა იმისა, რომ უნდა მოხდეს დაკავებულთა დეპორტაცია ტერორისტულ დაჯგუფებასთან მათი კავშირის გამო, როგორც იმიგრანტებს, მათ არა აქვთ უფლება, გაასახივრონ დეპორტაცია აშშ კონსტიტუციის პირველი შესწორების საფუძველზე. ფაქტობრივად, სასამართლომ განაცხადა, რომ მოქალაქეობის არმქონე პირებს არა აქვთ იგივე უფლებები, როგორც აშშ-ს მოქალაქეებს.

ჯ. ქრენქისა და ფ. გრეგორის მიხედვით (58, 103-136), უცხოელებს, რომლებიც აშშ-ში ლეგალურად იმყოფებიან, აქვთ უფლებები აშშ კონსტიტუციის მე-14-ე შესწორების მიხედვით. სათანადო სამართალწარმოების უფლება, რომელიც მიესადაგება მოქალაქეებს, ასევე, მიესადაგება უცხოელებს. უფლებები აქვთ არალეგალურ იმიგრანტებსაც, მაშინაც კი, როდესაც ისინი დეპორტაციას ექვემდებარებიან. ფ. პურპურა (185, 179), მოქალაქეობის არმქონე პირების უფლებების დამცველი ამერიკის სამოქალაქო თავისუფლებათა კავშირიდან,

აცხადებს, რომ კონსტიტუციის მიხედვით, სათანადო სამართალწარმოება უცხოელებზეც ვრცელდება და არ უნდა ხდებოდეს მათი დისკრიმინაცია რასაზე, ან ეთნიკურ კუთვნილებაზე დაფუძნებით. იგი, ასევე, ამტკიცებს, რომ თუ მოქალაქეობის არმქონე პირები არღვევენ საიმიგრაციო კანონებს, მაშინ ისინი ექვემდებარებიან დეპორტაციას კანონში არსებულ სამართლებრივ პროცედურებზე დაფუძნებით.

საქმეში „იამატაია ფიშერის წინააღმდეგ“<sup>37</sup> სასამართლომ დაადგინა, რომ დეპორტაციის პროცედურა უნდა აკმაყოფილებდეს სათანადო სამართალწარმოების სტანდარტს. აქ იგულისხმება მოსმენა საიმიგრაციო მოსამართლის მიერ, იურისტის წარმომადგენლობა, გონივრული შეტყობინება საქმის განხილვის თარიღის შესახებ, მტკიცებულებათა შესწავლის შესაძლებლობა, თარჯიმანი და დეპორტაციის საფუძვლის ნათელი და სარწმუნო დამტკიცება. საქმეში „ზედვიდასი დევისის წინააღმდეგ“<sup>38</sup> სასამართლომ ხელახლა დაადასტურა, რომ სათანადო სამართალწარმოების უფლებები მიესადაგება ამერიკის შეერთებულ შტატებში მყოფ ყველა პიროვნებას, უცხოელების ჩათვლით, მიუხედავად იმისა, არის თუ არა მათი ყოფნა კანონიერი, უკანონო, დროებითი თუ მუდმივი.

წინა პრეცედენტის საფუძველზე სასამართლომ აღიარა, რომ სრული კონსტიტუციური დაცვა, შესაძლოა, არ მიესადაგებოდეს უცხოელს, რომელიც არ შესულა შეერთებულ შტატებში (მაგალითად, საზღვარზეა გაჩერებული). სასამართლომ, აგრეთვე, გააპროტესტა მათი განუსაზღვრელი დაკავება, ვისზეც გაცემულია დეპორტაციის, ან გადაადგილების ბრძანება შეერთებულ შტატებში შესვლის შემდეგ, მაგრამ ვისი დეპორტაცია, ან გადაადგილება მთავრობას არ შეუძლია. სასამართლომ დაადგინა, რომ 6 თვე გონივრული ვადაა ქვეყნიდან გაყვანის აღსასრულებლად და ამ დროის შემდეგ პიროვნება უნდა გაათავისუფლონ. მათ, ვინც საზღვარზე შეაჩერეს შესვლამდე, ასევე, შეუძლიათ გაასაჩივრონ თავისი განუსაზღვრელი დაკავება ზედვიდასის საქმის შესაბამისად (226).

---

37 189 US 86 (1903)  
38 121 S. Ct 2491 (2001)



სხვათა შორის, 11 სექტემბრის მოვლენები არ ყოფილა პირველი სერიოზული მოვლენები, რამაც გაურკვევლობისა და შიშის ატმოსფერო შექმნა და რომელმაც ხელისუფლებას კონსტიტუციური და ადამიანის უფლებების შეზღუდვისკენ უბიძგა. ამის ყველაზე შესაბამისი მაგალითია „აქტები უცხოელებისა და წაქეზების შესახებ“ (1798 წ.) და იაპონელების ინტერნირება 1941 წელს.

პრეზიდენტ ჯონ ადამსის საპრეზიდენტო ვადის დროს (1797–1801) კონგრესმა მიიღო კანონი, რათა დაეთრგუნა ოპოზიცია საფრანგეთთან მოსალოდნელ ომთან დაკავშირებით. ფედერალისტური პარტია, რომლის წევრიც იყო ადამსი, აკონტროლებდა კონგრესს და მხარს უჭერდა დიდ ბრიტანეთს. სწორედ მათ მიიღეს „აქტები უცხოელებისა და წაქეზების შესახებ“ დემოკრატიულ-რესპუბლიკური პარტია კეთილგანწყობილი იყო საფრანგეთის მიმართ.

მას მხარს უჭერდნენ იმიგრანტები (განსაკუთრებით საფრანგეთიდან). „აქტები უცხოელებისა და წაქეზების შესახებ“ ოთხი კანონისგან შედგებოდა. უცხოელი მტრების შესახებ კანონი პრეზიდენტს მტერი ერების მოქალაქეების დაპატიმრების, ან დეპორტაციის უფლებას აძლევდა, თუ მათ სახიფათოდ მიიჩნევდნენ. წაქეზების შესახებ კანონის თანახმად, ის პირები, რომლებიც ხელისუფლებას აკრიტიკებდნენ, თავისუფლების აღკვეთით ისჯებოდნენ. მეგობარი უცხოელების შესახებ კანონი მეგობრული ერების მოქალაქეების დეპორტაციის უფლებას იძლეოდა, თუ მათ სახიფათოდ ჩათვლიდნენ.

ნატურალიზაციის აქტის მოთხოვნით, სხვა ქვეყანაში დაბადებულ მოქალაქეს აშშ-ში 14 წლის განმავლობაში უნდა ეცხოვრა, ვიდრე მოქალაქე გახდებოდა. მრავალი ადამიანი ეწინააღმდეგებოდა ამ აქტებს, როგორც აშშ კონსტიტუციის პირველი შესწორების დარღვევას და დებატები გრძელდებოდა 1800 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს. დემოკრატიკულ-რესპუბლიკელებმა დაამარცხეს ფედერალისტები და მას შემდეგ, რაც 1801 წელს ხელისუფლებაში პრეზიდენტი თომას ჯეფერსონი მოვიდა, ამ აქტებიდან ზოგიერთს ვადა გაუვიდა, ზოგიც გაუქმდა, ან შესწორდა (48).

იაპონელთა თავდასხმა პერლ-ჰარბორზე ნამდვილი შოკი იყო აშშ-თვის. ამერიკის შეერთებული შტატები II მსოფლიო ომში ჩაება. ქვეყანაში გაძლიერდა უარყოფითი დამოკიდებულება აზიელების მიმართ. აშშ-ს დასავლეთ სანაპიროზე იაპონელების

შექრისა და საბოტაჟის საფრთხის გამო შეიქმნა საომარი გადაადგილების ორგანო პრეზიდენტ ფრანკლინ დ. რუზველტის ადმინისტრაციის დაქვემდებარებაში. სახმელეთო ძალების მიერ დასავლეთის შტატების საინტერნაციო ბანაკებში გადაადგილებულ იქნა იაპონური წარმოშობის 100,000-ზე მეტი ადამიანი. ამ აქციას მხარს უჭერდა აშშ უზენაესი სასამართლო იმ საბაბით, რომ ომის დროს, აღმასრულებელმა ხელისუფლებამ უნდა მიიღოს სწრაფი, გადამჭრელი ღონისძიებები და დანარჩენი ორი ხელისუფლება (საკანონმდებლო და სასამართლო) უნდა ენდობოდეს აღმასრულებელ ხელისუფლებას. ირონია იმაში მდგომარეობს, რომ გერმანელი ამერიკელების იზოლირება არ მომხდარა.

საქმეში „კორემაცუ ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ“,<sup>39</sup> ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესმა სასამართლომ მხარი დაუჭირა იაპონური წარმოშობის ადამიანების ინტერნირებას პერლ-ჰარბორზე იაპონელების იერიშის შემდეგ. ფრედ კორემაცუ იყო იაპონური წარმოშობის აშშ მოქალაქე, რომელიც კალიფორნიაში ცხოვრობდა. შეტევის შემდეგ, მან სცადა შეერთებოდა აშშ სახმელეთო ძალებს, მაგრამ უარი უთხრეს ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე. შემდეგ მან დაიწყო მუშაობა შემდუღებლად თავდაცვის ინდუსტრიაში. 1942 წელს მას კარგი სამუშაო ჰქონდა და ევროპეოიდული რასის მეგობარი გოგონა ჰყავდა, რომელსაც არ შეხებია იაპონელების გადაადგილება. კორემაცუმ სცადა გადაადგილების თავიდან აცილება და განაცხადა, რომ მექსიკური წარმომავლობის იყო.

მის მოქმედებას წარმატება არ მოჰყოლია და იგი დააპატიმრეს „გამორიცხვის წესების“ (*exclusion orders*) დარღვევისთვის. ეს საქმე მნიშვნელოვანია, ვინაიდან მოსამართლე ჰუგო ბლეკი ამიციებდა, რომ „რასობრივი შეზღუდვები“ (*racial restrictions*) „ცალსახად საეჭვოა“ და რომ უნდა ჩატარდეს „უმკაცრესი განხილვა“. „ეს ერთადერთი შემთხვევაა, როდესაც უზენაესმა სასამართლომ გამოიყენა „უმკაცრესი განხილვა“ რასობრივი შეზღუდვის მიმართ და მხარი დაუჭირა კანონს“ (113, 437). 1945 წლისთვის დაიხურა უკანასკნელი საინტერნაციო ბანაკი, მაგრამ გადასახლებულმა მოქალაქეებმა დაკარგეს თავიანთი ქონება და ბიზნესი. სამოქალაქო თავისუფლებების შესახებ 1988 წლის აქტით აღიარებულ იქნა

---

39 US 214 (1944)

ჩადენილი უსამართლობა; ყოფილ პატიმრებს კომპენსაცია გადაუხადეს, ხოლო ხელისუფლებამ ოფიციალურად მოიხადა ბოდიში (168).

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ აშშ-ს მთავრობის აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ქმედებები მოქალაქეებსა და უცხოელებთან მიმართებაში ნათლად უჩვენებს მოქალაქეების ხელშესაწყობად სრულ ძალისხმევას, რომელიც ხშირად უგულბებელყოფს მოქალაქეობის არმქონე პირთა უფლებების დამცავ საერთაშორისო სამართალს. უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მოსაზრებების შემოტანა 11 სექტემბრის შეტევების შემდეგ, ხელს უწყობს მოქალაქეობის არმქონე პირთა უფლებების შემდგომ შემცირებას და ართმევს მათ დარღვევების გასაჩივრების შესაძლებლობას. ლიბერალური პარადოქსი ცალსახად გადახრილია დემოსის ინტერესებისკენ.

## 6.2 გაერთიანებული სამეფო (1993–2000 წწ.)

ზემოთ აღნიშნული იყო, რომ თავშესაფართან დაკავშირებული ბრიტანული პოლიტიკის წინააღმდეგობრივი ბუნება წარმოადგენს ლიბერალური პარადოქსის პრაქტიკულ გამოხატულებას და ემპირიულ მტკიცებულებას (115; 95; 144). შესაბამისად, ამ მტკიცებულების შინაარსი უნდა გავაანალიზოთ და შევაფასოთ. ვფიქრობ, რომ გაერთიანებული სამეფოს ქმედებები შეიძლება უფრო თანმიმდევრული ყოფილიყო, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს, და ამიტომ ეს არ წარმოადგენს პარადოქსის (დიხოტომიის) არსებობის დადასტურებას.

რატომ იტანს გაერთიანებული სამეფო შეზღუდვებს თავშესაფართან დაკავშირებით, რომლებიც მას სტრასბურგის რეჟიმმა დაუწესა? ამ თავში მოყვანილი იქნება არგუმენტები, რომელთა თანახმად, ამ შეკითხვაზე საუკეთესო პასუხია – ლეგალიზაციის ჰიპოთეზი. ეს ჰიპოთეზა გეთავაზობს სახელმწიფოს სუვერენიტეტსა და საერთაშორისო სამართლებრივ ვალდებულებებს შორის არსებული დაძაბულობის ახლებურ ხედვას. იმის მაგივრად, რომ ამ ურთიერთობას ვუყურებდეთ, როგორც თამაშს ნულოვანი შედეგით, ის უნდა განვიხილოთ, როგორც ურთიერგაცვლა სახელმწიფოს თავისუფალი არჩევანის უფლებასა და სამართლებრივ ვალდებულებებს შორის.

ეს მიდგომა ზემოთ მოყვანილ შეკითხვას შემდეგნაირად ცვლის: რა სარგებელი მიიღო გაერთიანებულმა სამეფომ თავისი სუვერენტიტეტის შეზღუდვის სანაცვლოდ? ამ ახალი პოზიციიდან შევეცდები ავხსნა, თუ რა წარმოადგენდა ორმოცდაათზე მეტი წლის წინ სტრასბურგის მექანიზმში გაერთიანებული სამეფოს შესვლის მიზეზს. ჩემი აზრით, ეს არის სამხედრო სტაბილურობა და გარე ნორმატიული ზეწოლა. ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემის შემდეგ, შევეცდები, პასუხი გავცე შემდეგ შეკითხვას: რატომ აგრძელებდა გაერთიანებული სამეფო თავის სუვერენტიტეტზე შეზღუდვების ატანას (თავშესაფართან მიმართებაში), როდესაც ეს შეზღუდვები დროთა განმავლობაში უფრო და უფრო მკაცრი ხდებოდა?

ამას ორი მიზეზი ჰქონდა: „ადამიანის უფლებების თანდათანობითი გამყარება“ და „სუვერენტიტეტის გაუთვალისწინებელი ღირებულება დროთა განმავლობაში“. ამ ორი მოვლენის შემდეგ უცხოელების უფლებები იმაზე მეტად გაიზარდა, ვიდრე ეს თავდაპირველად იყო გათვალისწინებული. თავშესაფარზე კონტროლის განმტკიცების მცდელობაში, გაერთიანებული სამეფო იძულებული გახდა, მიეღო ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული ვალდებულებების პაკეტი, რაც უჩვენებს, რომ მას სურს, მიიღოს ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული ვალდებულებები, მაგრამ ამავე დროს, აშკარად არიდებს თავს უცხოელების უფლებების დაცვას.

ეს სამართლებრივი პაკეტი მხოლოდ ნაწილობრივ პასუხობს ზემოთ დასმულ შეკითხვას. გაერთიანებულმა სამეფომ წარმატებით გამოიყენა თავისი თავისუფალი არჩევანის უფლება ნაკლებ ვალდებულებების (სოციალური დახმარება და სხვა) შეზღუდვაში. მიუხედავად ამისა, ის მაინც დავალდებულებული რჩება იძულებითი რეპატრაციის უარყოფის პრინციპით, რომელიც დაკავშირებულია უპირობო შესრულების მუხლებთან (სიცოცხლის უფლება და სხვა). გაერთიანებული სამეფოს მიერ, წესის მუდმივი მიღება საფრთხეს უქმნის მის ძალისხმევას, ეფექტურად ჩაატაროს დეპორტაცია (იძულებითი რეპატრაცია). ამრიგად, თავს იჩენს მომდევნო ლოგიკური შეკითხვა: რატომ აგრძელებს გაერთიანებული სამეფო შეზღუდვების მიღებას მისი თავისუფალი არჩევანის უფლებაზე თავშესაფართან დაკავშირებით?

ამ თავში გამოყენებული იქნება ლეგალიზაციის ჩარჩო ბრიტანეთის თავშესაფართან დაკავშირებული პოლიტიკის უკან არსებული ლოგიკის ასახსნელად. პოლიტიკის მიზანს წარმოადგენს ლტოლვილების ქვეყანაში შეღწევის დაბრკოლება. ამ დებულების დასამტკიცებლად განვიხილავ სამართლებრივ მოვლენებს, რომლებიც წინააღმდეგობაში უნდა იყოს ამ აკრძალვის პრაქტიკასთან (მიმღები კანონმდებლობა). ეს კანონი ნამდვილად უზრუნველყოფს დამატებითი აპელაციის უფლებებს უცხოელებისთვის. თუმცა, ეს გვერდითი ეფექტი უცხოელების მიმართებაში წარმოადგენს უბრალოდ განვრცობას ამ კანონის ძირითადი მიზნისა, რაც არის ბრიტანეთის მაცხოვრებლებისთვის (მოქალაქებისთვის) და თრთ უცხოელებისთვის, დამატებითი უფლებების მინიჭება.

გაერთიანებული სამეფო ვაღდებულება, განავითაროს თავისი მოქალაქეების ადამიანების უფლებები, თუმცა ამ პროცესს აუცილებლად გავლენა აქვს მის იურისდიქციაში მყოფ თავშესაფრის მაძიებლებზე. მთავრობამ გამოხატა თავისი სურვილი, შეამციროს ვაღდებულებები უცხოელების მიმართ ადამიანის უფლებების ზოგიერთი მუხლის შეკავებით. ვფიქრობ, რომ ასეთი სამოქმედო კურსი წარუმატებელი იქნება, იმიტომ, რომ ადამიანის ფუნდამენტური უფლებები არსებობს სხვა ვაღდებულებების ქსელში: ერთი ასეთი ვაღდებულებიდან უკან დახევა ნიშნავს ვაღდებულებების მთელი ქსელიდან უკან დახევას. თუ გაერთიანებული სამეფო მისდევს ამგვარ უკან დახევის პოლიტიკას, ის უნდა გამოვიდეს რამდენიმე წამყვანი კონვენციიდან, რაც ძალზე არასახარბიელო შედეგის მომტანი იქნება. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ თავშესაფართან დაკავშირებული ბრიტანული პოლიტიკა არ არის იმდენად არარაციონალური, როგორც ჩანს. ბრიტანეთი აგრძელებს „მიმღები კანონმდებლობის“ (*law of inclusion*) შემუშავებას პოლიტიკური და ეკონომიკური ხარჯების (კომპრომისების) გამო, იმიტომ, რომ თუ ასე არ გააკეთებს, პოლიტიკური და ეკონომიკური ხარჯები გადაწონის არასასურველი იმიგრაციის ატანის ხარჯებს. აქედან გამომდინარე, თუ თავშესაფართან დაკავშირებული ბრიტანული სტრატეგია არ არის იმდენად წინააღმდეგობრივი, როგორც დასაწყისში ვფიქრობდით, ლიბერალურ პარადოქსს აღარ აქვს რაიმე პრაქტიკული მტკიცებულება არსებობისთვის.

შეთანხმებები, რომლებიც აღიარებს ადამიანის უფლებებს საერთაშორისო დონეზე, ფუნდამენტური ეჭვის ქვეშ აყენებს სახელმწიფო მოწყობის ვესტფალიის

იდეალებს, რაც საფუძვლად უდევს რეალისტური საერთაშორისო ურთიერთობების თეორიას და პირდაპირი დემოკრატიული ლეგიტიმურობის ლიბერალურ იდეალებს (166, 218). მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ასეთი ხელშეკრულებების გამოჩენა სწორად იყო დახასიათებული, როგორც „საერთაშორისო სამართლის მთელ ისტორიაში ყველაზე რადიკალური მოვლენა“ (131, 208).

ევროპის სასამართლო მოქმედებს, როგორც არბიტრი ამ სფეროში და ის ითვლება ადამიანის უფლებების ყველაზე განვითარებულ და ეფექტურ საერთაშორისო რეჟიმად. ამრიგად, ისმის შეკითხვა: რატომ უნდა გადასცეს გაერთიანებულმა სამეფომ (და სხვა ლიბერალურმა დემოკრატიებმა) საკუთარი უფლებამოსილება დამოუკიდებელ მექანიზმს, რომლის მიმართაც ისინი ანგარიშვალდებულნი იქნებიან თავშესაფართან დაკავშირებული თავისი საშინაო პოლიტიკის გამო?

ამგვარი თეორიიდან გამომდინარე, ურთიერთობა ქვეყნის სუვერენიტეტსა (თავშესაფართან მიმართებაში) და საერთაშორისო სასამართლოს შორის, განიხილება, როგორც ნულოვანი ჯამის თამაში (*zero-sum game*). ამ ლოგიკით თავშესაფართან დაკავშირებული თანმიმდევრული პოლიტიკა იქნება ის, რომელიც ან სახელმწიფოს ანდა საერთაშორისო სასამართლოს სრული კონტროლის ქვეშ იქნება. ამ პოზიციიდან ბრიტანული მართვა თავშესაფრის პოლიტიკასთან დაკავშირებით ძალზე პარადოქსული იქნება, თუმცა ებოტმა, კიჰენმა, სლოტერმა და სნაიდელმა შექმნეს ლეგალიზაციის თეორია, რომელიც ემსახურება ამ პარადოქსის შესუსტებას (ან გადაჭრასაც კი). ლეგალიზაცია არის ინსტიტუციონალიზაციის სპეციფიკური ფორმა, რომელიც ხასიათდება სამი კომპონენტით: ვალდებულება, სიზუსტე, დელეგირება (*obligation, precision, delegation – OPD*). ამ შემთხვევაში სრულად ლეგალიზებული ინსტიტუტი არის ის, რომელსაც აქვს ვალდებულების, სიზუსტისა და დელეგირების მაღალი დონეები (2, 401).

ამ თეორიის ფარგლებში, სახელმწიფოს სუვერენული მოქმედებები და საერთაშორისო სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს დამორჩილება, აღარ ვლინდება როგორც ურთიერთგამომრიცხავი. ეგრე წოდებული „მყარი“ კანონების ხელშეკრულებები (*hard law agreements*) სტრუქტურირებულია

ვალდებულების, სიზუსტის და დელეგირების მაღალი დონეების მისაწოდებლად. ამიტომ, ის მოითხოვს უფრო მეტი ავტონომიის დათმობას სახელმწიფოსგან.

ხოლო ეგრე წოდებული „რბილი“ კანონების ხელშეკრულებები (*soft law agreements*) სახელმწიფოს თავისუფალი არჩევანის უფლების უფრო ფართო საზღვრების არსებობის საშუალებას იძლევა, *OPD*-ს შედარებით დაბალი დონეების გამო. ამრიგად, „სხვადასხვა პირობებში, მოქმედ პირთა შორის „მყარი“ და „რბილი“ კანონი გულისხმობს ღირებულების და სარგებლის სხვადასხვა ტარიფებს“ (101, 394). აქედან გამომდინარე, ებოტისა და სნაიდელის მიხედვით, შესაძლებელი უნდა იყოს ლეგალიზაციის ვარიაციების ახსნა იმის განსაზღვრით, თუ როგორ ქმნის ინსტიტუციური მოწყობა ღირებულებისა და სარგებლის სტრუქტურას (1, 425).

ეს მიდგომა შეიძლება გამოიყენებოდეს ბრიტანეთის მთავრობის მოქმედების ასახსნელად ადამიანის უფლებების და ლტოლვილთა შესახებ კანონის მიმართ. ფოკუსირება უნდა მოვახდინოთ რა გარიგებაზე მზად არის წავიდეს ბრიტანეთი, სახელდობრ რა დათმობები იქნება მისაღები ამ კანონმდებლობის რატიფიკაციის დზროს. ლეგალიზაციის ჩარჩოს ფარგლებში ურთიერთობა ადამიანის უფლებების საერთაშორისო კანონსა და სახელმწიფო სუვერენიტეტს შორის არ არის თამაში ნულოვანი შედეგით, არამედ გაცვლების სერიები (1, 455).

ამრიგად შეკითხვა „რატომ იღებს ბრიტანეთი სუვერენიტეტის შეზღუდვებს, რასაც უწესებს მას ადამიანების უფლებების ევროპული სასამართლო?“ გარდაიქმნება შეკითხვად: „რა სარგებლობა მოაქვს ბრიტანეთისვის ავტონომიის დელეგირება ევროპული სასამართლოსთვის?“ ლიბერალური პარადოქსის ასეთი ფორმულირება ნაკლებ წინააღმდეგობრივი ჩანს. ლეგალიზაციის ასეთი ვარიაციურობა უზრუნველყოფს საერთაშორისო იურიდიული ვალდებულებების კონტექსტისადმი უფრო მგრძობიარე სტრუქტურას და ლიბერალური პარადოქსის უფრო დინამიკურ ახსნას, რაც საშუალებას იძლევა, დროთა განმავლობაში სახელმწიფოს პრიორიტეტების იერარქიაში ცვლილებები იქნეს შეტანილი (148).

განვიხილოთ ზემოთ მოყვანილი ახლად პერიფრაზირებული შეკითხვა. გაერთიანებული სამეფო სტრასბურგის ტრიბუნალს 50 წლის წინ შეურთდა. ამრიგად, იმისთვის, რომ ვიპოვოთ სარწმუნო თეორია სუვერენიტეტის (თავშესაფართან დაკავშირებით) დათმობის მიმართებაში, პირველად უნდა

მივმართოთ სტიმულებს, რაც გაერთიანებულ სამეფოს მხედველობაში უნდა მიეღოს რეჟიმში შესვლის დროს. არსებობს რამდენიმე თეორია, რომლებიც ამ საკითხს განიხილავს. რეალისტური თეორიები ადამიანის უფლებების წარმოშობის შესახებ ამტკიცებს, რომ ზესახელმწიფოები ახორციელებდნენ მათი იდეოლოგიის ექსპორტირებას. მორგენტაუ (167), კარი (34) და სხვა კლასიკური რეალისტები ამტკიცებენ, რომ მთავრობები იყენებენ ლიბერალურ იდეოლოგიას, ადამიანის უფლებების მხარდაჭერის ჩათვლით, საკუთარი გეოპოლიტიკური ინტერესების გასამართლებლად.

იდეალისტური ახსნები ხაზს უსვამს ჰოლოკოსტის შემდგომ ევროპაში მორალური ძალის მნიშვნელობას ადამიანის უფლებების რეჟიმების წარმოშობის აღსაწერად და ნორმატიული იდეების პრინციპულ ძალას. რეალისტების საწინააღმდეგოდ, იდეალისტები უარყოფენ ყველა არჩევით-თეორიულ დაწესებულებებს და ძალდატანებით სტრატეგიას. ისინი ხაზს უსვამენ მორალური დისკურსის გარდამქმნელ ძალას, ტრანსეროვნულ სოციალიზაციას და „შესაბამისობის ლოგიკას“ (79).

ა. მორავჩიკი უარყოფს ამ თეორიებს და გვთავაზობს რესპუბლიკური ლიბერალიზმის ალტერნატიულ ხედვას, რომელიც ამტკიცებს, რომ ადამიანის უფლებების დამავალდებულებელი შესრულების ძირითადი მომხრეები იყვნენ ახლად ჩამოყალიბებული დემოკრატიები (166, 220). რესპუბლიკური ლიბერალური თვალთახედვით, თეორიული დასაწყისი არის „საშინაო პოლიტიკის გაანგარიშება“ მაშინ, როდესაც დამოუკიდებელი იურიდიული ინსტიტუტის შექმნა არის „მთავრობების მიერ გამოყენებული ტაქტიკა დემოკრატიული ინსტიტუტების „გასამაგრებლად“. ამით ხდება მათი სანდოობის და სტაბილურობის გაზრდა არადემოკრატიული პოლიტიკური საფრთხეების პირისპირ“ (166, 220).

დამოუკიდებელ სასამართლოსთვის დელეგირებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება მთავრობისგან მოითხოვს ორი მოსაზრების აწონ-დაწონას: სუვერენიტეტის შეზღუდვა და პოლიტიკური არამდგრადობის შემცირება. მთავრობები ირჩევენ დელეგირებას, როდესაც მომავალი პოლიტიკური არამდგრადობის შემცირების სარგებელი გადაწონის წევრობის „სუვერენიტეტის დანაკარგს“.



სტრასბურგის სასამართლოს ჩამოყალიბების დროს გაერთიანებული სამეფო წარმოადგენდა მდგრად დემოკრატია. ამრიგად, მას არ ჰქონდა წევრად გახდომის თვალსაჩინო სტიმული. თუმცა იყო ერთი მიზეზი ხელშეკრულებაში შესვლისა: რეგიონული სამხედრო წონასწორობა. ასევე არსებობდა პოლიტიკური მიზეზი რეგიონში „დემოკრატიული მშვიდობის“ შენარჩუნებისა ადამიანის უფლებების დანერგვით ახლად აღმოცენებულ დემოკრატიებში (193).

ევროპაში წარსული ფაშიზმის და მომავალი კომუნიზმის შიშის გამო, გაერთიანებული სამეფო იძულებული იყო, წვლილი შეეტანა სასამართლოს ჩამოყალიბებაში, რომელსაც ექნებოდა „ტირანიის და ჩაგვრის წინააღმდეგ კოლექტიური უშიშროების სისტემის“ უზრუნველყოფის პოტენციალი (166, 238). თუმცა ბრიტანელი ოფიციალური პირების შეგნებაში საშინაო სუვერენიტეტის პირველადობა, დემოკრატიული მშვიდობის კოლექტიურ დაცვასთან შედარებით, შეურყეველი და ყოვლისმომცველი რჩებოდა.

ამის საპასუხოდ სიმონსს მოჰყავს არგუმენტები, რომ მორავჩიკს გამორჩა მნიშვნელოვანი სამოტივაციო ასპექტი სამხედრო წონასწორობის გარდა: *გარე სოციალიზაცია*, რასაც მხარს უჭერდა „ნორმატიული დიფუზიის თეორია“ (*normative diffusion theory*) (201, 25). ზოგიერთი მეცნიერი ირწმუნება, რომ „ადამიანის უფლებები გახდა პოლიტიკური ლეგიტიმურობის მეორე მსოფლიო ომის შემდგომი კრიტერიუმი“ (66, 20). ხოლო სხვები მიუთითებენ არასამთავრობო ორგანიზაციების როლზე, რომლებმაც გავლენა მოახდინეს ინსტიტუციურ შეთანხმებებზე, რამაც შექმნა ადამიანის უფლებათა რეჟიმები (216; 79; 39).

გაერთიანებული სამეფოს შემთხვევაში, მიიჩნევს სიმონსი, არის „გარე სოციალიზაციის“ (*external socialization*) მტკიცებულება მაშინ, როდესაც სხვა სახელმწიფოების მხრიდან ზეწოლა ასოცირებულია ადამიანის უფლებების უფრო ძლიერ საერთაშორისო ვალდებულებებთან. უფრო მეტიც, ნორმატიული ზეწოლა შეიძლება წარმოიქმნას, როდესაც სახელმწიფოების უფრო მეტი რაოდენობა უფრო სერიოზულ ვალდებულებებს იღებს და „განსაკუთრებით როდესაც ასე იქცევა ქვეყანა საკუთარ რეგიონში“ (201, 14).

ნორმატიული დიფუზიის თეორიის მიხედვით, მთავრობები, როგორც წესი, მოქმედებენ მათი პარტნიორების რეგიონში მსაგვსად (201, 25). გარდა ამისა,

ქვეყნები, რომლებიც რეჟიმის გარეთ რჩებიან, როგორც ჩანს, ერთგვარი ზეწოლის ქვეშ იქცევიან პარტნიორი წევრი სახელმწიფოებისგან (86; 153). მართლაც, ერთერთი მიზეზი ბრიტანეთისთვის კონვენციის (ევროპის ადამიანის უფლებათა) ნაწილად გახდომის იყო ის, რომ კონვენციის უარყოფა, როცა ყველა დანარჩენი სახელმწიფო იყო თანახმა, იქნებოდა გაუმართლებადი (166, 242). აქედან გამომდინარე, არის მტკიცებულება, რომ ბრიტანეთის გადაწყვეტილება დაემორჩილოს სტრასბურგის სასამართლოს იყო მოტივირებული სოციალური და ნორმატიული პრინციპებით.

მორაჩიკმა და სიმონსმა დამარწმუნებლად მიუთითეს, რომ გაერთიანებული სამეფოსთვის მიზეზს წარმოადგენდა როგორც ინტერესზე დაფუძნებული (სამხედრო უშიშროება), ასევე, ნორმატივებზე დაფუძნებული (სოციალიზაცია) პროცესები, რამაც ის ადამიანის უფლებათა რეჟიმთან (ტრიბუნალი) მიიყვანა. ეს სამოტივაციო ფაქტორები ემსახურება იმის ახსნას, თუ რატომ გადაწყვიტა მთავრობამ მიერთება იმ დროს, მაგრამ არა იმისა, თუ რატომ დარჩა ის წევრ ქვეყანად, როდესაც მზარდი საფრთხე ემუქრებოდა მის თავისუფალ არჩევანს თავშესაფართან დაკავშირებულ ღონისძიებებთან მიმართებაში. ამ ფენომენის ახსნა შესაძლებელია ლეგალიზაციასთან დაკავშირებული ორი ელემენტის მეშვეობით: ადამიანის უფლებების „თანმიმდევრული გამყარება“ (*progressive hardening*) და „სუვერენიტეტის გაუთვალისწინებელი დათმობები დროთა განმავლობაში“ (*unanticipated sovereignty costs over time*).

მ. ფინემორი და კ. სიკინკი ვარაუდობენ, რომ ადამიანის უფლებათა მზარდი გამყარება მოხდა „სახელმწიფოების მოლოდინების კრისტალიზაციის“ და დროთა განმავლობაში სამართლებრივი ნორმების „გამყარების“ დინამიკური პროცესის გამო (1998). ამრიგად, ადამიანის უფლებათა საწყისი პროექტი დროთა განმავლობაში გაფართოვდა ჩაფიქრებულ მოცულობასთან შედარებით და მოიცვა უფრო ფართო კონტექსტები თავშესაფრის საკითხის ჩათვლით. ლეგალიზაციის ასეთმა პროცესმა, შესაძლოა, გამოიწვიოს შემდგომი, ხშირად გაუთვალისწინებელი „სუვერენიტეტის დათმობები“. მაშინაც კი, თუ წესები ზუსტად არის დაწერილი მათი სპექტრის შესავიწროვებლად, ან შესუსტებულია გამონაკლისი მუხლებით, სახელმწიფოებს არ შეუძლიათ, წინასწარ განჭვრიტონ, ან შეზღუდონ ყველა მათი შესაძლო შედეგი.

დელეგირება ყოველთვის გახლავთ სარისკო სუვერენიტეტისთვის ვინაიდან „უფლებამოსილების მინიჭება ყოველთვის ხდება გაუკონტროლებელი გარკვეული ხარისხით“ (1, 438). ამის საუკეთესო მაგალითებია ადამიანის უფლებათა ტრიბუნალი და ევროპის სასამართლო (*European Court of Justice*). ევროპის სასამართლოს დადგენილებებმა შეცვალა დადგენილებების ადრინდელი პროცედურა (რომის ხელშეკრულების 117-ე მუხლი<sup>40</sup>) ზესახელმწიფოებრივი კონტროლის ძალაუფლებიდან ხელსაწყომდე, რომლის მეშვეობითაც კერძო მხარეს შეუძლია, შეეწინააღმდეგოს სახელმწიფოებრივ პოლიტიკას, რომელიც არ ეთანხმება ევროპის სამართალს (6, 489-95).

ამის მსგავსად, სტრასბურგის სასამართლომ შექმნა ეფექტური კავშირი ადამიანის უფლებებსა და ლტოლვილების შესახებ კანონებს შორის, რაც თავშესაფრის მაძიებლებს საშუალებას აძლევს, განახორციელონ მათი უფლებები გზებით, რომლებიც სცილდება მონაწილე მხარეების საწყის განზრახვებს და მოლოდინს. ადამიანის ამ უფლებების გაუთვალისწინებელი გვერდითი უფექტი დადასტურებულია მთავრობის ნებით, მოახდინოს უფლებამოსილების დელეგირება ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით, მაგრამ არა თავშესაფრის საკითხებთან დაკავშირებით. ცხადია, რომ ლიბერალურ სახელმწიფოებს არ გააჩნიათ პოლიტიკური ნება აიღონ შეუზღუდავი ვალდებულება ევროპის საბჭოს მიმართ ლტოლვილებისთვის თავშესაფრის მინიჭებაზე, ან უარი თქვან თავის სუვერენიტეტზე ამ საკითხებთან დაკავშირებით (138, 52).

დროთა განმავლობაში ბრიტანეთმა განიცადა ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით თავისი ვალდებულებების გაღრმავება. ამავე დროს, მოხდა ასალი ვალდებულებების ჩამოყალიბება თავშესაფრის მაძიებელთა მიმართ, რომლებიც არ იყო გათვალისწინებული ხელშეკრულების ხელმოწერის დროს.

თავშესაფარზე კონტროლის ხელახლა მოპოვების მცდელობაში, მთავრობამ აირჩია სამოქმედო კურსი, როდესაც ის იღებს იმ მუხლებს რომელიც ამტკიცებს ადამიანის უფლებებს, მაგრამ შეზღუდვას აწესებს იმ მუხლებზე რომელიც ეხება თავშესაფრის მაძიებელთა უფლებებს. ეს ტენდენციის ნათლად ჩანს ბრიტანეთის

---

40 ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე ჩამოყალიბდა ევროპის თანახზოგადობა, შესწორებული შემდგომი ხელშეკრულებებით რომი (1957 წლის 25 მარტი).

მცდელობაში, შეარბილოს თავისი ვალდებულებები თავშესაფრის მაძიებელთა მიმართ, და ამავე დროს გაამყაროს ადამიანის უფლებები კანონები. თუ გადავსინჯავთ პოზიციას, რომელიც დაიკავა გაერთიანებულმა სამეფომ ადამიანის უფლებების ევროპის ძირითად კონვენციებთან მიმართებაში, ნათელი გახდება, რომ ის თავიდან სცილობდა „აეცილებინა რამდენიმე ვალდებულება, რაც გამოხატულად იცავდა იმიგრაციის უფლებებს“ (212, 117). ეს არაპროპორციული დამოკიდებულება ასახულია სამართლებრივი ვალდებულებების ტენდენციაში.

გაერთიანებული სამეფო იტოვებს უფლებას, გააგრძელოს გამოყენება ისეთი საიმიგრაციო კანონმდებლობისა, რომელიც გაერთიანებულ სამეფოში შესვლას, იქ დარჩენას და გამოსვლას მართავს ისე, როგორც მას მიაჩნია აუცილებლად. ამის მსგავსად, მას ჯერ კიდევ არ გაუკეთებია არჩევითი პროტოკოლის<sup>41</sup> რატიფიკაცია საერთაშორისო ხელშეკრულება სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ (*International Covenant on Civil and Political Rights - ICCPR*) მიმართ.

გაერთიანებული სამეფო არის ადამიანის უფლებების ევროპის კონვენციის ხელმძღვრე. მიუხედავად ამისა, მას დღემდე არ მოუხდენია პროტოკოლების № 4<sup>42</sup> (გადაადგილების თავისუფლება და უცხოელების კოლექტიური გაძევების აკრძალვა) და № 7<sup>43</sup> (მკაცრი პროცედურული დაცვითი მექანიზმები უცხოელების გაძევებასთან დაკავშირებით) რატიფიკაცია. გარდა ამისა, მან გამოსცა დეკლარაცია,<sup>44</sup> რომელიც ამართლებს დაკავებას ეროვნული უშიშროების მოსაზრებებიდან გამომდინარე (ზოგიერთ შემთხვევაში არ შეესაბამება სტრასბურგის დადგენილებას).

ეროვნების და თავშესაფრის სფეროში გაერთიანებულმა სამეფომ ხელი მოაწერა და რატიფიკაცია მოახდინა კონვენციისა მოქალაქეობის გარეშე ყოფნის შემცირების თაობაზე,<sup>45</sup> მაგრამ შეიტანა მნიშვნელოვანი შენიშვნა, რითაც ინარჩუნებს უფლებას, ჩამოართვას ნატურალიზებულ პირს ეროვნება ეროვნული უშიშროების მოსაზრებებიდან გამომდინარე. გაერთიანებულმა სამეფომ არ მოაწერა ხელი ევროპის კონვენციის პროტოკოლს საკონსულო ფუნქციებზე, რაც

41 G.A. რეზ. 2200A (XXI), 21 U.N. GAOR Supp. (No. 16) at 59, UN Doc.A/6316 (1966).

42 Council of Europe (COE), ხელშეკრულებების ოფისი, ETS No46.

43 COE, ETS No.117.

44 დეკლარაცია შეიცავდა გაერთიანებული სამეფოს *Note Verbale*-ს, დარეგისტრირებულს [18 დეკემბერს 2001], Council of Europe

45 United Nations (UN) ხელშეკრულებების სერიები, ტ. 989, გვ. 175.

ეხებოდა ლტოლვილების დაცვას<sup>46</sup> და დიდი ხნის წინ შეაჩერა წევრობა ევროპის ხელშეკრულებაზე ლტოლვილებისთვის ვიზების გაუქმების შესახებ<sup>47</sup> (ლტოლვილებისთვის უვიზო შესვლა).

გაერთიანებული სამეფო არის ბავშვთა უფლებების კონვენციის წევრი,<sup>48</sup> თუმცა შენიშვნით, რომ ის იტოვებს უფლებას, გადაწყვიტოს საკითხები დაკავშირებული იმ პირებებთან, ვისაც არ აქვს უფლება შევიდეს და დარჩეს გაერთიანებულ სამეფოში“.

რაც შეეხება ქალთა უფლებებს, გაერთიანებულმა სამეფომ მიიღო ვალდებულებები ქალების დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენციის<sup>49</sup> მიხედვით, მაგრამ, ასევე, უფლების შენარჩუნებით, გააგრძელოს ისეთი საიმპერაციო კანონმდებლობის გამოყენება, რომელიც მართავს გაერთიანებულ სამეფოში შესვლას, იქ დარჩენას და გამოსვლას, გაერთიანებული სამეფოს მიერ, როგორც ის საჭიროდ ჩათვლის. ასევე გაერთიანებულ სამეფოს არ მოუხდენია ქორწინებაში მყოფი ქალების ეროვნების კონვენციის რატიფიკაცია.<sup>50</sup>

მიგრანტ მუშებთან დაკავშირებით, გაერთიანებულმა სამეფომ ხელი მოაწერა და მოახდინა საერთაშორისო შრომის ორგანიზაციის (*International Labour Organization – ILO*) კონვენციის (№97) რატიფიცირება, რომელიც ეხება მიგრანტ მუშებს,<sup>51</sup> თუმცა არ მოუხდენია ყველა მიგრანტი მუშის და მათი ოჯახის წევრების უფლებების დაცვის საერთაშორისო კონვენციის რატიფიცირება. გარდა ამისა, გაერთიანებულმა სამეფომ არ მოაწერა ხელი მიგრანტი მუშების ლეგალური სტატუსის კონვენციას<sup>52</sup> და ევროპის ხელშეკრულებას მუხლებს, რომელიც ეხება მიგრანტების მოძრაობას ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებს შორის.<sup>53</sup>

სოციალური დაცვის სფეროში გაერთიანებული სამეფო არის სოციალური და სამედიცინო კონვენციის<sup>54</sup> ხელმომწერი, (რომლის პროტოკოლი ეხება სამედიცინო

---

46 COE, ETS No.61A

47 COE, ETS No.31

48 UN G.A. რეზ. 44/25

49 G.A. რეზ. 34/180, UN Doc.A/34/46; ძალაში შევიდა 1981 წლის 3 სექტემბერს.

50 UNTS, vol.309, pg. 65

51 UNTS, vol.120. pp.71

52 COE, ETS No.93

53 COE, ETS No.25

54 COE, ETS No.14

დახმარების უფლებებს ლტოლვილებზე), თუმცა ის იტოვებს უფლებას, გაითავისუფლოს თავი ლტოლვილების დახმარების ვალდებულებისგან იმ შემთხვევაში, თუ ისინი რეპატრაციაზე უარს აცხადებენ. გარდა ამისა, გაერთიანებულმა სამეფომ ხელი მოაწერა სოციალური დაცვის ევროპის კოდექსს და მისი რატიფიცირება მოახდინა,<sup>55</sup> მაგრამ შენიშვნით, რომელიც ხელშეკრულების 73-ე მუხლს (სოციალური დახმარების უზრუნველყოფა მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის) ხდის არასავალდებულოდ. გაერთიანებულმა სამეფომ ხელი მოაწერა და რატიფიცირება მოახდინა დამატებითი ხელშეკრულებისა (*Supplementary Agreement*) სოციალური დაცვის ევროპის კონვენციის<sup>56</sup> გამოყენებაზე, მაგრამ არა თვით კონვენციისა.<sup>57</sup>

ან შენიშვნა<sup>58</sup> დააწესა ევროპის სოციალურ ქარტიაზე, რითაც თავი გაითავისუფლა 73-ე მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებებისგან (სოციალური დაცვის განვრცობა უცხოელებზე). ბრიტანეთის სახელმწიფოს არ მოუხდენია ევროპის სოციალური ქარტიის დამატებითი პროტოკოლის<sup>59</sup> (უცხოელების მოქალაქეობის გარეშე პირებისთვის და ლტოლვილებისთვის უფლებების განვრცობა დასაქმებასთან დაკავშირებით) და სოციალური დაცვის ევროპის კოდექსის პროტოკოლის<sup>60</sup> (უცხოელებზე სოციალური დახმარების განვრცობა) რატიფიცირება. ამრიგად ჩანს ცალსახა ტენდენცია, სადაც მთავრობა მხარს უჭერს ადამიანის უფლებებს და, ამავე დროს, ცდილობს, შეზღუდოს თავშესაფრის მაძიებლების უფლებები.

დაეუბრუნდეთ დასაწყისში დასმულ შეკითხვას: რატომ იღებს გაერთიანებული სამეფო თავისი სუვერენიტეტის შეზღუდვებს ადამიანის უფლებათა რეჟიმისგან? მივიღეთ რა ლეგალიზაციის ჰიპოთეზა, გადავედით ურთიერთგამომრიცხავ მიდგომიდან უფრო კომპრომისულ ხარჯი-სარგებელი ანალიზზე. ამრიგად, ფოკუსირება ნაცვლდება ავტონომიის დათმობის შედეგად მოტანილ სარგებლის შეფასებაზე. როგორც ჩანს, თავდაპირველად მთავრობამ მოახდინა თავისი სუვერენიტეტის დელეგირება (ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით)

---

55 COE, ETS No.48

56 COE, ETS No.78

57 COE, ETS No.78

58 COE, ETS No.35

59 COE, სტრასბურგი, [5.V.1988].

60 COE, ETS No. 48.

ტრიბუნალისთვის სამხედრო წონასწორობის და ნორმატიული სოციალიზაციის მოსაზრებებიდან გამომდინარე. დროთა განმავლობაში, მან განიცადა „ადამიანის უფლებების თანმიმდევრული გამყარების“ პროცესი, რომელმაც შედეგად გამოიღო „სუვერენიტეტის გაუთვალისწინებელი დათმობები“ თავშესაფრის კონტროლთან დაკავშირებით.

ამ მოვლენებმა გამოიწვია მთავრობის მიერ ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული მოვალეობების მიღება თავშესაფრის საკითხებზე კონტროლის განხორციელების მცდელობასთან ერთად, ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებების რატიფიცირებით, მაგრამ იმ მუხლების შენიშვნების შეტანით, რომლებიც იცავს უცხოელების უფლებებს.\

თუმცა, მრავალი შენიშვნების მოუხედავად, გაერთიანებულ სამეფოს არ შეუძლია ადამიანის ფუნდამენტური უფლებებისგან თავის არიდება, რაც გარდაუვლად ეხება მის ტერიტორიაზე მყოფ უცხოელებს. მან წარმატებით შეამცირა სოციალური (ჰეთეუეის იერარქიის მიხედვით მე-3 და მე-4 დონე) უფლებები, მაგრამ ეფექტისთვის ვერ მიუღწევია მიგრანტების გაძევების საქმეში (რაც შეესაბამება 1-ელი და მე-2-ე დონის უფლებებს) (118, 108-111).

ამრიგად, შეკითხვას მხოლოდ ნაწილობრივ ვუპასუხეთ. ჯერ კიდევ გვჭირდება იმის ახსნა, თუ რატომ *აგრძელებს* გაერთიანებული სამეფო გარედან ზეწოლის ატანას უცხოელთა ფუნდამენტურ უფლებებთან დაკავშირებით? ამ შეკითხვაზე პასუხის გასაცემად, უნდა შევაფასოთ გზები, თუ როგორ შეძლებდა მთავრობა საერთაშორისო ვალდებულებებისგან თავის არიდებას და თავშესაფრის საკითხებზე სრული კონტროლის დაბრუნებას.

1990-იანი წლების განმავლობაში, გაერთიანებული სამეფო მისდევდა შეზღუდვის თანმიმდევრულ პოლიტიკას, რაც გამოხატული იყო თავშესაფართან დაკავშირებული ძალზე ამკრძალავი პოლიტიკით. მეორე მხრივ, ადგილი ჰქონდა ორ მნიშვნელოვან წინ გადადგმულ ნაბიჯს, რამაც შედეგი შეშვების იურიდიული პრაქტიკის სახით გამოიღო (მიმღები კანონმდებლობა) და ამრიგად შეასუსტა აკრძალვის სტრატეგია: ადამიანის უფლებების 1998 წლის აქტი და სტრასბურგის სასამართლო. უწინარეს ყოვლისა, ადამიანის უფლებების აქტი (*Human Rights Act*) ნამდვილად უშლის ხელს თავშესაფრის წარუმატებელი მაძიებლების გაძევებას

დამატებითი აპელაციის უფლების მინიჭებით იძულებითი მიგრანტებისთვის. თუმცა, კანონის ეს ეფექტი, რომელიც მიმართულია თავშესაფარზე, უნდა განიხილებოდეს მისი თავდაპირველად განზრახული გამოყენების კონტექსტში.

ამ აქტის მთავარ მიზანს წარმოადგენდა არა უცხოელების აპელაციის უფლებების გაფართოვება, არამედ გაერთიანებული სამეფოს რეზიდენტებისთვის ბრიტანულ სასამართლოებში მათი უფლებების საშუალების უზრუნველყოფა სტრასბურგში მიმართვაზე დაყოვნების გარეშე: ეს არის ევროპული ადამიანის უფლებათა კონვენციით „გარანტირებული უფლებების და თავისუფლებებისთვის შემდგომი ეფექტის მინიჭება“ (Lord Chancellor, 225).

ჩანს, რომ გაერთიანებულ სამეფოს მიაჩნია, რომ სარგებელი ბრიტანეთის რეზიდენტების უფლებების განმტკიცებისგან, გადაწონის ზარალს თავშესაფრის მაძიებლებისთვის დამატებითი აპელაციის უფლების მინიჭებისგან. „მიმღები კანონმდებლობის“ მთავარ მიზანს წარმოადგენს ადამიანის უფლებების გაძლიერება. ამ საკანონმდებლო პრაქტიკის შემგების შედეგი მხოლოდ გვერდით ეფექტს წარმოადგენს. ფაქტობრივად, ამ პროცესის უფრო მკაფიო აღწერა იქნებოდა „ადამიანის უფლებების განვითარება“, ვიდრე „მიმღები კანონმდებლობის მიღება“.

მრავალმა კრიტიკოსმა აღწერა სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებები, იძულებითი რეპატრაციის უარყოფასთან (*non-refoulement*) დაკავშირებით, როგორც ბრიტანეთის სუვერენიტეტის საწინააღმდეგო ძალა. ეს სამართლებრივი მოვლენა გამოცხადებულია, როგორც ლიბერალური პარადოქსის ცენტრში მყოფი, რომელიც ასუსტებს ერების მცდელობას, ებრძოლონ არასასურველ მიგრაციას. ლეგალიზაციის ანალიზის ჩარჩოს ფარგლებში მოქმედებისას, მოდიც მიმოვიხილოთ შესაძლო ოფციები ბრიტანეთისთვის, რომელიც გააფართოვებდა მის სუვერენულ არჩევანს თავშესაფრის სფეროში.

გაერთიანებულ სამეფო შექმნიდა 1951 წლის კონვენციიდან გამოსვლას და ხელახლა შესვლას, 33-ე მუხლის (იძულებითი რეპატრაციის უარყოფის პრინციპი) შენიშვნით. ასეთი სამოქმედო კურსი მაინც ვერ მიაღწევდა თავის მიზანს სამი მიზეზის გამო: 1. 1951 კონვენციის 42-ე მუხლი მკაფიოდ კრძალავს შენიშვნის გაკეთებას 33-ე მუხლზე; 2. ხელშეკრულებების შესახებ ვენის კონვენციის 19



მუხლი კრძალავს შენიშვნებს, რომლებმაც, შესაძლოა, გააბათილოს ხელშეკრულების არსებითი შინაარსი; და 3. როდესაც სახელმწიფო ხდება ხელშეკრულების ხელმომწერი, მას აღარ შეუძლია შეიტანოს შენიშვნები (255).

მერე, გაერთიანებული სამეფო მაინც შეძლებდა 1951 წლის კონვენციიდან გამოსვლას. მაგრამ ეს მანევრი მაინც ვერ გადაჭრიდა *იძულებითი რეპატრაციის უარყოფის* პრობლემას. მაშინაც კი, თუ გაერთიანებულ სამეფოს აღარ ექნებოდა ვალდებულება, არ დაეშვა მიგრანტების დეპორტაცია 1951 წლის კონვენციით, ის მაინც დაექვემდებარებოდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2-ე მუხლის (სიცოცხლის უფლება) და მე-3-ე მუხლის (წამების აკრძალვა) მოქმედებას, რომლებიც კრძალავს დეპორტაციას პოტენციურად საშიშ ტერიტორიებზე. გაეროს კონვენციის წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ (CAT) მუხლი 3(1) მკაფიოდ კრძალავს იძულებით რეპატრაციას და ICCPR მუხლები 6 (1) (სიცოცხლის უფლება) და 7 (წამების აკრძალვა), ასევე, ზღუდავს დეპორტაციის უფლებას. გაერთიანებული სამეფო შეძლებდა გამოსვლას ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციიდან და შემდეგ მე-3-ე მუხლის შენიშვნით ხელახალ რატიფიკაციას.

არსებობს ძლიერი არგუმენტი, რომ კონვენცია არ დართავს ნებას ხელმომწერ სახელმწიფოს გამოვიდეს ხელშეკრულებიდან და იმის შემდეგ ხელახლად გაწევრიანდეს ახალი შენიშვნით. ჯერ ერთი, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მუხლები 15 და 57(1) კრძალავს მე-3-ე მუხლის რეზერვაციას; მეორეც, ხელშეკრულებების შესახებ კანონის ვენის კონვენცია ავალდებულებს სახელმწიფოებს, მოახდინონ ხელშეკრულებების ინტერპრეტაცია თავის კონტექსტში და თავისი მიზნების და ამოცანების კონტექსტში. დაბოლოს, არის დიდი ალბათობა, რომ შენიშვნის კანონიერება ეჭვის ქვეშ დადგება ევროპის სასამართლოზე, როგორც მოხდა შვედეთის ბელილოსისა<sup>61</sup> და ტემელტაშის<sup>62</sup> საქმეებში.

ამრიგად, ერთადერთი გზა, რომლითაც გაერთიანებულ სამეფოს შეუძლია, თავისუფალი არჩევანის საფუძველი გაიფართოვოს თავშესაფრის სფეროში, არის 1951 წლის კონვენციის, ECHR, CAT და ICCPR დამავალდებულებელი

61 ბელილოსი *შვეიცარიის წინააღმდეგ* [1988] 10 EHRR 466, 483 at par. 50 (ECHR).

62 ტემელტაში *შვეიცარიის წინააღმდეგ* [1983] 5 EHRR 417, 430-431 at par.59-67 (ECHR).

ხელშეკრულებებიდან გამოსვლა. თუმცა, ასეთი მიდგომა გამოიწვევს ძალიან სერიოზულ შედეგებს: 1. მიუხედავად მისი ვალდებულებების შეწყვეტისა, მთავრობა მაინც დავალდებულებული იქნება *იძულებითი რეპატრაციის უარყოფის* ჩვეულებითი წესით; 2. გაერთიანებული სამეფო აღარ იქნება ევროპის საბჭოს ნაწილი, რომლის წევრობა გამომდინარეობს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ხელმოწერიდან; და 3. იგივე მიზეზის გამო, მას გარიცხავენ ევროპის კავშირიდან. ამრიგად, შეზღუდვას *იძულებითი რეპატრაციის უარყოფასთან* დაკავშირებით დომინოს ეფექტი (*domino effect*) ექნება ძალიან მძიმე შედეგებით - სახელმწიფოს მოუხდება უფრო მაღალი პოლიტიკური და ეკონომიკური საფასურის ზღვევა, ვიდრე იმ შემთხვევაში, თუ აირჩევს თავსაფართან დაკავშირებული თავის პოლიტიკაზე დაწესებული შეზღუდვების ატანას.

### 6.3 გაერთიანებული სამეფო (2001–2010 წწ.)

2001 წლის 11 სექტემბრის შემდგომ პერიოდში, ბრიტანეთის მთავრობის აღმასრულებელმა და საკანონმდებლო ქმედებებმა მნიშვნელოვანწილად გაიმეორა აშშ-ს გზა უსაფრთხოების უზრუნველყოფის თვალსაზრისით. დიხლოტომია სუვერენულ უსაფრთხოებასა და უცხოელების უფლებათა შორის უფრო მკვეთრი გახდა, რადგან ბრიტანეთმა მიიღო სელექციური ანტიტერორისტული კანონების სერია, რომელიც მიმართული იყო მოქალაქეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე და დისკრიმინაციული იყო მოქალაქეობის არმქონე პირების მიმართ.

ბრიტანეთის ანტიტერორისტული, დანაშაულისა და უსაფრთხოების აქტის, რომელიც სასწრაფოდ მიიღეს აშშ-ზე 2001 წლის 11 სექტემბრის თავდასხმებიდან რამდენიმე თვეში, დაშვებული იყო საერთაშორისო ტერორიზმში ეჭვმიტანილი პირის (რომლის დეპორტაცია შეუძლებელი იყო) განუსაზღვრელი ვადით დაკავება ბრალდების წარდგენის გარეშე. ამისთვის საკმარისი იყო ის გარემოება, რომ შინაგან საქმეთა მინისტრი „გონივრულად მიიჩნევდა“ (ფაქტის ობიექტურად დასაბუთების გარეშე), რომ პიროვნება ტერორისტია და ეროვნულ უსაფრთხოებას რისკს უქმნიდა. ისევე, როგორც აშშ-ს ანტიტერორისტულ კანონებში, ეს მკაცრი

ზომა თავდაპირველად მიეყენებოდა მხოლოდ მოქალაქეობის არმქონე პირებს. ამ დროის გამოიყენებოდა საიმიგრაციო კანონის ნაკლებად დამცავი კანონმდებლობა.

სამთავრობო ანგარიში იცავდა ამ შეზღუდვას იმ ზიანზე მითითებით, რომელიც მიადგებოდა „საზოგადოებრივ ერთობას“, ასეთი „დრაკონული ზომები“ მოქალაქეებზეც რომ გავრცელდებოდა. თავისი მიზნის მისაღწევად მთავრობა შეზღუდა ადამიანთა უფლებების დაცვის ევროპული კონვენციის მეხუთე მუხლი, რომელიც იცავს „თავისუფლების და უსაფრთხოების უფლებას“ (და კრძალავს განუსაზღვრელი ვადით დაკავებას) და გამოეყენებინა ECHR-ს მე-15-ე მუხლი, რომელიც უშვებს შეზღუდვას საგანგებო მდგომარეობის დროს, რომელიც საფრთხეს უქმნის ერის კეთილდღეობას.

ადამიანების განუსაზღვრელად დაკავების უფლებამ, ბრალის წაყენების, ან სასამართლო განხილვის გარეშე, რაც ფორმულირებული იყო ანტიტერორისტული აქტის, ეჭვქვეშ დააყენა „იმ უძველესი თავისუფლების (თვითნებური დაპატიმრებისა და დაკავებისგან თავისუფლება) არსებობა, რომლითაც ეს ქვეყანა აქამდე ამყობდა“ (142). ისევე, როგორც აშშ-ს ხელისუფლებამ ტერორიზმთან ბრძოლის დროს, ბრიტანეთის ხელისუფლებამ შერჩევითად გააუქმა უცხოელებისთვის *habeas corpus*-ის უფლებები.

კონკრეტულად, ანტიტერორისტული აქტის მოქმედება იმაში გამოიხატა, რომ 2004 წლის ბოლოსთვის, როდესაც ლორდთა პალატამ დაგმო ეს ზომა, 12 ადამიანი დაკავებული იყო სამი წლის განმავლობაში ციხის მსგავს პირობებში, როგორც ტერორიზმში ეჭვმიტანილები, მათ წინააღმდეგ წაყენებული რაიმე ბრალდების გარეშე. ეს დაკავება, შესაძლოა მუდმივი ყოფილიყო, რადგან ლტოლვილების შესახებ საერთაშორისო კანონის იძულებითი რეპატრაციის წინააღმდეგ ნორმატივი კრძალავდა მათ დეპორტაციას. 2004 წლის 16 დეკემბრის ცნობილი გადაწყვეტილების საფუძველზე, ლორდთა პალატამ გამოაცხადა, რომ 2001 წლის ანტიტერორისტული დანაშაულის და უსაფრთხოების აქტს არღვევდა ECHR მე-5-ე და მე-14-ე მუხლებს, რაც კრძალავს თავისუფლების უფლების დარღვევას და დისკრიმინაციას ეროვნული წარმომავლობის გამო.

ლორდთა პალატამ აღნიშნა, რომ უსაფრთხოების აქტი შერჩევითად იყო მიმართული უცხოელების წინააღმდეგ და თავისი მოქმედების სფეროდან

ტოვებდა ეჭვმიტანილ ტერორისტებს, რომლებიც მოქალაქეები იყვნენ და რომლებიც, შესაძლოა, ისეთსავე საფრთხეს წარმოადგენდნენ საზოგადოებისათვის. ეს უსამართლობა არ იყო ტერორისტული საფრთხისაგან თავის დაცვის მიზნის „პროპორციული“, რადგან ტერორიზმში ეჭვმიტანილთა თითქმის ნახევარი იმ დროს ბრიტანეთის მოქალაქე იყო.

მოქალაქე ტერორისტების თავისი წვდომის სფეროდან გამორიცხვით, უსაფრთხოების აქტი გადაჭარბებულ დისკრიმინაციას ახდენდა ტერორიზმში ეჭვმიტანილი მოქალაქეობის არმქონე პირების მიმართ მხოლოდ მათი ეროვნების საფუძველზე. ლორდმა ბინგემმა მიუთითა აშშ-ს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე ჯექსონის ცნობილ მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, კანონი უნდა იყოს „თანასწორი მოქმედებაში“ და დაადასტურა, რომ habeas corpus-ის დაცვა, რომელიც უსაფრთხოების აქტში შერჩევითად იყო გაუქმებული მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, არ უშვებდა ასეთ დასაბუთებას: „თითოეული მოქალაქე იურისდიქციის ფარგლებში, სარგებლობს ჩვენი კანონების თანაბარი დაცვით. არ არსებობს განსხვავება ბრიტანეთის მოქალაქეებსა და სხვებს შორის. ის, ვინც ექვემდებარება ინგლისურ კანონს, ექვემდებარება მის დაცვას“ (142).

თუმცა, მიუხედავად ECHR ჩართვისა საშინაო კანონმდებლობაში, ბრიტანეთის სასამართლოებს მაინც არა აქვთ უფლება, უარყონ საპარლამენტო აქტი. ამრიგად, ლორდთა პალატის მხრიდან ბრიტანეთის მთავრობის მიერ ანტიტერორისტული ზომების ჩატარებისას უცხოელების გამორჩევის დაგმობა მხოლოდ მოსაზრება იყო, რომელსაც არ ჰქონია პირდაპირი შედეგი. შინაგან საქმეთა მინისტრმა ჩარლზ კლარკმა მყისვე უარი თქვა ლორდთა პალატის მოსაზრების მიღებაზე და განაცხადა, რომ დაკავებულები, რომლებთანაც მთავრობას სასამართლო გარჩევა აქვს, საპრობილეში დარჩებოდნენ.

დისკრიმინაციაზე ბრალდებას ხელისუფლებამ უპასუხა ანტიტერორისტული კანონების საგანგებო დებულებების უცხოელებიდან მოქალაქეებზე გაწვრცობით (2005 წლის 11 მარტის ტერორიზმის თავიდან აცილების შესახებ აქტი). პეის აზრით „ეს ბოლოს უღებს ორმაგ სამართლებრივ სისტემას, რომელიც შემდეგი ელემენტებისაგან შედგებოდა: კანონიერება მოქალაქეებისთვის და წმინდა ძალადობა უცხოელებისთვის. ახლა habeas corpus-ის დათვრუნვა მთელ მოსახლეობაზეა განვრცობილი“ (177, 4).

მიუხედავად ცალკეული სასამართლოების მიერ წინააღმდეგობის გაწევისა, (როგორც ეს სხვადასხვაგვარად განხორციელდა აშშ-სა და ბრიტანეთში), 2001 წლის შემდეგ უცხოელების სამოქალაქო უფლებებზე შეტევა ამტკიცებს უცხოელების უფლებების შინაგან მოწყვლადობას. თითქმის 30 წლის წინ, იურისტმა ჯონ ჰერთ ელიმ (8) განსაზღვრა უცხოელების მოწყვლადობის ძირეული მიზეზი მათი პოლიტიკური პროცესიდან გამორიცხვით. ამის მეშვეობით მათი წარმომადგენლობა, უკეთეს შემთხვევაში, „ვირტუალური“ იყო, ან დამოუკიდებელ სასამართლოზე იყო მინდობილი. ელის ანალიზი ისეთივე სწორი რჩება, როგორც ადრე, განსაკუთრებით იმიტომ, რომ საერთაშორისო ტერორიზმმა მსოფლიო უკან დახია იმ მდგომარეობამდე, როდესაც, ჰ. არენდტის მიხედვით, უცხოელები ნამდვილად იყვნენ „უუფლებონი და მიწის მტვერი“ (8).

21-ე საუკუნეში გაერთიანებულ სამეფოში განვითარებული მოვლენები ნათლად მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ უცხოელების უფლებები, ანუ ლიბერალური მოქალაქეობა, მთავრობების მიერ მოქალაქეთა უფლებებთან შედარებით, მეორეხარისხოვნად მიიჩნევა. მიუხედავად ამისა, ლიბერალური პარადოქსი და უფლებათა ამ ორ ერთობლიობას შორის არსებული დიხოტომია არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ლიბერალური დემოკრატიული წესრიგისთვის დამახასიათებელი გარდაუვალი თეორიული წინააღმდეგობა. ეს უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც ხელისუფლების ბრძოლა იმისათვის, რათა დააბაღანოს უსაფრთხოების საკითხები ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან.

ამ თავში ვცადე, მეჩვენებინა, რომ თავსაფართან დაკავშირებული ბრიტანეთის პოლიტიკა აუცილებლად არ ასახავს ლიბერალურ პარადოქსს. აღნიშნული ქვეთავიდან შემდეგი დასკვნები გამომდინარეობს: 1. თავსაფართან დაკავშირებული ბრიტანეთის პოლიტიკა, ალბათ, საუკეთესოდაა ასხნილი ლეგალიზაციის თეორიის თვალთახედვით, როდესაც ურთიერთობა სახელმწიფოს სუვერენიტეტსა და სამართლებრივ ვალდებულებებს შორის არ არის თამაში ნულოვანი შედეგით (*zero-sum game*), არამედ გარიგების და კრძრომისების მუდმივი პროცესი. ამრიგად, ფოკუსის გადანაცვლება უნდა მოხდეს სუვერენიტეტის შეზღუდვის მიღების მიზეზებიდან სარგებელზე, რომელიც მიიღება სუვერენიტეტის დათმობასგან;

2. საწყისი სარგებელი ავტონომიაზე უარის თქმისთვის იყო სამხედრო წონასწორობა რეგიონში, გარე სოციალიზაცია და ნორმატივების დიფუზია; 3. დროთა განმავლობაში სუვერენიტეტის გაუთვალისწინებელი დათმობების მიუხედავად, ბრიტანეთი აგრძელებს „ადამიანის უფლებების გამყარებას“; 4. ამ პროცესების გამო, გაერთიანებული სამეფო აღმოჩნდა ისეთ პოზიციაში, რომ მან უნდა განავრცოს ადამიანის უფლებები თავისი მოქალაქეებისთვის და შეზღუდოს ვალდებულებები თავშესაფრის მაძიებლების მიმართ; 5. ადამიანის უფლებების კანონების ძირითადი მიზანი, რომელსაც სარგებლობა ჰქონდა უცხოელებისთვის, არის დამიზნული ბრიტანეთის მოსახლეობაზე და არა უცხოელებებზე;

და 6. გაერთიანებული სამეფოს თავშესაფართან დაკავშირებული პოლიტიკა შედარებით თანმიმდევრულია და მისი მიზანია უცხოელების შესვლის აკრძალვა; ხოლო მიზეზი, რომლის გამოც მთავრობა იღებს მექანიზმებს, რომლებიც თითქოს ეწინააღმდეგება ამ მიზანს, არის ის, რომ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ხელისუფლება უფრო დიდ პრობლემებს გადააწყდებოდა. მაშასადამე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ლიბერალურმა პარადოქსმა დაკარგა თავისი ემპირიული საფუძველი და ძალა.

## 6.4 გერმანია

დემოკრატიულ სუვერენობასა და ლიბერალურ მოქალაქეობას შორის არსებული დიხოტომიის მაგალითი და ლიბერალური პარადოქსის სათანადო ანალიზის ნიმუშია 1990–იანი წლების დასაწყისში გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოში მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც ეხებოდა ხანგრძლივად მაცხოვრებელი უცხოელების საარჩევნო უფლებას. ეს საქმე ნათლად ასახავს სუვერენობის იმპერატივებს, ისევე, როგორც რეალობებს თანამედროვე სამყაროში, რომელშიც ზღვარი უცხოელებსა და მოქალაქეებს შორის სულ უფრო და უფრო სწრაფად იშლება. ერთ-ერთი პირველი გამოწვევა მოქალაქეობის გერმანული (შეზღუდული) გაგებისთვის, რომელიც 2000 წლის რეფორმამდე დაფუძნებული იყო *jus sanguinis*-ზე, იყო მოთხოვნა ქალაქ ჰამბურგიდან და შლეზვიგ-ჰოლშტაინის

მიწიდან, მიეცათ მოქალაქეობის არმქონე ხანგრძლივი რეზიდენტებისთვის ხმის მიცემის უფლება მუნიციპალური და სამხარეო მასშტაბის არჩევნებში.

გერმანიის ფედერალურმა კონსტიტუციურმა სასამართლომ უარყო აღნიშნული მოთხოვნა მკვეთრი განცხადებით დემოკრატიულ სახელმწიფოში ერისა და ეროვნული მიკუთვნების როლის შესახებ. მასტრიხტის ხელშეკრულებამ (1992 წ.) შემდგომში დაგმო ეს გადაწყვეტილება და ევროპის კავშირის ქვეყნების ყველა მოქალაქეს, რომლებიც გერმანიის რეზიდენტები არიან, საარჩევნო და მუნიციპალურ არჩევნებში მონაწილეობის უფლება მიანიჭა. მიუხედავად ამისა, გერმანიის ფედერალური კონსტიტუციური სასამართლოს ზემოთ აღნიშნული გადაწყვეტილება ფილოსოფიური თვალსაზრისით ერთ–ერთი ყველაზე საინტერესო ინტერპრეტაციაა დემოკრატიული სუვერენობისა და დემოსის იდენტობის საკითხებთან მიმართებაში.

1990 წლის 31 ოქტომბერს გერმანიის კონსტიტუციური სასამართლო გამოვიდა შლეზვიგ–ჰოლშტაინის პროვინციული ასამბლეის მიერ 1989 წლის 21 თებერვალს მიღებული კანონის წინააღმდეგ, რომელიც ცვლიდა მოთხოვნებს ადგილობრივ მუნიციპალურ და სამხარეო მასშტაბის არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად. 1985 წლის 31 მაისიდან მოქმედი შლეზვიგ–ჰოლშტაინის საარჩევნო კანონების მიხედვით, ყველას, ვინც განისაზღვრებოდა როგორც გერმანელი ძირითადი კანონის 116–ე მუხლის შესაბამისად, ვინც იყო 18 წლის და ცხოვრობდა საარჩევნო ოლქში მინიმუმ 3 თვის განმავლობაში, ჰქონდა ხმის მიცემის უფლება.

1989 წლის 21 თებერვლის კანონს 1985 წლის 31 მაისის კანონში შემდეგი ცვლილებები შეჰქონდა: ყველა უცხოელს, რომელიც შლეზვიგ–ჰოლშტაინში ცხოვრობდა მინიმუმ 5 წლის განმავლობაში და რომელსაც ჰქონდა რეზიდენტობის ძალაში მყოფი ნებართვა, და 18 წელს მიღწეული იყო, ადგილობრივ მუნიციპალურ არჩევნებში მონაწილეობის უფლება უნდა ჰქონდეს.

დებულებას, რომლის თანახმად შლეზვიგ–ჰოლშტაინის ახალი საარჩევნო კანონი არაკონსტიტუციური იყო, მხარი დაუჭირა გერმანიის პარლამენტის 224–მა წევრმა, რასაც, თავის მხრივ, მხარი დაუჭირა გერმანიის ფედერალურმა მთავრობამ. სასამართლომ თავისი გადაწყვეტილება დაასაბუთა იმ არგუმენტით, რომ საარჩევნო კანონის შემოთავაზებული ცვლილება ეწინააღმდეგებოდა

„დემოკრატიის პრინციპს“, რომელიც მოცემულია გერმანიის ძირითადი კანონის მე-20-ე და 28-ე მუხლებში და რომლის მიხედვით, „სახელმწიფოს მთელი ძალაუფლება ხალხიდან მომდინარეობს“ (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითადი კანონი (15).

ძირითად კანონში მოცემულია, ასევე, შემდეგი დებულება: „ხალხი, რომელსაც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითადი კანონი ცნობს ძალაუფლების მატარებლად, საიდანაც მომდინარეობს კონსტიტუცია, აგრეთვე, ხალხი, რომელიც წარმოადგენს კანონმდებლობის და სახელმწიფოს შექმნის სუბიექტს, არის გერმანელი ხალხი. უცხოელები არ ეკუთვნიან ამ ერთობას. სახელმწიფოს ერთობის წევრობა განისაზღვრება მოქალაქეობის უფლების მეშვეობით [...] მოქალაქეობა სახელმწიფოში ქმნის ფუნდამენტურად ურყევ პიროვნულ უფლებას მოქალაქესა და სახელმწიფოს შორის.

სახელმწიფოში მცხოვრები ხალხის ეს ხედვა, რომელიც სახელმწიფოსადმი მიკუთვნების უფლების საფუძველს წარმოადგენს, არის ერთ ხვედრზე დაფუძნებული პოლიტიკური საზოგადოებრივი ერთობა, რომელსაც ინდივიდუალური მოქალაქეები ეკუთვნიან. მათი სოლიდარობა თავისი სამშობლოს ბედთან, რომელსაც თავს ვერ დააღწევენ, არის, ასევე, გამართლება იმისა რომ, ხმის მიცემის უფლება ეკუთვნოდეს მხოლოდ სახელმწიფოს მოქალაქეებს. მათ უნდა ჰქონდეთ პასუხისმგებლობა თავისი გადაწყვეტილებების შედეგებზე. ამის საპირისპიროდ, უცხოელებს, მიუხედავად იმისა, თუ რამდენად დიდხანს ცხოვრობენ სახელმწიფოს ტერიტორიაზე, შეუძლიათ ყოველთვის დაბრუნდნენ სამშობლოში“ (15).

სასამართლოს ამ დადგენილებამ ნათელყო სამი ძირითადი განსაზღვრება: (ა) განსაზღვრება ტერმინისა სახალხო სუვერენობა (მთელი ძალაუფლება მომდინარეობს ხალხიდან); (ბ) განსაზღვრება ტერმინისა წევრობა სახელმწიფოში; (გ) სახელმწიფოსა და პიროვნებას შორის არსებული კავშირის ფილოსოფიური განმარტება, რომელიც „ბედზე დაფუძნებული პოლიტიკური საზოგადოებრივი ერთობის“ ხედვას ემყარება. სასამართლოს თანახმად, სახალხო სუვერენობის პრინციპის მიხედვით, უნდა ყოფილიყო შესატყვისობა დემოკრატიის პრინციპს ხალხის ცნებასა და საარჩევნო უფლებების მთავარ მითითებებს შორის



სახელმწიფო ძალაუფლების ყველა (ფედერალურ, პროვინციულ, სამხარეო და საერთო) დონეზე.

სახალხო სუვერენობის განსხვავებული კონცეფციები არ უნდა გამოიყენებოდეს სახელმწიფოს სხვადასხვა დონეებზე. ხანგრძლივად მაცხოვრებელი რეზიდენტებისთვის ხმის მიცემის ნებართვა გამოიწვევდა იმას, რომ სახალხო სუვერენობა განსხვავებულად განისაზღვრებოდა სამხარეო დონეებზე და ფედერალურ დონეებზე. ჰაბერმასისეული დისკურსული დემოკრატიის პრინციპის თითქმის პირდაპირი უარყოფით, სასამართლომ განაცხადა, რომ გერმანიის ძირითადი კანონის მე-20-ე მუხლიდან არ გამომდინარეობს, რომ „სახელმწიფო ორგანოების გადაწყვეტილებები ლეგიტიმიზებული უნდა იყოს მათი მეშვეობით, ვისი ინტერესებიც ირღვევა თითოეულ შემთხვევაში. ამისგან განსხვავებით, მათი ძალაუფლება უნდა მომდინარეობდეს ადამიანებიდან, როგორც ერთმანეთთან ერთობლიობის სახით დაკავშირებული ჯგუფიდან“ (15).

შლეზვიგ-ჰოლშტაინის რეგიონალურმა პარლამენტმა ექვქვეშ დააყენა კონსტიტუციური სასამართლოს გადაწყვეტილება. პარლამენტი ამტკიცებდა, რომ არც დემოკრატიის პრინციპი და არც ხალხის პრინციპი არ გამორიცხავს უცხოელების უფლებას, მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში: „მოდელი, რომელიც საფუძვლად უდევს ძირითად კანონს, არის ადამიანთა დემოკრატიის კონსტრუქცია და არა ერის კოლექტივისა. ძირითადი პრინციპი არ უშვებს განსხვავებას სახელმწიფოში მცხოვრებ ხალხსა და დაქვემდებარებულთა გაერთიანებას შორის (14).

გერმანიის კონსტიტუციურმა სასამართლომ მოგვიანებით გადაჭრა ეს წინააღმდეგობა სახალხო სუვერენობის მნიშვნელობის შესახებ, მისი ერთიანი და ფუნქციურად არადიფერენცირებული ვერსიის მიღებით, მაგრამ მან აღიარა, რომ სუვერენულ ხალხს, წარმომადგენლების მეშვეობით, შეუძლია მოქალაქეობის განსაზღვრების შეცვლა. პროცედურულად, „ხალხი“ უბრალოდ ნიშნავს ყველას, ვისაც სახელმწიფოს აუცილებელი წევრობა გააჩნია. თუ ადამიანი მოქალაქეა, მას აქვს ხმის მიცემის უფლება; თუ არა – არა. „ამრიგად, ძირითადი კანონი მოქალაქეობის მიღების და დაკარგვის წესების (ასევე, ხალხისთვის მიკუთვნების კრიტერიუმების) უფრო ზუსტი განსაზღვრის საშუალებას კანონმდებელს აძლევს. ამრიგად, მოქალაქეობის კანონი წარმოადგენს სფეროს, სადაც კანონმდებელმა

შეიძლება განახორციელოს სამართალი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მოსახლეობის შემადგენლობაში ცვლილებების შესაბამისად“. ამის მიღწევა შესაძლებელია ყველა იმ უცხოელის მიერ მოქალაქეობის მიღების დაჩქარებით, ვინც გერმანიის ხანგრძლივი რეზიდენტია (*long-term permanent residents*) (14).

აქ სასამართლო მკაფიოდ ეხება ლიბერალურ პარადოქსს, სახელმწიფოს განსაზღვრებას და მოქალაქეთა და უცხოელთა უფლებებს შორის არსებულ დიხოტომიას. დემოკრატიულ დემოსს შეუძლია, შეცვალოს თავისი თვითგანსაზღვრა მოქალაქეობაზე დაშვების კრიტერიუმების შეცვლით. სასამართლო ჯერ კიდევ ემხრობა მოქალაქეობის კლასიკურ მოდელს, რომლის მიხედვითაც, დემოკრატიული მონაწილეობის უფლებები და ქვეშევრდომობა მკაცრადაა გადაჯაჭვული ერთმანეთთან, მაგრამ გერმანიის ნატურალიზაციის კანონის შეცვლის პროცედურული ლეგიტიმაცია ნიშანი იყო იმისა, რომ სასამართლო აღიარებს დემოკრატიული სუვერენის ძალას, შეცვალოს თვითგანსაზღვრა მოსახლეობის ცვალებადი შემადგენლობის შესაბამისად. ზღვარი მოქალაქეებსა და უცხოელებს შორის, შესაძლოა, განისაზღვროს თავად მოქალაქეების მიერ, რაც მიმდინარე ანალიზს კიდევ უფრო საინტერესოს ხდის.

პროცედურული დემოკრატიული გახსნილობა, რომელზეც სასამართლომ მიანიშნა, დიდ კონტრასტშია დემოკრატიული ხალხის კონცეფციასთან, რომელიც, ასევე ზოგადად აღწერილი იყო სასამართლოს მიერ და რომლის მიხედვითაც, ხალხი განიხილება, როგორც „საერთო ბედზე დაფუძნებული პოლიტიკური ერთობა“, რომელიც სოლიდარობის გრძნობებითაა შეკავშირებული. აქ დემოკრატიული ხალხი განიხილება, როგორც ეთნოსი, როგორც საზოგადოება, რომელიც საერთო ბედის, მოგონებების, სოლიდარობის და მიკუთვნების მეშვეობითაა შეკავშირებული. ასეთი საზოგადოება არ იძლევა თავისუფალი შესვლისა და გასვლის ნებართვას.

შესაძლოა, ასეთი საზოგადოების წევრებთან ქორწინებამ წარმოშვას გარკვეული ინტეგრაცია თაობების შემდგომ; მაგრამ მთლიანობაში, ეთნოსის – მოგონებების, ბედის და მიკუთვნების საზოგადოების – წევრობა ისეთი რამაა, რომელიც დაბადებით განისაზღვრება. თუმცა, მოზრდილობაში ადამიანმა შეიძლება უარი თქვას ამ მემკვიდრეობაზე, უარი თქვას წევრობაზე, ან მოინდომოს მისი შეცვლა. რამდენად უნდა განვიხილავდეთ ლიბერალურ დემოკრატიულ სახელმწიფოებს,

როგორც ეთნოსის საზოგადოებებს? მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო ვრს მოიხსენებდა, როგორც „ბედზე დამყარებულ საზოგადოებას“ ის, ასევე, ხაზს უსვამს, რომ დემოკრატიულ კანონმდებელს აქვს პრეროგატივა, შეცვალოს მოქალაქეობის მნიშვნელობა და დემოკრატიული მიკუთვნების წესები. მოქალაქეობის ასეთი ტრანსფორმაცია, შესაძლოა, აუცილებელი იყოს მოსახლეობის შეცვლილი ბუნების სათანადო გააზრებისათვის, რადგან დემოსი და ეთნოსი ერთმანეთს მარტივად არ ემთხვევა ხოლმე.

1990 წლის გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს ეს გადაწყვეტილება უკვე ისტორიის კუთვნილებაა. 1992 წელს მასტრიხტის, ანუ ევროპის კავშირის ხელშეკრულებამ დაადგინა ევროპის მოქალაქეობა, რომელიც ანიჭებდა ხმის მიცემის და თანამდებობის დაკავების უფლებას თხუთმეტი ხელმომწერი ქვეყნის ყველა მოქალაქეს, რომლებიც ცხოვრობდნენ სხვა წევრი ქვეყნების ტერიტორიაზე. ექვსი ქვეყნიდან, რომელთა მოქალაქეობისთვისაც შლეზვიგ-ჰოლშტაინს სურდა ხმის მიცემის ურთიერთგაზიარებული უფლების მიცემა (დანია, ირლანდია, ჰოლანდია, ნორვეგია, შვედეთი და შვეიცარია), მხოლოდ ნორვეგია და შვეიცარია არ ყოფილან მასტრიხტის ხელშეკრულების მოსარგებლენი, ვინაიდან ისინი არ იყვნენ ევროპის კავშირის წევრები.

შემდგომ წლებში აწ უკვე გაერთიანებულ გერმანიაში დემოკრატიული დებატების ინტენსიური პროცესი და „გამეორება“ გაიშალა. ამ პროცესების დროს მოხდა დემოკრატიული კანონმდებლების წინაშე არსებული პრობლემის (მოსახლეობის შემადგენლობასთან მოქალაქეობის განსაზღვრების შესაბამისობაში მოყვანა) ხელახალი ფორმულირება. ეს ნათლად ჩანს ქალაქ ჰამბურგის მერიის მიერ გავრცელებულ განცხადებაში, რომელიც ადგილობრივი არჩევნების კანონების შეცვლას ეხებოდა: „გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, ბოლო ათწლეულებში, ფაქტობრივად იმიგრაციის ქვეყანა გახდა.

ისინი, ვის უფლებასაც არღვევს ის კანონი, რომლის წინააღმდეგაც გამოვდივართ, ამრიგად, არ არიან უცხოელები, არამედ თანამაცხოვრებლები, რომლებსაც მხოლოდ გერმანიის მოქალაქეობა აკლიათ. ეს განსაკუთრებით ეხება მეორე და მესამე თაობის უცხოელებს, რომლებიც გერმანიაში არიან დაბადებული“ (14). დემოსი არაა ეთნოსი და ისინი, ვინც ცხოვრობს ჩვენს შორის და არ მიეკუთვნება ეთნოსს, უცხოებიც არ არიან; ისინი უფრო „თანამაცხოვრებლები“ არიან, ან,

ბოლო დროის პოლიტიკური გამოთქმით – „ჩვენი უცხოური წარმოშობის თანამოქალაქეები“ (14).

თვით ეს ტერმინი („ჩვენი უცხოური წარმოშობის თანამოქალაქეები“) კი როემლიც, შესაძლოა, უცნაურად ჟღერდეს იმ ადამიანებისთვის, რომლებიც ერთმანეთისაგან განასხვავებენ მხოლოდ მოქალაქეებს, რეზიდენტებს და არარეზიდენტებს, მიუთითებს ცვლილებებზე, რომლებიც მოხდა გერმანულ საზოგადოებრივ ცნობიერებაში 1990-იან წლებში.

ამ ინტენსიურმა და თვითკრიტიკულმა საზოგადოებრივმა დებატებმა საბოლოოდ შედეგად გამოიღო იმიგრაციის, როგორც ფაქტის და იმიგრაციის სასურველობის აღიარება. აღიარებული იქნა იმიგრანტების მეორე და მესამე თაობის შვილების ნატურალიზაციის აუცილებლობა და ახალი კანონი გერმანიის მოქალაქეობის შესახებ 2000 წელს იქნა მიღებული. გერმანიის კონსტიტუციური სასამართლოს მიერ შლეზვიგ-ჰოლშტაინის და ქალაქ ჰამბურგის საარჩევნო კანონის რეფორმების შეჩერებიდან (იმის საფუძველზე, რომ უცხოელი რეზიდენტები არ იყვნენ მოქალაქეები და, აქედან გამომდინარე, არ ჰქონდათ არჩევნებში მონაწილეობის უფლება) ათი წლის შემდეგ, გერმანიის ევროპის კავშირში წევრობამ გამოიწვია მოქალაქეობის უფლების დისაგრეგაცია.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ აშშ-ში, გაერთიანებულ სამეფოსა და გერმანიაში უსაფრთხოებასა და კანონალსრულებასთან დაკავშირებულმა მოვლენებმა ნათლად უჩვენა იმ დისკუსიის რელევანტურობა, რომელიც დემოკრატიულ სუვერენობისა და ლიბერალური ქვეშევრდომობის მოდელებს ეხება. დისკურსები და იდეები, აღქმები და ნიმუშები, რომლებსაც ეს მოდელები ემყარება, ძლიერ გავლენას ახდენს კანონმდებლობაზე, გარკვეული მიმართულებით წარმართავს პოლიტიკის შემუშავების პროცესს და განსაზღვრავს ოპერატიულ ქმედებასა და შედეგებს.

11 სექტემბრის შემდგომ პერიოდში, უსაფრთხოების გაძლიერების ტენდენციებმა, უცხოელების და მოქალაქეების უფლებების შესახებ კამათი აკადემიური და პოლიტიკური დებატების ცენტრალურ საკითხად აქცია. თუმცა, ევროპასა და აშშ-ში შემოდებული მკაცრი შემზღუდავი ზომების მიუხედავად, მოქალაქეების უსაფრთხოების მოსაზრებები ვერ გადაწონის მოქალაქეობის არმქონე პირების

ადამიანის უფლებებს. დემოკრატიული სუვერენობა არ ახშობს მოქალაქეობის არმქონე პირების თავისუფლებებს, თუკი ის სახელმწიფოებრიობის საფუძველმდებარე დემოკრატიული პრინციპების ერთგული რჩება. ლიბერალური პარადოქსი, განსკუთრებით ეროვნული უსაფრთხოების კონტექსტში, მოქალაქეებისა და უცხოელების უფლებებს ურთიერთგამომრიცხავ სისტემაში ათავსებს, რაც აუცილებლად იწვევს მოქალაქეობის არმქონე პირების უფლებათა დარღვევის გამართლებას ამ ნორმატიული წინააღმდეგობის საფუძველზე.

დემოკრატიული სუვერენიტეტის და ლიბერალური მოქალაქეობის ეს დიალექტიკური დიხოტომია (ლიბერალური პარადოქსი), უარყოფს დემოკრატიის საფუძველმდებარე პრინციპებს, რომლებიც წარმოადგენს ადამიანის თავისუფლებების გარანტიას მოქალაქეობის მიუხედავად და, აქედან გამომდინარე, არ შეიძლება ასახავდეს ლიბერალური დემოკრატიების პოლიტიკური რეალობის ზუსტ სურათს. შესაძლოა, არსებობდეს ორი კონცეფციის დიალექტიკა, მაგრამ არა თეორიული წინააღმდეგობა, ანუ პარადოქსი, რომელიც პოლიტიკოსებს უფლებათა ამ ორი სახის (მოქალაქეთა დემოკრატიული სუვერენობა და უცხოელთა ლიბერალური მოქალაქეობა) ურთიერთთავსებადობის უარყოფისკენ უბიძგებს.

## თავი 7

### თემის რელევანტობა საქართველოსთვის

დასასრულს, ნიშანდობლივია, რომ განხილული პრობლემატიკა უაღრესად მნიშვნელობას ქართულ კონტექსტშიც. მზარდი საემიგრაციო ნაკადები საქართველოში და ადგილობრივ ბაზარზე გაძლიერებადი კონკურენცია ქართულ მოსახლეობასთან ამ თემის რელევანტობას ადასტურებს (135). საქართველოს დასაქმების მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია: ქალაქებში უმუშევრობა მაღალია და ხანგრძლივი, ხოლო სოფლად დასაქმება დაბალპროდუქტიულია და დასაქმების 50 პროცენტზე მეტი კვლავ სოფლის მეურნეობაზე მოდის.

ასევე, ბევრი ადამიანი დასაქმებულია არაფორმალურ სექტორში, რაც ხელს უწყობს ჩრდილოვანი ეკონომიკის განვითარებას. ამავე დროს, შრომითი მიგრაცია საქართველოში გრძელდება და რიგ შემთხვევებში წახალისებულია უცხოელი ინვესტორების მიერ ქვეყანაში იაფი მუშახელის მოზიდვისა და მათთვის დაბალი სოციალური გარანტიების უზრუნველყოფის მოტივაციით. ასევე, აღსანიშნავია ქართული მიწების და უძრავი ქონების შექმნის მზარდი ტენდენცია და ამასთან დაკავშირებული მოსახლეობის ნაწილის უკმაყოფილება (254). ამგვარ პირობებში დიდი ალბათობით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ადგილობრივი მოსახლეობის და უცხოელთა ინტერესები ერთმანეთს დაუპირისპირდება.

სახნავ-სათესი მიწებით უცხოელების დაინტერესებას სურსათზე ფასების ზრდას და გლობალურ სასურსათო დეფიციტს უკავშირებენ, რომელიც სავარაუდოდ მომავალში საგანგაშოდ გამწვავდება და ხალხმრავალ ქვეყნებს მოსახლეობის გამოკვების პრობლემა დაუდგება. ფინანსურმა კრიზისმა ბევრი ხელისუფლება იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ მიწა გაცილებით უფრო სტაბილური ინვესტიციაა და ნაკლებად სარისკო, ვიდრე ნებისმიერი სხვა ბიზნესი. ამიტომ, დიდი სახელმწიფოები თადარიგს იჭერენ და მესამე სამყაროს ქვეყნებში მიწებს აქტიურად ყიდულობენ. ამავე დროს, საქართველოს მთავრობა ეძებს გზებს, გააძლიეროს შიდა სასოფლო-სამეურნეო წარმოება, რათა დაეხმაროს ქვეყანას ადგილობრივი პროდუქტის მოპოვებაში. ქართული ფერმების მცირე მიწების უმრავლესობა არ არის საკმარისი კომერციული წარმოებისთვის.

ამ კუთხით, საქართველო ხდება საკმაოდ მიმზიდველი ადგილი. თვალსაჩინოა კახეთში, მარნეულში, საგარეჯოს და დედოფლისწყაროს რეგიონებში ინდოელების და ბულგარელების მომრავლება, რომლებიც ჰექტრობით სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთებს ყიდულობენ. ზოგიერთ შემთხვევაში გარიგებები ასობით ჰექტარზეა დადებული. მონაცემების თანახმად (84, 2012 წლის შემდეგ საქართველოში ათასობით ინდოელი ფერმერის იმიგრირება მოხდა, ძირითადად პენჯაბის ჩრდილოეთ შტატიდან. ინდუსები ამბობენ, რომ მათ მიწები აფრიკაშიც აქვთ ნაყიდი, მაგრამ საქართველო ტერიტორიულად უფრო ახლოსაა და აქ ბიზნესის კეთება მათთვის ხელსაყრელია (254).

მეორე მხრივ, კახელი გლეხები, მოუსავლიანობისა და სხვა მიზეზების გამო, იძულებული გახდნენ (2012 წ.), მიწაზე უარი ეთქვათ. კერძო მესაკუთრეების მიერ მიწის ნაკვეთების დათმობას ბიძგი საკანონმდებლო ცვლილებებმაც მისცა. ასევე გაიზარდა მიწის ქონების გადასახადი და მესაკუთრეებმაც მოცდენილი ფართობების გაყიდვა ამჯობინეს. ამას ისიც დაემატა, რომ კახეთში გლეხებს ხორბლის მოსავალი გაუფუჭდათ (2012 წ.). ჯერ გვალვამ და სეტყვამ, შემდეგ კი თაგვებმა ხორბლის ყანები ბევრს გაუნადგურა. დაზარალებულ ფერმერებს მიწის დასამუშავებელი და სათესლე მასალის ფული აღარ ჰქონდათ, ამიტომ იძულებული გახდნენ, მიწები გაეყიდათ. ამრიგად, ადგილი აქვს მოთხოვნის და მიწოდების პირდაპირი თანხვედრას.

ინდუსი ფერმერი გურმიტ სინგჰი ამბობს, რომ ალაზნის ველზე უკვე 50-მა პენჯაბელმა ოჯახმა იყიდა სავარგულები. „ბევრი ნათესავი და ახლობელი მყავს ინდოეთში“ – აღნიშნავს ის – „მინდა, რომ მათაც ნახონ სარგებელი, ჩამოვიდნენ საქართველოში და სარფიან ფასად შეიძინონ მიწის ნაკვეთები. მიყვარს საქართველო, ქართველი ხალხი და ქართული კერძებიც მომწონს. ჩემთვის პრობლემას არ წარმოადგენს სხვა სარწმუნოების აღმსარებლებთან თანაცხოვრება“ (254).

მაგრამ ადგილობრივებს უცხოტომელების გამოჩენა არ მოსწონთ – კახელები შიშობენ, რომ მალე მათ მიწებს მთლიანად უცხოელები ჩაიგდებენ ხელში და მათ შვილებსა და შვილიშვილებს დაქირავებულ მუშებად მოუწევთ ყოფნა. წნორის ერთ-ერთი მკვიდრი ამბობს, რომ „კახეთში ინდოელები მასობრივად ყიდულობენ მიწებს. კახელები ჩალის ფასად ყიდინ მიწის ნაკვეთებს, რადგან ეკონომიური

სიდუხჭირეა ქვეყანაში. მიწა არ გამოიყიდა, მიუხედავად იმისა, რომ უკიდურესად ვარ გაჭირვებული. არ მინდა ქართულ მიწაზე დაფუძნდნენ უცხო ქვეყნის მოქალაქეები. მალე ინდოელები მთელს საქართველოს იყიდიან“ (253).

უძრავი ქონების ექსპერტები ვარაუდობენ, რომ მიწების მსურველი უცხოელების რიცხვი კიდევ მოიმატებს. ებრაელებს, ბულგარელებსა და ინდუსებს ჩინელებიც მოჰყვებიან, რომლებსაც ხელისუფლება საქართველოში ბიზნესის დასაწყებად ეპატიჟება. აქედან გამომდინარე. შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ უცხოელების და ადგილობრივების ინტერესების დაპირისპირება (ლიბერალური პარადოქსი) დროთა გამავლობაში უფრო აქტუალური თემა გახდება საქართველოს კონტექსტში.

ამასთან დაკავშირებით, საქართველოს ხელისუფლება მიგრაციის შესახებ კანონზე უკვე დაჩქარებულად მუშაობს. ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა 2013 წლის 11 აპრილს განაცხადა. მისივე თქმით, როგორც ყველა ნორმალურ ქვეყანაში, საქართველოშიც უნდა იყოს მიგრაციის შესახებ კანონმდებლობა და ამ კანონს უნდა ექვემდებარებოდეს ნებისმიერი პირის ქმედება, რომელიც არ არის საქართველოს მოქალაქე. ამასთან, ბიძინა ივანიშვილიმა განმარტა, რომ საქართველო, როგორც ქვეყანა, ყველასთვის სასურველი უნდა იყოს, ყველას უნდა მოესვლებოდეს აქ და ყველას უნდა ჰქონდეს საშუალება, აქ ბიზნესი გააკეთოს.

„უცხოური ინვესტიციები უნდა შემოვიდეს და ეს მისასაღმებელია, თუმცა არ დავუშვებთ უსამართლობას“, – დასძინა პრემიერ-მინისტრმა. მისი თქმით, წინა ხელისუფლების დროს, ადგილობრივი მოსახლეობის ხარჯზე, მათი ნების საწინააღმდეგოდ, ხდებოდა მიწის ნაკვეთების გასხვისება. სიტუაცია, რომელიც დღეს საქართველოშია უცხოელების მიმართ, ითხოვს ადეკვატურ და სისტემურ ანალიზს. საქართველოში არ არსებობს უცხოელი მიგრანტების აღრიცხვის სისტემა.

„ჩვენ ვაჩქარებთ მიგრაციის კანონის მიღებას, ეს პირადად ჩემი ინიციატივაა. უნდა არსებობდეს მიგრაციის შესახებ კანონმდებლობა და მას უნდა ექვემდებარებოდეს უცხო ქვეყნის მოქალაქის ქმედება საქართველოში [...] გასაგებია რომ ეს საჩქაროა, გასაგებია რომ ხალხი ნერვიულობს“, – აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა. „ყოველთვის



სასურველი უნდა ვიყოთ, როგორც ქვეყანა, ყველას უნდა მოესვლებოდეს, ჰქონდეს საშუალება, რომ ბიზნესი გააკეთოს. მიგრაციის შესახებ კანონს ვიღებთ, ჩემი დავალებაა. ეს კანონი დაარეგულირებს ყველაფერს“, – აღნიშნა მან.

დამოუკიდებელი ექსპერტებიც ადასტურებენ ამ თემის მნიშვნელობას და აქტუალობას. დემოგრაფს, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორს ანზორ თოთაძეს მიგრაციის შესახებ კანონის მიღება გადაუდებლად მიაჩნია, რაც არა მხოლოდ საქართველოდან გასულ ადამიანებს უცხოეთში ლეგალურად ჩასვლაში დაეხმარება, არამედ ჩვენს ქვეყანაში შემოსულ მიგრანტებსაც გააკონტროლებს, რადგან ასე ხელაღებით უცხოელების შემოშვება არ შეიძლება.

„ვისაც უნდა, ჩვენთან შემოდის. არადა, ჩვენ პატარა და მცირემიწიანი ქვეყანა ვართ და პატარა ქვეყნებს ძალიან უჭირთ ამ რაოდენობის კონტინგენტის მიღება. ამიტომ განსაზღვრული უნდა იყოს შემომსვლელთა კვოტა. ეს საკითხი დასავლეთ ევროპასაც საჭირობოროტოდ გაუხდა, რადგან თავის დროზე იქაც ასე ხელაღებით მიიღეს იაფი მუშახელი. ჭურჭლის დარეცხვა და ქუჩის დაგვა ევროპელებს არ უნდოდათ. ამიტომაც ახლა გაართულეს მიგრანტების მიღება და კვოტებს აწესებენ“, – აცხადებს თოთაძე (251).

მისივე თქმით, ძალიან ბევრი ადამიანი ჩამოდის ლათინური ამერიკული ქვეყნებიდან, პაკისტანიდან, ჩინეთიდან, აზიის და აფრიკის ეკონომიკურად „ჩამორჩენილი“ ქვეყნებიდან. ამიტომ მათთვის გარკვეული კვოტა უნდა დაწესდეს, თორემ ევროპელები, ფრანგები, ინგლისელები, გერმანელები მასობრივად აქ ჩამოსვლაზე თავს არ იკლავენ. ეკონომიკურად განვითარებადი ქვეყნებიდან შემოსულ ადამიანებს კი აქ შემოაქვთ სხვა რელიგია, სხვა ცხოვრების წესი. თუ აქამდე 400 ათასზე მეტი რუსი ცხოვრობდა ჩვენთან, ახლა რუსს თუ უკრაინელს იშვიათად ნახავთ ქუჩაში. უფრო მეტიც – ბოლო დროს ჩამოსულთა რიცხვიც გაუკონტროლებელია, რადგან აქ ჩამოსულ უცხოელთა რაოდენობას საზღვრის დაცვის დეპარტამენტი არ აქვეყნებს.

ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში სოსო არჩვაძე მიიჩნევს, რომ მიგრაციის კანონში გათვალისწინებული უნდა იყოს ავტოქთონური ერისა და ქვეყნის ძირითადი მოსახლეობის ინტერესები. კერძოდ, ამ კანონის საფუძველზე

საქართველოს მოქალაქეებმა ყველაზე კომფორტულად უნდა იგრძნონ თავი სამშობლოში და ეს უნდა იგრძნობოდეს სოციალურ-ეკონომიკური კუთხით.

მისი თქმით, არ უნდა მოხდეს ისე, როგორც ბოლო წლებში, როცა დაახლოებით 35 000 ათასი ჰექტარი მიწა სხვა ქვეყნის მოქალაქეებს გადაეცათ. ფაქტობრივად, მიწას უყურებდნენ, როგორც საკუთრების და არა როგორც მეურნეობის ობიექტს, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში არაფერ სახარბიელოს არ უქადდა საქართველოს ეკონომიკას. ასე თანდათან, ქართული მიწა სხვა პირების საკუთრებაში გადადიოდა – ჩინელების, იტალიელების, ფრანგების და ა.შ. ამით დამატებითი სამუშაო ადგილები არ იქმნებოდა და ჩვენი მოსახლეობის სასიცოცხლო ეკონომიკური სივრცე სულ უფრო იზღუდებოდა.

„ეს ყველაფერი მიგრაციის შესახებ კანონპროექტში უნდა აისახოს. საერთოდ, თავისი ბუნებით კაპიტალი კოსმოპოლიტურია, მას არ აქვს ეროვნული განცდა, პატრიოტიზმი არ გააჩნია და, სადაც მეტი მოგებაა, იქ მიდის. თუ ვცხოვრობთ საბაზრო ეკონომიკის პრინციპებით, ეს ასეა, მაგრამ ამას გარდა, საზოგადოების ცხოვრებას არეგულირებს არა მარტო ეკონომიკური კანონები, არამედ ზოგად პოლიტიკური, სოციოლოგიური, ფსიქოლოგიური, ეთიკური პარამეტრები“, – აცხადებს არჩვადე და დასძენს, რომ კანონებს შორის კოლიზია არ უნდა არსებობდეს (251). ხოლო, თუ კოლიზია მაინც მოხდება, მაშინ გარკვეული პრიორიტეტი უნდა შეირჩეს, თუ რა უფრო მნიშვნელოვანია ქვეყნისთვის – ეთიკური ელემენტების დაცვა, კულტუროლოგიური ფაქტორების გათვალისწინება თუ წმინდა ეკონომიკური ფაქტორების წინ წამოწევა.

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელი მარკ ჰულსტი აცხადებს, რომ მიგრაციის შესახებ კანონი მართლაც დასახვეწია და მასში არსებული მუხლები წინააღმდეგობაში მოდის. ამ მხრივ მარკ ჰულსტი არაღეგაღ უცხოელთა იძულების წესით სამშობლოში დაბრუნების მუხლს გამოყოფს, რაც, ფაქტობრივად, ვერ ხორციელდება, რადგან ამის ფინანსური საშუალებები საქართველოს ბიუჯეტში არ არსებობს.

„თუ უცხოელის საქართველოში უვიზოდ ყოფნის პერიოდი უკვე გასულია და იგი არ რეგისტრირდება სამოქალაქო რეესტრში, ამასთან, არ სურს საქართველოს ტერიტორიის დატოვება, მისთვის უნდა არსებობდეს იძულებითი დაბრუნების

მექანიზმი, რასაც კანონი დახვეწილი სახით ჯერ არ გვთავაზობს და ბუნდოვანია. ამასთან, უნდა იყოს მიგრაციის მონაცემთა ბაზა, რაც არ მომხდარა. თუ ვინმე შემოდის საქართველოში, არ ტოვებს საქართველოს ტერიტორიას იმ ვადაში, რაც მას აქვს განსაზღვრული და ბინადრობის მოწმობის გარეშე რჩება, ფაქტობრივად, ის ხდება არალეგალი მიგრანტი. ამაზე კი არანაირი რეაგირება არ ჩანს. თუმცა პირდაპირ გადავებაზე ვერ ვისაუბრებთ, ჯერ უნდა ამოქმედდეს ნებაყოფლობითი დაბრუნების მექანიზმი“, – აცხადებს ჰულსტი (251).

მისივე თქმით, ევროპაში მოქმედებს სავიზო პოლიტიკა, რაც საქართველოში არ არის და ბევრი ქვეყნის მოქალაქეს შეუძლია, ჩამოვიდეს საქართველოში. ეს გადაწყვეტილება მაშინ იმით იყო განპირობებული, რომ, რაც უფრო მეტი უცხოელი ჩამოვიდოდა, საქართველოს ეკონომიკისთვის უკეთესი იყო. ამდენად, ჰულსტის აზრით, დასარეგულირებელია არალეგალური მიგრაცია და კარგი იქნება, სავიზო პოლიტიკა შევიდეს ძალაში, რაც საქართველოში უცხოელების ჩამოსვლას დაარეგულირებს.

ხელისუფლება ძალიან ფრთხილად უნდა მოეკიდოს ამ კანონპროექტს, რადგან მისი მიღება და ჩამოყალიბება გადაწყვიტა. დღეისთვის, ასეთი კანონის მიღება შეიძლება აღქმულ იქნეს როგორც ორმაგ სტანდარტებზე დაფუძნებული შიდა პოლიტიკა. ერთი მხრივ სასურველია, რომ ინვესტიციები განხორციელდეს საქართველოში, მეორე მხრივ იზღუდება უცხოელის უფლებები, რომელიც ქვეყნისთვის პოტენციური ინვესტორია.

განსაზღვრული მიგრაცია, განსაკუთრებით მაღალკვალიფიცირებული სპეციალისტების მოზიდვა, გახლავთ საჭირო და სასურველი ქართულ ეკონომიკისთვის. ასე რომ, საჭიროა სწორი ბალანსის გამონახვა და მიგრაციის რეგულაცია, რათა შრომის დაბალმა სტანდარტმა არ აიძულოს ადგილობრივი მუშახელი, უცხოეთში წავიდეს სამუშაოდ და ასევე დაცული იყოს საქართველოში შრომით მიგრანტთა უფლება. სახელმწიფოს მხრიდან გონივრული სამიგრაციო პოლიტიკა აამაღლებდა ქვეყანაში შრომით სტანდარტს და უფრო მოტივირებულს გახდიდა დამსაქმებელს, რომ შეინარჩუნოს ადგილობრივი კვალიფიციური ექსპერტები. ამრიგად, ორივე ჯგუფის უფლებები იქნებოდ დაწინაურებული ურთიერთდამხმარე ფორმატში.

საემიგრაციო პოლიტიკის და კანონმდებლობის დახვეწა, მიგრანტთა და მოქალაქეთა უფლებების დაბალანსების მიზნით, ევროკავშირის მოთხოვნას წარმოადგენს და ევროინტეგრაციის ერთ-ერთი კრიტერიუმია (249). ევროპის ახალი სამეზობლო პოლიტიკა დაეყრდნობა ექვს ძირითად ასპექტს, მათ შორისაა ადამიანის უფლებათა გამყარება და არალეგალური მიგრაციის აღმკვეთი ზომების შემუშავება. შესაბამისად, ეს პოტენციურად პრობლემატური უფლებრივი დაძაბულობა, მთავრობისთვის წარმოადგენს არა მარტო გამოწვევას შინაური ეკონომიკისთვის, არამედ საგარეო სტრატეგიული განვითარების შემადგენელ ნაწილს.

დღეისთვის მიგრაცია მოითხოვს სათანადო პოლიტიკის შემუშავებას მიგრანტთა უფლებების ფორმირებისა და უზრუნველყოფის მხრივ. მიგრაციის პოლიტიკა უნდა შემუშავდეს ისეთ ფორმატში, რომ აღიკვეთოს არარეგულირებადი მიგრაცია, ტრეფიკინგი, დისკრიმინაცია, ექსპლუატაცია და სათანადოდ დაცული იქნას მიგრანტთა უფლებები. ქვეყანაში ადამიანის შეშვება ან არშეშვება თითოეული ქვეყნის სუვერენული უფლებაა, მაგრამ ქვეყანაში მცხოვრები ყოველი ადამიანის, მათ შორის მიგრანტის უფლებების დაცვა, მხოლოდ ქვეყნის სუვერენულ უფლებებს სცდება და თითოეულმა სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ადამიანის უფლებების დაცვა საერთაშორისო კანონმდებლობის შესაბამისად. დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, შეგვიძლია დარწმუნებით განვაცხადოთ, რომ უახლოეს მომავალში საქართველოს მთავრობას უშუალოდ მოუწევს ლიბერალური პარადოქსის გამოწვევებთან დაპირისპირება.



## დასკვნა-რეკომენდაციები

დემოკრატიული პროცესები ადასტურებს კონკურენტული უფლებების დიალექტიკას. „აუთსაიდერები“ მხოლოდ სახელმწიფოს საზღვრებთან კი არ არიან, არამედ მის შიგნითაც. სინამდვილეში, გარკვეული ეროვნების ადამიანებსა და უცხოელებს, მოქალაქეებსა მიგრანტებს შორის არსებული ბინარიზმი სოციალურად არაადეკვატურია და რეალობა ბევრად უფრო არასტაბილურია, ვინაიდან მრავალი მოქალაქე წარმოშობით მიგრანტია და მრავალი მოქალაქე თავადაა უცხოეთში დაბადებული. თანამედროვე დემოკრატიულ სახელმწიფოებში იმიგრაცია და მულტიკულტურალიზმი სულ უფრო და უფრო მჭიდროდ უკავშირდება ერთმანეთს.

გერმანიის კონსტიტუციური სასამართლოს გადაწყვეტილება უჩვენებს, რომ ხშირად შეიძლება იყოს შეუთავსებლობა დემოკრატიული მოქალაქეობის ოფიციალური პრივილეგიის მქონეთა (დემოსი) და სხვებს შორის, რომლებიც მოსახლეობის ნაწილს წარმოადგენენ, მაგრამ ფორმალურად არ ეკუთვნიან დემოსს. ნაშრომში განხილულ იქნა გერმანიის სასამართლოს მიერ წამოჭრილი პრობლემა საკანონმდებლო ხელისუფლების მიმართ გერმანიის მოქალაქეობის ოფიციალური განსაზღვრების ისეთ შესწორებასთან დაკავშირებით, რომელსაც უნდა აესახა მოსახლეობის ცვლადი რეალობები და ამის საფუძველზე მოხდა მოქალაქეობის შესახებ კანონის შესწორება.

აშშ-ს კონსტიტუცია ბევრად უფრო მოქნილი, საკამათო და დინამიურია, ვიდრე გვაჯერებენ როულსის მომხრე ლიბერალები და მოქალაქეობის დაკნინების მომხრე თეორეტიკოსები. ხალხების როულსისელი ხედვა, როგორც თვითშემოსაზღვრული მორალური სამყაროებისა, არა მხოლოდ ემპირიულად, არამედ ნორმატიულადაც გაუმართლებელია. ეს ხედვა უგულებელყოფს ხალხს, როგორც დუალურ ერთობას, რომელიც, ერთი მხრივ, წარმოადგენს ეთნოსს, როგორც ერთობლივი ბედის, მესხიერების და მორალური მიდრეკილებების მქონე საზოგადოებრივ ჯგუფს, ხოლო მეორე მხრივ – დემოსს, როგორც დემოკრატიული უფლებების მქონე ყველა მოქალაქის ერთობლიობას, რომლებიც, შესაძლოა, ეკუთვნოდნენ ან არ ეკუთვნოდნენ ერთსა და იმავე ეთნოსს.

